# ტარტაროზი №123

ფასი სამი შაური

კვირა, 23 ოქტ. 1927 წ.



ზოგთათვის—ტეხნიკა, ზოგთათვის—„მეცნიერება

(„კროკოდილ"-იდან)

# თანამედროვე ტეხნიკის მოკლე მიმოხილვა

## შესავალი

ვინ იცის, შეიძლება სწორედ იმ დროს, როდესაც ამ წერილს ვწერავთ, სადღაც, ამობნელებულ ოთახში, სიმშილისაგან ჩამომდნარი, მაგრამ ანთებულ თვალებით ზის ქვეყნისათვის ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა და ისეთ რამეს იგონებს რაც სრულებით ამათილებს მთელს თანამედროვე ტეხნიკას. ეს ადვილი შესაძლებელია, რადგან დღეს რომელი ტეხნიკურ-მეცნიერული ჟურნალიც არ უნდა გადაიკითხოთ, სულ ერთია რომელი ნომერი—უკანასკნელი თუ შარშანდელი, მუდამ წააწყდებით ისეთ ცნობას, რომლის მიხედვით დღევანდელი ტეხნიკა და მეცნიერება უკვე გადაუყირავებია ვიღაც არამზადას თავისი ახალი გამოგონებით. ხდება ეს ძალიან ხშირად. თუ ჟურნალი ყოველკვირეულია—52-ჯერ წელიწადში, თუ ყოველთვიური—12-ჯერ. ნამდვილად კი უფრო მეტჯერ, რადგან ჟურნალის ერთ ნომერში ხშირად ორიც და სამიც აღმოჩნდება ასეთი გენიალური ვინმე.

აქ. არც ადგილი, არც დრო და არც ამ ნომრის სრულუფლებიანი რედაქტორი—ლევარსი რობრობაძე, საშუალებას არ გვაძლევს უფრო ფართოდ შევეხოთ ამ საკითხის ამ ახირებულ მხარეს, რადგან ჩვენი წერილის მიზანია მხოლოდ გავაცნოთ მკითხველს ამ ახალ გამომგონებლების მიერ აწუნებულ ძველი ე. ი. თანამედროვე ტეხნიკის რაობა და სახეობა, გამოვარკვიოთ, თუ რამდენად შეიჭრა ტეხნიკა ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში და როგორია აქ მისი მიღწევები.

## არშიყობის ტეხნიკა

ასეთ ტეხნიკას ყველაზე უფრო დიდი წარსული აქვს. მისი სათავე პირდაპირ ადამ და ევადან იწყება. (თუმცა, ახალ არქეოლოგიურმა გათხრებმა შეიძლება უფრო შორსაც წაგვიყვანონ). რომ ადამ და ევას დროს ადამიანებს შორის არშიყობის ტეხნიკა პირდაპირ უსუსურ მდგომარეობაში იყო. ეს იმ ფაქტიდან სჩანს, თუ როგორ სწრაფად წამოუგო ევა გველის ანკესზე და წარუშლელი ჩირქი მოსცხო კანონიერ ქმრის ოჯახს. ევას რომ ის ტეხნიკა ქონებოდა, რაც დღევანდელ ქალებს აქვთ,—ასე საქვეყნოდ არ გახდიდა ამ ამბავს; თუმცა იმავე დროს გველი სამართალშიც იქნებოდა მიცემული, ალიმენტითაც დაბეგვრილი და ამავე დროს არც ადამს ეცოდინებოდა რამე და მაშასადამე უკანასკნელი ვერც „დანოსს" გაუცვლიდა ევას ღმერთთან.

## მაჭანკლობის ტეხნიკა

სანამ ევა ერთად-ერთი ქალი იყო დედამიწის ზურგზე, არც კონკურენტი ჰყოლია. მაგრამ გამრავლდა თუ არა ადამიანთა მოდგმა, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დარჩენილიყო. გაჩნდა კონკურენცია და გაჩნდა მაჭანკლობა. მაჭანკლების გამრავლებამ კი გამოიწვია მაჭანკლობის ტეხნიკაც.

**მაჭანკლობა ლიტერატურაშიც კი გაძვრა და აქაც მრავალ ტეხნიკურ მიღწევების მოწამე გახდა განათლებული კაცობრიობა. უკანასკნელ მიღწევად კი უნდა ჩაითვალოს საკუთარ თავისთვის მაჭანკლობის გაწევა თავისივე ლექსების საშუალებით.**

## სიტყვის და წერის ტეხნიკა

ამ ორ პირველ ტეხნიკას არ შეიძლებოდა არ მოყოლოდა სიტყვის ტეხნიკაც, რომელიც ასე აუცილებელია არშიყობისა ან და მაჭანკლობის დროს. შემდეგში სიტყვის ტეხნიკამ სხვა მიმართულებით იწყო განვითარება და პარლამენტებში, სასამართლოებში, ბანკეტებზე, სალიტერატურო და საქეიფო საღამოებზე ბევრ თვალსაჩინო მიღწევებს ჰქონდა ადგილი.

სიტყვის ტეხნიკასთან ერთად წარმოიშვა წერის ტეხნიკაც. პირველად წერის ტეხნიკა მეტად სუსტი იყო. დღეს სულ სხვა სურათს ვხედავთ უნდა ითქვას, რომ წერის ტეხნიკამ გაუსწრო თანამედროვეობას. აი როგორია წერის ტეხნიკა დღეს:

### ჩაუვინთა ჟოჩით ჟუჟგს მეჩისტე ჟიულიურ ყვავი თეძოა შოფერი

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ წერის ტეხნიკა მომავალში უკვე უზრუნველყოფილია ათასი წლით მაინც.

## ლექსიკონების გამოშვების ტეხნიკა

ეს საქმე საქართველოში ახალი ფეხადგმულია. ამიტომ ზედმეტია მიღწევებზე ლაპარაკი. ტეხნიკურად თავიდან ყველაფერი კარგად იყო მოწყობილი. იბეჭდებოდა განცხადებები, დგებოდა ხელისმომწერლების სია და გროვდებოდა ფული. ერთად-ერთი მიღწევა, რომელსაც შეუძლიათ მიაღწიონ ამ საქმის მეთაურებმა—ეს გამსახლია, რადგან შეგროვილ ფულის უკან დაბრუნება ტეხნიკურად ყოვლად შეუძლებელია. (ფიზიოლოგია ამბობს, რომ კუჭში ერთხელ ჩსული იშვიათ შემთხვევაში ამოდის უკან და თუ გამოდის, ისიც...).

## „მეცნიერება"



**მასწავლებელი:** — თქვენ არაფერი არ იცით მეცნიერებაში.

## კინო-ფილმების დადგმის ტეხნიკა

არშიყობის ტეხნიკის განვითარების შემდეგ კინო რომ არ გაჩენილიყო, პირდაპირ ულოლიკობა იქნებოდა. მართლაც სად უნდა შეითვისოს ახალგაზრდობამ მისთვის ძვირივით საჭირო არშიყობის უკანასკნელი ტეხნიკა თუ არა კინოში?... ჩვენში სახკინმრეწვმა კიდევ უფრო გაანვითარა ფილმების დადგმის შინაარსი მოტაცებებით, გაუპატიურებებით, ხანჯლებით, სისხლით და სხვა ასეთ სასიამოვნო, თუ შეიძლება ითქვას, აქსესუარებით. მიღწევები პირდაპირ გადასარევია.

ს. ამაღლობელის სიტყვით, სახკინმრეწვის ტეხნიკური მიღწევები ისეთია, რომ სახკინმრეწვს შეუძლია მშვიდათ განისვენოს. (საინტერესოა, ვინ უმღერებს სულთათანას? ჩვენ, რა თქმა უნდა, სულთათანის შესრულების მხოლოდ ტეხნიკური მხარე გვაინტერესებს, შინაარსს კი სხვა მსმენელიც გამოუჩნდება).

## გაფლანგვის ტეხნიკა

გაფლანგვა ადამიანის გაჩენასთან ერთად მოევლინა ქვეყნიერებას. პირველი ცდა თვით ადამ და ევას ეკუთვნისთ, რომელთაც ერთ დღეს გაფლანგეს ისეთი საშვილიშვილო სახალხო ქონება, როგორც სამოთხე, და შემდეგ ფაქტის უბრალო მიჩქმალვით სურდათ გაფლანგვის დაფარვა. ცხადია, მაშინ ისინი სხვანაირად ვერც მოიქცეოდენ, რადგან არც გაფლანგვის ტეხნიკა იყო მაშინ შემუშავებული (იურიდიულ თერმინებზე და მუხლებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია) და არც წინაპრების მაგალითი ჰქონდათ თვალწინ.

დღეს კი ამ მხრით საოცარი შედეგებია მიღწეული.

## „ტეხნიკა“



მოწაფე: — სამაგიეროთ ტეხნიკა ხომ აქ ასე კარგად ვიცი!

ყოველ ახალ გამფლანგველს რაიმე ახალი შეაქვს ამ სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი სახის ტეხნიკა არ ვითარდება ისე სწრაფად, როგორც გაფლანგვის ტეხნიკა. ყოველდღე ახალი მიღწევებია მოსალოდნელი.

—:—

ასეთია თანამედროვე ტეხნიკის უმთავრესი სახეები.

—:—

დასასრულ არ შეგვიძლია მადლობით არ მოვიხსენოთ ახალგაზრდა წითელი გამომგონებელი **ხუხუ ფინთია**, რომელმაც ნება დაგვრთო ერთი თავის გამოგონების გამოქვეყნებაზე... შეეხება ეს გამოგონება იმ თავგანწირულ ადამიანებს, რომელთაც მდინარეში გადავარდნა სურთ.

ყველამ იცის, თუ რა ძნელია ასეთი ადამიანების გადარჩენა, ან და მათი გვამების პოვნა მდინარეში. ხუხუ ფინთიას გამოგონებული მოწყობილობა პირდაპირ ცოცხლად იჭერს თვითმკვლელს. გამოგონების უმთავრესი ნაწილი შესდგება მარყუჟებიდან, რომლებიც დამაგრებულია ხიდის ქვევით მდინარის ერთ ნაპირიდან მეორემდე. გადავარდება თუ არა თვითმკვლელი, იგი პირდაპირ მარყუჟში გაებმება და შემდეგ იმის იქიდან ამოთრევა და კომისარიატში წაყვანა სულ 20 წუთის საკითხია.



ხუხუ ფინთიას გამოგონებული საშუალება თვითმკვლელების დასაჭერად.

როგორც თვით ამხ. ხუხუმ გულახდილად აღიარა, მის გამოგონებას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს—ეს როდესაც გადავარდნილი თვითმკვლელი კისრით მოხვდება მარყუჟში და ასე დაეკიდება, ადვილი, შესაძლებელია, რომ მიშველებამდის თვითმკვლელი კიდეც დაიხრჩოს: მაგრამ ამ შემთხვევაშიაც გამოგონება არ კარგავს თავის უპირატესობას. სულ ერთია, თვითმკვლელი მაინც უნდა დახრჩობილიყო მდინარეში და თუ ეხლა თოკით დაიხრჩობა, ამაში დიდი განსხვავება არ არის. სამაგიეროდ გვამის ძებნა მდინარეში საჭირო აღარ გახდება, რადგან გვამი ყველას თვალწინ იქნება ჩამოკიდებული.

სინემატო.

# 2,000 წ.



მასწავლებელი (მოწაფეებს): — თქვენ რომ ამ ბობთ: „სიტიტვლე სიგიჟის ნიშანიაო“, — ეს არ არის მართალი. აი მაგალითად, 1927 წელში ქალები ასე იცვამ დენ ტანზე...

ხმა მოწაფისა: — მერე რა! განა მაშინაც არ იყვენ გიჟები?

---

# სად ვილუკებით!

თურმე ნუ იტყვით, ჩვენი ქვეყანა დასაწვავია დიდი ხნით ადრე. რალა ვართ იმასთან შედარებით, რაც პოლიკარპეს პროექტში აქვს. თუ გვინდა კიდევ ვიყოთ ამ დედამიწის ზურგზე, თუ მართლა შუბლის ძარღვი არ გაგწყვეტია, უნდა მოვაწყოთ ცხოვრება ისე, როგორც პოლიკარპე გვარიგებს, თუ არა და წაუკიდოთ ცეცხლი ყველაფერს და ხელი ავიღოთ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე. თქვენ იცით ვინ არის პოლიკარპე? ალბათ, არ იცით.

პოლიკარპე. თუ მას დაუჯერებთ, ამერიკიდან ახლად ჩამოსულია. ის დიდი სახელგანთქმული პირი იყო იქაურ მეცნიერებსა და გამომგონებლებს შორის არ არის ცხოვრების ისეთი დარგი, რომ მას სათანადო პროექტი არ ქონდეს შემუშავებული. მხოლოდ საკმარისია მისი დაკვრითი წესით ცხოვრებაში გატარება და ყველაფერი წალმა წავა.

რას ამბობს პოლიკარპე?

— ეჰ! ხალხი რომ „მეცნიერულ ტეხნიკას“ და მის მუშაკებს აფასებდეს, რალა გვიჭირდა! მაგრამ, სად არის კაცო ყურადღება! მართალია, გარეშე და შინაური მტრები ხელს გვიშლიან, მაგრამ თუ არ ჩამოვრჩებით ამერიკის ტეხნიკას, ვერავინ ვერაფერსაც ვერ დაგვაკლებს. მე მარტო იმას ვერ შევრიგებივარ, რომ ამდენი პროექტი დამზადებული მაქვს და კაცი რომაა ხმას არ იღებს ვიყო ამერიკაში, ილოცხლე, მე გამაღმერთებდენ, მარა ხომ იცი შინაურ მღვდელს შესდობა არ აქვს. გეფიცები, თუ ასე გაგრძელდა მე ველარ ავიტან ასეთ დაუფასებლობას, და, თუმცა დიდათ მაფიქრებს ჩვენი ქვეყნის ბედი, მაგრამ ალარ დავეძებ, რაც უნდა ის სთქვან, როგორც უნდათ ისე მომნათილონ, მე წავალ აქედან და მერე თუ დაბრუნებაზე უარი ვსთქვა, მე ნულარ დამაბრალებენ.

რაშია საქმე? რა უნდა პოლიკარპეს? რა და რა გა-

მოგონებები და პროექტები აქვს მას და რაზე სტკივა გუ-ლი?

მე პირადათ, როგორც იქნა დავსტყუე საიდუმლოე-ბანი მის გამომგონებლობისა, და თუმცა მან ძალიან მთხოვა პატენტის აღებამდე არავისთვის არ გამემხილა ამის შესახებ არაფერი, მაგრამ რაკი ჩვენი ქვეყნის ბედი ბეწვზე ჰკიდია, თუ პოლიკარპემ დასტოვა ის და რომე-ლიმე სხვა ქვეყანას შესძინა თავისი ტვინის საგანძური,—ამიტომ ვსტეხ ფიცს და ვაქვეყნებ ზოგიერთ მნიშვნელოვან მის პროექტს.

პირველი გამოგონებანი შეეხებიან ქალაქის კეთილ-მოწყობას. პოლიკარპეს პროექტით, ხალხი ქუჩაში კი არ უნდა დადიოდეს, არამედ სახლების თავებზე, ამისათვის მას განზრახული აქვს სახლები ერთმანეთს შეუერთოს ფიცრებით, რომლებზედაც ხალხი ივლის.

რაც შეეხება ტრამვაის, პოლიკარპეს გამოგონებით, ყოველ მოქალაქეს თავის სახლიდან მოაქვს სკამი, ზის ტრამვაის გასაჩერებელ ადგილას და როგორც კი მოადგე-ბა ვაგონი, თვითეული მოქალაქე მიაბამს თავის სკამს, რომელიც სპეციალურად გაკეთებულ გოგრების საშუა-ლებით თან მიჰყვება ტრამვაის რონოდას. ეს მით უფრო აუცილებელია ეხლა, როცა ტრამვაის ადმინისტრაციის უკანასკნელი განკარგულებით მგზავრები სკამებზე კი არ სხედან, არამედ მუხლებზე.

გარდა ამისა პოლიკარპეს გამოუგონია ახალი საშუა-ლება ქალაქში ბინების კრიზისის მოსასპობად. მისი პრო-ექტით, ეხლანდელ სახლებს ზევიდან დააშენდება ოცდა-ათ სართულიანი სახლები, რაც სავსებით საკმარისია უბი-ნაო ხალხის მოსათავსებლად.

პოლიკარპეს თავისი გამოგონებით უაღრესი საგან-ძური შეაქვს სამსახურში დაგვიანების აღმოფხვრის საქ-მეში. მას აქვს ისეთი საწოლის პროექტი, რომელიც საჭი-რო დროს მექანიკურად გადმოისვრის ლოგინიდან მძინა-რე მოქალაქეს. ამ პროექტის განხორციელებით ჯვარი დაესმის სამსახურში დაგვიანებას, რაც ეხლა დაუძლევე-ლი ხდება.

სმა-ჭამაც მექანიკურად აქვს მოწყობილი პოლიკარ-პეს. სუფრას, რომელზედაც სასმელ-საჭმელია დალაგებუ-ლი, გაკეთებული აქვს ელექტრონის კოვზები. რომლებიც პირის დაღებისთანავე მექანიკურად ისვრიან მუცელში, როგორც ლუკმას, ისე სასმელს. *) საჭმელის დამზადების საქმე ხომ მექანიკურია, ამაზე ლაპარაკიც არ იკადრა პო-ლიკარპემ.

პოლიკარპემ უყურადღებოთ არ დასტოვა არც ერთი წვრილმანი ჩვენი ცხოვრებისა. მისი პროექტით ზამთარში მოქალაქეს არ ესაჭიროება თბილი ტანისამოსი. საზაფხუ-ლო ტანთსაცმელს უკეთდება თბილი ენერგიის მიმწოდე-ბელი „ლამპოჩკა".

გარდა ამისა ქუჩებში განათება აღარ არის საჭირო, თუ პოლიკარპეს გამოგონებას გამოვიყენებთ. ყოველ მო-ქალაქეს წინ, შუა ადგილას მიბმული აქვს „ზაჰეს"-ის სა-ნათური და მიდის. დაუკვირდით, რა გენიალური გამოგო-ნებაა! ყოველი მოქალაქე მოდის ქუჩაში და მოანათებს, როგორც ვარსკვლავი. რა შეედრება ამას.

ბევრი რამ აქვს კიდევ პროექტში პოლიკარპეს ქალა-ქის ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

ეხლა სოფლის მეურნეობის დარგში ვნახოთ რა სურს პოლიკარპეს. პოლიკარპეს პროექტში აქვს ელექტრონით თოხი და გუთანი. ყოველი გლეხი იძენს ელექტრონის თოხს, ან გუთანს, ხდება სახნავი და სათოხნი მიწის ელექ-ტრიზაცია და გლეხის დაფსტვენის თანავე მოძრაობაში შოდის, როგორც თოხი. ისე გუთანი. გლეხი უყურებს მხო-

*) ლევარსი რობროხაძემ უკვე დაასწრო და გამო[illegible] ვეყნა დღევანდელ „კვაწარახში" თავისი გამო[illegible] მელიც ძალიან ემსგავსება პოლი[illegible]

# თავდასხმა

„განძრახულია სასტუმრო „ორიანტი"-დან ფუნიკუ-ლიორზე ზაფხულობით პირდაპირ გაბმული მავთულის საშუალებით, სადილის მიწოდება".

(მოარულ ამბებიდან)



**მოსადილენი** (ჭყვირიან ფუნიკულიორზე):—მი-ლიციონეეერ, ავიო-ხულიგნებმა სადილი შეგვიჭამეს! (იხ. „კვაწარახში" ქრონიკა).

ლოდ, რომ ჩირგვს არ წამოედვას თოხი ან გუთანი, აბო-[illegible] თამბაქოს და ღიღინებს. (ეს სავალდებულოა).

ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ გამოგონებისა, რომე-ლიც მე ხათრის გულისთვის გამიმხილა პოლიკარპემ. ბევ-რი, ძალიან ბევრი საიდუმლოთ აქვს შენახული.

ემირ-ბენ-შეიხ.

# „ანტა-ადელი-უტა"

(გეოს მასლაათი 1999 წლის თელეთობას)

— ერიჰაა, რამტოლი ხანია იმას მერე ვინ მოსთვალის? პაჩტი სამოცდაცამეტი წელიწადი და ცამეტი ნიმუტი გასულა მააშ?! ჰაი გიდი აბასთუმან, ეს წლებიც ისე ჰაი-ჰარათ გარბის, გეგონება ლიხტრიცკის პარაოზი ზედ ქიპზე ჰქონდეს გამობმულიო!

შენ ცხოვრება თქვი, ხალხის განათლება, ტეხნიჩესკი ნაუკა, ინჯინლრობა, ლიხტრიფიკაცია რამე,—ვა, ვა, ვა როგორ გამოიცვალა, როგორი პერემენები მოხდა და!.. ჩემა მზემ, თელეთის ძადლმა, პაჩტი მეც კი მიკვირს აი, გინდ დაიჯერე გინდა ნუ.

არა, ჰაზირ რა კარქი — რაზუმნი საქმე ვქენ რომა შტეინახთან წაველი და ჰამაც ის მიშკა მაიმუნი ვიყიდე?!. მე რომ ამალაყენია არ მექნა, ვინ იცის ეხლა ჩემ საფლავზე მემწვანილე მესროფას ტარხუნის პლანტაცია ექნებოდა გაღებული, ან ფარსადანივით (აი, წაწყდეს იმისი სული) თევზების ხაშლამათ გავხდებოდი მააშ?!.

ღმერთმა სულით გაანათლოს ხოზიკა, იმისგნით ვისწავლე შტეინახის საქელი და ჰუზურში სარფიანათაც გამოვიყენე. ცხონებულ ფეფელას კი ძვირათ დაუჯდა, ჰამა ეს იმისი აჩაინობის ბრალი იყო, ის რომ ადელი-უტას თმებში არ მივარდნოდა იმ მთვარიდან ისევ მიწაზე ბრაგვანს არ მოადენდა და არ მოკვდებოდა. ეხ, მახლ აზ, ღმერთმა აცხონოს იმ საიქიოს, ჰამაც იმის დანაკლისი დღე ჩვენ შეგვმატოს...

— რაო, ყველაფერი თავიდან გითხრათ? პაჟალუსტა, ყური დამიგდეთ, ყველაფერს კრიალოსანივით ჩაგითვლით:

ეს სწორეთ იმ წელიწადს იყო, როცა ფარსადანი ზღვაში დაიხრჩო, ჰაჰაც ჩვენი ქონი იაგორა დაორსულდა და რადილნი პრიუტში ქალების აპერაცია გაუკეთეს.

შაფათ საღამო იყო, ავეტიქას პადვლიდან ცოტა ზარხოშათ გამოველ და მოსკოვის კონკაში ჩავჯექ. ბალშევიკებმა ახლათ მაიტანეს ოთხი ვაგონი. ძაან ნაინტერეს საქონელი იყო და მეც ხმა მაღლა ვამოფ:

— მალადეც კონკაჯან, ამ ბეშურაზ ბალშევიკებს ჭართლაც რომ შნო და მარიფათი ჰქონიაო, ტეხნიკა წინ მიჰყავთ, ყველაფერს აშენებენ, ხალხს ანათლებენ ჰამაც სულ მოდნი რამეები მააქვთ მოსკოვიდან და ჰევროპიიდან მეთქი!

— ცოთაიც ვნახოთ, ვიღაც მებნება:

— ბარილუს გეოჯან, ამ კონკებმა ისე როგორ გაგიტაცა, ნაცნობს ველარ სცნოფო? ვხედამ ჩვენი ყაზაზ ცაჰაკაა. ბოლოს თქო თუ:

— გაიგე გეოჯან, ქონ იაგორას დაორსულებაო?

მე გაკვირვინე, მასხარობა მეგონა, არ დაუჯერე. ჩამოვარდა მასლაათი, ბოლოს ხირურგიჩესკი რამეებზე ვილაპარაკეთ და მე უთხარი:

— ჩემა მზემ ძაან საკვირველი რამეა ამ აპერაციის გაკეთება მეთქი, ერთ ლანცეტს დაარტყამს და ბაც, კაცს მუცელს გაუჭრის, შიგ ჰარისხავით ხელებს ჩაურევს, ჯიგარს მაღლა ამოიღებს, ბოლოს ისევ გიქორას თაბახივით ჩაალაგებს და პუპუზ, კაცი ისევ სალსალამათიი მეთქი!

უკნიდან ერთი ხლუპუზი ვინმე ჯეჰელი ბიჭი მიცინის და მებნება:

— პაპაჯან, ეგ რა გასაკვირია, როცა ბებერ ადამიანს აჯეილებენ და ისიც არავის უკვირსო.

— მეთქი როგორ თუ აჯეილებენ?

ისე, რალა, პრიმერნათ შენ ხომ ბეხრუკი ვინმე ხარ. ისეთი ნაუკა მოიგონეს, რომ მამენტალნათ გაგაჯეილებენ. ეს ადვილი საქმეაო, ერთ მაიმუნს რომ ისემე ამააჭრან და შენ ჩაგაკერონო — ჯირყვალს ეტყვიანო, რალა,—იმ ხიძუტში ჯეჰელი ბიჭი გახდებიო. მე ჩემ თავზე გამოვცადეო. თუ ეგრე გაინტერესებს, მოსკოვში წამოყე და იქ შენ თავს გავაჯეილებინეფო?.. ჰკვაში დამიჯდა, ველაპარაკე, ყაბული გაუხდი და წავყევი. გაიგე? მოსკოვში წავყევი ჩემა მზემ მართლა!

მოსკოვში ერთი მაიმუნი ვიყიდე, მიველ პრაფესორთან და პუპუზ, მეორე დღეს ისევ ჯეჰელი ბიჭი ვარ, გული კვიცივით მიხტის, სისხლი მილიტინებს, ტვინი ჰოკოპების გალიათ გადამქცევია. ჩავჯექი პოვეზდში და წამოველი. ჰო, მართლა, მაშინ ჯერ კიდევ პოეზდები მიწაზე დადიოდა, ყველას ეხლანდელივით პერპეტ-მობილე კი არა ჰქონდა, მაშინ ხალხი კი არ დაფრინავდა, მიწაზე დადიოდა მააშ?!

ერთი თვის შემდეგ ფეფელოს ისემეც გამოვაცვლევინე.—ჯირყვალი რალა, ისიც გავაჯეჰელე. ისეთი მადია-



ბაც! ხუთ ნიმუტში მთვარეზე ვიყავ!

ნი რამე გახდა ის ბეშურაზი, რომ სულ მასკვლავებს უწრუწუნებდა მააშ?! ყველაფერი ისწავლა: ანგლიჩანური, ლემენცური, ორტოფიანების დაკვრა, ტანცი რამე—ყველაფერი. გნოლებივით ვცხოვრობდით, ყველა ჩვეხ დაგვხატროდა.

ამ ჯეჰელობაში ისე გავერთეთ, რომ ველარც კი შევატყე ტეხნიჩესკი ნაუკა როგორ წინ წავიდა, როგორ გამაიგოხეს პერპეტ-მობილები, ვარსკვლავ - მტყორცნელი მაშინები, ლიხტრიცკის ნალმები, ათასი ფლანი და ფსტანი ვინ იცის?

პუპუზ! ერთ დღეს მთვარეზედაც არ აფრინდნენ? ვაჰ, ყველას გაუკვ...

დი დასტიჟენია ვქენითო, უხაროდათ რასან მთვარეზე აჟფრინდით, ეხლა ახალი ცხოვრება იწყებაო, მთვარის რესპუბლიკა მდიდარია, იქ ოქროს კარტოფილივითა სთესამენ, იქაურ ხეებს ფოთლების მაგივრათ ანთებული ლიხტრიცკის ლამფუჭკები ასხიაო, ოზდუხის ტრანსპორტი მოაწყეს ვაჭრობა გააჩაღეს, ვინც რომ მთვარეზე აფრინდა ყველა გამდიდრდა. გაჩაღდა მისვლა - მოსვლა, იალბუზზე ოზდუშნი პუნქტი მააწყვეს, ხალხმა მიწიდან ჰაერისკენ მიაშურა; ვისაც შეხედო ყველა იხვის ბუმბულივით მაღლა მიფრინამს, ზოგი ღრუბლებში გასტინიცას აღებს, ზოგი ფეხზე ვაჭრობს, ზოგი მთვარეზე დადის და სტარი-ადოჟობას ეწევა, პლანეტებზე ფოდრათებს იღებს —ვინ მოსთვლის.

მეც ჯერ იალბუზზე ერთი ანტიკა პივნოვი გავალე და შიგ ნუგბარი ბარიშნები პრიკაშიცებათ დავაყენე, მერე კი მთვარეზე ავფრინდი და ერთი კოხტა ბაყალის დუქანი გავხსენი.

ლაზათ, რაც მე იქ ხეირი მქონდა: არ დაიჯერეფ? რაც რომ ამ ბალშევიკების დროს ზარალი მამივიდა იქ მამენტალნათ ავინაზღაურე — ერთ თვეში ჰალალი მილიონი მამიგია მააშ? მთვარეზე მაშინ არ მოდიოდა პამადორი, ბადრიჯანი, წიწაკა, ბოლოკი, რამე. ამიტომ საქლოველს მამენტალნათ ვასაღებდი.

ჩავფრინდები მიწაზე, ორთაჭალის ბაღებში—თაბახზე კოხტათ დავალაგეფ ხილს, მწვანილს, ჰამაც კანიაკის და მანახორის ბოთლიკებს, კვერცხებს, გალანცკის ქათმებს, ისევ გადავაჯდები ამ ჩემ [illegible] ყუმბარას, და ფეფელას ვეტყოდი:



ფეფელა თმებში ეცა ადელი-უტას.

— ფეფელ, პაკალუსტა ვიკრუჩატელი ძოუიფი, და ჰამაც მთვარის კნოპკას თითი დააჭირე უნდა გავფრინდე მეთქი. ისიც გადასწევდა და ბაც! ათ ნიმუტში მთვარეზე ვიყავი.

ერთის სიტყვით მართლაც დიდი — პერევაროტი მოხდა. მიწას ხალხი გაექცა, კონკები, პოეზდები, ავტომობილები და ამისთანა ჯაბახანა რამეები მაისპო, მოდნაც შაიცვალა, ხალხიც — ვკუსიც.

მეც შავიცვალე. რას იცინი? მეც შავიცვალე მეთქი, იმას მერე შავიცვალე რაც რომ მთვარის ტერტერას ცოლი ანტა-ადელი-უტა გაეიცანი. ჩემს დუქანში შამოვიდა ვაჰხ, რა ნუგბარი რამე იყო ის ბემურაზი, თვალებში სულ ზაგესი ენთო, თმებში მასკვლავები ჰქონდა გარჭობილი. სეფისკვერივით მკერდი ტიტვლათ დაჰქონდა. ფირუზის ქოშები ეცვა, მზის ბეწვებისგნით მოქსოვილ ჩულქებზე ცისარტყელის პადუსკები ერტყა. მიყურებს და მადნობს, მიცინის და მხრუკავს. მელაპარაკება და სისხლში ჭიანჭველებს მიღვიძებს.

ვებნები: — მისტრის [illegible]ადამჯან, ჩემი სიყმე შენ განაცვალოს, მითხარი რა გინდა, რამეთი გინდა?—ყველაფერს პადარკათ მოგართმევ მეთქი! არ ესმის, ჩემი ენა ვერ გავაგებინე. გამიცინა და წავიდა, ჰამაც ერთი ვოზდუშნი კოცნა მესროლა.

ვახ, ჯიგარი დამეწო. ველარ მოვისვენე, მამენტალნათ შევაჯექი ჩემს ყუმბარას და თბილისში ჩამოვფრინდი— ერთი დიდი ნაროდნი არტისტი იყო, გოცირიძეს ეტყოდხენ, ჩემი ძმა და პირის ზიარება იყო, აჩაინი ვინმეთ ითვლებოდა. იმას ვებნები:

— ნიკალაი სიმონიჩ, ვიხრუკები, ის დედაკაცი შამყვარებია, ჰამა, ჩემი ენა არ ესმის, ის მთვარის ანგლიჩნურს ლაპარაკობს როგორ გავაგებინო?

— ვა, გეოჯან, შაგაზე დარდოფ? ჩვენი სანდრუა ქორჟოლიანი აქ არ არი? ის მამენტალნათ გასწავლისო, წავყევი. ჩეთვერ—საათში უკე ზეპირათ ვიცოდი „ამერიკელ ძიის“ ანგლიჩნური ენა. სანდრუა ნაუჩიტლარი არტისტი იყო და სწორე ისემე მამცა, უროკი რაღა, მალე გამაგებინა.

იმ საღამოს უკე მთვარეზე ვიყავ, ტერტერას ცოლ ანტა-ადელი-უტას პადარკა მიუტანე, და ერთ დიდ ლიხტრიცკის ხის ქვეშ სვიდანია მივეცი. როცა აბესნესიები ვქენით და ჰამაც ალერსის დაირანში ვართ, ერთიც ვნახოთ ეს ადელი-უტა-წამოხტა და მებნება:

— მისტერ გეოჯან, გოსკინპროშ კოვერკოტ, მისტრის ფეფელ კანდრაბანდო! (მითომ ფეფელა მოდისო რაღა). გავიხედე, ვხედამ ფეფელა გააშრებული მორბის და ყვირის:

— აი თქვე გასაგლეჯებო თქვენა, ნამუსი აღარა გაქვთ, რა პრავა გაქეთ რომ მაგისთანა ფინთ რამეებს აკეთებთო? შე ყიყვიანო შენა, მე იქ სადილათ მოგელოდი საღამომდის მაცდევინე და შენ კი აქ საყვარელთანა გულაოფ? ახარ შე ბემურაზო ჰამაც ის რადიო-სარკე ღია იმიტომ დაგიგდია რომა, ფეფელამ ნახოს ჩემი ოინბაზობა და ბრაზისგნით ჭიპზე გასქდესო? ეს რო თქო, ჯერ ზონტიკი დაგვამტვრია ორთავეს, მერე ცოფიან კატასავით ეცა ამ ადელი-უტას და სულ თმები დააგლიჯა. მე ცაშველეფ: ვეხვეწები, უკნიდან კაბით ვიჭერ, ჰამა ბან ჩუხეს? მე წიხლებს მარტყამს. იმას კი თმებს აგლეჯს. ჰამაც მებნება. შენ ამ ნიმუტში იალბუზზე გაფრინდი. იქ ჩვენს პივნოვში დირიჟაბლებს ჩხუბი მოსვლიათო.

ადელი-უტა ბოლოს ახში გაჯვარდა და ფეფელოს ისეთი წიხლი ჰკრა, რომ მთვარიდან პირდაპირ მიწაზე ფურთხივით გადმააგდო. ატყდა ყალ-მაყალი: ვყვირი, მილიციონს ვეძახი, ჰამა ყურს ვინ მიგდებს? ბოლოს ქალაქიდან ჩვენი ბიჭები ამოფრინდნენ და მებნებიან: — გეოჯან, ფეფელა კლიმატორიაში დავწვათ თუ დავმარხოთო? ერთი სიტყვით, წამამიყვანეს, რეშენია ვქენით და თელეთში დავმარხეთ.

იმას მერე მე მთვარეზე აღარ ამივლია, ეხლა სულ მარსზე დავფრინამ და დუქნებიც იქ გამილია. ეხლა მუდამ თელეთობას ეგრე მოვდივარ ხოლმე და ფეფელოს საფლავზე რადიო - პანაშვიდს ვიხდი. მახლაზ, უფალმა ღმერთმა ის იქ სულით გაანათლოს, და ჩვენ კი აქ ერთიორი ათასი წელიწადი ეგრე ჯეჰელათ გვამყოფოს.

ფარსადან



ჰაერო-შიკრიკი

ტარტაროზკორებო, შემოკრბით ,,ტარტაროზი''-ს გარშემო!




№ 4 ,,ტარტაროზი''-ს უფასო დამატება № 4

# კოსმიური ომი

გაზ. „მეხი“-ს მოწინავე*). ნეფტუ ნის ოფიციოზი

კოსმიური ომი ისევ გრძელდება.

მოწინააღმდეგეთა თანაბარმა ძლიერებამ მტად გაახანგრძლივა ეს ხაპლანეტებშორისო ომი. უკვე ორმოცდა სამი საათი სრულდება მას შემდეგ, რაც ეს ომი დაიწყო და, როგორც პირველი საათის გაზეთების ელვა-დეპეშებიდან სჩანს, 5-6 საათს კიდევ გაგრძელდება.

მოჩხუბრებს შორის ჩამოდგა მშვენიერი ვენერა, მაგრამ მისი სამშვიდობო ხმა არავის ესმის ომის აურ-ზაურში.

მიწამ თავისი ლაშქარი გადმოსხა მთვარეზე, რომლიდანაც უკვე გარეკა მარსიანელები. ეს უკანასკნელები იუპიტერთან არიან კოალიციაში.

სამაგიეროთ მიწისკენ იცქირება სატურნი, რომელიც დილის ათ საათამდე ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ თერთმეტ საათზე ვენერასათვის კარგა ბლომად ადგილი წაურთმევია.

მზე (ამერიკასავით) იმუქრება, რომ თუ პლანეტები ჭკუაზე არ მოვლენ, მაშინ იგი დაარღვევს მიმზიდველობის წესიერ მოძრაობის კანონს, (მილებულს გააგის სამშვიდობო კონფერენციაზე). ეს რასაკვირველია, კატასტროფას უქადის ... კოსმოსს, რაც მზისათვის სასარგებლოა, რადგან ყველაფერს იგი დაეპატრონება (ამერიკასავით).

ჯერ-ჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება.

არის გადმოცემა, თითქოს მიწაზე (პლანეტაა, რომელიც ეხლა ომში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს) ოდესმე ნეოცე საუკუნეში არსებობდა ჩინეთი, სადაც მსგავსი რამ ხდებოდა, ე. ი. ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. სწორეთ ანალოგიურ მდგომარეობაშია კოსმოსი.

ჭეშმარიტად—ჩინური ამბები ხდება.

*) რედაქციაში ლევარსის ყოველდღიური—რატომ სხვისი გაზეთის მეთაურს უშვებ მოწინავედ? ამაზე ლევარსიმ ჩვეულებრივ სიდინჯით უპასუხა: — მე ებაძავ ჩვენს გაზეთებს!



მარსი. მიწის ლაშქრის შემოსევის გამო იძულებული გავხდით მთვარის ევაკუაცია მოგვეხდინა. ჩვენი ჯარის სიმამაცე განსაცვიფრებელია. მტრის მედგარმა იერიშებმა ჩვენ გვაიძულა დემონსტრატიულად დაგვეტოვებია მთვარე ... და ისევ მიწაზე დაეცა, ხოლო ხმელეთს აცდა და ზღვაში ჩაიძირა.

ვენერა. მთავრობა და მთელი მოსახლეობა აღშფოთებულია სატურნის საქციელით. მთავრობის მოწოდებაში ნათქვამია:—ქვლად დაადგება მსუნაგ მგელს ...

# „რეჟიმ-ეკონომია“

ბევრს ვლაპარაკობთ რეჟიმ-ეკონომიის შესახებ, მაგრამ მაინც არ ვეწევით ყაირათობას.

ადამიანის მცირეოდენი ენერგიაც კი უბრალო რამეზე არ უნდა იხარჯებოდეს.

გამოანგარიშებულია, რომ ადამიანი ჭამის დროს იმდენ ენერგიას ხარჯავს, რამდენიც საჭიროა შეჭმულ საჭმელის მისანელებლად და გადასამუშავებლად კუჭში.

შეუძლია გაანათოს მთელი ქალაქი და მოძრაობაში მოიყვანოს რკინის გზები.

მო-და ასეთ ძვირფას ენერგიას კაცი არ იფასებს თავის „მე“-ში.

ამიტომ ჩვენ გამოვიგონეთ ისეთი ავტომატი, რომლითაც ადამიანს შეუძლია საჭმელ-სასმელის მიღება იოტის ოდენა ენერგიის დაუხარჯავად. დაჯდება ადამიანი არხეინად სავარძელში და ლუკმა თავისთავად მიდის პირში. ეს ავტომატი მოგავს რემინგტონის საწერ მანქანას



აქ სურათზე ნაჩვენებია მანქანა „ავტო-ჭამა“ და მისი გამომგონებელი ლევარსი როხროხაძე

ეს ენერგია უდრის ორი ცხენის ძალას ადამიანი დღეში სჭამს სამჯერ.

სამჯერ ორი ცხენის ძალა უდრის ექვსი ცხენის ძალას.

ადამიანი საშუალოდ ცხოვრობს 70 წელიწადს. ე. ი. 25.550 დღე. ამ ხნის განმავლობაში იგი ხარჯავს ექვსი ცხენის ძალას გამრავლებულს 25.550. ეს უდრის 153.330 ცხენის ძალას, ე. ი. ერთ დიდ ... სადგურს, რომელსაც

და მის პრინციპზეა აგებული. ასოების მაგიერ კლავიშებს აწერია: „ლობიო“, „მწვადი“, „მაჭარი“, „ხარჩო“, „ბორშჩი“ და სხვა.

რომელ წარწერასაც დაჭკრავთ თითს, ის ლუკმა შევარდება პირში. პირიც მანქანალურად-ავტომატიურად იღება-იხურება.

დიდი მომავალი აქვს ამ გამოგონებას.

ლევარსი როხროხაძე.

...ვით.

**მიწა.** მარსიდან გამოქროლილი მეტეორი დაეცა ავსტრალიის ერთ ნაწილს და გაანადგურა.

**იუპიტერი.** ჩვენმა ანდამატის სადგურმა მიმზიდველობის ძალით მიწას მოგლიჯა მთელი იაპონიის კუნძულები და ამოიტანა ჩვენს პლანეტაზე; მაგრამ ერთი პატარა კუნძული მოწყდა შუა მანძილზე და ჰაერში მიმოფრენს, როგორც მთვარის მცირე თანამგზავრი (მოსწავლე...) გაიხვრიტის გვირაბით მიწა და მოეწყოს სამხრეთ-ჩრდილოეთ პოლუსებს შორის მიმოსვლა ლიფტის საშუალებით.

**სახარა** (უდაბნო აფრიკაში) მთვარის გაათბობად და გასანათებლად დადგეს უზარმაზარი სარკე, რომელიც მთვარეზე სტყორცნის მზის სხივებს.

# შემთხვევები

**დაჯახება.** მილიციელის გაუფრთხილებლობის გამო დღეს დილით კავკასიონის მწვერვალზე—ყაზბეგზე ერთმანეთს დაეჯახა ორი ავიო-მატარებელი. მსხვერპლი უმნიშვნელოა—დაიღუპა ათასამდე მგზავრი.

**თავხედი კაპიტანი.** დღის ორ საათზე გაქანებული თვითმცურავი გოლფშტრიმში კაპიტანის დაუდევრობით (მთვრალი იყო) დაეჯახა ავტო-მცურავს და დაზიანა. კაპიტანმა სიჩქარეს უმატა და დასამალავად გამოვარდა ბათომის ქუჩებში. ბათომს წინასწარ აცნობეს და დაიძრა ავტო-ცხენოსანთა მილიციის რაზმი, მაგრამ კაპიტანმა თვალი მოჰკრა მათ, გაბრაზებული დაეჯახა ქუჩაში მიმავალ ავტოს და დაამსხვრია; ამის შემდეგ იგი აფრინდა ცაში და პირდაპირი მიმართულება აიღო მთვარისაკენ. ნახევარი საათის შემდეგ ბათომიდან მთვარეზე დაინახეს თავხედი კაპიტანი, რომელსაც ქვაფი განეგრძო და იქიდან მიწაზე დაცოცვით უცქეროდა მის მძებნარ ავტო-ცხენოსან მილიციელებს. მიღებულია ზომები თავხედის შესაპყრობად.

**ხულიგნის შექმა.** დღეს, ნახევარი საათის წინ, როცა ორიანტიდან ფუნიკულიორზე პირდაპირი მავთულის სადილი აჰქონდათ, შუა-ალაგას სადილს თავს დაესხა ორი მფრინავი ხულიგანი, რომლებმაც შესჭამეს სადილი; ხახა-მშრალ მოსადილეებს ცარიელი კალათი მიუვიდა. (იხ. სურათი მე-5-ე გვერდზე).

**მომარაგება.** ტყე-ტოურსტს შემოაკლდა შეშა, ამიტომ ტფილისის ალმასკომთა დღეს დილით მზეზე გაგზავნა გრუზოფრინავები, რომლებმაც ამავე საღამოს ჩამოიტანეს მზის სითბოს დიდი მარაგი.

**დროებით სიკვდილი.** გუშინ, პარასკევს ორი დღის ვადით გარდაიცვალეს ქიმი უკვდავაძე. პაციენტებს სთხოვს ორშაბათს ეახლონ გასასინჯად.

**ხართულიდან გადმოვარდნა.** რუსთველის გამზირზე ცაბლაუქის მეასე სართულიდან გადმოვარდა დიასახლისი. „სიცოცხლის მეთვალყურემ" დროზე შეამჩნია და სწრაფად გაუშვა „მაგნიტური გაზი", რამაც სიკვდილის მსხვერპლი მეოცე სართულთან ჰაერში გააჩერა; აქედან დიასახლისი პირდაპირი ლიფტით აიყვანეს, ლიმილით და ხელსაქმით წაბრძანდა თავის ბინაში მეასე სართულზე.

**გაქცევა.** ტუსაღ სირბილაძეს საიდანღაც ეშოვნა „მგრეველი სითხე", რომლითაც გაედნო ციხის რკინის ხლართულები და გაქცეულა. როგორც ამბობენ იგი დამალულა სადღაც შავი ზღვის ფსკერზე. მის შესაპყრობად ზღვაზე დადგეს ფრინ-მაჩინის სარკე, რომელმაც დაადასტურა გავრცელებული ხმების სიმართლე.

**კაცის მოკვლა.** დღეს შეითან ბაზარში პარიზის მოედანზე, უხმო რევოლვერით მოჰკლეს მოქ. ქიშმიშ-ლაპლაპ-გოზინაყოღლი. გასროლილ ტყვიას ჰაერში დაჩენილ ხაზით. აღმოაჩინეს მკვლელი—ყარდაშ-ალეიქუმ-გუთი-ოღლი, რომელმაც ძოსწრაფ მარსზე გაქცევა.

(იხ. სურათი მე-15-ე გვერდზე).

# ალაგმეთ ხულიგნები

სამსახურიდან გამოვედით და ჰაეროდრომისაკენ მივიჩქაროდით.

უცბად თავზე კოხისებური რაღაც დაგვეცა; ხელი მოვისვით და... ოი საშინელებავ, ნაფურთხი იყო.



ავიხედეთ ზევით და დავინახეთ თვითმფრინავი, რომლიდანაც ქვემოდ იხედებოდნენ პილოტი და მისი თანაშემწე. ისინი უტიფრად ხარხარებდნენ და ჩვენ დაგვცინოდნენ. აქედან კი ჩვენ ვაგინებდით:

— აი თქვე ხულიგნებო თქვენა; ეს რას ნიშნავს?

— თქვე ჩემაზალებო, რა გაყვირებთ? ხომ ხედავთ ჰაერში არ არის დადგმული ჩასაფურთხებელი ყუთები!? მაშ რა უნდა ვქნათ, თუ მანდაური ჩასაფურთხებელ ყუთებში არ ჩამოვაფურთხეთ?! შემოგვიტიეს იმათმა.

— კარგი, მაგრამ თავზე კი არ უნდა დაგვაფურთხოთ! ჩააფურთხეთ პირდაპირ ყუთში!—ავსძახეთ ხორომ.

— დაგვაცილეთ მიზანს, თორემ ჩვენ ყუთში ჩაფურთხება გვინდოდა!—იმართლებდნენ თავს ისინი.

— ჩვენ თქვენ განახვებთ სეირს; ჩამობრძანდით მიწაზე!—ემუქრებოდა ერთი ბანოვანი.

— მაშ, მაშ... სეირს განახვებთ!—ავსძახეთ ყველამ.

— აი თქვენ!—ჩამოგვძახეს იმათმა, გვაჩვენეს სამი თითის კომბინაცია და ხარხარით ცის გუმბათისაკენ გაუდგნენ გზას.

საჭიროა მილიციამ მეტი ყურადღება მიაქციოს ავიო-ხულიგნებს. საჭიროა აგრეთვე ჰაერშიაც დაიდგას ჩასაფურთხებელი ყუთები, თორემ მსგავს ამბებს ხშირად ექნება ადგილი.

რადიო კუ.

# შეცდომის გასწორება

— ქვეყნის გაჩენის დაუდევრობით ქვეყნის გაჩენის დროს შავი და კასპიის ზღვის შეერთება მდინარე ვოლგის და დონს გამჩენს მოუნდომებია ამ ორი ზღვის შეერთება მდინარე ვოლგის და დონის საშუალებით, რისთვისაც ეს ორი მდინარე სტალინგრადის გუბერნიაში ერთმანეთთან ახლოს მოუწევია შესაერთებლად, მაგრამ რატომღაც იქვე გაუნებებია თავი (ალბად ბიუჯეტში არ იყო შეტანილი).

ბუნების ეს შეცდომა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გაასწორებია საბჭოთა ხელისუფლებას.

— იმავე დროს (ე. ი. ქვეყნის გაჩენის დროს) გამჩენს დაუშვია კიდევ ერთი შეცდომა (ვინც აკეთებს, ის ცდება; ვინც არაფერს აკეთებს, ის არც შეცდება): ეხლანდელი პაწია (მაშინდელი დიდი) ბრიტანეთი ევროპის მთავარ ხმელეთისაგან დაუშორებია პადე-კალეს სრუტეთი (ინგლისელები იკვეხნიან, რომ ეს გამჩენმა ჩვენი ბრძანებით ჰქნაო!)

— მეოცე საუკუნის პირველ და მეორე მეოთხედის დასაწყისში ქვეყნიერების ხუთ მეექვსედზე ყოფილა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წესწყობილება (ცნობები ამოღებულია იუპიტერის გაზეთებიდან). ისტორიის ეს შეცდომა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გაუსწორებია კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მთელ მიწაზე (ერთი პატარა პლანეტა სადღაც კოსმიურ სივრცის ჯანდაბაში) დაუმყარებია საბჭოთა ხელისუფლება...



ლევარსი ([illegible] ზეციდან): — საიქიოში მივდივარ, — ჩვენი მწერლების თანამედროვე ნაწარმოები უნდა ჩამოვიტანოთ და დღეის სწორს „ტარტაროზში" უნდა გამოვაქვეყნოთ. ყველამ იყიდეთ დღეის სწორის ტარტაროზი..

# იშვიათი მეცნიერი ქალი

დღეს სწორედ ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც სოფ. ჩიყვიეთში უეცარი სიკვდილით გარდაიცვალა მეცნიერების და საზოგადოების იშვიათი მუშაკი—მაკრინე სინსილაშვილისა.

ვის არ ახსოვს, თუ რა გულისტკივილი გამოიწვია შარშან ამ მეცნიერი ქალის სიკვდილმა, ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ დღეს ამ იშვიათ ქალის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

დაიბადა მაკრინე მის სამშობლო სოფელში წარსულ საუკუნის დასაწყისში.

ხალხური გადმოცემა, რომ თითქოს მაკრინე უკვე წერა-კითხვის მცოდნე დაბადებულიყოს და შემდეგ პრაქტიკის უქონლობის გამო დაევიწყებიოს წერა-კითხვა, დღეს-დღეობით. უარყოფილ უნდა იქნას.—რადგან როგორ შეიძლებოდა მაკრინე წერა-კითხვის მცოდნე დაბადებულიყო, როდესაც დედაც და მამაც წერა-კითხვის უცოდინარი ჰყავდა. თვით ის თავადიც კი, რომელსაც მაკრინეს დედა ხელზე ემსახურებოდა, წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

პირველი განათლება მაკრინემ ადგილობრივ მკითხავ—მაიასთან მიიღო. თავიდანვე მაია ძლიერ კმაყოფილი იყო თავის მოწაფით, მაგრამ მაკრინემ თავის გამჭრიახი გონებით მალე მიხვდა, რომ მაია ბევრს ვერაფერს შესძენდა მას და ერთ სახელგანთქმულ მკითხავთან გადავიდა.

ჯერ კიდევ 25 წლის არ იქნებოდა მაკრინე, როდესაც სწავლა დასრულებულად სცნო და თავის სამშობლო სოფელს დაუბრუნდა. მაიას სიკვდილის შემდეგ მაკრინემ გაბედულად მოკიდა ხელი პრაქტიკას და ამის შემდეგ მთელი ოთხმოცი წლის განმავლობაში იშვიათი ენერგიით ემსახურებოდა მეცნიერებას და საზოგადოების კეთილდღეობას, რისთვისაც მხოლოდ მცირეოდენ სასყიდელს ღებულობდა ფულით და ნატურით, ან და ორივეთი ერთად.

ძნელია იმის გამორკვევა, თუ რამდენი ახალი რამ შეიტანა მაკრინემ მკურნალობის სფეროში, რადგან მთელი თავისი ცოდნა, თითქმის მთლიანად ჩაიტანა საფლავში, რადგან ის არ მოელოდა, რომ ჩიყვიეთში საექიმო პუნქტის გახსნის შემდეგ ასე უეცრად განუტევებდა სულს, და ამიტომ მოწაფეებს აყვანაზეც არ ფიქრობდა.

მაკრინეს სიკვდილის შემდეგ ხელუხლებლი დარჩა მისი მდიდარი ლაბორატორია, სადაც თაროებზე და განჯი-



ხოჭალაძენი: — ხედავთ, ხედავთ სად მიფრინავს ლევარსი?



# სამილიციო საგუშაგო ყაზბეგზე




ნაში ამორჩენილი იქნა მრავალი დამზადებული წამალი. რთულ ანალიზების შემდეგ საბოლოოდ გამორკვეულ იქნა ზოგიერთ წამლების შემადგენლობა, მაგრამ განჯინაში ნაპოვნი წამლები ჯერაც კიდევ გამოურკვეველია. ხალხის თქმით კი, სწორედ ამ განჯინაში ნაპოვნი წამლები უნდა იყოს ყველაზე უფრო ძვირფასი და სასწაულმოქმედი.

ერთ-ერთ მხატვარს საშუალება ჰქონდა ენახა მაკრინე თავის ლაბორატორიაში მუშაობის დროს, ვერ მოითმინა და იქვე ჩაეხატა ყველაფერი უბის წიგნში. თავის შთაბეჭდილებას ამ სურათში მხატვარი იშვიათ სიძლიერით გადმოგვცემს. მოგვყავს ეს სურათი.

## მეცნიერი ქალი მაკრინე სინსილაშვილისა თავის ლაბორატორიაში

ცენტრში მეცნიერი ქალი მაკრინე. იგი სუთავს ურევს ქვაბში, რომელშიაც უშვილობის წამალი იხარშება.

ა.—ცეცხლი; ბ—ქიმიური ქვაბი წამლების მოსახარშად; გ—ჯაჭვი; დ—განჯინა, სადაც ინახება ჯერ კიდევ გამოურკვეველი წამლები; ე—დანაყული ოგური, ხველების წინაალმდეგ; ნიახურის წვენი, სიყვარულის საშუალება; ვ—დანაყული განავალი ძაღლის, მადის მოსაყვანი; ზ—ჭრელი მუშის ფოლაქი, ანაყოლის წინაალმდეგ; თ—ზღარბის ტყირპი, წელკავის და შაკიკის წინაალმდეგ; ი—ძირმწარა არაყზე, ბუასილის წინაალმდეგ; კ—შვიდი დღის წვიმის წყალი დანაყულ ნახშირით, კუჭის ავადმყოფობის წინაალმდეგ და სხვა. არ არის ავადმყოფობა, რომლის წინაალმდეგ არ გამოეგონებიოს მაკრინეს თავისი რაიმე ორიგინალური საშუალება. მარცხენა კუთხეში წევს ავადმყოფი ქალი, მაკრინეს წამლით დაძინებული. ამ წამლის მოქმედება ისეთია, რომ ავადმყოფი თავისით იღვიძებს მეორედ მოსვლის შემდეგ.

მაკრინე, შენ მოკვდი, მაგრამ არ მომკვდარა ის იდეა, რომელსაც შენ ემსახურებოდი.

ხინდი.

# ეტლით ტფილისის გარშემო

მეოცე და მის წინა საუკუნეებში მეცნიერებას სწამდა, რომ მიწა ერთსადაიმავე დროს ტრიალებდა თავისი ღერძისა და მზის გარშემო.*).

რა თქმა უნდა დღეს, ჩვენს დროს, ე. ი. მეოცდაერთ საუკუნის მიწურულში ეს ამბავი სასაცილოთ მიგვაჩნია და ვამტკიცებთ, რომ მიწა კი არ ტრიალებს თავისი ღერძის და მზის გარშემო, არამედ იგი კედლის საათის მაიაკივით ორ წერტილს შორის ქანაობს იქით-აქეთ. მანძილს ამ ორ წერტილს შორის, როგორც ეს საათში, ჰქვია ამპლიტუდა.**)



კიდევ უწინ, 4—5 საუკუნის წინეთ ამტკიცებდენ, რომ მიწა კი არ ტრიალებს მზის გარშემო, არამედ პირიქით: მზე ტრიალებს მიწის გარშემო.

მაგრამ ეს ჩვენ მაინცდამაინც არ გვაინტერესებს.

---

*) მეოცე საუკუნეში, ე. ი. დაახლოვებით ასი წლის წინეთ ასე იმიტომ სწამდათ, რომ მაშინ მოქალაქე (ასე უძახდენ მაშინ თურმე ადამიანს) ერთსადაიმავე დროს ორს (და ხშირად მეტ) თანამდებობას (მუშაობა' საქმე) ასრულებდა. მაშინ თურმე რაციონალიზაციის გატარებამდე ზოგი ორმაგად მუშობა; ორმაგი საქმით იყო დატვირთული. ალბად ამ გარემოებიდან დასკვნეს მაშინდელმა მეცნიერებმა; რომ მიწა; ეს ერთეული სხეული, ერთი პლანეტა ერთსადაიმავე დროს ორ საქმეს აკეთებდა: ტრიალებდა თაეისი ღერძისა და მზის გარშემო იმ დროს, როცა —მზე, ეს პლანეტების ბრძანებელი და უფროსი უქმად იჯდა (თუ იდგა) თავის ერთ ალაგას (ალბად კაბინეტში); როგორც ეს მეოცე საუკუნის მეორე მეოთხედის დასაწყისში (1926-27 წ.) მაშინდელ დაწესებულების გამგეებმა იცოდენ.

**) სიტყვა ამპლიტუდა, როგორც გადმოცემა ამბობს, წარმოსდგება შემდეგ ნაირათ: იგი შესდგება ორ სიტყვისაგან— **ამპლი** და **ტუდდა** სიტყვა **ამპლი** ნიშნავს გაქანებას (მაგ. მაშინდელ ცირკებში ხმარობდენ: **ჰოპლე-ჰალე-ჰოპ**) სიტყვა **ტუდა** რუსული სიტყვაა და ნიშნავს **იქით**. მართალია: კედლის გაზეთის მაიაკი იქით-აქეთ ქანაობს და ამ შემთხვევაში თითქმის უნდა იყოს: **ამპლიტუდასუდა**; მაგრამ ორი სიტყვა ერთნაირი დაბოლოვებით ერთად არ ისმარება; თანახმად კეთილ გამოთქმის კანონის სავალდებულო დადგენილებისა (№ 09876543

წინამდებარე მეცნიერული გამოკვლევის მიზანია „ტარტაროზი“-ს მეოცდაერთე საუკუნის მკითხველებს' რომლებსაც ალბად დავიწყებული ექნებათ თუ რა ხდებოდა 100—120 წლის წინეთ; გავაცნოთ მაშინდელი მეცნიერული გამოკვლევანი.

თუ ჩვენ დღეს გვაცინებს ის, რომ უწინ სწამდათ მიწის ტრიალი ღერძისა და მზის გაშემო —გადაგვახარხარებს და შეუკავებელ ხარხარს აგვიტეხს ის, რომ უწინ სწამდათ თითქოს მიწა კვერცხივით რგვალი იყო.

რა თქმა უნდა, მიწა მაშინაც ისეთივე ფორმის იყო, როგორც ეხლა. ამაში ლი, კვერცხივით მოყვანილი იყოს?. ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს. სტყუ

მართლაც, მაშინ (მეოცე საუკუნე) ხშირი იყო მოგზაურობა მიწის გარშემო.

მიდიოდენ და ისევ მოდიოდენ სახლში: მერე რა? განა ეს ამტკიცებს მიწის სიმრგვალეს? არა—და აი. რატომ:

ჯერ ერთი—ეგებ ისინი (მოგზაურები) გვატყუილებდენ! გადაიმალებოდენ სადმე, ანდა დიდ ქალაქებში გამოცხადდებოდენ: ქვეყანას შემოუარეთ გარშემოო. ვინ უწევდა მათ კანტროლს? არავინ.

მეორე—თუ გინდ შემოუარეს გარშემო;—მერე რა? თქვენ დასვით სპი-




რუქა-გეგმა ბითურის მიერ გან ვლილ მიმართულებისა თბილისის გარშემო მისი მოგზაურობის დროს.

ლენძის შაურზე ჭიანჭველა და ნაიან ის მეცნიერები, რომლებიც დღეს გაიძახიან:

მართალია: დღეს მიწა სპილენძის შაურს, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, ჯორის ნალის მსგავსია, მაგრამ მაშინ კვერცხივით (ეს სულერთია ქათმის და ბატის კვერცხივით) მრგვალი იყო.. ამ ხნის განმავლობაში მიწა გაბრტყელდა და მიილო დღევანდელი შაურის ფორმა.

დიახ! უწინდელ საუკუნეებში ყველას სწამდა მიწის სიმრგვალე. ამას შემდეგნაირათ ასაბუთებენ: ადამიანი რომ წავიდეს და იაროს პირდაპირი მიმართულებით, ისევ იმ ალაგას მოვა; საიდანაც წავიდაო. ცხადია, ეს ასეც იქნებოდა, რომ მიწა მართლაც მრგვახავთ თუ იგი გარშემო არ შემოუვლის შაურიანს და ისევ იქ მოვა; სადაც დასვით.

ამ გვარად დამტკრცებულია ის გარემოება, რომ მიწა კვერცხი არ არის (თორემ ამდენხანს ვინმე გადაყლაპავდა).

ჩვენს ამ შეხედულებას ჩანასახი აქვს დიდი ხნის წინეთ.

ბევრმა მეცნიერებმა სცადეს გამოერკვიათ მიწის ფორმა.

ერთერთი ასეთი მეცნიერი იყო სახელგანთქმული და უკვდავი მეცნიერი ბითურია; რომლის გარდაცვალებიდან ასი წელიწადი დღეს შესრულდა (გარდაიცვალა 1927 წელში).

ამ მეცნიერულ გამოკვლევას ჩვენ ვუძღვნით მის ხსოვნას გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების გამო.

მაშინდელ სასამართლოს არქივში ამ სტრიქონების დამწერი წააწყდა ღირსშესანიშნავ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ჩვენს დებულებას.. (რომ მიწა მრგვალი არ არის).

სახალხო სასამართლოს არქივში აღმოვაჩინეთ საქმე № 70860 მოქალაქე დათო ტყეპოს-ძე ბითურიასი.

საბრალმდებლო ოქმში სწერია:

დათო ტყეპოს-ძე ბითურია 27 წლისა, აბიტურენტი, მოქეიფე—დამრტყმელი, ცნობილი რეციდივისტი დათვრა რესტორან „სიცოცხლე"-ში (წერტი 1). ამის შემდეგ ჩაჯდა ეტლში, წავიდა საქეიფოთ „თეთრ დუქანში" (წერტი 2).; აქედან იმავე ეტლით რესტორან „ვერდენში" (წერტი 3); აქედან ორთაჭალაში (წერტი 4); აქედან იგი ისევ რესტორან „სიცოცხლეში", ფიქრობდა დაბრუნებას, მაგრამ მეეტლემ არ შეასრულა მისი „ბრძანება" და ნაცვლად იმისა, რომ „სიცოცხლე"ში მიეყვანა, — სამილიციო კომისარიატში მიიყვანა, საიდანაც იგი გაგზავნეს სასამართლოში (წერტი 5) —ხოლო ამ უკანასკნელიდან კი— გამსახლში (წერტი 6).

ინტერეს მოკლებული არ იქნება, რომ აქ მოვიყვანოთ სასამართლოს სტენოგრაფიულ ანგარიშიდან დათო ტყეპოს-ძე ბითურიას საბოლოო სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა განაჩენის გამოცხადების შემდეგ:

**ბითურია:** (რომელმაც ჩაიცინა, როცა მას განაჩენი გამოუცხადეს): —თქვენ გგონიათ ერთი წლით ციხეში მოთავსებით ჩაჰკლავთ ჩემს იდეა? არა. იგი არასოდეს არ მოკვდება. ყველა დიდ პიროვნებებს, გამოჩენილ მეცნიერებს ასე ეპყრობოდა უგუნური სამართალი და საზოგადოება. მოიგონეთ ქრისტე, რომელიც ორცდა ერთი საუკუნის წინეთ დაიბადა; მოიგონეთ გალილეო გალილეი; მოიგონეთ, თუ გნებავთ ჩვენი შოთა რუსთაველი; მოიგონეთ სხვა კიდევ ბევრი „დიდი ადამიანები".. ყველა ისინი ახალი თქმისა და გამოგონებისათვის ხელისუფლებამ დასაჯა, აწამა.

მეც მათი ბედი მაქვს. მე არ მაშინებს თქვენი განაჩენი. მე მიზანს მივაღწიე. ძველი შეხედულება (რომ მიწა მრგვალია და ამიტომ—საიდანაც წახვალ გარშემო შემოვლის დროს ისევ იქ მოსვალ), სიცრუე ყოფილა. მე ეს დავამტკიცე. მიწას კი არა, თბილისს შემოუარე ეტლით გარშემო და იქ არ მივედი, საიდანაც წავედი; მით უფრო მიწის სიმრგვალე სისულელეა. მაშასადამე: დამტკიცებულია, რომ მიწა მრგვალი არ არის.

რაც შეეხება იმას. რომ რატომ მაინცდამაინც ეტლით შამოვიარე,— ეს იმიტომ, რომ შაბლონი არ გამომსვლოდა, და ჩემი მგზავრობა ორიგინალური ყოფილიყო. ვინ არ დადის მიწის გარშემო? ზოგი ავტოთი, ზოგი ჰაეროპლანით, ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით, ზოგი ველოსიპედით, ზოგი გემით...

დარჩენილი იყო მხოლოდ ეტლი — ფაიტონი, — სხვა არაფერი, და მეც ამითი ვგმჯობინე, როგორც ორიგინალური საშუალება თბილისის გარშემო შემოვლისათვის. აწი რაც გინდათ ის მიყავით; ფეხებზე მკიდია ფოსტის ფულები...

ამგვარად, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ მიწა კვერცხივით მრგვალია. რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ ბითურია სასამართლოში და გამსახლში კი არ ამოყოფდა თავს, არამედ ისევ რესტორან „სიცოცხლე"-ში.

ლევარსი როხროხაძის წყაროებიდან გადმოსწერა.

ზმუკიმ.

# „ელექტრო-ტვინი"



**სტუდენტი:** — ტყვილა ვიტეხდი ძილს, — წერით და წიგნების კითხვით მაინც არაფერი შედიოდა თავში. ეხლა წამოვწვები ამ წიგნებზე, რომლებსაც ტვინს ელექტრონით შევუერთებ და.. შევა ამ ოხერ თავში სწავლა, აბა რას იზამს!?

# „ტარტაროზი" № 125

## სპეციალური საიუბილეო ნომერია

## ოქტომბრის დღესასწაულზე

### თანამშრომლებს ვთხოვთ მოგვაწოდონ მასალა

# „წესრიგის დამრღვევი“




მილიციელი (კომისარს):—ამხანაგო კომისარრო, ეს მოქალაქე—„ღმერთი“ საიქიოდან ჩამოსულა და ქუჩებში დებოშებს ახდენს!

# ახალი ოჯახი

ძვ-25 საუკუნის ღარიბ გლეხის ოჯახში სხედან და ლაპარაკობენ ცოლ - ქმარი შინაურ საქმეებზე.

**ქმარი პლანეტო** (მე-20-ე საუკუნეში ეს სახელი იხმარებოდა პლატონათ): — ქალო, გეიგე ეს ჩვენი მეზობელი ესტრადიე (უწინ ეს სახელი იხმარებოდა ესტატეთ), რომ ბურჟუა გამხდარაა!?

**ცოლი მატორინა** (უწინდელი მატრონა):— რავა, შე კაცო რაზე ამბოფ მაგას?!

**ქმარი:** — რავა და 3 მანათიანი ავტობუსი გამუწერია ჩვენი კოოპერატივიდან; მე კი თოთხმეტი შაური ძლივს გადევიხადე ჩვენს ავტომობილში.

**ცოლი:** — ვახ, შე კაცო, რა გაბეკვირდა, იმან რომ სამ მანათიან ავტობუსით იტრიხინოს! მაგისი სიძე, რადიოპლანის შოფერია და ოხრათ შონილობს ფულს.. (მიუბრუნდება ქალიშვილს). ძლაბო! წადი, წეიყვანე ერწამს მატოციკლეტი და მოდენე ოი გასავლეჯი ბატები, აწი სადაცაა დეიმუდრებიან. შადრევანში არ ჩეგეპარონ, თვარა ამოჭამენ თევზებს.

**ქმარი:** — დედაკაცო, მატოციკლეტით არ იაროთ, ბატებიზა და ბენზინი არ წვათ, — ველოსიპედით არ შეიძლება ბატები მოდენო!? აგერ ორი თვე არ გასულა ჯერე და ორი აპაზის ბენზინი დავწვით უკვე. ასე რავა იქნება ოჯახში ყაირათი!

**ცოლი:** — შენი საქმე ქენი შენ. აგერ ყანა რომ გეიხმება, იმაზე იზრუნე გირჩევნია. წადი ხვალე ოლმასკომში და ერთი ორი დღის საწვიმარი ღრუბელი გამეიწერე ღრუბლტრესტიდან, თვარა ამ წელში დავრჩებით მშიერი.

**ქმარი:** — დამანებე თავი; ჯერ ღრუბლები გამევიწერო კი არა, მიწა არ მომიხნავს, ბრინჯი დემეთესა ცოტა. უნდა წევიდე ხვალ და საცხა აეროპლანი ვიხათხოვრო და მოვხნა იქნება ნახევარ საათში მიწა, თვარა, მერე არ მცალია... ამერიკაში მინდა ხვალე შუადღეზე ჩასვლა; ეგება, ერთი საახალოხე ვიყიდო ვეფხვის ბეწვის; შამემეხა ყველაფერი ტანზე. ხვალ საღამომდი უნდა მოვასწრო ეს ყველაფერი.

**ცოლი:** — მართლა, თუ გაფრინდე ხვალ ამერიკაში, ძროხის საწველი ავტომატი წამეილე; იქანე გამოლეულა და... (ქალიშვილს) ძლაბო,

## შემთხვევითი შეხვედრა



მიცვალებული (თავის მკვლელს): — აი შე ყურუმსალო შენა! შენ იქ გეძებენ მიწაზე და ხაც წამოსულხარ?

მკვლელი: შენ შენს გზაზე წადი სამოთხეში, თორემ უარესს დღეს დაგაყენებ!

მიცვალებული: — რა გაბრაზებს? გეხუმრე კაცო, გეხუმრე... ნუ აჩქარდები; ნელა წადი; ნუ გეშინია,— შაირ,, არავინ არ მოგდევს; ვინ იწუხებს თავს ჩემთვის.

## „კურდღლები"



— ამ აღმართზე ტრამვაით ავალ, მერმე უმისოდაც კარგად წავალ!



ჩიტი: — ჩემს ამხანაგებს კი ჩამოვრჩი ამ შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში გადაფრენის დროს, მაგრამ თუ პილოტმა არ შემამჩნია, კიდეც გაუსწრებ და იმათზე უფრო ადრე მივალ.

---

მეიტა მაქანე კატალოგი, ამოარჩიე რომელი ფირმის ჯობია.

ქმარი: — ერთი ჩეიხედე, ქალო, ბარომეტრში ქარი ხომ არ იქნება ხვალე! სეისმოგრაფშიც ჩეიხედე,— მიწისძვრა ხომ არაა სადმე.

ცოლი: — ჩვენი სეისმოგრაფი რაცხა ტყუის ეს ოხერი!

ქმარი — თბილისში ნაყიდია და იმიტომ, თვარა აბა ერთი ზესტაფონის ფაბრიკის იყოს?...

ქალიშვილი: — დედა! სალორეში ელექტრონი ქე ანთია და რა ვუყო,— დავაქროო?... არ ეძინებათ ისე ლორებს!..

დედა: — დააქვრე, შვილო, დააქვრე, ტყულა იწვება!

ქმარი: — (გულმოსული) დედაკაცო. გააჩქრე მაგ ოხერი რადიომაულები. — შემიწუხა გული ყოველ დღე „ევგენი ონეგინის" დადგმამ. —

ქალიშვილი: — მამა, ერთი ანტონშა ქუმბურიძე დაუკრათ რადიოზე, კარქა მღერის რაცხა.

მამა: — არც ერთი არ მინდა, დამანებე თავი, მეძინება ახლა, დილას ადრე უნდა ავდგე. (იძრობს ტანზე),

ვაი ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას, სანამდი უნდა ვიქნეთ ასე გაჭირვებული!

ქალიშვილი: —მამა, ხვალე გამოცდა მაქვს ტფილსში პროფესორთან და ფული მეჩეცი უნდა წევიდე!

მამა: — გამოცდიზა დავხარჯო ახლა ფული?... ერთი აბაზი უნდა დაიხარჯოს კიდო თბილისში ჩასასვლელი. ეილე აგერ და ჩააბარე რადიოთი. აქიდან, — რა უჭირს.

ქალიშვილი: — კარქი, აპა!

ცოლი: — კაცო, რო წობი ასე ადრე, ამელამ მოხსენებას აკეთებს ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე და იგი მეგვესმინა პატარა ხანს რადიოზე.

ქმარი: — სულ ერთია, თუ არჩევნები იქნეს, შენ მიეცი ხმაი მაქედან, ჩემს მაგიერ, და მოხსენების შინაარსი და რეზოლიუცია მითხარი ხვალე. მეგი კი არა, დასწყევლა ჩემშა გამჩენმა, დამავიწყდა ამელამ წერილის დაწერა ჩვენი გაზეთისათვის; გუშინ, რომ სამტრედიაში მიედიოდი პარახოდით ქუთაისიდან და კაპიტანმა რომ მაწყენია; მარა ხვალე დავწერ.

ცოლი: — მართლა, გეგგე ჩვენი მეზობელ დინამიტოს (უწინდელი დომენტი) თავისი ცოლის ქიმიურ გაზით მოწამლისათვის რომ სასჯელი გადაუწყვეტიათ?

ქმარი: — რა გაროუწყვეტიათ?

ცოლი: — უმაღლესი სასჯელი— არც ერთი მაიმუნი არ მიეცეს გასაახალგაზრდავებლათ!

ქმარი: — უპ ქი არ დაღუპულა კაცი! ეს ორასი წელიწადია ქე ცხოვრობდა კარქათ და აწი ხომ მოკვდება საწყალი?

ცოლი: — იმას ჯანდაბა,—მარა გონია მე დამჭირდეს აწი კიდო გაახალგაზრდავება; რაცხა მადა მეკარგება ეს ოხერი; აუცილებლად უნდა წევიდე ამ კვირაში სოხუმში მაიმუნების ფერმაში.

ქმარი: — სოხუმში რომ არ წახვიდე, აქანეც იქნება კომპერატივში კვერცხები გამოწერილი და აქანე იყიდე.

ცოლი: — კია აქანე, მარა ძველი იქნება და იქიური ჯობია.

ქმარი: — რა გიჭირის რა! შენ გაახალგაზრდებაზე იფიქრე, მე კი ყოველ დღე ორი საათი ვმუშაობ და წელი მაქ მოწყვეტილი... ვაი, ჩემი ცოდვა! (გადაბრუნდება და იძინებს).

ბალაჯან.

# „ექსპრესი“




მთვარეზე მოქეიფენი (თავის ნაცნობებს):—კა-ცო, ჩამოხტით, გამოუხვიეთ აქეთ და თითო ჭიქა კახური გადაჰკარით.

ნაცნობები: — გმადლობთ, მაგრამ ჩვენი ექსპრესი პატარა სადგურებზე არ ჩერდება,—მარსზე მიმეჩქარება.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა, № 68.

№ 124
# ტარტაროზი
კვირა, 30 ოქტომბერი 1927 წ.
ფასი 15 კაპ.

შოთა რუსთაველი



23/X 27 წ.

ნათელი სავსე ... 
მოცვილ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა...

... ხმა...

ძმობილი შობილი ... მეტყოდა;

... ამოძახილი

ქართლის ... ისმოდა.

... მთები.

## განმარტების მაგიერ

როგორც „ტარტაროზი“-ს გასულ ნომერში (№ 123) ლევარსი აცხადებდა, — იგი დაბრუნდა საიქიოდან და ჩამოიტანა ჩვენი მწერლების ანკეტა, სადაც გამოთქმულია მათი თანამედროვე მსოფლმხედველობა.

ეგებ ბევრმა არ დაიჯეროს, რომ **ლევარსი როხროხაძე** მართლა აფრინდა თვითმფრინავით საიქიოში, სადაც მოინახულა ჩვენი მცხოვანი მწერლები, რომლებთანაც მას ჰქონდა შემდეგი ინტერვიუ:

**ლევარსი როხროხაძე:** — როგორია თქვენი შეხედულება არსებულ ხელისუფლებისა, ჩვენი ქვეყნის და ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ?

**ჩვენი მწერლები:** — თქვენს მიერ დასმულ საკითხებზე ჩვენი შეხედულების გასაგებათ, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ ჩვენს მაშინდელ ნაწარმოებებიდან ზოგი ადგილები, რომლებშიაც შეტანილი გვაქვს ცვლილებები თანამედროვეებთან შეფარდებით.

„ურწმუნო თომები“-ს დასარწმუნებლად, ჩვენ ვათავსებთ დასტამბულ ტექსტს, შეთხზულს მიწიერ ცხოვრებაში. ეს ტექსტი ზოგ ალაგას მათ მიერ შესწორებულია თანამედროვების მიხედვით, რაც სჩანს მათივე (წითელი მელანი) ხელთნაწერიდან.

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო;

—:—

მიველ სარკმელს, გადვიხედე,
არე-მარე მეხვაფერა:



ნაპოლეონ საყვარელო
შენ ... აკვავდები.



... ვნახე ყრება,
გეფიცები მათი ნახვა
ეხლაც ისე მენატრება.

—

... მიმაფრენს ...

უკან მომჩხავის ... შავი ყორანი.

ვერ შემაშინებს ...

ნუ შეეფარები, ჩემო ...

ნურცა ... ნურცა ...

ნუ შეიბრალებ ...



ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნუ დამიმარხო ჩემსა ...

ნუ დამიტირო ...

ლევარსი როხროხაძის წყალობით ...

# მამა და შვილი

### წერილი მამისაგან

უკანასკნელად გიგზავნი წერილს,
რომელსაც ვატან ამ შენს მეზობელს;
შიგ წაიკითხავ რისი ღირსიც ხარ
და რაც მაბრაზებს ასე შენს მშობელს:
ერთი მითხარი,—შენი შვილობა;
შე ყურუმსალო, მე რას მარგია,
ვინც თავის მშობელს პატივს არა სცემ
ის ხომ ამ ქვეყნის მეტი ბარგია!?
მე შენს გამოზრდას გადავალიე,
რაც კი რამ მქონდა, რაც რომ მებადა
და მეზობლებში თავი მომქონდა,
რომ კარგი შვილი გამომეზარდა.
ღმერთი უშველის ისე შენს პატრონს
შენ რომ კარგი ხარ, შენ რომ ივარგე?
რა ქენი ბიჭო, ჩემი ამაგი
სად მიაფოცხე, სად მიაკარგე?
სამი წელია სამსახურში ხარ,
ჯამაგირიც გაქვს, ალბათ, საკმაო.
ერთი შაური არ მახსოვს შენგან,—
განა არა ხარ ტყავ-გასაძრობი?
თვითონ არაფერს არ იკლებ ალბათ,—
გაცვეია ტანზე ნაირ-ნაირი.
მამა შენი კი ყველას ჰგონია
გამოვარდნილი ტყიდან ნადირი.
სად მიგაქვს ფული, შე ვირის-თავო?!
ტყვილა გაგზარდე? ტყვილა ვარ მამა?
რომ იყლაპები ყოველდღე კატლეტს,—
მე, როგორ ფიქრობ, არ მინდა ჭამა?!

### პასუხი მამას

შენი წერილი მივიღე, მამა,
და დიდი ტანჯვით გადავიკითხე.
მისაყვედურებ ბევრ რამეს,—მარა
მეც მომისმინე, ერთი მეც მკითხე!
რომ გამაჩინე, მას თუ მაყვედრი
გეტყვი, რომ ამას ვერ ჩაუალ „შროტში".
ჩემს გაკეთებას გერჩივნა, მამა,
გადაგეხადა ფული აბორტში.
რაც შეეხება ჩემს გაზრდას, მამა,—
არაფერი გაქვს ღვაწლი ამაში;
მე გავიზარდე ისე, შემთხვევით,
ხე რომ იზრდება მანდ შენს ჭალაში.
წერა-კითხვაც ხომ შენ არ მასწავლე?
ღმერთმა უშველოს ჩემს ლიკვიდსკოლას:
რას მასწავლიდი, მე კარგად მახსოვს:
ხარების ხედნას, ძროხების მოელას.
სამსახურიო! ამას მაყვედრი!?
რა უნდა შენს შვილს კარგს სამსახურში,—
შენს შვილს, რომელიც კატლეტის ლუკმას
პირის მაგიერ რომ იდებს ყურში.
შენ, ალბათ, ფიქრობ, რომ შენი შვილი
„ლუბენატორის" არის ადგილზე.
ის კი არ იცი, რომ პურის მეტი
არაფერი აქვს ხშირად სადილზე.
ტანისამოსი რომ ნახო ჩემი
ისევ ის არის, რაც მეცვა სახლში—
დაკერებული ათას ადგილას
ისე, რომ გაელა მცხვენია ხალხში.
ტყვილა ემდური, მამა, ცხოვრებას,
სანამ კარგათ გყავს დედა-სოფიო.
უხვად გაქვს: მჭადი, ყველი, მაჭარი,
რაც მთავარია—ცხელი ლობიო.
შენი წერილი რომ წავიკითხე,
მაგიდას ხელი ბრაზით დავჰკარი.
სჯობდა ამ ერცელი გინების ნაცვლად,
გამოგეგზავნა ტიკით მაჭარი.

სეგეირ-ბენ-შეიხ.



**ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე მამის და ქალიშვილის გართობა**
(გამოიცანით მათი გვარი)

# სავაჭროში



მოქალაქე (ხედავს ცარიელ თაროებს და გაკვირვებით ეკითხება ნოქარს):—სავაჭრო სხვა ალაგას გადაგაქვთ?
ნოქარი:—არსადაც არ გადაგვაქვს საქონელი გამოგველია და თაროებიც ამიტომ არის ცარიელი.

# იაფი... ინდაურები

ალბათ თვე ახალი დაწყებული იყო, რადგანაც სახლის პატრონმა ეზოს შესავალ აბრაზე გააკრა განცხადება წყალის ფულის შემოტანის შესახებ. ასე იცის ჩვენი სახლის პატრონმა.

მართალია, ჩვენი ეზოს წყალსაზომს ვერასოდეს გაუგებ თავსა და ბოლოს. რადგანაც ხან ოცი მანეთის წყალს „გვახარჯინებს", ხან ორმოცისას, მაგრამ სახლის პატრონი მეტად შორსმჭვრეტელი კაცია: იგი მდგმურების ჯიბეშიაც იჭვრიტება შორიდან (მესამე სართულიდან) და იცის, რომ თუ პირველ რიცხვებში არ აილო წყალის ფული, მერე ველარ ეღირსება აღებას. ამიტომ იგი წინდაწინ ვარაუდობს დასახარჯ. წყალის რაოდენობას და ფულიც ვარაუდით მიაქვს.

აბრაზე რომ განცხადება გამოიკრა, მე უკვე დარიგებული მქონდა ჯამაგირი: ათი მანეთი ცოლმა წაილო, ხუთი უფროსმა ქალმა, ოთხი — ვაჟმა, სამი უნცროსმა ქალმა და სამიც მე ავილე ჯიბის ფულად. დანარჩენი თანხა დარიგდა სხვადასხვა საჭიროების მიხედვით.

წყალის ქირის განცხადება სრულებით მოულოდნელად გამოიკრა, ჩვენზე შეწერილი იყო რაღაც ოთხიოდე მანეთი, მაგრამ...

დაისვა კითხვა, თუ ვის უნდა გადაეხადა ფული.

ცხადია, მე უარი ვთქვი, რადგანაც სამი მანეთი ჯიბის ფულად მჭირდებოდა.

ცოლმაც კატეგორიული უარი განაცხადა ფულის შეტანაზე და სთქვა, რომ მხვედრი ათი მანეთი მას ესაჭიროება კაბების დასამოკლებლათ მოდის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

უფროსმა ქალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წილხვდომილი ხუთი მანეთი მან უნდა მოახმაროს ტუალეტის გაუმჯობესებას.

ვაჟმა მიუთითა, რომ მას, როგორც ახალგაზრდა კაცს, ჩემგან მიღებული ოთხიოდე მანეთი სჭირდება ოქტომბრის დღესასწაულებისთვის.

უნცროსმა ქალმა გაკვრით აღნიშნა, რომ მისი სამი მანეთით უკვე დაუკვეთა ლორიგანი.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ჩვენ უშედეგოთ დავიშალენით და წყალის ფულის საკითხი ღიათ დავტოვეთ.

მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებისას, გზაში გადავეყარე ინდაურებს, რომელთაც გასაყიდათ მიერეკებოდენ.

საღეროღელი... ხომ იცით საღეროღელის ამბავი... წარმომიდგა ჩასაციევებული ინდაური,—და შევევაჭრე. ნა-

ხევარი საათის ვაჭრობის შემდეგ შევთანხმდით; ინდაურ-ში 2 მ. 50 კაპ. გადავიხადე და წამოვიყვანე.

სახლში მოსვლისას სამზარეულოდან ინდოურის ჭუკ-ჭუკი შემომესმა. მას ჩემი ინდაურიც გაეხმაურა... სამზა-რეულოში შევედი და ვნახე კარგა მოზრდილი, ხელ-ფეხ შეკრული ინდაური, რომელშიაც ჩემ ცოლს 2 მანეთი მიეცა.

— შენც იყიდე? რამ გაყიდვეია შე კაცო ეს ინდაური? —შემომიტია ქალმა.

— რამ მაყიდვეია და ფულმა... ხომ იცი ინდაურის გე-ზოს ამბავი?

— კი მაგრამ მე რომ ვიყიდე, შენ რაღას ხარჯავდი ფულს?

— მე რა ვიცოდი..

— სუს! გაჩუმდი, ვის გაუგონია ახლა ინდაურის ყიდვა?

— მაშ შენ რატომ იყიდე?

— ერთი ამას უყურეთ! მე დიასახლისი ვარ და უფ-ლება მაქვს ვიყიდო, შენ რის მაქნისი ხარ?

— მე მამასახლისი ვარღა უფლება მაქვს..

— გაჩუმდი თუ კაცი ხარ... ნერვებს მიშლის შენი ლაპარაკი!

— არც მე მაყენებს კარგ ხასიათზე შენთან საუბარი...

დავემდურეთ ერთმანეთს. ინდაურები სამზარეულო-ში დავტოვეთ, რომლებიც ტკბილად აუჭუკჭუკდენ ურთი-ერთს.

ათიოდე წუთის შემდეგ მოვიდა უნცროსი ქალი. მო-ვიდა, ეშმაკურად გაიღიმა და მითხრა:

— რაღაც გიყიდე პაპა. ოღონდ ფული ისევ უნდა დამიბრუნო, ლორიგანის ფული დავხარჯე შენი სიამოვ-ნებისათვის.

— რა იყიდე გოგო!

— რა და... შენ რომ გიყვარს.. ინდაური! იაფად შევ-ხვდი, ხომ იცი, ინდაურები გაიაფებულია...

თავზარი დამეცა. ჩემი ცოლი გააფთრებით წამოვარ-დრა და ქალს ეცა.

— შე გასახეთქო, ჩვენც ხომ ვიყიდეთ ინდაურები!..

— თქვენც?.. გადიკისკისა ჩემმა ქალმა,—მაშ ინდაუ-რების მაღაზია გავხსნათ... ხა, ხა, ხა!.

ამ სიცილის დროს ქუჩიდან უცნობი ინდაურის ჭუკ-ჭუკი შემომესმა. ფანჯარაში გადავიხედე და.. ჩემი ვაჟი ინდაურით ხელში.

— მამა, დედა რომ მისაყვედურებს მეოჯახე არ ხა-რო, აი ხომ ხედავ! რა ინდაური ვიყიდე! რომ იცოდე რო გორ გაიაფებულა ინდაურები.

— არ დაგინახო სახლში შემოსული,—დაუყვირა, მას დედამ,—წადი და იარე მაგ ინდაურით სადაც გსურდეს შე მართლა ინდაურო...

ვაჟს გაუკვირდა ასეთი მოპყრობა, მაგრამ სახლში მაინც შეიპაიდა. ინდაური სამზარეულოში შეაგდო.

სადილათ დავჯექით, მაგრამ ჭამის მადა არც ერთს აღარ ქონდა. ხუმრობა ხომ არ იყო, სულ ინდაურებში დაიხარჯა, წყალის ქირის გადასახდელიც, აღარ დარჩა, ერთად ერთი იმედი უფროსი ქალი იყო, რომელსაც 5 მა-ნეთი ებარა.

— სად იყავი ნელიკო ამდენხანს?—უსაყვედურე მე.

— სად ვიყავი და საქმეზე! რა დაგემართათ, რა სქვირჩამოშვებულები ზიხართ?

ხმა არავინ გასცა.

— წერილი ხომ არ მიგიღიათ ვინმესგან, რა ამბავია, ხმას რომ აღარ იღებთ?—განაგრძო მან და უცებ მხიარ-ულად დაუმატა:

— დაიცათ, ახლავე მოგიყვანთ ხასიათზე.

კარებში გავარდა და ორი წუთის შემდეგ უკან და-ბრუნდა.

— შეხედეთ და დასტკბით!—შემოგვძახა მან და კა-რებში თავები შემოაყოფინა ორ... ინდაურს.—იაფად შე-ვხვდი და გადავწყვიტე ისევ ორი მეყიდა. ორივე ხუთ მა-ნეთად ვიყიდე! ოღონდ იმ პირობით, რომ ჩემ ხუთ მანეთს დამიბრუნებთ... შემოვიდა, შემოიკისკისა და ინდაურები შემოაფრინა.

ჩემ ცოლს გული წაუვიდა, ვაჟს აღელვებისაგან ლუ-კმა გადაეჩარა ყელში, უნცროსი ქალი სიცილით გადაპირ-ქვავდა და მე ქუჩაში გავიქეცი.

ტერსიტი.

# ქ უ ჩ ა შ ი

(ქიათურა).



— სად მიდიხარ ამ დილით?

— ბაზარში მივდივარ სურსათის საყიდად!

—შე კაი კაცო, ამენ მტვერს ყლაპავ ამ ქუჩაში და სურ-სათი რაღად გინდა!

უაქირის (ქიზიყშია) თეატრის სახურავზე არხეინად დადიან ვირები, რადგან სახურავი მიწის არის და ზედ ამოსულა მცენარეულობა.

ი. ქ.



— ადი, შვილო, ზედ; ძეძვით მაინც ვისარგებლოთ—დავღობოთ თეატრის ეზო...
— რა ამიყვანს იქ! ვერ უყურებ რა ნადირი ირევა ზედ?
— ნადირს რა უნდა,—ვირებია; ნადირი რომ იყოს ნადაანთ ნიკა სუ ამოსწყვეტდა.

# მოლოდინი ზემელთან

იყო საღამო და საათმა დაჰკრა ცხრის ხუთი,
მეჩქარებოდა „სხვერუროჩნზე" (ვაი მის მომგონს,—
რატომ არ მოსძვრა რომ ადგია მხრებზე ის ყუთი)..
ეს იყო იქა, სადაც არის ზემელის კუთხე,
ხალხი ილდიდა ჩემთან ერთად და მღელვარებდა.
(ეს, მოლოდინი ტრამვაისა რომ არის მწუთხე,
ამას მგონია ჩვენი სანდროც არ ივარებდა).
მოვიდა ერთი რონოდაი, (ნომერ პირველი),
ხალხი მიაწყდა საფეხურის ვიწრო კალაპოტს.
საიდან ჩნდება ეს ჯიბგირი გასაკვირველი,
რომ მგზავრთა ჯიბეს, ვით საკუთარს, ისე ალაფობს?!
პალტოს ჯიბეში ჩაალოცა მან ჩუმად ხელი
და რომ ვერ პოვა სანუკვარი ჩერვონცითა დასტა,—
და აალოცა მოქალაქეს ასი ანაზდათ
მყისვე შეიქნა ყვირილი და აურ-ზაური,
მოქალაქენი მიმორბოდენ ვაის ძახილით...
(მე მომაგონდა კინო-ფილმი „აბრეკ ზაური"),
ვაგონი ქვევით ჩახრიალდა როგორც მარხილი.
შენ იქ იდექი სადარაჯოთ, ეხ, მილიციავ
და ვერ შეძელი ჯიბგირების გამოკიდება.
რა უყოთ მერე: პოსტის იქით არ შეგიძლიან
და პოსტის ახლო ჯიბგირი ხომ არ მოგიდგება.
ასეთი იყო მოლოდინი ზემელის ახლოს.
მოქალაქენო! კარკის კუთხეც არ არის სანდო,
რადგან ჯიბგირი ჯიბისკენ რომ მოგეახლოს,
ვერ გიშველის მილიცია და ველარც... სანდრო.

ალხარ - ალხარსან.

# ოსკანა ტვინი

— მახლაზ, ესეც დროების ხინჯი და მუწუკია რაღა, ვახტისგნით მოტანილი ბედი და ყისმათი, ჰამაც მეორეთ მოსვლის ნეპრემენი ნიშანია!..

ვაჰხ! ხათა ამაზე მეტი? კაცს სიცოცხლე ზარავანდათ გიქციონ, ეს ქვეყანა შეგაძულონ, საიქიო მოგანატრონ და ჰუზურში საიქიოსაც უტვინოთ გაგამგზავრონ? მერე სამოთხეში და უტვინოთ? ე-ე-ე, ჰკვაზე მოდი—ამ ჯოჯოხეთში რომ ჰკვითა და ტვინით ვერ გვიცხოვრია, იქ ანგელოზებთანა და მამა-უფალთან უტვინოთ რამეს გავხდებით? იქ ხომ ვეჩნი ცხოვრებაა, ერთი თუ ჩავარდი, მორჩა, აქეთ პირს აღარ გაქნევინებენ, მიქელ-გაბრიელი უკან აღარ გამოგიშვებს—მოდი შენ და უტვინოთ იცხოვრე.

ჰუზურში, აქ ხომ ტანჯვა და უსიამოვნება გვხვდება, ვითმენთ, ჰამა ამ მოთმენასაც თავისი თაბაუთი აქვს: ჩვენ იმ ქვეყნის იმედი გვაქვს, ვიძახით თუ ჰაა, მაითმინე, ნუ შესცოდეფ, აქ იტანჯე და როცა მოჰკვდები, უფალი-ღმერთი სამოთხეში დაგსვამს, კეთილ-ცხოვრებას არ მოგაკლებს, რაც ხათა და შარი მინახია, იქ ნუყლათ გექცევა, სიტკბოში ჩავარდები, კეთილი ცხოვრება გექნებაო.

— მერე?—ამ კეთილ ცხოვრებას მოხმარება არ უნდა, ტვინი და მარიფათი არ უნდა გქონდეს? ისე ხომ ბატებიც კი მასხარათ გაგაკეთებენ, გაიცინებენ და იტყვიან თუ:

— შე ბემურაზო, ქვეყნიდან რომ თავი უბაგაჟოთ მოგიტანია, აქ მოლას ქელეხი ხომ არ გგონია, რომ ჰკვა ტაბლათ დაგირიგონო?... მერე დადექი და ამისთანა ჰაკარაკ ბატებს უმტკიცე: —ბატებოჯან, ქრისტეს მადლმა მე მინაოთში არა ვარ, ტვინი ჩერესჩურ დიდი მქონდა, ჰამა ბალშევიკების ხირურგებმა ამამიღეს და სპირტის ბანკაში ჩამიდვეს, ასმა—ნაუჩნი ისლედოვანია უნდა ვქნათო, ყველას შენი ისემე უნდა ვაჩვენოთო, ტვინის უჯრედებიო რაღა, სტუდენტებს დოხტურობა უნდა ვასწავლოთო მააშ?!..

ბან ჩუნეს? რომელი ბატი დაგიჯერებს ამისთანა ნათქომებს? დაგცინებენ, მახსარათ გაგაკეთებენ, ჰამაც ანგელოზებისგნით აბიდაც სხვა იქნება...

გებნები, სწორეთ ამისთანა ხათაში ჩავარდა ჩვენი ავანაანთ ოსკანა: ტვინი აქ ამააცალეს, სპირტში ჩაუდვეს და ის კი საიქიოში დადის ცარიელი თავით და ყველას მიშკინა გამხდარა.

სულ თავის ჰკვიანობამ დაღუპა ის ცხონებული: ძალიან ნაინტერეს რამეები გამაიგონა, ჰამაც კარქი ლექსები დასწერა, პოეტი დაირქო, თმები გაუშო, ზამთარში უქუდოთ დადიოდა, ლოთობდა, და ქუჩაში ყალ-მაყალსა სტეხდა, გოსიზდატში ავანსებს თხოულობდა, ჰამაც პადვლებში ნისია, რამე—ვინ მოსთვლის?

ერთის სიტყვით, ნიჰიერ კაცათ ითქმებოდა რაღა, ყველანი იცნობდნენ.

ბოლოს, პარალიჩი რომ არ მოუვიდა? მთელი დოხტურები თავზე ეხვევოდნენ—თუო, ძაან ჰკვიანი ჯეჰელია და ნეჩაინათ არ მოგვიკვდესო; წინ..დან და უკანიდან სულ წამლებს ასხამდენ, უკოლებს უკეთებდნენ ლოხმანცკის კაპლებს ასუნთქებდნენ...

საქმეში ხარ? ახში მაინც მოკვდა... მოკვდა მაგრამ მკვდარს ვინ განებებს? ჩააფრინდნენ ოთოთაანთ ქორივით ამ ოსკანას ცხედარს და პრემათ კლინიკის ბალნიცაში გააქცუნეს, ასმა სლოჟნი ჰკვა აქვსო და ტვინი უნდა ამოვაკლოთ, მუზეიმში შავინახოთ რომა ყველას ნიჰიერობა ვასწავლოთო.

მივსულვართ ნათესავები, ვჩალიშობთ, ეეხვეწებით:

— დოხტურებოჯან, თქვენი პრაფისორობის ჭირიმე, ეს კაცი იმ ქვეყანას მიდის, იც ცხოვრება უნდა, თოღ თავისი ჰკვით გაუშვით რაღა, უტვინო კაცმა საიქიოს რა უნდა გააკეთოს მეთქი! ვინ გიჯერებს, გაუჭრეს თავი და ტვინი ამოუღეს, ეგრე უტვინოთ დავმარხეთ.

იმას მერე ცისმარე ღამეს, ყველა შინაურები კაშმარნი სიზმრებსა ვხედავდით, ასობენათ მე ჩამაცივდა და მუდამ ღამე საფლავიდან ამდგარი მელანდებოდა, ლოგინზე ჩამამიჯდება და მებნება:

— საქულ, გძინამს?.. მე შიშისგნით საცვლები და საურები მისველდება, ვიტრუნები, ჰამაც შიშისგნით ციცირის კვერცხივით ვხდები. ბოლოს საბანს ძალითა მხდის და მე და კეკელას შუაში გვიწვება. ცივ ხელებს მხვევს, თანაც კეკელასკენ იწევს. მე ახში ვბედავ და ვებნები:

— ოსკანჯან, მაგ დედაკაცისკენ რას იწევ, ნამუსი არა გაქვს, ნათელ-მირონი და პურ-მარილი არა გწამს?




ლევარხი როხროხაძის პროექტი გზაჯვარედინზე ტრამვაის ვაგონებში ადგილის საშოვნელად

# „სისტემა“

ზოგიერთ დაწესებულებებში შემოიღეს კონვერტით ჯამაგირების დარიგება. (ქრონიკიდან).



რა დახედა კონვერტს,—აუძგერდა გული...
გაუხარდა, რომ შიგ იქნებოდა ფული...

და კონვერტი იგი მან საჩქაროდ გახსნა...
მაგრამ რაც შიგ ნახა, ალარ უნდა ახსნა.

ჰამაც აქ, რა გინდა, შენ ხომ უკვე მოჰკვდი, დაგმარხეთ—შენ ქერქში ველარ დაეტიე, აქ რას გვიძვრები?

— საქულჯან, არ გეწყინოს, მე ერთი საკითხავი რამე მაქვს და იმიტომ მოვსულვარო. მიქელ გაბრიელმა სამოთხეში ისე არ შემიშვაო, ეგზამენიას მაჭერინებს და მებნება თუ ერთ ბატს რომ ორი ბატი მიუმატოთ რამტოლი იქნებაო? თუ ამ ზადაჩას გამიკეთეფ, მაშინ სამოთხეში გლავბუხათ დაგნიშნამთო და როგორც ქვეყანაზე გლავბუხები სამოთხეში და დოირანში არიან, შენც ისე იქნებიო. მე რადგანაც ტვინი თან არ გამაყოლეს, ამიტომ ეს სლოჟნი ტაბლიცა ვერ გამოვიყვანეო და ეხლა შენთან მოვსულვარ, როგორც დახლიდარ კაცთან, ამიხსენი და დამაბარეო.

— ვა, ოსკანჯან, ჩემი სიყმე შენ გენაცვალოს—მაგაზე გაწყენიეფ? ერთი ბატი და ორი ბატი სამი ბატი იქნება, მაგრა დაიხსომე და ეგზემენია კარქათ ჩააბარე მეთქი. წავიდა...

პუპუზ, ერთი კვირის იქით, ისევ მოვიდა, ისევ ლოგინში ჩამიწვა: უკე ჩონჩხათ გამხდარიყო, ძვლის ხელები მომხვია და მებნება:

— საქულ, ისევ შენ უნდა მიშველო, ჩემი ტვინი უკანვე უნდა მამიტანო, თორემ ეგზამენია ვერ ჩავაბარე და გლავბუხის მაგივრათ სამოთხის საგიჟეთში მგზავნიანო.

— მეთქი—-რატომ ვერ ჩააბარე?

— სლოჟნი იყო!

— ვა, სამი ბატის ტაბლიცას ჩვენი უნივერსიტეტის სუდენტებიც კი პაჩტი ჩააბარებენ და შენ ხომ უფრო ჭკვიანი იყავი?

— ვიყავი მაგრამ, ეხლა ტვინი თან აღარა მაქვს.

— მაშ მიქელ-გაბრიელი არ გიღებს? მაგ ბემურაზს დიდი საქმეა ერთი ჯეჰელი მიეღე? ზოგმა სუდენტმა სამი ბატის ტაბლიცაც ვერ ჩააბარა, ჰამა მაინც უნივერსეტში მიიღეს და შენ სამოთხეში გლავბუხათაც არ შაგიშო... ჰუზურში მე რას გიშველი? წადი რაღა თავიდან მომწყდი, ამ დედაკაცს რას უცოცდები მეთქი? ეს რომ უთხარ ეწყინა, წიხლი მკრა და თანდათან კეკელასკენ მიიწევს. მე ხელი ვტაცე, ქვეშ მოვიქციე და აღარ უშვეფ. უცბათ ბაც! წიხლი მკრა ამ ოსკანას სკელეტმა და ტახტიდან დაბლა გადმამაგდო. გამომეღვიძა. შეშინებული უყურეფ და ჭკვაზე ველარ მოვსულვარ—ვხედამ კეკელა თავზე დამდგომია, ქოშს მიღერებს და მიჯვარდება:

— შე ბემურაზო, ასე ფინთაი რო მაწვები ჭკვა სადა გაქვს, პაჩტი ნეკნები და გულის ფიცარი ჩამინგრიეო, რატო ფრთხილათ არ იცი ისემე, გადაბრუნ-გადმობრუნებაო?

— მე პირჯვარს ვიწერ, და ვებნები—კეკელჯან, მადლობა ღმერთს, რომ შენ დაგწოლივარ, მე ოსკანას ჩონჩხი მეჩხუბებოდა და იმას ვახრჩობდი მეთქი... საწყალს უტვინოთ თურმე სამოთხეში არ უშვებენ და სამუდამოთ საგიჟეთში ჩაუგდიათ მეთქი...

აი, ასეთი ულმერთობა ქნეს დოხტურებმა, ჰამა ესრა არი? იძახიან თუო, ეხლა ბალშევიკები კლიმატორიუმს აკეთებენო და მარტო ტვინის ამოცლას ვინ გაკმარებს, სავსებით უნდა ნაცრათ გვაქციონო. არა, ძმაო, აქამდისინ სიცოცხლეს ვნატრულობდი, ჰამა ეხლა დროზე უნდა მოვკვდე, რომ საიქიოს თავიც და ტვინიც მთელი წავიღო და იქ მაინც გავიხარო, თორემ მეც იმ საწყალ ოსკანას საქმე დამემართება.

**ფარსადან.**

ტარტაროზკორებო, შემოკრბით „ტარტაროზი“-ს გარშემო!

# კვარწახი

№ 5 „ტარტაროზი“-ს უფასო დამატება № 5

## ამასაც ყურადღება მიაქციეთ

„ისე არა ქუხს, როგორც წვიმს“,—ამბობს ჩვენებური ანდაზა და მართლაც ჯერ-ჯერობით თბილისის ქუჩებში, შემოდგომის დადგომის მიუხედავად, მრავლად დაინახავთ თეთრ ხალათიანებს.

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ მართალია, შემოდგომა დადგა, მაგრამ ზამთარი კიდევ არ დაწყებულა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ზამთრათ შეშა არ მოვიმარაგოთ?

რასაკვირველია, არ ნიშნავს.

მაშ, შეშა აუცილებელი ყოფილა.

სად არის შეშა?—ტყეში.—ვის გამოაქვს იქიდან?—სატყეო ტრესტს.

**მაშ, მივაკითხოთ სატყეო ტრესტს და შეშაც გამოვიტანოთ.** ასეთი უნდა იყოს დღევანდელი დევიზი. ეს მართალია, მაგრამ, როგორც დეპეშები იტყობინებიან, ტრესტს შეშა არა აქვს და ამიტომ განცხადებებს აღარ იღებს.

როგორც იგივე დეპეშები იტყობინებიან, შეშის დამამზადებელ ორგანიზაციებს შეშინებიათ ტყეში შესვლა, რადგანაც იმპერიალისტური ზრახვებით აღსავსე მელა-ტურები თურმე ალარავის უშვებენ ტყეში. ამიტომ შეშის დამამზადებლებს ხელი ჩაუქნევიათ და თბილისისთვის შემოუფარებიათ თავი.

იბადება კითხვა: რა უნდა უყო, ან სად უნდა წაიღო კაცმა ასეთი „დამამზადებლების“ თავი?

აი, ამ პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს დღევანდელ საჭირბოროტო საკითხს.

ტერს.



**ლონდონი.** (მიღებულია დაგვიანებით). ისმალეთ-სპარსეთის შორის მომხდარი ინციდენტის მშვიდობიანად მოგვარებამ ჩემბერლენი ცუდ ხასიათზე დააყენა და აღარ აპირებდა პარიზში გამგზავრებას. მაგრამ, როცა ეს ამბავი გაიგეს ლონდონსა და სამხრეთ-სლავიაში, ამ უკანასკნელმა ერთმანეთს შორის ... ამის შემდეგ ჩემბერლენი ბორშჩ-სუპში და საერთოდ წვენში დამხრჩვალ ბუზებს გადაარჩენს. უკანასკნელი ცნობებით, მთელ ზაფხულში საზბას გადაურჩენია 1.347,893 ბუზი. მათ შორის: 30 პროცენტი, მამალი ბუზია, 25 პროცენტი დედალი, 17 პროცენტი—საშუალო სქესის. დანარჩენთა სქესობრივი მდგომარეობა არ არის გამორკვეული.

## „ბ უ შ ა ბ ე ბ ი“

„ზოგ ალაგას ქუჩებში ... ადგმულ საფურთხებელ ყუთებს ხულიგნები იტაცებენ და ეზოებში ჰყრიან“.



ლევარსი როხროხაძის პროექტით ხულიგნებისაგან საფურთხებელ ყუთების დასაცავად

## დაუშვებელი საქციელი

ვინ არ იცის, რომ ცოლები ეჩხუბებიან ქმრებს და ამ უკანასკნელთა ფულს რევიზიასაც უშვებიან.

მაგრამ გლახუნ საწყალაძის ცოლი საზღვარს სცილდება.

გლახუნს მალულად შენახული ჰქონდა ჯიბეში ერთი აბაზი ტრამვაისათვის.

ეს გაუგო ცოლმა; „ობისკი“ უქნა ქმრის ჯიბის და მოიპარა ფული.

## მოვსპოთ ცრუმორწმუნოება

ცრუმორწმუნეობა ისპობა, მაგრამ ზოგში კიდევ საკმაოდ არის დარჩენილი.

მაგ., ამხ-ბა „ბუქი“—თანამშრომელი სახარებაძე, როცა სამსახურში მიდის დილით, ასე ფიქრობს:

— ეხლა მე ჩავალ რუსთაველის გამზირზე ოპერის პირდაპირ ტრამვაის გაჩერებასთან. თუ პირველად გამოივლის მოსკოვის ახალი ვაგონი, მაშინ ჩემა

**მარსაანი.** გურმანიაში ჩავიდა იტალიის საქმეთა გარეშე მინისტრის მარჯვენა ხელი და პირის ზიარება (გვარი დამახინჯებულია), რომელმაც ჰინდენბურგის მისაღებ ოთახში გადაყლაპა სამი ფაშისტური ბაყაყი. როგორც ამბობენ, ელჩს ეს ბაყაყები იტალიიდან ყავდა წაყვანილი ჰინდენბურგისთვის მისაძღვნელად.

**ნიუ-იორკი.** როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, შემოდგომის დაწყების გამო დროებით შეჩერა მუშაობა ბორჯში დაბრჩობისაგან გადამრჩენმა საზოგადოებამ. ეს საზ-ბა მთელი ზაფხული მუშაობდა ქ. ქუთაისში (ამიერკავკასიაშია) და მიზნად ისახავდა —

**ნაგომარი.** ოფიციალური ცნობები ადასტურებენ რომის პაპის ავადმყოფობის ფაქტს. იუწყებიან, რომ პაპას (ანუ როგორც ნოე რამიშლი ეძახის „პაპოჩკას") ყელში გაჩხერია საზღვარგარეთელ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის ძვალი. (

**რომი.** ქუთაისის ოფიციალურ რადიო-ქორის სააგენტოს ცნობით, თბილისში გაემგზავრა ქუთაისელ მსმენელთა დელეგაცია, რომელიც დაესწრება კახეთში რთველის დღესასწაულს და ხელს შეუწყობს ღვინოების ჩაწურვას... დელეგაციას ხელმძღვანელობს ქუთღვინყიფზვანქკომის პასუხისმგებელი მდივანი.

შიო, როცა კონდუქტორმა ჩამოიარა, ერთი კი მიიხედ-მოიხედა ცოლმა არ დამინახოს ტრამვაიშიო,—და ხელი იტაცა ჯიბეზე, რომლიდანაც ამოიღო საფულე.. მაგრამ....

ოი, საკვირველებავ,—საფულეში კაპეიკი არ იყო. გაწითლდა გლახუნ., ყველა მას უცქეროდა.

ერთმა მანდილოსანმა ფულიც კი შეაძლია.

შერცხვა გლახუნს და ჩამოხტა ვაგონიდან.

სამსახურში დაგვიანების გამო საყვედური გამოუცხადეს.

ეს ცოლის ბრალი იყო.

ასეთი საქციელი დაუშვებელია ცოლის მხრივ ქმრისადმი.

გულზე ელდა ეცემა, ნერვები ეშლება და გაბრაზებით იფურთხება.

— ჯინაზე არ წავალ, სანამ მოსკოვის ვაგონი არ გამოივლის.—ემუქრება ვიღაცას და ელოდება ახალ ვაგონს.

ამის გამო ხშირად აგვიანდება სამსახურში.

— თუ მეორეჯერ კიდევ დაიგვიანეთ, სამსახურიდან დათხოვნილი იქნებით,—აფრთხილებენ მას.

— დაცდილი მაქვს: თუ ახალი ვაგონი არ შემხვდა, რაღაც უსიამოვნებას გადავეყრები... კიდეც ამისრულდა. მუტბუტებს თავისთვის სახარებაძე...

— და ის კი არ იცის, ახალ ვაგონისათვის რომ არ ეცადა, სამსახურში დროზე მივიდოდა და საყვედურს არ გამოუცხადებდენ.

# ქრონიკა

**სართულიდან გადმოვარდნა.** გუშინ უკულმართის ქუჩაზე მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა ფინიაძაღლი და სასიკვდილოთ დაშავდა. ძაღლი მოთავსებულია დიასახლისის ლოგინში. ყეფის თავი აღარ აქვს.

**დაჯახება.** სარდაფიდან გამოსული მთვრალი მოქალაქე დაეჯახა ტრამვაის ბოძს. დაჯახება ისეთი ძლიერი იყო, რომ მოქალაქეს თავი გაუტყდა (თუმცაღა ისევ განაგრძო გზა ბარბაცით და სიმღერით).

**ქურდი შვილი.** დედის სახლში არ ყოფნის დროს კიზილიანის შაქრუამ ქილას თავი მოხსნა და შესჭამა მურაბა. დაბრუნებული დედა შემოესწრო და დამნაშავე დაიჭირა ბოროტმოქმედების ადგილას.

**ყელის გამოჭრა.** ხორცის ბაზარში მეყასბე საქომ, ყელი გამოჭრა ბატკანს.

**შეპყრობა.** გუშინ, შუადღის ორ საათზე, ჭამა-ყლაპვის ტრესტის დირექტორი ძლივს შეიპყრეს დაწესებულებაში მისმა თანამშრომლებმა ჯამაგირის უწყებაზე ხელის მოსაწერად.

**ახირებული ქურდობა.** ძილის დროს ბატბუნიძეს მოჰპარეს ტანზე ჩაცმული ზედა და ქვედა სამოსლები, რის დაკარგვაც მეორე დღეს გაიგო დაზარალებულმა.

# ტრამვაიში

დილით სამსახურის დაწყების დროს და შუადღეზე—გათავების შემდეგ ნება დართულია ტრამვაის ვაგონში ნორმაზე მეტი მგზავრების წაყვანა.

(ქრონიკიდან)



ქალი (კაცს):— მუხლებზე რომ მაჯდებით,—ბავში ხომ არ გგონიათ თქვენი თავი?

კაცი:—არც თქვენ არ ხართ პატარა გოგონა, მაგრამ თუ გნებავთ, გადავნაცვლდეთ! საწინააღმდეგო არაფერი მექნება!

# რჩევა-დარიგება

**კითხვა:** კირკის ქუჩის კუთხეში ხულიგნებმა ჩამიმტვრიეს წინა კბილები. რა უნდა ვქნა?

**პასუხი:** ეცადეთ უკანა კბილებიც არ ჩაგიმტვრიონ.

—:—

**კითხვა:** კახეთში მინდა წავიდე მაჭარის სასმელად, მაგრამ შვებულებას არ მაძლევენ, როგორ მოვიქცე?

**პასუხი:** იყიდეთ მოგრძო რეზინი: ერთი თავი კახეთის, რომელიმე გლეხის მაჭრიან ქვევრში ჩადეთ, მეორე თქვენ ჩაიდეთ პირში და მოქაჩეთ (თავისუფალ დროს). ამრიგად, თქვენ გადარჩებით კახეთში წასვლას.

—:—

**კითხვა:** ვარ რეგისტრატორი და მაქვს მცირე ჯამაგირი, რომელიც არ მყოფნის. რას მირჩევთ?

**პასუხი:** როგორმე იშოვეთ გამგის, ან მისი მოადგილის თანამდებობა და გარწმუნებთ, რომ ჯამაგირიც მოგემატებათ და გამოსარჩენიც.

—:—

**კითხვა:** მსურს საზამთრო ტანისამოსი მოვიმარაგო, მაგრამ საშუალება არა მაქვს. რა უნდა ვქნა?

**პასუხი:** შეირთეთ ფართლეულობის მაღაზიის ქალი (ან ცოლი), ან მიათხოვეთ თქვენი ახლობელი ფართალტრესტის ერთ-ერთ პასუხისმგებელ მოღვაწეს.

„ბუზ-ზუზ".

# „...ერთდროულათ სამ თეატრში...“

არავის ეგონოს, თითქოს განგებ ვამბობ, რომ—რესტორანიდან გამოვედი და წავედი კინოში, სადაც მიდიოდა სურათი: „კაცი რესტორანიდან“.

სამ კინო-თეატრში მიდიოდა ეს სურათი ერთდროულად.

მართალია: სახკინმრეწვის სურათსავით დიდხანს ვერ გაუძლო ამ სურათმა ეკრანს—რაღაც ორიოდე კვირის განმავლობაში უჩვენებდენ,—მაგრამ ბილეთის შოვნა (და ბილეთის შოვნაზე უფრო ადგილის შოვნა) ძნელი იყო.

ამიტომ, როცა რესტორანში ვსადილობდი (უფრო სწორედ—ვახშმობდი) ლუკმებს ერთმანეთზე ვყლაპავდი, რომ სადილი მალე გამეთავებია, პირველ სეანსისთვის მიმესწრო და სახლში ადრე დავბრუნებულიყავი, რომ ჩემს ცოლს არ გაეგო ჩემი ბოროტმოქმედება—კინოში წასვლა.

ჰო-და, როცა ლუკმების ყლაპვას ვაჩქარებდი, ერთ ლუკმას ხახაში ფეხი დაუცდა და „სასულეში გადამცდა“ იგი უბედური.

დამაწყებია ცხინკება. საშველი აღარ იყო. ცხინკებ-ცხინკებით შევარდი სალაროში.

— მგონია დავაგვიანე პირველ სეანსზე?!—შევეკითხე მოლარე ქალს და საათს დავხედე: 8 საათი 28 წუთი იყო.

—არა; ჯერ არ დაწყებულა!—მანუგეშა მან და ბილეთთან ერთად პროგრამაც მომცა.

— აი, პატიოსანი ხალხი! ალბად დამიცადეს!—გავიფიქრე ჩემთვის და კანტროლს ბილეთი წარუდგინე.

როცა კონტროლი ბილეთს ხევდა. დარბაზიდან მოისმა ხმაური და ტაში.

გამიკვირდა. უცბად თავში გამიელვა:

— ხომ არ შევცდი!? ეგებ აქ კინო არ არის? ალბად კლუბია და მოხსენებას აკეთებენ?

მივიხედ-მოვიხედე. კინო-სურათების რეკლამებმა დამარწმუნეს, რომ ეს კინო „სოლეი“ იყო. ამის შემდეგ ჩემს თავს უფლება მივეცი შემეკითხა კონტროლისათვის:

— უკაცრავად! ალბად მოხსენების შემდეგ აჩვენებენ სურათს!.. თუ იცით, მალე გათავდება მოხსენება!?

— რისი მოხსენება!? რა მოხსენება!? იმიტომ ხმაურობენ, რომ სურათის ჩვენება დააგვიანეს.

მიწყნარდა ხმაურობა.

შევედი დარბაზში.

დაზვერვის შემდეგ ძლივს-ღა ვიპოვე ერთი ალაგი.

— სწორედ ბედნიერი ვყოფილვარ: ჯერ არც დაწყებულა და ადგილიც ვიშოვე!—გავიფიქრე ჩემთვის ჩავჯექი სავარძელში და პროგრამის კითხვა დავიწყე.

ერთმა ყმაწვილმა ქანდარაზე ტაშს დაჰკრა. ალბად ეს სიგნალი იყო: მთელმა ქანდარამ ტაში დაუკრა. მას აჰყვა პარტერი, შემდეგ ლოჟებიც... და მთელ დარბაზში ტაში ქუხდა.

— ტაში... ტუში!—დაიძახა ტაშის დამწყებმა, ადგა თავის ალაგიდან და ლეკური ჩამოუარა. პარტერმა ზევით დაიწყო ცქერა. თეატრის მოსამსახურენი დარეტიანებულივით დარბოდენ და მუნჯურად ემუქრებოდენ „რევოლიუციონურად განწყობილ ქანდარას“. ერთი წესრიგის დამცველი მოსამსახურე ქალი მივიდა მოცეკვავესთან, რომელმაც, როგორც კი თვალი მოჰკრა მისკენ მიმავალ ქალს, მაშინვე ცეკვით გაექანა ქალისაკენ, მიუახლოვდა, დარბაისლურად თავი დაუკრა და საცეკვაოთ გამოიწვია. გაბრაზებულ ქალს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოცეკვავემ ხელი გაუყარა მკლავში, ცეკვით მიიყვანა მოაჯირთან და პარტერში გადმოახედვინა. ნიშნად მადლობის გამოცხადებისა, მოცეკვავე თავს აქნევდა და გულზე ხელს იდებდა—მადლობას უცხადებდა დარბაზს. მაყურებლებს შეუკავებელი ხარხარი აუტყდათ. ქალსაც გაეცინა; გაწითლდა და დარცხვენილი უკანვე გამობრუნდა.

# სამტრედია

„იშვიათი შემთხვევაა, რომ სამტრედიის რკ. გზის დეპოს კანტორაში თანამშრომლები თავის საქმეზე ნახო“

(ჯიე)



—ვერ მეეტყვით, თქვენს გაზრდას, სად არის დეპოს უფროსი.

—აქ არის, მაგრამ გარედ გავიდა.

—თანაშემწეს ვერ ვნახავ.

—ისიც გუშინ და დღეს არ მოსულა.

—მეორე თანაშემწე.

— ისიც იყო ამ დილას და ეხლა არ არის.

—არც მესამე თანაშემწეა ნეტა. ნუ დამიმალავ თუ არის.

—დედა ნუ წამიწყდება—ავათ უნდა იყოს.

—ქუთაისიდან ვარ ჩამოსული და ეს ქაღალდი მაინც დამიბეჭდეთ.

—მემანქანე ქალი სადღაც წაეიდა და ჯერ არ დაბრუნებულა, ალბად სადმე ბაზარში სეირნობს.

—ის მაინც მითხარით— რამდენია ჩემი საშუალო ხელფასი.

—ბუჰხალტერი ჯერ კიდევ არ მოსულა.

—მოწმობა მინდა და ადგილკომი მაინც მანახვე.

—დედის სულს და წმინდა ზიარებას გეფიცები,—აგერ ორი კვირაა ქაღალდები მიწყვია და ადგილკომის ნახვა არ იქნა, რომ ხელი მოეწერა.

—ვაი თქვენს პატრონს, თორემ მე რა მიჭირს.

**გლეხი (გამგეს):**—ცოტა საქმე მაქვს და თუ შეიძლება...

**გამგე:**—ჯერ ქუდი მოიხადე...

**გლეხი:**—ეჰ. ჩემი სამშაურიანი ქუდი გინდ მოვიხადო, გინდ არა, რა დიდი საქმეა.

— სსს! — მისცა სიგნალი მეთაურმა (მოცეკვავემ) და მთელი ქანდარა სიჩუმემ მოიცვა. ამ სიჩუმეში მალე მოისმა მეთაურის ხარხარი, რომელსაც აჰყვა მთელი ქანდარა; იქიდან პარტერს მოედვა სიცილი; სიცილს მოჰყვა: ტაში, სტვენა, ძახილი და იატაკზე ბრახუნი. ისევ დაფაცურდენ, დატრიალდენ მსახურნი, მაგრამ მათი დაბნეული და გამოურკვეველი მდგომარეობა, კიდევ უფრო აცინებდა მაყურებლებს.

— ნუ ხმაურობთ; მალე დაიწყება! —მოისმა გამგის თანაშემწის ხმა.

— როდის დაიწყება? აქ შენს სანახავად კი არ მოვსულვართ!—ისაყვედურა ერთმა ქანდარიდან.

— რატომაც არ მოვსულვართ! ვერა ხედავ რა გოჭივით მოყვანილი ბიჭია?—ჩააჩუმა მეთაურმა „არამკითხე“ კოლლეგა.

— ჯერ „მინიონში“ მიდის სურათი, მერე „არფასტოში“ და მერე კი...

— რატომ მერე?—ველარ მოითმინა ერთმა მოქალაქემ და ისე უცბად წამოხტა ადგილიდან, თითქოს ქვემოდან ლურსმანი ამოსჭედეს მის სავარძელსო.

— იმიტომ, რომ, ერთი ლენტია მთელ ტფილისში და **ერთდროულად სამ თეატრში** აჩვენე....

ამ დროს ჩაჰქრა სინათლე.

— იშკილ!—დაიძახა ვიღაცამ ქანდარიდან.

— მადლობა ღმერთს!—გაუხარდა პარტერს. სავარძლებში გასწორდენ, ფეხები ფეხზე გადაადვეს, უკან მიაწვენ ზურგით საჯდომებს, მიაცქერდენ ეკრანს და დააღეს ხახა საყურებლათ, მაგრამ...

ეკრანი ციმციმობს... ზედ არაფერს აჩვენებენ...

— იშკილ!—მოისმა ეხლა ბოხი ხმით; ((ეტყობოდა „მოცეკვავე“ იძახოდა, ხოლო ხმა გამოეცვალა). მას აჰყვა ჩვეულებისამებრ მთელი ქანდარა. აქა-იქ პარტერშიაც დაიძახეს. „უფრო მოიტელიგენტოებმა“ ამ სიტყვას გვერდი აუარეს, მაგრამ სამაგიეროთ, ფეხებით და „ტროსტები“-თ ასტეხეს იატაკზე ბრახუნი.

ისევ განათდა.

—პირველი ნაწილი უკვე წამოვიდა „მინიონი“-დან და მალე დაიწყება ჩვენება!— გამოაცხადა ვიღაცამ და ისე გაჰქრა, რომ არავის დაუნახავს იგი.

ქანდარაზე ისევ გაიმართა ცეკვა, შემდეგ სიმღერა. თეატრის მოსამსახურეები ველარ ბედავდენ მათთან მისვლას და შორიდან უცქერდენ დამარცხებულის გამომეტყველებით.

ჩემს გვერდით საკმაოდ ხნიერი კაცი იჯდა და ნერვიულობდა— საათში იცქირებოდა ხშირად და საათის ოქროს ჯაჭვს სრესდა თითებით. ბოლოს ველარ მოითმინა;უნერწყვოთ და დისტოვა დარბაზი“. (ალბად პაემანზე ეჩქარებოდა).

მეკარესთან „დელეგაციებმა“ დაიწყეს სვლა „მდგომარეობის გამოსარკვევად“.

გავიდა ხანი ისევ ატყდა ხმაური.

—დამშვიდდით! მოთმინება იქონიეთ! „არფასტო“-ში უკვე დაიწყეს პირველი ნაწილის ჩვენება; მალე აქაც დაიწყებენ!—გამოაცხადა გამგემ.

—ვაი შენს პატრონს! ამდეხანს კიდევ უნდა ვიცადოთ?—გადმოსძახა ქანდარამ.

—ეს როგორ შეიძლება? ეს საზოგადოების აბუჩად აგდება!— ლოჟიდან დაიძახა ვიღაც მოქალაქემ.

—რატომ „არფასტო“-ში -აიღეს და ჩვენთან არ მოიტანეს?— იკითხა მანდილოსანმა, რომელიც ბრაზისაგან ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა თვალებიდან.

—იმიტომ, რომ „არფასტო შუა გზაზეა... იქ ამაზე უარესი ამბავი ხდება—სულ დაამტვრიეს სკამები, და ამიტომ...

—ვაჰხ! თუ უარესობაზეა საქმე, ერთიც ჩვენც გვკითხეთ და!— ერთხმად დასძახა ქანდარამ და ისეთი ხმაური ატყდა, რომ ქალებმა და ბავშვებმა კივილი მორთეს.

—დაჩუმდით, თორემ მილიციას და „პაჟარნი კამანდას“ გამოვიძახებთ!—

—საჭიროა, საჭირო.— იძახდნენ ქანდარაზე.

ისევ ჩააქრეს სინათლე.

**მეგობრული შარჟი** (ქ. ფოთი)

მუშათა კლუბის გამგე ამხ. ხავთასი ულმობელი მტერია უბილეთო ბავშვების, რომლებიც იერიშით შედიან კლუბში.

(გ. არული).




**თუ ჩამივარდით ხელში...**

# თ ე ლ ა ვ ი



**ერთი მეხანძრე** (მეორეს):—**ნუ გეშინია! თუ თეატრში ხანძარი გაჩნდება, აი აქედან გავიპარებით!**

(რენო).



„აზნაურმა პაპახი მოიხადა.

—კარგია, კარგი.— მოისმა ხმა ქანდარიდან. ამ ხმას მალე კოცნის ხმაური და ქალების კივილ მოჰყვა.

—უიმე, ვიღაც ოხერმა მაკოცა..

—ვაიმე, ჩემო რედიკულო...

—ხელი იტაცეთ ჯიბეში, თორემ ფულს ამოგართმევენ...

მე არხეინად ვიჯექი. ანდა რა სადარდებელი მქონდა— შემს ჯიბეში გახვრეტილი კაპიკსაც ვერ ნახავდა მეძებარი, თუ გინდ მიკროსკოპით ეძებნა იგი.

—აანთეთ სინათლე, აანთეთ—! კიჟოდენ ქალები და ბავშვები.

სიბნელის დროს ჩემს მეორე გვერდში მჯდომ მორცხვ მოქალაქეს ესარგებლა შემთხვევით და გაპარულიყო —„დემონსტრატიულად დაეტოვებია დარბაზი". მე გადავჯექი მის ალაგზე. ორი თავისუფალი ადგილი მარჯვენა მხარეზე მოვიტოვე; (ვინ იცის, ეგებ შეყვარებულები მოვიდენ და მათი დაშორება, ცოდვაა!).

გამოაცხადეს: —„არფასტო" -დან უკვე. გამოუგზავნიათ პირველი ნაწილი.

—იი ოჯახქორი შიკრიკი, „არფასტო"-დან ამდენხანს ველარ მოვიდა?! —წამოიძახა ვიღაცამ.

—ალბად სადმე რესტორანში შეივლის; როცა მოვა, მაშინ იქნება ნამდვილი **„კაცი რესტორანიდან"?** განმარტა ყველას გასაგებად ქანდარის წარმომადგენელმა და ყველას გაეცინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ ლოჟიდან მოისმა ტაში და, სწორედ ამ დროს...

დარბაზში შემოვიდა შექაღარებული ჩოხოსანი მოქალაქე თავისი თავხურიანი მეუღლით. მართალია: გახუნებული და ალაგ -ალაგ დაკერებული იყო მისი ჩოხა, მაგრამ გრძელი ხანჯალი და ძველი ტანსაცმელის „შელანძღულობას".

ეტყობა ვინმე იმერელი „აზნაური" იყო.

ლოჟის ტაშს აჰყვა მოთმინებიდან გამოსული ყველა მაყურებლების ტაში. რომლის ქუხილი მთელ დარბაზს აყრუებდა.

„აზნაური" და მისი მეუღლე დაიბნენ, შეკრთდენ და შუა ალაგას გაჩერდენ.

—ჩვენ გვიკრავენ ტაშს; მადლობა გამოუცხადე.— ჩასჩურჩულა და უჯიქა ცოლმა ქმარს.

„აზნაურმა" პაპახი მოიხადა და იქით- აქეთ, ყოველმხრივ თავის- ქნევით ცოლთან ერთად მადლობას უხდიდა მთელ დარბაზს, რომელიც კიდევ უფრო უმატებდა ტაშს. ქანდარა ფეხზე წამოდგა და მოსულთა მისამართით ოვაციები გამართა.

ატყდა ხარხარი მთელ დარბაზში.

„პატივცემული" ცოლ-ქმარი ჩემს გვერდით დაჯდა.

—ხედავ როგორი პატივი გვცეს? როგორ აღტაცებით შეგვხვდენ?!—ეუბნება ჩურჩულით ცოლი.

—იმე, ბოშო, აბა რა გგონია შენ?! სოფელში არ გვაქვს პატივი და მორიდება გამოყრუებულ გლეხებისაგან, თორემ თფილისში, განათლებულ ხალხში ძველებური ღირსება და პატივცემა გვაქვს!—უთხრა „აზნაურმა" თავის ცოლს და სავარძელში გასწორდა ჩემსავით, რომ მიეღო დიდკაცური სახე.

საათს დავხედე. უკვე დრო იყო ცოლის წინაშე გამოვცხადებულიყავი და მეც „დემონსტრატიულათ" დავტოვე დარბაზი".

**ისელი.**

# „გამოცდებზე"

— თქვენ რაღა ხელობის კაცი ბრძანდებით?

— ექვსი წლის წინად მასწავლებელი გახლდით... შიმშილობამ რო შემაწუხა, კალატოზობა დავიწყე..

— კალატოზობა?

— დიახ, მაშინ აღმშენებლობა დაიწყო საბჭოთა კავშირში.

— მერე?

— მერე და კალატოზების კავშირში ჩავეწერე, მაგრამ სამწუხაროდ ბირჟამ არც მაშინ გამგზავნა სამუშაოზე. იქ დიდხანს ვიყავი უმუშევარი..

— მერე?

— მერე აქა-იქ სახლების კედლების დამთავრება რო მოხდა, ვიფიქრე იქნებ იატაკები მაინც შემაღებინონ მეთქი, ვისწავლე იატაკების შეღებვაც...

— მერე?

— მერე იატაკ-მღებავთა კავშირში გადავეწერე, მაგრამ იქაც დიდხანს ვიყავ უმუშევარი..

— მერე?

— მერე აღარ მახსოვს იქიდან რომელ კავშირში გადავეწერე...

— ეხლა რომელი ხელობისთვის გნებავთ გამოგცადოთ?

— ამდენი უმუშევრობისაგან ყველა ხელობები დამავიწყდა და რომელშიც გნებავთ, იმაში გამომცადეთ.

— თქვენ რაღა ხელობა იცით?

— მე არაფერი ხელობა ქვეყანაზე არ ვიცი. კაი მოქეიფე ბიჭი ვიყავი, სმაში კაცი ვერა მჯობნიდა, თამადობაც ვიცოდი და მიყვარდა უმუშევრობა.

— მერე აქ რაღას მოსულხართ?

— ვა, უმუშევრობა მიყვარდა მეთქი, არ გეუბნებით! აქ ამიტომ მოვედი, რო უმუშევართა რიცხვში ჩამწეროთ და ვიქნები-კიდეც უმუშევარი.

**ფუშანგი.**

# კომპლექსიური მეთოდი

ერთ ადგილობრივ სკოლის ექსკურსიას თავი მოუყრია აქ, სადაც მდ. ყვირილას უერთდება პატრა ღელე აჯამურა – ზევით ზესტაფონის ახლად გაკეთებულია ბონდი. ქვევით კი ნავი მუშაობს.

**მასწავლ.** რა არის ეს? (მიუთითებს ღელეზე).

**მოწაფეები:** წყალია, ბატონო, წყალი.

**მასწ.** წყალია, მაგრამ როგორი წყალია?

**მოწაფეები:** მღვრიე, ბატონო, მღვრიე.

**მასწ.** კიდევ ვერ მიმიხვდით; როგორი წყალია — დამდგარი თუ მიმავალი?

**მოწაფეები:** მიმავალია, ბატონო მიმავალი: წისქვილებსაც აბრუნებს.

**მასწ.** მერე მიმავალ წყალს რა ჰქვია?

**მოწაფეები:** აჯამურა, ბატონო, აჯამურა.

**მასწ.** ოხ, რა ტუტუცები ხართ! მიმდინარე წყალს ხომ მდინარე ჰქვია! — აი ამას გეკითხებით!

**მოწ.** უი, ბატონო... მდინარე, ჰო მდინარე.

**მასწ.** აი ეხლა ეს რა არის? (უჩვენებს ყვირილაზე).

**მოწ.** ყვირილა, ბატონო, ყვირილა.

**მასწ.** ბიჭო, აი წელან რომ გითხარით! რა არის მერე ეგ ყვირილა?

**მოწ.** წყალია, ბატონო, წყალი.

**მასწ.** მერე როგორი წყალი?

**მოწ.** შავქვიანია, ბატონო, შავქვიანი!

**მასწ.** აი, თქვე სულელებო, წელან არ გითხარით?

**ერთი მოწ.** მდინარე, ბატონო.

**მოწაფეები:** ტყუის, ბატონო, ზღვა არის, ზღვა.

**მასწ.** არა, ყვირილა მდინარეა.

**მოწაფეები:** არა ბატონო, ასე პატარა აჯამურა თუ მდინარეა, ყვირილა ზღვა არის, ბატონო!

**მასწ.** მე გეუბნებით, რომ ყვირილა მდინარეა.

**მოწ.** ტყუანის დედა...

**მასწ.** ზღვა კომპლექსიური მეთოდის თანახმად არის ისეთი ტბა, როგორიც არის მაგ. შავი ზღვა.

**მოწ.** უი, ბატონო, რა ყოფილა?!

**მასწ.** აბა, მითხარით, — რა სარგებლობა მოაქვს ყვირილას?

**ერთი მოწ.** ყვირილას ის სარგებლობა მოაქვს, ბატონო, რომ წრეულს, მაგალითად, ზედ გააკეთეს ბონდი, რომელიც აღებული ქონდა გასაკეთებლად მაისურაძეს. გააკეთა და ეიღო ასი თუმანი... აი, ბატონო, სარგებლობა ეს არის.

**მასწ.** ტყუილია! აბა შენ სთქვი, ლევანი!

**ლევან:** ბატონო, ყვირილას ის სარგებლობა მოაქვს რომ, ე, ბატონო, ქვეით რომ ნავია, იმაზე თითო კაცის გაყვანაზე იხდევინებიან შაურს; დღეში ხუთასი კაცი დადის. აი, ბატონო, სარგებლობა.

**მასწ.** ეგ კი არა, ყვირილიდან, თანახმად კომპლექსიური მეთოდისა, შეიძლება არხის გაყვანა. ეს კი დიდი სასარგებლოა.

**მოწ.** არის, ბატონო, ერთი არხი, მარა არაფერი სარგებლობა არ მოაქვს.

**მასწ.** ეგ უწყლო არხია. მაგ არხში შეძლება გადავიდეს წყალი თუ ვინმემ გაიყვანა.

**ძგუნტი.**

# მაქსიმეს გასაჭირი

— რატო არ დაიწვა იგი დღე, რაცხა დღეს მე დავიბადე! ქე იტყვით: რაზე იწყევლი ასთე თავსო, მარა მოდი და ნუ დეიწყევლი თავს, როცა დუნიაში თითის საჩვენებელი გავხდი.

რაცხა ჩემ დასაფსებათ ჩემმა ექვთიმემ გაათავა აქანე ცხრა კლასია თუ დაფსობა და ეიჩემა: გინდა თუ არა, უნდა მიშოვო რამეფრათ ფული, ჩევიდე ქალაქშიო და შევიდო იქინე უმინერსტებშიო.

ვუშალე ბევრი: მეიცა ბოშო, პატარა ხანს მაგ შენ სწავლას არავინ წაგართომს, ქე გექნება ისთევე, და როცხა მიხვალ იქინა, რა უშავს-თქვა.

თქვენც არ მომიკვტეთ, აგი იმან ხო დაიჯერა: მე ვწუხვარ თქვენი გულისთვის, მალე გავათავეფ იქინე სტავლას, მერე საფსახურში შევალ და ფულს პანტასავით მოგაყრითო.

რო არ მომცა არაფრით საშველი და ჩამაყინდა, ქე ვიფიქრე მე სულელმა: იქნება მართლა ღმერთმა გადმოგვხედოს-თქვა. ვეცი აქეთ - იქით, ვის სად მივაწყდი და ქე შევკონკე რაცხაფერათ ხუთი ჩერვონსტი. ურია არ გამიშვია და ქრისტიანი უვალებელი.

წევიდა ქალაქშით.

გევიდა ორი კვირე და მომივიდა წიგნი.

გავხსენი, წევიკითხე. მწერდა: „მამაჩემო ეგზამანებს ვაბარეფ ეხლა სულ პიატებზე, ცოტა ფული შემომელია და თუ არ მომაწოდე დროზე, ჩემი საქმე გლახათ წავაო“.

ჩავარდი ცეცხლში, რაღას ვიზამდი, გავყიდე ჩემი ძროხა და წევედი იქინე.

ჩევედი დიდი ცოდვილებით ქალაქში. ვიფიქრე: აწი ღარა მიშავს-თქვა, მარა ჯერ სადაა თურმე გაჭირვება. რო ჩამევედი პოვეზდიდან და გამევიარე პატარაზე, მოშპა ვიცხა და მეტეკა ხელში:

— აპა, ამხანაგო უნდა ავწონოთ შენი ვეშჩიო!

— იმე, რა აწონა უნდა ამას-თქვა? — ვკითხე.

— იგი ჩვენ ეიციითო! წამიყვანა. შედვეს ჩემი ხურჯუნი სასწორზე. შტრაფი გადიხადე თვარა, ხურჯინს არ მოქცემთო. გავშტერდი კაცი, რას ვიზამდი; მიგეცი ფული და გამომაგდეს გარედ.

სათ გინდა ახლა გაიგნო თავი?! შემომესიენ მთელი პოლკი ბაღნების და დამიწყეს ხვეწნა: „მეიტა მე წაგიღეფთო“. გავბრაზდი და გავრეკე ყველეი. მერე ვიცხამ მითხრა ერთმა, ეგერ კონკაში ჩაჯექი და პრიამოთ შენ შვილთან მიგიყვანსო“.

გემეხარდა გაბრაზებულს გუნებაზე; ევიგდე თავი და მიველ რაცხა კონკასთან. ის იყო შევდგი ხურჯინი და ქეც წევიდა იგი. ეხლა კი გავბრაზდი, დავკარი ფეხი და ქე გევედევნე უკან, მარა თქვენს მტერს. ავდგი თუ არა ზეთ ფეხი ქე ჩამოვარდი ისთევ ძირს და ერთიანად ამოვევლე ნაგავში. გააჩერეს იგი რავაც იქნა; მოვფოფხთი ქვეყნის სამარცხვინოთ. ევედი ზეთ, მარა ვაი ამ ასვლას —სადღაა ხურჯინი. ამ დარდს კიდო ვინ გაკმარა, ვიცახა კაცმა მეტაკა და მანათი გადამახთოვია: აგი რო ახტი იმიზა არისო. ამენთო გულში ოუნთებელი და გამიჩნდა გოუჩინარი. საითაც მივიხედე, ყველეი მე მიმზერდა. გავწითლდი, შემრცხვა და ვინ იცის კიდო რა არ დამემართა.

— შენ დოუქციე ღმერთო, ცოლშვილი ვიცხამ აქანე ამოსვლა მასტავლა-თქვა. გაჩერდა კონკა. ჩევედი და გოუდექი გზას. მივალ მარა, არც მე ვიცი სად მივალ. შევედი დუქანში, ავაწონიე პური და ვიფიქრე თან რასმეს ვკითხავ-თქვა. გამევისვი ჯიბეზე ხელი, რას ეძეფ. სადღაა ფული? დავკარი ფეხი, დავწყევლე იქოურობა და დიდის გაჭირვებით უკან დავბრუნდი სოფელში, ისე რომ ჩემი ბიჭი არ მინახავს ქალაქში.

დავწერე წერილი და შევუთვალე: „შვილო, დეიქცეს მადაურობა. შენი ფული შტრაფებს და ქურდებს არ ეყო და შენ რას მოგრჩებოდა-თქვა. მოორეთ აღარ შემომითვალო, თვარა სულ ერთია, იგიც ეგენს მოუნდება-თქვა“ სტორეთ არაა თუ?!

**ყაიხარ.**

# „დ ა ვ ა“

## სცენა ოჯახში

ცოლს გარდა, სხვებიც მეძახიან ქარაფშუტას. მე არ ვეთანხმები მათ მიერ ჩემს ასეთ შეფასებას, რადგან კარგად ვიცი, რომ თავში ქარი და ფშუტა კი არა, ტვინიც არა მაქვს.

ერთ დღეს საგანცხადებო ბოძიდან მოვხსენი განცხადება საბუჰალტერიო კურსების შესახებ და სახლში წავიღე.

— დედაკაცო,—ვეუბნები ჩემს ცოლს,—მე უნდა შევიდე საბუჰალტერიო კურსებზე და მერმე სამსახურის შოვნა ადვილია...

— მეც შევალ კინო-არტისტობის კურსებზე!—წამოიძახა ცოლმა.

— რას მიედ-მოედები! ვინ გაიგონა შენი არტისტობა? სადაური პოლა ნეგრი, შენა მყავხარ?

— ნეგრიცა ხარ და ინდუსიც თუ კაია!.. ყაძახო, სასაცილოთ ვის იგდებ შენ? ნეგრზე უფრო უარესი ხარ!—გამიჯავრდა ცოლი.

—:—

სახკინმრეწვიდან დაბრუნდა ჩემი ცოლი.

ვერაფრის თქმა ვერ გაუბედე; ეტყობოდა გაბრაზებული იყო. ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და ვკითხე:

— როგორ არის საქმე?

— ასე მითხრეს: „ქესტები“ არ გივარგაო.

— მართალი კი უთქვამენ. შენი არც „ქესტი“ ვარგა და არც კრამიტი.

— რას ამბობ, რას? კიდევ დამცინი? მე ფული მინდა, ფული, ბევრი ფული!—და ბრაზისაგან არ იცოდა რა ექნა. მუსკულები კანდელაკივით დაეჭიმა, თვალებში ამოკი ჩაუჯდა, ხოლო მუცელი სამანაშვილის დედინაცვალსავით გამოებერა. ის იყო უნდა ქორივით დამცემოდა, რომ მე ჯიბიდან ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია ამოვიღე და ვუთხარი:

— არ შეცდე, არაფერი ცუდი მიქნა. აქ არის ოცდახუთი ათასი მანეთი!—და თან ობლიგაციას ვატრიალებდი ხელში.

მართლაც, აშის შემდეგ ცოლ-ქმარს ჩხუბი აღარ მოგვდისთ ერთმანეთში. ცოლს იმედი აქვს, რომ ფულს მოვიგებთ. ჯერ ის რაღ ღირს, რომ ცოლი დამშვიდდა, ყოველივე საყიდლები მერმისთვის გადასდო და მე მომასვენა!

ვისაც უნდა ოჯახში მშვიდობიანობა დაამყაროს, აუცილებლად უნდა იყოს სესხის ობლიგაცია.

ყოველივე მოთხოვნილებები მოგებისათვის გადადეთ!

მოგებით დაიმედებული ცოლები აღარ შეაწუხებენ ქმრებს.

აჭალი

## გორის ხილი



ვაშლი, ატამი გორისა
ძალიან გემრიელია.
გარედან ბრწყინავს. კალათი
და შიგნით ცარიელია.

ღრმად დამწუხრებული ხეთის (ზუგდიდის მაზრა) თემის გლეხობა აუწყებს ყველას, რომ გარდაიცვალა **სახალხო სახლის ასაშენებელი**

**ხე-ტყის მასალა,**

რომლის გამოსვენება მოხდება ფილიპე ბუკიას სამმართველოდან.

(ენამურე).

**საჭამიასერის (გურია) გლეხკომის ჰირისუფალნი: ივ. ხუნდაძე, ისიდორე ვაჩეიშვილი, ტარასი ხუნდაძე და ვანიჩქა ზაქარეიშვილი აუწყებენ თავიანთ ჯიბეებს და კუჭებს, რომ ხუთი წლის ჭამის შემდეგ გარდაიცვალა მათი დროების გამტარებელი და საყვარელი გლეხკომის**

**წითელი სასადილო**

**რომლის ნეშტი (გუდა-ტიკჭორები, ბოთლები, ძაბრი, წინსაფარი (ფართუკი) და სხვა ასეთი ხურდა-მურდა ნივთები) გადასვენებულ იქნა ბიკტორ ხუნდაძის სამიკიტნოში.**

მონდობილობით კირილეისონ.

ზესტაფონის ცხრაწლედის მე-9-რე ჯგუფის მოწაფეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, მასწავლებლებს და ყველას, რომ ხანგრძლივი შეგროვების შემდეგ შემგროველთა ხელში გარდაიცვალა მათი იმედი და ნუგეში.

**78 მანეთი**

რომელიც შეკრეფილ იყო ქართველ მწერალთა ანტოლოგიის და უცხო სიტყვათა ლექსიკონის შესაძენათ.

პანაშვიდი ყოველ დღე, ქ. ზესტაფონში, ახალ გაკეთებულ ბონდზე.

## საშას სიმღერა

(საწირე, ქუთ. მაზრა)

ჩვენ ვეწვიოთ სამკითხველოს,
თუ კი იქნა იგი ღია;
აქ მის გამგეს ყიფიანსა
ეშხით პირი გაუღია,
და იმღერის: — სახლში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო;
სამკითხველო გაუხსნიათ
ალმასკომის გვერდზედაო.
პოლიტგანმა გამოუგზავნა,
რადგან მწყალობს პროტექცია;
და მეც კარგად შევადგინე,
სამკითხველოს პროექტია.
ათ საათზე რომ გავაღებ,
დავკეტავ მას სამ საათზე;
(პროტექცია როცა მწყალობს,
ვინ რას მეტყვის მე ამაზე?).

გორკი.

**რიონი**

სად. რიონის ბუდკაში მოვაჰრე ნიკიფ. ბერიძეს, რომ თავი ემართლებია კედლის გაზეთის ბრალდებიდან, დასწერა დიდი განცხადება, რომელზედაც ხელის მოწერა სთხოვა 70-მდე მუშა - მოსამსახურეს.

ოცი წელი ვაჰარი ვარ,
და არ მახსოვს მსგავსი რამა.
ამ ბოლო დროს ის „ნაჯლაბნი".
იცის ღმერთმა, არ მიამა.
ასე უთხრა ნიკიფორემ
პეტრეს ნიკოს, ივლიანეს...
კაცო, სხვებსაც მოველოდი
ნეტა რათ დაიგვიანეს?
აბა ძმებო მომიწერეთ
ამ „სიმართლეს" ყველამ ხელი.
იცის ღმერთმა და თქვენც კარგათ
ამ შრომაში ჩამწყდა წელი.
მერმე ვისთვის? ისევ თქვენთვის,
რომ იოლათ დაგაპუროთ;
კარგად იცით, რომ უჩემოთ!..
დარჩებოდით თქვენ უპუროთ...
მე რომ არა... მაგრამ კმარა
მოაწერეთ ყველამ ხელი...
მაგრამ მე მწამს ეს ოინი
მის „გმირობას" არ უშველის...

ია.

„ტარტაროზი" № 125
საიუბილეო
ნომერი
ოქტომბრის დღესასწაულზე

# ფოსტის ყუთი

**ვერელს.** შარადაში ერთ ალაგას ასე სწერთ:

**სახელმწიფოს ჩვენ წავართვათ**
**დასაწყისი ორი ახო.**
**აწი დავგრჩათ, ძმებო, ერთი**
**„ო" იხმარეთ მის ალაგას,**
**გახლავთ ესა მამა ღმერთი.**

ალბად მისი „მადლი" გაგწყრომიათ და აუფორიაქებია თქვენი აზროვნება.

**აწ დაიწყეთ მეორედან**
**და მიაყოლეთ პირველი...**

ჩვენც ასე მოვიქეცით.

**ესე იგი თქვენი შარადა,**
**გადავისროლეთ ჩქარადა.** (რა თქმა უნდა გოდორში).

შემდეგ სოფ. ნაქალაქევის (სენაკის მაზრა) შესახებ. გვწერთ:

**თქვენ ქალები გადაპროშტეთ,**
**ჩვენ კი გული წაგვიხდესა.**
**აუკრძალეს ექიმს კოცნა**
**და მიგვატოვა ექიმმა,**
**ამიტომ კვდება ხალხიო.**

სულ ერთია, მაინც არაფრის გაკეთება შესძლებია თქვენს ექიმს, თორემ კოცნის აკრძალვის გამო არ გაიქცეოდა.

კარგი იქნებოდა, რომ გაქცევის დროს თან წაელო ეს თქვენი ლექსი.

**ჩუკის.** (იქიდანვე): — „**რიგი. იგი, ჩქარა სარა**" ლექსისათვის არა კმარა.

**„კოკონას"** (ტყიბული):—პირველ სტრიქონშივე უშვებთ შეცდომას. ასე სწერია:

**მოვმართე ჩოგნის სიმები...** (ალბად უნდა იყოს ჩანგის). ჯერ-ჯერობით დაკმაყოფილდით ამ ჩვენი შესწორებით.

**ქ. ბაბილუას:** განვიხილოთ თქვენი შარადა:

**ახალგაზრდა ვარ, მოვხუცდი,**
**ჯოხით დავდივარ წყნარადა...**

დაუკვირდით კარგად ამ თქვენს გამოთქმას. (არისტოტელეს ლოღიკას ყირამალა ატრიალებთ... ყოჩაღ თქვენ!). რომელი მოხუცია ახალგაზრდა, და რომელი ახალგაზრდაა მოხუცი? (რა ამბავი ხდება თქვენს თავში?).

შემდეგ: **პორტუგალიის ნავთსადგურს**

**სულ წინა ასე წავკრიჭოთ;**
**რაც დარჩა: ვცემოთ, გავლახოთ**
**იქვე დავყაროთ, დავგლიჯოთ.**

თუ მილიციელმა დაგინახა, — მაშინ ნახავთ რაც ბიჭი ხართ.

კიდევ შემდეგ:

**ცხენი ხჭამს, ძროხა ინელებს,**
**რომ მით მან მოგვცეს რძე მეტი.**
**მეორე ახო თავიდან**
**(მოუვიდა ბნედა-რეტი)...**

აბა რა დაემართებოდა თქვენს ხელში ჩავარდნილს! თქვენი შარადა მიბაძვაა ვარდენ ღვანკითელისა.

**მუხა დაბლელს.** (საჭამიასერი): — ვათავსებთ სურათს თქვენივე წარწერით:

**ეს იესე ყენია ცხრაას ხუთის „გმირია",**



**(ბევრჯერ ჯაშუშობისთვის მოუნგრიეს ცხვირია):**
**დღეს ღვინოში იხრჩობა სევდის მოსაკლავადა;**
**რა დღესაც არ დათვრება, იმ დღეს არის ავათა**

**ასკანელს.** არ დაიბეჭდება.

**კაპოს:** — შარადიდან რომ „ინდუსტრიალიზაცია" გამოიყვანოთ, თქვენ ხმარობთ სიტყვებს: **ინდაური, სტეფანე, როიალი** და **ორგანიზაცია.**

მაგრამ აქ ერთი უბედურება მოხდა: სტეფანემ მიირთვა თქვენი ინდაური, გაძღომის შემდეგ დაუკრა როიალზე და დაავიწყდა როგორც ორგანიზაცია, ისე **ინდუსტრიალიზაცია.**

ინდაურიდან მიღებული ინდუსტრიალიზაცია (და შარადაც) თქვენთვის დაგვილოცნია.

# ნოემბრისათვის

## ყველამ გამოიწერეთ გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“

ეს ყველასათვის სავალდებულოა, რადგან შთამომავლობას უნდა შეუნახოთ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების ამბები, რომლებიც მოთავსებული იქნება ნოემბრის ნომრებში.

გამოდის „ტარტაროზი“-ს სპეციალური საიუბილეო ნომერი (125) ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე.



### ლევარსი როხროხაძის მოწოდება მკითხველებისადმი

ამიერიდან დაკმაყოფილებულია თქვენი სამართლიანი საყვედური ჩემს მიმართ იმის შესახებ, რომ მე იშვიათად გამოვდიოდი „ტარტაროზი“-ს ფურცლებზე.

ამიერიდან ყოველ ნომერში მე თქვენ მოგაწვდით ჩემს წერილებს და ამბავს ჩემი ცხოვრების თავგადასავლიდან.

## ჯერ კიდევ შეიძლება ნოემბრისათვის ხელისმოწერა

ხელისმოწერა მიიღება: ადგილობრივ გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის № 6); პროვინციებში—კონტრ-აგენტებთან და მთავარ კანტორის განყოფილებებში.


პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა, № 68.




მალე, სულ მალე მთელ მსოფლიოს შემოეხვევა
ეს ოქტომბერი—გრიგალივით რომ მორბის ახლა,..
მივიწევთ სულ წინ... ჩვენ დავლეწავთ მტარვალთ ბორკილებს
და ამ ბრძოლაში ჩვენ არ ვიგრძნობთ არასდროს დაღლას.

# საიდუმლო წერილი

დიდი ბაასი და კამათი გამოიწვია ჩვენს რედაქციაში იმ საკითხმა, თუ რომელი წერილი უნდა გაგვეშვა მოწინავეთ ჟურნალში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

ეს დავა დაიწყო სამი-ოთხი წლის წინად. საკითხი გამწვავედა: რედაქცია რამოდენიმე ბანაკად დაიყო. თვითეულ ბანაკს იერიში მოჰქონდა ჟურნალის მოწინავის ადგილზე და ცდილობდა პოზიცია გაემაგრებია.

ამაოდ: ვერც ერთმა ბანაკმა ვერ გაიმარჯვა.

ბოლოს საკითხი გადაჭრა ერთმა ფრიად საინტერესო გარემოებამ: ამ სტრიქონების ავტორი და პატრონი ერთხელ რაღაც ბედნიერ შემთხვევით გადააწყდა ფრიად საიდუმლო წერილს, რომელიც სადღაც იგზავნებოდა და რომელსაც ხელს აწერს შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუცია.

რედაქციამ იფიქრა, იმსჯელა, იკამათა და ითათბირა და ბოლოს გამოიტანა რეზოლიუცია: პირველ წერილად დაებეჭდა ეს დოკუმენტი. მოგვყავს უმთავრესი ადგილები:

„სამწუხაროდ, დღეს აღარავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის ფაქტი, რომ ეს შეჩვენებულები ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს დღესასწაულობენ. მორჩა, ათი წლის თავს დღესასწაულობს ის ქვეყანა, სადაც აღარ გაევლება არც თავადს, არც აზნაურს, არც მღვდელს, არც ღენერალს და არც დეისტვიტელნი სასტიკი სოვეტნიკს".

ნუ თუ დავიჯეროთ, რომ ბოლშევიკური ქვეყანა მართლაც აღორძინდა?

არა და არა, ათასჯერ არა.

რას იკვეხნიან ეგენი, რითი ამაყობენ?

პირველი: **პროლეტარიატის ბატონობით.**

მერე და კარგი რამეა, როცა უბრალო მუშა დაჯდება ღვთისგან ნაკურთხ ტახტზე და საწარმოო თათბირს გამართავს?

ვფიქრობთ, რომ—არა. ასეთი უკუღმართი წყობილება შეიძლება მოეწყოს. მხოლოდ ისევ მაგათანა ბუნტოვშჩიკებს და აგიტატორებს, რომლებსაც არ სწამა არც ხატი, არც რჯული, არც ფაშიზმი და არც მენშევიზმი. განა შეიძლება პატიოსანმა კაცმა იცხოვროს ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველა გათანასწორებულია და ყოველ კოჭრიან ხელს უფლება აქვს თითი აწიოს საპარლამენტო სხდომაზე?

**მრეწველობა აღვადგინეთ.** ომის დონეს გაუთანასწორდით და გადავაცილეთ კიდეცაო, გაიძახიან კომუნისტები.

მერე და ერთი ვიკითხოთ, თუ აღსადგენათ უნდოდათ, რაღას ანგრევდენ იმ ქარხნებს?— არა, მაგათ მრეწველობის განვითარება რომ უნდოდეთ, ევროპის და ამერიკის მდიდრებს შემოუშვებენ საბჭოთა კავშირში. მართალია, ინდუსტრიას ანვითარებენ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი მუშები გამოკვებონ და გლეხებიც დააკმაყოფილონ. მერე ამით ჩვენ რა გვიკეთდება, ვინ რას მოგვაშავებს? ცხადია, არაფერს. მართალია, ახალ წარმოებებსაც აგებენ მაგრამ რას უზამენ, სად წაიღებენ სამრეწველო საქონელს? ალბათ სხვა ქვეყნებშიაც გაიტანენ (რაც მორჩებათ) და იქ მეტოქეობას გაუწევენ პატიოსან ვაჭრებს და მრეწველებს, რომ ისინიც გააკოტრონ, ეს არის მაგათი კაი კაცობა.

**სოფლის მეურნეობას აყვავებენ:** რა ყრია მერე მაგ აყვავებაში? მაგას ის შედეგი მოყვება, რომ მთელ მიწებს გადახნავენ, დათესენ და დარგავენ და კაცს ხეირიანი საქეიფო ადგილი აღარ გექნება, რომ კორდზე ალხენიანთ მოიკალათო. გლეხებს სესხს აძლევენ. თუ გასესხებული ფული აქვთ, რა უჭირთ ჩვენ გვასესხონ, ან და ვალები გადაიხადონ, რომ გაყვლიფეს მთელი ევროპის და ამერიკის პატიოსანი ბანკირები და შინაური ბურჟუაზიაც კუდის რიკამდე გაატყავეს?

**ხელფასი გაადიდეს და მუშებს ბინებს უშენებენ.** სანამდე წავა მერე ეს გადიდება? სულერთია, კაცის (და მით უმეტეს მაგათი) გული მაინც ვერ გაძღება: ყოველ წელიწადს უმატებენ და მაინც ვერ მოისვენეს, კიდევ მომატებაზე ფიქრობენ. განა არ იციან, რომ მუშას რომ ახალ ბინაში ჩაასახლებ, თავი დიდი კაცი ეგონება და მერე სახლების შენებას დაიწყებს? ეს კარგად იციან, მაგრამ მაინც, ჩვენი გულის მოსაკლავად ჩადიან ამ საქმეს.

**მართალია, განათლება შემოიღეს** და აუარებელი სკოლები დაარსეს, მაგრამ ეს უარესია: ყველა რომ ნასწავლი გახდება და მუშფაკს დაამთავრებს, ქარხანაში მუშაობას აღარავინ იკადრებს და რომც იკადროს, არ არის ლამაზი, როცა ნასწავლი კაცი მუშის სახელს დაირქმევს. შემდეგ: ასწავლიან, მაგრამ ვის ასწავლიან! პირველად მუშების და ღატაკების შვილებს იღებენ, ბოლოს, თუ ადგილი დარჩა, კეთილშობილებსაც უთმობენ თითო-ოროლა ადგილს..

როგორ შებრუნდა დრო?..

**მართალია ისიც, რომ ჯანმრთელობის საქმე წინ წასწიეს,** მაგრამ ნუ თუ გასახარელია? ყველა რომ მორჩეს და კარგად იყოს, რა უნდა ჭამოს ექიმმა, ფერშალმა, ექიმბაშმა და მკითხველმა?

**ჩვენც ვხედავთ, რომ კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა იზრდება.** ვხედავთ და ვგრძნობთ, თუ რა საშინელებას უმზადებს ეს გარემოება ქვეყანას: კოოპერაციის გაძლიერებით საბოლოოთ მოისპობა კერძო ვაჭრობა (რომელიც დღესაც ძალზე მიკნავებულია) და ეს აუარებელი ვაჭრები გარეთ დარჩება. წვრილი ხელოსნები კიდევ რა გვენაღვლება. მაგრამ რა უნდა უყოთ გილდების ვაჭრებს, ფუფუნებაში აღზრდილ ხალხს? ცხადია, მათი მდგომარეობა უნუგეშოა. ბევრმა კიდეც დაკეტა დუქანი.

**ელექტროფიკაციას ატარებენ.** ჰიდრო-სადგურები ააშენეს. მერე და, რომ ღმერთმა ინებოს და ჩვენ დავბრუნდეთ, სადღა წავიღოთ ნავთი და მაზუტი? განა არ იციან, რომ ელექტრონის შუქი თვალს აფუჭებს? იციან, მაგრამ განგებ აშენებენ. ვოლხოვსტროი ააგეს, ზაჰესი აამუშავეს, დნეპროსტროის იწყებენ. რიონჰესი დაიწყეს... თაფარავანის ტბასაც აღარ აყენებენ და იქაც ჰიდრო-სადგურის აგებას ფიქრობენ. სახალ [illegible] სანთლებს, ჭრაქებს და პატრუქებს აპუსტიაკებენ და მაინც და მაინც ელექტრონს უჭყიატებენ თვალში... სირცხვილია, სირცხვილი!

**მიწები ჩამოართვეს** თავად-აზნაურობას და ღატაკებს დაურიგეს... რათა ძმაო, რა ნება გაქვს ამ ჩემ მამა-პაპისეულ ქონებას რომ მართმევ? ამ სხვისი მიწებით რომ გლეხობას თაფლავ, შემამულემ რაღა დაგიშავა, ღვთისგან ბოძებულს რატომ ართმევ?

**ეკლესიები დაანგრიეს,**—კლუბები ააშენეს, ღვდლები გაკრიჭეს, უმუშევრებთან დატოვეს. გზების გაყავთ, ხიდებს აგებენ, ქარხნებს აწყობენ, ქალაქებს ამშვენიერებენ... ვინ იცის კიდევ, რა უწესოებას არ ჩადიან. რა მოყვება ყველა ამას?.. მოყვება ის, რომ სხვა ქვეყნის მუშაც შეხედავს მაგათ თარეშს და მასაც გული აუცრუვდება მუშაობაზე, ადგება, ამხანაგებს აიყოლიებს, მეფეებს და ეპისკოპოსებს გადმოაყირავებს, ქვეყანას დაანგრევს და მერე მისებურათ ააშენებს...

ჰოი, ყოვლად წმინდაო ჩემბერლენ! მოგვიხსენე ჩვენ ბედკრული, ოდეს მოხვიდე პალატასა მას ლორდთასა; დაიხმარე უწმინდესი მუსოლინი და ფოშ-ჰინ[illegible] და მიიღე ზომები შესაფერისი. თორემ სულერთია: კარგი დღე არც თქვენ დაგადგებათ თვით პროლ[illegible]რიატისა მის თქვენისა ქვეყნისაისაგან.

განვედი ქვეყნისაგან დიქტატურავ პროლეტარიატისაო. ვითაარმედ მოსვლითა მით შენითა წაერთვა მოსვენება და განცხრომა ბერ-მონაზონსა, წაერთვა მოსა, ღენერალ-ღუბერნატორთა და კეთილშობილთა მათ გვამთა ამინ".

ტერსიტი.

## თებერვლის ოქტომბრის „გადატრიალება“

ოქტომბრის რევოლუციამდე

(სურათი უკუღმა შეაბრუნეთ)



ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ

# „წლიური“

სრულიად შემთხვევით ტარტაროზს ხელში ჩაუვარდა უცნობ პიროვნების „წლიური“ (დიახ, წლიური და არა დღიური), რომელსაც აქვე ვათავსებთ:

**1917 წ.**

**ოქტომბრამდე**

არც ისე საშიში და საზარელი ყოფილა რევოლიუცია, როგორც ეს პირველად მეჩვენებოდა.

ასე მეგონა — თვითმპყრობელობის ჟამხობის შემდეგ, უკუღმა დატრიალდებოდა ჩემი ცხოვრების ჩარხი, მაგრამ, საბედნიეროდ, არ გამართლდა ჩემი შიში.

რას ვერჩით სოციალისტებს! მართალია: სათათბიროში ხანდახან „ტყავს გვაძრობდენ“, მაგრამ ეხლა, როცა ძალაუფლება თითქმის მათ ხელშია, ტყავი კი არა, შუბაც ვერ გაგვხადეს, და თუ გვხდიან ეს მხოლოდ იმიტომ, რომ — პატივი გვცენ, გვემსახურონ, როგორც ლაქიამ თავის ბატონს.

ჯერჯერობით ითამაშონ; თავი შეიქციონ. მათი ყოლა საჭიროა, თორემ ბოლშევიკები... ფუი ეშმაკს... ჯვარი აქა და ოქროს საყვირი... წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს!

კიდევ და ასე სჯობია. კერენსკის თავიდან მოსაშორებლად ორიოდე პოლკი ჯარი დაგვჭირდებოდა.. ეხლა კი აღარაფერი აღარ გვჭირია, რადგან ბოლშევიკებს ერთი კვირის არსებობის მეტი არ უწერია. ბედი გვწყალობს რაღა!

წაიღონ...ჩამოგვართვან, რამდენიმე დღით გავძლებთ ასე შევიწროვებულათ, — და მერე ჩვენ გვკითხონ სამაგიერო... მე ვამბობ: — ორივე ხელების თითები არ არის საჭირო მათი დღეების დასათვლელად.

დღეში ორ-სამჯერ ვწვები დასაძინებლათ, ქუჩიდან მესმის ხმაური და სროლა, მაგრამ მე, სამედო ალაგას

ვარ — ჩემი სახლის სარდაფშია და უშიშრად ვიძინებ... ვიძინებ იმიტომ, რომ მჯერა: ერთხელაც იქნება და გამოღვიძების შემდეგ ბოლშევიკები აღარ იქნებიან.

დიახ, ყოველ დაძინებისა და გამოღვიძების შემდეგ გადატრიალებას ველოდები.

მართალია: ძნელია აქ სარდაფში მალვა და ყოფნა, მაგრამ ეს ხომ რამდენიმე დღით! ყოველ შემთხვევაში ჩეკაზე უარესი არ არის!

**1918 წ.**

სიმშილით რომ მოვკვდე, მაგათთან არ ვიმსახურებ — ჩემს იდეას ჩირქს არ მოვსცხებ. თუ ამდენხანს კი გავსძელი, ორ-სამ თვეს კიდევ გაუძლებ. მერე ხომ მაგინი მაინც არ იქნებიან!

სად წავლენ? ყოველმხრივ გენერლები ჰყავთ შემოსეული. კუდით ახროლინებენ ქვას; დასამალავი ადგილიც არსად ექნებათ. რას მერჩიან! აწი ამოვალ სარდაფიდან.

**1919 წ.**

ალბად ორი წელიწადი არსებობა თავიდან ეწერათ ამ წყეულებს.

ყოველ შემთხვევაში შევალ სამსახურში, თორემ კუდის რიკამდე გამატყავეს და გადამალული ქონებაც შემომელია. საბოტაჟით არ დამარცხდებიან. რატომ უნდა მოვკვდე სიმშილით? თუ მოვკდი, მერე ხომ ველარ მოვესწრები მაგათ დამარცხებას!? ვიმსახურებ ხეირს მაინც არ დავაყრი; თუ რამეს წავუხდენ, თორემ გაკეთებით არაფერს არ გავუკეთებ.

უნდა ვიმსახურო, თორემ ჩემი ცოლი სხვებს უცქერის — „იმას „პაიოკს“ აძლევენ და ყველაფერი ბევრი აქვსო“.

ხვალიდანვე შევუდგები სამსახურს. ნუ გეშინია, დიდი ძებნა არ უნდა. ვინც კი მაგათთან სამსახურს იკადრებს, სიამოვნებით მიიღებენ. (ღმერთო, შენ იცოდე, რომ მე გაჭირვება მაიძულებს მაგათთან სამსახურს).

**1920 წ.**

ოჰო! კი ისმახურებ, შენ ნუ მომიკვდე, მაგრამ ვინ გაძლევს სამსახურს?

— უშენოდაც ადვილად წავალთ!.. ერთი ამათ უყურე! თავი მოვიდაბლე — მაგათთან სამსახური ვიკადრე და, სამსახურსაც აღარ მაძლევენ!

საწყალ გენერლებს რა დღე დააყენეს?! კიდევ კარგი, რო მოკავშირეებმა წაიყვანეს თორემ ფრთებ-დაჭრილ ბატებივით ჩაიხრჩობოდენ ზღვებში.

რაშია საქმე, რომ ჩემი ცოლი მიშკას — ჩვენს ყოფილ მოსამსახურეს დაუმეგობრდა? ხშირად ვხედავ მასთან! ალბად პოლიტიკაა. მიშკა ბოლშევიკობს და ჩემს ცოლს ეშინია, მიშკამ ჩეკას ჩემი თავი არ დააჭერიოს!

მაგრამ გუშინისწინ, რომ იმათ თვალი მოვკარი, რაღაც...

რატომ მეუბნება ხშირად ცოლი:

— შენ რაც გინდა ის ქენი! მე კი მიშკამ დამპატიჟა და მასთან მივდივარ სასადილოთ.

ვიცი: კარგად არ არის საქმე, მაგრამ რას იზამ — ძალა მაგათ ხელშია.

**1921 წ.**

აბა აწი ნახონ, თუ როგორ გაართმევენ თავს ამოდენა სახელმწიფოს. ომში იყვენ კაი ბიჭები, თორემ აწი მაგათი დღე დათვლილია.

ერთი კი კაი მოხდა — ისევ დიდია ჩვენი სახელმწიფო. მაგენი ხომ დღეს თუ ხვალ დამარცხდებიან, აღარ იქნებიან და ისევ დაგვრჩება დიდი სახელმწიფო.

ვერ უშველის ახალი ეკონომიური პოლიტიკა... იგი თქვენ! ჰოოო, ხომ მოახლოვდა თქვენი აღსასრული?!

**1922 წ.**

რა ოხერი ხალხია! ასე გგონია: — აი ეს არის ეხლა დაუცქდება ფეხი და კისერ მოიტეხსო, რომ ისეთნაირად შემოგხედავს, — ჯოლს ჩაგიხეთქავს.

ცოლი მიშკამ წამართვა... არა უშავს რა! უწინაც არ იყო მთლად ჩემი და გზაც იქით ჰქონებია. ცოლი კი არა, თავს ველარ ვირჩენ, არაუშავს რაც ხანია მალე დამარცხდებიან ესენი; მერე ყველაფერს მოვესწრები.

დღეს ერთი წელიწადი შესრულდა, რაც მე შრომის ბირჟაში ჩავიწერე, მპირდებიან — სამსახურს მალე მოგცემთო.

**1923 წ.**

საქმის მწარმოებლის ადგილი ვიშოვე. მადლობა ღმერთს — აწი სიმშილით არ მოვკვდები. თავს გავიტან როგორმე. ერთ წელიწადში ამათი ხსენებაც აღარ იქნება. საერთაშორისო მდგომარეობა ისე იკვანძება, რომ დიდია ამათმა ერთ წელიწადს კიდევ შეინარჩუნონ ხელისუფლება.

**1924 წ.**

— სპეცები გვჭირია კაი დიდი თანამდებობა მიბოძეს.

რა მენაღვლება იქნებიან, თუ არ იქნებიან ესენი?! მე ეხლა მაინცადამაინც არ მაინტერესებს პოლიტიკა, თუ დამარცხდებიან ესენი, ხომ კარგი; თუ არა და, — არც ამაზე შევიკერავ შავს.

**1925 წ.**

რა სულელი ვიყავი!.. მართალია: ბევრი ქონება წამართვეს, მაგრამ მაინც არ მინდა ამათი დამარცხება. სულერთია — მე იმ ქონებიდან აწი მაინც ვერასოდეს ვერაფერს დავიბრუნებ...

სამსახური კარგი მაქვს... ეხლა კი უნდა ჩემს ყოფილ ცოლს შემირიგდეს, მაგრამ ვერ მივართვი. მე ეხლა სპეცი ვარ და ისეთი ლამაზი ქალები მესევა, რომ უწინ სიზმარშიაც არ მომეჩვენებოდენ.

მე ვიცავ ნეიტრალიტეტს: რა ჩემი საქმეა პოლიტიკა!?

ანდა რას გავხდებით ჩვენ! ჩვენ კი არა, **ყველა სახელმწიფოები ამათ ებრძვნენ**, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლეს; პირიქით: თვითონ იზარალეს.

დამარცხება კი არა, მე თანდათან ვრწმუნდები, რომ მგონი ესენი მუდამ იქნებიან.

მე პოლიტიკაში არ ვერევი. ვდგევარ პლატფორმაზე. ნეიტრალიტეტს ვიცავ. ანდა რატომ უნდა ვიყო ამათი მტერი და მოწინააღმდეგე? ცხოვრება წინ მიდის... საქმე კეთდება..

მე ნეიტრალიტეტს ვიცავ. პოლიტიკის გარეშე ვდგევარ!

**1926 წ.**

გაიგეს, რომ ჩემი შვილი, რომელიც პარიზშია ემიგრანტად, გაზეთის რეპორტიორია და საბჭოთა კავშირის შესახებ ჭორებს ათავსებს გაზეთში.

გაიგეს ჩემი წარსული.

სამსახურიდან დამითხოვეს.

მეგობრებმა მომილოცეს: — კიდევ კარგი, რომ ასე იოლად გამოდიო.

არა უშავს; ამათი დღეები დათვლილია. სანაძლეოს დავდებ, თუ ესენი თავისი რევოლიუციის ათი წლის თავს მოესწრებიან, არა; ისტორიას არ უყვარს მაინცადამაინც დიდი და ხანგრძლივი შეცდომა.

ისტორიაში არ უნდა აღინიშნოს: **„საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იარსება ათი წელიწადი“** არა; ეს არ მოხდება. ბეცი უნდა იყოს კაცი, რომ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში ამათი კატასტროფა ვერ შეამჩნიო.

ო, როგორ გვაწამეს ამდენი ხანი?! ცხრა წელიწადი ხუმრობა ხომ არ არის?!

**1927 წ.**

ათი წლის განმავლობაში ყმაწვილი საშუალო ცოდნას ღებულობს და ცხოვრებას საკმაოდ მომზადებული ხვდება.

მე კი საშველი არ დამადგა... მაგრამ ეხლა მივხვდი რომ ჯვარი დასმული აქვთ ამათ მტრებს, ჩვენს იმედებს, ჩვენ რას დავაკლებთ, როცა ხალხი ამათკენ არის!.

დღეს წერილი მივიღე პარიზიდან. შვილი მწერს:

„მამაჩემო, გულს ნუ გაიტეხ, სიმშილით არ მოგკლავ. თუ სამსახურიდან დაგითხოვეს, არა უშავს. გიგზავნი ას ფრანკს. მალე კიდევ გამოგიგზავნი, როცა საიმედო მგზავრს შევხვდები. ფულს კარგად ვშოულობ. ერთ ცნობაში საბჭოთა კავშირის შესახებ მაძლევენ ხუთ ფრანკს. ცნობა, რასაკვირველია, უნდა იყოს ჭორი, მოგონილი და ყალბი.

ასე, რომ ბოლშევიკები, რომ არ იყონ მამაჩემო, სიმშილით მოვკვდებოდით. ღმერთმა ჰქნას დიდხანს და მუდამ იარსებონ“.

ჩვენი „ლოცვა“-ც არ უნდათ, — ისედაც იარსებებენ...

**ენუქი**




მაჭანკალი (მუშას): — შობრძანდით.. ჩვენს სასტუმროში საუცხოვოთ მოისვენებთ, დროებას გაატარებთ, გაერთობით და დასტკბებით.

მუშა:— საეჭვო სასტუმროა... საროსკიპოს უფრო ჰგავს... არა, მე მანდ არ შემოვალ..

# ანკეტა ოქტომბრის შესახებ

ოქტომბრის დღესასწაულის 10 წლის თავის შესრულების გამო, ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ესაუბრა საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს, რომელთაგანაც მიიღო: შთაბეჭდილებები, აზრები, შეხედულებები, ლანძღვა-გინება, წყევლა-კრულვა, მისალმება და სხ.

ყველაზე პირველად, როგორც წესია (და რიგიც), ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ესაუბრა ერთ-ერთ ქარხნის მუშა კაცს, დაზგის მუშას, რომელსაც აქვს 15 წლის დაზგის სტაჟი და რომელმაც ხელი მოაწერა ინდუსტრიალიზაციის სესხს ძველი დაზგის გამოსაცვლელად.

დაზგის მუშა შინ არ დარჩა.

— მამ სად არის ბიჭიკო?—კითხა ჩვენმა თანამშრომელმა პატარა ბიჭუნას, რომელსაც შკაფიდან ბანკით მურაბა გადმოეღო და მადიანად შეექცეოდა.

— შინ არ არის ამხანაგო! ოქტომბრის სადღესასწაულო კომისიის სხდომაზეა.

— უფროსი ძმა სადღაა?

— საწარმოო თათბირზე.

— და?

— დელეგატ ქალთა კრებაზე.

— შენ სად იყავი?

— პიონერ ორგანიზაციის უჯრედის სხდომაზე, მაგრამ ეს მურაბა გამახსენდა და ადრე წამოვედი.

— დედა ხომ სახლშია?

— არა. ბავშთა—ყოფის შემსწავლელ კურსებზე დადის.

— კი მაგრამ ეს პატარები როგორ რჩებიან მარტო?, —მიუთითა ჩვენმა (იგულისხმეთ თანამშრომელი) პაწია ბავშებზე.

— მართალია უძნელდებათ დარჩენა, მაგრამ პროფდისციპლინას ემორჩილებიან.

— აი ოქტომბრის მიღწევების ერთ-ერთი მხარე,— ჩაიცინა ჩვენმა (ცხადია, თანამშრომელმა); ზაჰესის ელმაშუქით განათებული ოთახი ჩაათვალიერა, ახლად აგებულ ბინის კარი გამოიხურა და წამოვიდა.

— თითო არაყი დაგველია მაინც,—მოაძახა მას ბიჭუნამ,—მართალია დედა უმალავს მამას არაყს, მაგრამ მე მაინც ვიცი, სად არის შენახული!

— შემდეგისათვის იყოს!—უპასუხა ჩვენმა და ამ უკანასკნელ მიღწევით განცვიფრებული ქუჩაში გამოვიდა.

—:—

მეორე, თუ მესამე დღეს ჩვენი თანამშრომელი სოფლისკენ გაეშურა და ერთ საშუალო შეძლების გლეხის ოჯახს მიადგა.

— სახლში მიბრძანდით, ახლავე მოვალ, ხარი უნდა დავაბა, — მიაძახა მასპინძელმა ჩვენს (რასაკვირველია, თანამშრომელს), ეზოში შემოჩახჩახებული ტრაქტორი სახლის გვერდში დააყენა, საკკის გუთანი ჩამოიღო და ოდის ქვეშ შეაგორა.

— საკრედიტო ამხანაგობაში ვიყავი;—განაგრძო მან

რევოლიუციამდე | რევოლიუციის შემდეგ



ბატონი (მსახურს):— ფრთხილად გამხადე, შე უზრდელო შენა! რა მოუხეშავი რამე ხარ!
„ბატონი“ (ყოფილ მსახურს):— მიირთვი შენიჭირიმე... არა უშავს,—მე უშუბოდაც იოლად გავალ.

მისალმების შემდეგ,—ცხენი შინ არ მყავს და ისევ ტრაქტორით წავედი; როგორც ავტომობილი, ისე მიდის, რაღაც ხუთიოდე თუმანი შევაგროვე და ამხანგობაში შევიტანე: ხომ იცით, ფულის შენახვა კარგი რამეა.

— როგორ მიდის თქვენი საქმე,—შეეკითხა მასპინძელს ჩვენი.

— მიდის, რა უშავს. მადლობა ღმერთს,—ხალხში განათლება შემოვიდა. სარწმუნოება გადავაგდეთ, ღვდლები გავხუჭეთ. ისეთი სანახავია ჩვენი ღვდელი, რომ, ღმერთო ნუ მიწყენ და, ეშმაკი გეგონებათ. ჯვარი ჰქა და ოქროს საყვირი...

მაინც რათ გვინდა, ბატონო ამხანაგო, სარწმუნოება, ღვდელი და ბერი? თუ ღმერთმა ქნა და იესო შეგვეწია, კომსომოლის წყალობითაც კარგად მიგვყავს საქმე.

— თეატრის შენობა გაქვთ?

— როგორ არა! ოღონდ მოთამაშეები მოისუსტებს,—ჩაერია ლაპარაკში დიასახლისი. ქალი არ ყავთ. ჩემი კაცი არ მანებებს თამაშს, თორემ...

— კრინტი!—შეუბღვირა ქმარმა და მომიბრუნდა.

— მიირთვით ღვინო! ეს გაუმარჯოს სოფლის მექანიზაციას და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ყველა ზაციებს და ფაციებს...

— მეტს ველარ დავლევ,—უარი სთქვა ჩვენმა.

— ჰმ- რა ყოფილხარ შე კაცო- ჩვენი სოფლის ინტელიგენცია სულ გობებით სვამს და შენ მაგ ყანწს ველარ დალევ? ჰაი სად არის ახლა ჩვენი მასწავლებელი, ან აგრონომი, ან ბეითალი... რომ იცოდე, რა მსმელი ხალხია...

— ან ჩვენი ექიმი!—ჩაურთო ცოლმა.

— ექიმს ხომ ნუღარ გამახსენებ: მახსოვს ვერმორელის აპარატი რომ ვიყიდე, მაღარიჩი გადამახდევია ჩვენმა ექიმმა! პირდაპირ დოქებით სვამდა. აგრონომი შუამდე ვერ მიყვა, მასწავლებელს იქვე დაეძინა, ბეითალმა ჩხუბი ააყოლა ალმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც ისე დათვრა, რომ კოოპერატივის გამგეს თავი გაუტეხა და გლეხკომის თავმჯდომარეს ბოთლი გადაამტვრია.

— კარგი ფული დაგჯდომიათ ვერმორელის აპარატი! ჩაურთო ჩვენმა.

— მაშ რა გეგონა! ასე იცის სოფლის მექანიზაციამ! თითო მანქანის ყიდვას თითო მაღარიჩი მოსდევს, ამის ნუსხა ჩვენი ქოხ-სამკითხველოს კედლებზეა გამოკრული; კულტკომისიის და სანიტსექციის მდივნებმა შეადგინეს... თეატრში წარმოდგენების დროსაც უმთავრესად სმას ექცევა მეტი ყურადღება.

— დიდი შომლხენი ხალხი ყოფილხართ!

— მაშ რა უყოთ, დღეობები და დღესასწაულები გავაუქმეთ და ასეთ შემთხვევებზე თუ არ ვიქეიფეთ, ღვინო აგვიძმარდება,—შემოილაპარაკა სახლში თემალმასკომის მდივანმა და მაგიდას მოუჯდა.

ამხ. ზმუკო!

გიგზავნით ჩემს სურათს და, თუ კაცი ხარ, გაუშვი ასეთი სათაურით:

# ჩემი პასუხი ჩემბერლენს

ლეგარსი როხროხაძე.



მეხუთე. თუ მეექვსე დღეს ჩვენი თანამშრომელი ესტუმრა ხაზჰოთა მოსამსახურეს, რომელმაც სტუმარს გააცნო თავისი ახლად მოყვანილი მეხუთე ცოლი.

— დიდებული საქმე მოყო რევოლიუციამ,—დაიწყო მასპინძელმა, როცა დიასახლისი გარეთ გავიდა.— რევოლიუციამდე ერთი ცოლი მყავდა და კინაღამ ოცი წელიწადი გავატარეთ ერთად. თმები სულ დამაგლიჯა, იმდენს ეჩხუბობდით, მაგრამ გაყრის ნება არ იყო. რევოლიუცია რომ მოხდა, ეცოცხლე!... ერთ თვეში გავუშვი. მას აქეთ თითქმის ყოველ წელიწადს ახალ-ახალი ცოლები მოყავს. მართალია, ამ ბოლო დროს ცოტა ალიმენტებმა გამაიძასქნეს მაგრამ... ცოლი მაინც ყოველთვის ახალი მყავს... ახლაც ამ დღესასწაულს ახალი ცოლით ვეგებები, ხომ იცით, სულ სხვა იერი აქვს ახალ ოჯახში დღესასწაულის შეხვედრას!

— გაუმჯობესდა თქვენი მდგომარეობა ოქტომბრის რევოლ. შემდეგ, ან აიწია შრომის ნაყოფიერებამ

— ჰმ, რას ბრძანებთ! გაუმჯობესდა რომელია? ახლა მე მარტო გამოსარჩენით ვცხოვრობ. ჯამაგირი ალიმენტებში მიდის; უწინ ამის მეოთხედს ვერ ვაკეთებდი. შრომის ნაყოფიერებამ ხომ შესანიშნავად აიწია: მეფის დროს მხოლოდ ერთი შვილი შევიძინე; მენშევიკების ბატონობის დროს ერთი ძლივს მიუმატე და გასაბჭოების შემდეგ კი... ყოველწლიურად ორ ბავშს ვიძენ! განა ამაზე მეტი შრომის ნაყოფიერება შეიძლება?

— შრომის ხელფასი?

— საგრძნობლად გაიზარდა: ომამდე სტოლონაჩალნიკი ვიყავი და 100 მანეთს ვიღებდი, მენშევიკების დროს ფული არ ვარგოდა და ახლა, როგორც მთავარი ბუხგალტერი და ამავე დროს სამნეო ნაწილის გამგე, 300 მანეთს ვიღებ. ამას მიუმატეთ გამოსარჩენი... თუ ძმა ხარ, არავის უთხრა,—შიშით დაუმატა მან გამოსარჩენის შესახებ.

კარგა შეღამებული იყო, როცა ჩვენი თანამშრომელი ქუჩაში გამოვიდა, პაპიროსის გამყიდველს ჩაუარა. შტუკობით პაპიროსი იყიდა და გამყიდველს შეეკითხა:

— რა აზრის ხართ თქვენ ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ?.

პასუხი აღარ გაუგონია ჩვენს თანამშრომელს, რადგანაც გამყიდველმა ჯოხს წამოუსვა ხელი და გაქცეულს ფეხებში მიაყოლა. მხოლოდ მოხვედრილი ჯოხის სიმწვავემ აგრძნობინა ჩვენს თანამშრომელს, რომ მეპაპიროსზე ყოფილი ღენერალი იყო.

ქუჩაში იგი გადაეყარა ერთ ნაცნობს.

— როგორ ხვდები ოქტომბრის დღესასწაულს?

— დიდებულად!—უპასუხა ნაცნობმა ფულიც ბლომად მაქვს....

— საიდან?

— სცენარი დაუწერე სახკინმრეწვს და მართალია, არ ივარგა, მაგრამ ფული მაინც მივიღე. ამას გარდა, ჩემი ცოლი თამაშობს კინოში, უფროსი ქალი და უნცროსი ვაჟიც იქ არიან.. ბებიაც მინდა წავიყვანო!...

ჩვენი თანამშრომელი წავიდა და ერთ ხანშიშესულ კაცს შეხვდა. რომელიც მუშკოოპის წინ გარინდებულიყო.

— ხომ არ მეტყვით თქვენს აზრს ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ?

— ბიძაშენის არ მეხათრებოდეს, ამ ჯოხით გიპასუხებ, მაგრამ ახლა არ გიყო, შემოუღრინა ხანში შესულმა. ეს მუშკოოპი რომ წამოჰკიმულა აქ, ეს ჩემი დარაბები იყო, იქ ზაკტპო რომ გაბღენძილა, ისიც ჩემი იყო. ახლა? რა არის ჩემი? მარტო ნაღვლები... ეს მიქნა შენმა ოქტომბერმა,— ქრუთ ჩაიდუდუნა ყოფილმა და წავიდა.

ჩვენი თანამშრომელი მუშკოოპში შევიდა.

— მიღწევები დიდი გვაქვს ათი წლის თავზე, —ამაყად სთქვა მაღაზიის გამგემ.—დღემდე ფასები 12 პროცენტით შევამცირეთ. გაისამდე ერთ ამდენს კიდევ დავუკლებთ, მერე კიდევ, მერე კიდევ და ოცი წლის თავზე 100 პროცენტი დავაკლებთ.— სთქვა მან მხიარულად და საანგარიშო ჩოთქი აათამაშა.

— 100 პროცენტი რომ დავაკლოთ, უფასოთ უნდა გავცეთ!—გაუბედავათ სთქვა გამგის თანაშემწის მოადგილემ.

გამგე დაიბნა. ის მიხვდა, თუ რა წამოროშა, მაგრამ მაინც შეუტია მოადგილეს.

— კოსტა, რატომ მეჩრები! მე თუ გამგე ვარ, შენ მაცალე! ხომ იცი შტატების შემცირება რომ მიდის?

თანაშემწის მოადგილე გაფითრდა. მან იგრძნო შემოკლება და ენა ჩაუვარდა.

ჩვენი თანამშრომელი სახლში დაბრუნდა.

— რა აზრის ხარ დღესასწაულის შესახებ?— მექანიკურად შეეკითხა იგი ცოლს.

— რა აზრის და ახალი კაბაა საჭირო—კრეპდეშინი!—უპასუხა სწრაფად ცოლმა, რომელმაც უცებ იშოვა კაბის მომიზეზების საბუთი.

ჩვენმა (თანამშრომელმა) უგულოთ ჩაიქნია ხელი და წერას შეუდგა.

ალღარ-ალღარსან.

ტარტაროზკორებო, შემოკრბით „ტარტაროზი"-ს გარშემო!

# კვანწარახი

№ 6 „ტარტაროზი"-ს უფასო დამატება № 6

## წინასწარმეტყველება ასრულდა

მე თავიდანვე ვამბობდი ამას. ჩემი იდეური და უიდეური მოწინააღმდეგენი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ.

მახსოვს, ერთხელ, ეს იყო ქრონებ-ცხრაას ხუთში, ახალ ნაყიდი გობი გადავატეხე თავზე მოკამათეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ 1917 წლის ოქტომბერში რევოლუცია არ მოხდებოდა. ამაზე მე გული მომივიდა და ოზურგეთის საპარასკეოზე ნაყიდი გობი გადავამტვრიე თავზე. იმ გობის გულისთვის [illegible]მა კანალამ რაზვოდი გამიკეთა (უცხონდა სული, ალიმენტებს მივართმევდი!).

მას შემდეგ, მახსოვს ომი რომ დაიწყო, მე საყოველთაოდ გავიძახოდი:—ომს რევოლუცია მოყვება-თქო. ამის მიზეზით — (ისიც გუშინდელივით მახსოვს) სტრაჟნიკებმა დამიჭირეს და ოზურგეთის ციხეში ჩამამწყვდიეს. რა შვილი მოვიცდიდი! იმავე ღამეს გავთხარე გვირაბი და დილას ოჩემჩირეში ამოვყავი თავი.

რევოლუცია, რომ მოხდა თებერვალში, მე გავიძახოდი, რომ ოქტომბერში კიდევ მოხდებოდა, რადგანაც, ხომ იცით, „სჯერუგის ხარის სასაკოლავში შეეტყობაო", — ვატყობდი, რომ ხეირიანი რევოლუცია არ იყო.

ოქტომბერში, ე. ი. ნოემბერში, რომ ხელმეორე რევოლუცია მოხდა, მაშინ მე ვამტკიცებდი და შემოქმედის (თემის ოზურგ. მაზრ.), ოფიციოზშიაც გამოვაქვეყნე წერილი, სადაც ვამბობდი:—„თუ ღმერთმა ქნა და აგი ბოლშევიკები გამაგრდენ, ათი წლის შემდეგ ოქტომბრის ათი წლის თავს ვიდღესასწაულებ-თქო". როგორც ხედავთ, ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა. აგერ ათი წელიწადი გავიდა და აგი ბოლშევიკები მაინც ქე არიან.

მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა!

ვიცოდი, რომ სადღესო „კვანწარახში" მოწინავე წერილის დაწერა მომიწევდა და მართლაც მომიწია.

რა უყოთ მერე- მე წერილის წერა არ შემეზარება, ოღონდ თქვენი თავი კარგად მყავდეს.

მიიღეთ ჩემგან რწმუნება სრულ გულწრფელობასა და პატივისცემაში. თქვენი ლევარსი როხროხაძიანა.

ლევარსი როხროხაძე.



მთელი ქვეყანა ააფორიაქა ოქტომბრის დღესასწაულმა.

მსოფლიოს ყოველი კუთხიდან „კვაწარახი"-ს რედაქციას მოხდის თავბრუდამხვევი ცნობებითვითმკვლელობათა განზრახვის შესახებ

## ის, რაც არასოდეს არ დაბრუნდება



... ოქტომბრის დღე-სასწაულის გამო, ჩემბერლენმა და მო... ლუინმა განიზრახეს თვითმკვლელობა. სასწრაფოდ გამოძახებულ იქნა სანიტარული ექიმი (რამზეი მაკდონალდი), რომელმაც მომაკვდავებს შეუშხაპუნა თითო ცისტერნი ბაქოს ნავთი და სიკვდილს გადაარჩინა.

**პარიზი.** („კვანწარახი"-ს სპეციკორ-რიდან) ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის შესრულების გამო პუანკარემ და ბრიანმა დალიეს ათი კვარტი „კვანწარახი". დაზარალებულები მოთავსებული არიან სატრანგეთის ბურჟუაზიის არქივში, სადაც მათი გვამი დარჩება, როგორც იშვიათი ისტორიული დოკუმენტები.

**რომი.** ოქტომბრის რევოლუციის ზეიმის მოახლოვებას ვეღარ გაუძლო მუსოლინის სათნო გულმა და სასოწარკვეთილი თავის დასახრჩობათ გადავარდა ... წყალში დამხრჩობი საზოგადოების თავმჯდომარე — რომის პაპა, ჩაყვინთა მორევში და ამოიყვანა თავგანწირული იტალიელი.

**ბერლინი.** ოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან, რომ ჰინდენბურგს დაებლა დიაცა. საავადმყოფოში, სადაც მოხუცია მოთავსებული, „სიდედრკებათ" დააყენეს შტრეზემანი, კარლ კაუცკი, „ფორვერტსის" რედაქტორები და ძმანი მათნი.

**ნიუ-იორკი.** დადასტურდა ცნობები, ვაშინგტონის სობორში წირვის თაობაზე შესახებ. ეს წირვა მოეწყო ამერიკის პრეზიდენტ კულიჯის ინიციატივით. წირვის მიზანი იყო საერთო ძალით შევედრებოდნენ ღმერთს, ანგლიისის და ეშმაკს ბოლშევიკების დამხობის შესახებ. როგორც ამბობენ, წირვა დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა.

# „ი ქ"

ორნი იყვნენ.

პარიზის ქუჩის ერთ კუთხეში მიმდგარიყვნენ და ბაასობდნენ.

ერთს გახუნებული სერთუკი ეცვა და სერთუკის ბოლოს ხელით ქვევით ეწეოდა, რომ უალაგო - ალაგას გამოჭრილ შარვლიდან ტიტველი ხორცი არ გამოსჩენოდა. თავზე გაპოხილი ცილინდრი ეხურა.

მეორე — ჩოხა - ახალუხში იყო გამოწყობილი. ჩოხას კონკი-კონკზე ედო, ხოლო კალთები შემოგლეჯოდა. პირველი — მენშევიკი იყო, მეორე თავადიშვილი.

— ესეც ათი წლის თავი,—ჩაილაპარაკა თავადიშვილმა.

— აღარც იმედი. იმედი მაინც რომ იყოს, კიდევ გაუძლებდა კაცი ამდენ სიშიმილს, სიტიტვლეს და დამცირებას. მაგრამ იმედიც აღარსაიდან არის.

— ავსუს ჩემო ცხოვრებავ! მთელი კახეთის მიწა - წყალის ბატონ-პატრონი ვიყავი, ყველაფერი იხრიო და მეჭიდად მიდიოდა.

— სამ წელიწადს მეც ვიგემე ცხოვრება, ხანამ მინისტრის ამხანაგი ვიყავი, მაგრამ მეტი აღარ დაგვაცალეს.

— მაშ ეხლა რაღა ვაკეთოთ?

— ვილოცოთ მაინც, ღმერთს ვევედროთ, რომ სადაც კი ბოლშევიკები არიან, ყველა ერთ დღეს გასაწყვეტოს. დააბრმავოს, ან ისეთი ხილერა გააჩინოს, რომ ერთი აღარ გადარჩეს. მე, ყოველ დილა - საღამოს ამას ვლოცულობ.

— მერე რასა გშველის?

— არაფერს. მაგრამ გულზე დარდი მაინც მეშვება.

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს, ერთმანეთი დარდითა და ბოღმით აავსეს. შემდეგ თავადიშვილმა მიმართა:

— დღეს თუ მთელი საქართველო ზეიმობს, წამო, ჩვენ თითო არაყი მაინც დავლიოთ ამ დარდიან გულზე.

წავიდნენ. ერთ-ერთ რესტორანს რომ მიუახლოვდნენ, მენშევიკმა ჰკითხა:

— არაყზე რომ მეპატიჟები, ფული გაქვს?

— ფული რათ უნდა, ჯერ დავლიოთ და ფული რომ არ გვექნება, რას გვიზამენ, თითო-ოროლას წაგვართყამენ და გამოგვაგდებენ. მე სულ ასე ვაკეთებ.

— მაშ ისევ მეორე რესტორანში წავიდეთ, იქ ჩვენი პარტიული ამხანაგია ლაქიათ და თუ გვცემს, გამეტებით მაინც არა გვცემს.

შოლტი.

# „სრულიად რუსეთის თვითმპყრობელობა"

## გვარების გამოცვლა

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის გამო, ჩვენი ჟურნალის რედაქციას მოუვიდა აურაცხელი წერილები და განცხადებები გვარების გამოცვლის შესახებ. განცხადებებს გზავნის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებიც ვინ იცის რა მიზეზების გამო იცვლიან გვარებს. მოგვყავს რამოდენიმე:

1. გთხოვთ თქვენი პატივცემული ჟურნალის საშუალებით გამოგვაცხადებინოთ, რომ დღემდე ვატარებდი აზნაურის გვარს ჩოხაძეს. ამიერიდან მსურს ვიწოდებოდე ოქტომბრაძეთ.

2. პატ. რედაქტორო! მოგვეცით უფლება თქვენი ჟურნალის ფურცლებზე ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ გვარს ბლინკიშვილს ვცვლით გვარ ოქტომბრაშვილათ.

3. ამხ. რედ.! გაუწყებ რომ გვარი სუშკოვი უკვე გადავაკეთე ოქტომბროვათ.

4. რედაქციას ვაცნობებ, რომ ამიერიდან რუბლიოვის მაგიერ ვატარებ ჩერვონცოვის გვარს.

5. მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ჩოგიანცის გვარის ნაცვლად დღეიდან ვატარებ ძოვაგასიანის გვარს.

6. ყადრაშ რედაქტორ! ადა სულამ ალიკუმ თოლდაშ! ჩემი გვარი ბაბალოღლი შევიცვალე ბაბალ - აზნეფტ კომუნ - ოღლით.

7. ამხანაგო რედაქტორო! ერთი ამბავი უნდა შეგატყობინოს: ჩვენი სოფლის ზაქში წავიდოდე და ჩემი გვარი თხილიევი ტაქტორიევის გვარად შევიცვალე! მაშ, მაშ! ეგრე ვიცის ჯაყომა!

8. ამხ. რედაქტორო! გაწუხებ ვადაა, მარა, მაპატივე! რაც ელირებოდეს გამომართვი და ეგი გამომიცხადე: მარდეხა ყობოსძე წრუწუნაშვილი ხვალიდან იქნება მარდეხ ყომპეევიჩ მუშკოპაშვილი.

რედაქციის მდივანის მაგივრად ცხვირა.

## იურიდიული რჩევა-დარიგება

**კითხვა:** ვარ საშინელ ხასიათზე, ნერვები ამეშალა და მელიანქოლია მიპყრობს. როგორ მოვიქცე?

**პასუხი:** თუ თქვენ ხართ კონტრ-რევოლიუციონერი, მაშინ მაგის მიზეზიც ადვილი ასახსნელია (ალბათ ოქტომბერი გაწუხებთ) და მიმართეთ პოლიტ-სამმართველოს (ტროცკის ქუჩა, ნომერი იქვე გაიგებთ), ხოლო თუ საბჭოთა პლატფორმის მოქალაქე ხართ, გაისეირნეთ დღეს, ხვალ და ზეგ ოქტომბრის დღესასწაულზე და გული გაგეხსნებათ.

**კითხვა:** ვგრძნობ, რომ დღეს შემეძინება ვაჟი, ან ქალი. რა დავარქვა?

**პასუხი:** თუ ქალი დარჩეს ოქტომბრინა დაარქვით, თუ ვაჟი იყოს — ოქტომბრინოსძე უწოდეთ. შეიძლება რევოლიუციონერი გამოვიდეს.

**კითხვა:** დღესასწაული დაიწყო, სარდაფები დაკეტეს და ღვინის ყიდვა ვერ მოვასწარი. რა უნდა ვქნა?

**პასუხი:** გეყოფათ ორი კვარტი „კვანწარახი".

**კითხვა:** როდის იქნება ოქტომბრის რევოლიუციის ასი წლის თავი?

**პასუხი:** დღეიდან ოთხმოცდაათ წლის შემდეგ.

**კითხვა:** შემიძლია თუ არა მე, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, ზეიმის გამო, გადავდო ასი მანეთი უპატრონო მოქალაქეთა სასარგებლოთ.

**პასუხი:** შეგიძლიათ... თუ გაქვთ.

**კითხვა:** მსურს ქალ-ბალანას კაბა ვუყიდო დღესასწაულებისთვის, რა ფერის ამოვარჩიო?

**პასუხი:** კაბის შეკერვა გვიანია, რადგანაც დღესასწაული უკვე დაიწყო. ისე კი კაბის ფერს ნუ ეძებთ, ფანელა მოძებნეთ, თუ იპოვით ჩვენს კოოპერატივში.

იურისკონსულტი ლევარსი.

# ათი წლის „გადავუშქინა“

— აჰა, ესეც შენი ათი წლის თავი, ესეც შენი პრაზნიკი და გადაეშჩინა,—მაგათი დღეობა, ჩვენი ქელეხი, მაგათი აღდგომა, ჩვენი კი დამარხვა უღვდელოთია და უტერტეროთ!.. ვაჰხ- მაშ მორჩომილი საქმეა რაღა, აკანჩატელნათ მაგათ დარჩათ ყველაფერი—ჩვენი ყაელი კი გასულია..

ჰაი გიდი აბასთუმან, რა დროება დავკარგეთ, რა შნო და ლაზათი წავიდა, როგორ წუმის სიზმარივით გაქრა ჩვენი ნუყლივით ტკბილი ცხოვრება და ქონება, პაჩოტი და პატივი.

ჩვენზე ეამოფ, ჩვენ ჰამფა და ჰამქარ ხალხზე ვიძახი, თორემ მაგათ რა უჭირთ—ბალშევიკებს რაღა, შაგათა ეს ქვეყნიერობა სამოთხეთ აქციეს, შიგ უკვდავების ბუკეტები დარგეს და ჩვენ პანლურ!—ამ სამოთხიდან ეშმაკებივით გარეთ გამოგვყარეს—ასმა, რაც რომ ბურჟუები, ვაჭრები, კნიაზ-პამეშჩიკები და დიდი ხალხია, უნდა მოვასპოთო, მუშებისა და გლეხების ოფლი ცხვირიდან ძმრათ უნდა წამოვადინოთო, რაც რომ სიკეთეა ყველაფერი მუშა ხალხს უნდა მივსცეთო, დვარეცში ისინი უნდა დავსვათო, ზაკონები იმათ უნდა დავაწერინოთო, სახელმწიფო სულ იმათი უნდა იყოსო—ერთის სიტყვით, ქვაც ჩვენა და კაკალიცაო, რაღა მააშ!

ვიცინოდით, ვიძახდით თუ:

— ტყუილი ტრაბახია, მთა და ბარი სოლობძენს ვერ გაუსწორებია, შავი თეთრის ადგილას ვერავის გაუსაღებია და ესენი იზამენ? ბუნტი ქნეს, უსწავლელი ხალხია, გაშლილი სუფრა ნახეს და უხარიანთ. თოლ ჰამონ, ხვალ ისევ ჩვენი დრო დადგება და ისევ ცეცხლათ წამოვადენთო,—დიდი, დიდი სულ სამ თვეს გასძლონო, მერე პუპუზ, ისევ ნიკოლოზს ტახტზე დავსვამთ. ისევ ჩვენი დოირანი დადგებაო. ჰამაც ყველაფერს ვიხსომებით თუ პირველათ რომელი ბოლშევიკი უნდა გაგვეტარებინა ბერაში.

საქმეში ხარ? რის სამი თვე, რის სამი წელიწადი, რის ფლავი და ბოზბაში!... კირკიტები გამოდგნენ, ჩაკარულები, წინდახედული, საქმის მცოდნე, ახალი ცხოვრების დურგლები და კალატოზები, ინჟინრები და პრაფესორები მააშ?!. მაგათთან ნიკოლოზმა ხომ მიჰქარის და მიჰქარის, ჰამა იმის პამოშნიკმა ყველა სოციალისტებმა, ყველა მთავრობამ, ყველა რეჟიმმაც თავი ქვას ახალოს, ფას, ფსტიაკ ყველანი მაგათთან, სიყმეს გაფილები, ჩემამზემ, თელეთის მადლმა, გინდა დაიჯერე გინდა ნუ!

ვაჰხ! მოდი და ნუ გაგიკვირდება—ის კუკლასავით გამართული ქვეყანა ჰარისასავით არიეს, ცხოვრება კულიჩის ცომივით მოზილეს და ამისთანა ანტიკა პარიატკა გამოაცხეს; ყველგან საეცკი რესპუბლიკა გააკეთეს. მერე ერთმანეთში ძმობა და პურმარილი ქნეს და პუპუზ, დიდი და ლონიერი ეს-ეს-ეს-ერი გამოჩეკეს იცი რას ნიშნავს ეს-ესესერი? მითომ, ეს არი, რაც არი. ამაზე კარგი სხვაგან არიო მააშ?

პუზურში მართალია, მე რომ ჩოთქში ვაგდეფ და რაზუმენია ვშერები—ყველაფერი ტოჩი-ტოჩია, ანგარიში ვქნათ, სიმართლე ვთქვათ, თვალი გავახილოთ და თეთრსა და შავს აბანოსავით იასნათ დავინახავთ.

ჯერ მე მათქმევინე. მე ხომ მაგათგნით ავისა და შაჰრუშალის მეტი არაფერი მახსოვს, ჩემი სასტაიანია ჰარმათ გახდეს მაგათთვის, ჰამა, ახში ბევრიც რომ ვიხაიუწოთ, წელზე მაღლა ვერ შევხტებით— ზნაჩიტ, რომ რაც დასანახია. ყველაფერი უნდა დავინახოთ, გულის ბოხარი ვიყაროთ, ნათქომი გავიგონოთ, ნაფიქრი ვთქოთ:

ნიკოლოზი რომ ჩვენი სიყრმის მარილი და პირის ჩიარება იყო, ეს ნეპრემენი რამეა, ჰამა, არც ის პირძაღლი ვრემენი მთავრობა იყო ფინთი ვინმე; მუშებსა და გლეხებს ისიც ატყუებდა და ისევ ჩვენ საქმეს აკეთებდა. მენშევიკები ხომ ფას მაგათთანა:

ურიგო ბიჭები იყვნენ? არ გამაგონო, ცოდო იქნება! მართალია, იმათგნით მე გული მეთანალრება, რადგანაც რომ ყარაიაზში შეშის საჭრელათ მგზავნიდნენ და სანამ კარქი ქრთამი არ მიეეცი, ხელი არ აიღეს, ჰამა, მაინც ჩვენი ხალხი იყო, ისევ თავად-აზნაურსა და ვაჭარ ხალხს პაჩოტს უკეთებდნენ, მამულებს და სახლებს არ ართმევდნენ, მუშებს არ აპარპაშებდნენ, თუ კი რამე შნო და მარიფათი გვქონდა, არაფერს გვიშლიდნენ, ერთის სიტყვით, ჩვენ ხარეს იყვნენ, ჩვენთვის ფიქრობდნენ, მუშები და გლეხები კი ფეხებზე ეკიდათ, ჩვენც დოირანში ვიყავით და ჰა, კამაც-კამაც ისევ ძველ და ნუყლ ცხოვრებას უპრუნდებოდით! ჰამაც, სპირტების კანტრაბანდა, სპეკულიანტობა, ქრთამი რამე, ყველაფერი რიგზე იყო.

მოკლეთ გითხრა, როცა რუსეთში ოქტომბერი ქნეს, პერევაროტი გააკეთეს და ყველა ღენერლები, მინისტრები, კაპიტალისტები, მღვდლები და ჩვენისთანა ჰარიფების ჰამქარი ბოლშევიკური ცოცხით სანეხვეზე გადმოყარეს. ჩვენ აქეთ-იქით გავქცუნდით (მაშინ მე მოსკოვში ვიყავ, სკლადის ადელენია მქონდა, ჩემი კუკლა ცოლშვილით ისევ აქ ჩამოველი და რაც რომ მითქვია, ყველაფერი ჩემი თვალითა ვნახე).

მაგრამ ვინ მოგასვენა? ეს ბალშევიკობა შემახის მიწისძვრასავით წამოვიდა, ყველა ქვეყანას დაეტაკა, ყველაფერი მიანგრ-მოანგრია და პუპუზ ჩვენც თაგვის სორო არ მოგვანახვინა? ამას აქეთ ჩვენი ყისმათი წავიდა, ძველი ყველაფერი შაიცვალა, ჩინი და მენდალი მაისპო, ვაჭრებსა და მდიდრებს სახლები, ფაბრიკები, ზაოტები, რამე, ყველაფერი წაართვეს და მუშებს მისცეს, ჩვენი ქონება ლარიბ ხალხს მოლას ტაბლასავით დაურიგეს, თავად-აზნაურებსა და მემამულეებს ჯორის ნალები დააკრეს და ისე იფრიხეს, მიწები ტეტია გლეხებს დაურიგეს, სკოლები გაალეს, ბებრებსაც კი წერა-კითხვა ასწავლეს, ქვეყნის პრავლენია მუშებსა და გლეხებს მისცეს, ყველა ხლუპუზსა და ჰოტროველას პორფე-





ლი დააჰერინეს, ავტომობილში ჩასვეს, დვარეცში წამააკუპეს, მთელი ქალაქები კუკლასავით მორთეს, ახალი ფაბრიკები და ზაოტები, ბურნუთის კოლოფებივით წამააჰუნტეს, დანგრეული გააკეთეს, ლიხტრიფიკაცია ქნეს და მთელი ქვეყანა გაანათეს, სოფელში ტრახტორები შეიტანეს, გლეხებს,თვალები აუხილეს, ქალები გაანთავისუფლეს, ხიდები, გზები, სარწყავი არხები, ათასი ამისთანა რამეები გააკეთეს—შენ მოთვალე!..

მაგრამ მოთვლა კი შეიძლება? ენა გაცვდება-მეთქი, გადი გარეთ, თვალი გაახილე, დაინახე და ყველაფერი იასნი გახდება,—მაშინ აღარ მკითხავ, თუ გეურქ, რაც ცეცხლი ჩაგვარდნია ჯიგარში ამ კომუნისტებისგნითო...

მერე ჩვენ რა? ჩვენ ვინ რა მოგვაცხო? მაგ ბემურაზებმა რაცა სთქვეს ჰუზურში შეასრულეს კიდეც: მართლაც მუშებისა და ღარიბი ხალხის მზე ამოიყვანეს, ჩვენი მასკვლავი ჩააქრეს და ცოცხლათ მიწა მოგვაყარეს.

გაიარე ქუჩაში— ნახე, ძველი მილიონჩიკი სემიჩკას ჰყიდის, მექარხნე სტარიადოყობას ეწევა, ღერენალი შეპაპიროზეა, ტერტერა მათხოერობს. სტატსკი სავეტნიკი—კურიეროობს. თავადი ჯიბგიროობს. ღვდელი ხურმით ვაჭრობს, კნეინა პრაჭკაობს, ვინ მოსთვლის?

მუშები და გლეხები კი დოირანში არიან. აფსუს, ჰიშტა ვისა აქვს ფლავი ვის უდგია!.. აფსუს, ძველო დროებავ!

იმედი? რილას იმედი, რის ბოზბაში; იმედები არ იყო, ინგლისის და საფრანგეთის ჯარები? ვრანგელი და დენიკინი, ჩემბერლენის ყეფა, პუანკარეს ღრენა, ათასა უტია და ოსმანა? რა გამოგვიყარა ამ იმედებმა?

ბოლშევიკებმა ყველას კუდით ქვა ასროლინეს, ყველას ენა მუცელში ჩაუგდეს და ჰამაც თავისი თაბაუთი უფრო მაგრათ დაიჰირეს.

ერთის სიტყვით, მორჩომილი საქმეა, ქვეყანა მაგათ დარჩათ, ზედ სამოთხეს აშენებენ, შიგ უკვდავების ბუკეტებსა რგავენ და ახარებენ. რა არის ეს ბუკეტი? მთელი ქვეყნის ღარიბი ხალხი, მუშები და გლეხები, ვისაც კი ოფლი დაუღვრია, მუშაობისა და ბრძოლის შნო და მარიფათი ჰქონია, ახალი ცხოვრების გაკეთების ჰუნარი გამოჰყოლია; მდიდრები და ძველი ბატონები კი ფას!—ცოცხით სანახვეზე, ძველ ცხოვრებასთან და ძველ პარიატკებთან ერთათ.

აი, რა მოუტანია ამ ათი წლის პრაზნიკსა. რაღა ვთქოთ? მოდი ერთი ეხლა მაინც ჭკვაზე მოვტრიალდეთ და ერთი ლოთიანათ პაზრავლენია გაუკეთოთ ამ კომუნისტებსა!..

ფარსადან.

# მიღწევა და მიღწევები

„დღეს ყველასათვის აშკარა გახდა ჩვენი მიღწევები ალმშენებლობის ფრონტზე. აღარ არსებობს არც ერთი ურწმუნო თომა რომელსაც არ სჯეროდეს ეს მიღწევები“...

„ზაჰესის აგება უდიდესი მიღწევაა საბჭოთა ხელისუფლების“.

„ელექტროფიკაცია — აი, სოციალიზმის მისაღწევი გზა“.

სადაც არ წავედი, ყველგან ასეთი ლოზუნგები მხვდებოდა თვალში. ავიღებ გაზეთს და სწერია: „მიღწევები ჯანმრთელობის დარგში“, „მიღწევები სახალხო განათლების ფრონტზე“, მიღწევები და მიღწევები. მე კი ვერაფერს ვერ მივაღწიე. დავდივარ უფულოდ და პაპიროსის თხოვნით ყველას თავი მოვაძულე. უფულობამ უქმელობა იცის, უქმელობისას—ძილია კარგი. ეჰ! ჩემო ძველისძველო საბანო, შენ მფარვიდე ამეღამ!

———

...მე მივაღწიე, შენ მიაღწიე, მან მიაღწია, ჩვენ მივაღწიეთ, თქვენ მიაღწიეთ, მათ მიაღწიეს. ვინ მიაღწია, რას მიაღწია, რატომ მიაღწია... გერმანია გოგიტიძემ მიაღწია გოსკინპრომში მიმაგრებას, დუდუჩავამ მიაღწია— გამომაგრებას, ვასილ ბარნოვმა მიაღწია— სიბერეს, კ. ფოცხვერაშვილმა მიაღწია სამ საჟენ სიმაღლეს, რაჟ. გვეტაძემ თავი დააღწია ვირებს. მაგალითად, რა დიდი მიღწევაა:

„ტვინში რაღაც გამიარს
ლექსებს უძლვნი დარიალს
ტირია-ტურია დარიას“.

„სადღაც ეტლის კოფოზე იჯდა ჩინელი. ქარმა გამომიარა და თან წაიღო ჩემი ავლა-დიდება! ასე სწერს შეუდარებელი დემნა თავის მოთხრობაში და ამის გამო მე იგი მივაკუთვნე ნეო—რეალისტების სიას.

„ეგ მკლავები, ქალოჯან,
ოქროს ზამბახებია;
სიყვარული გვიანად
რატომ დამჯახებია“.

განა მარგალიტები არაა? ცერცვის კაკალივით მიძობნეული ამ ლექსში? —ამას მიაღწია გოგლამ.

ფერად-ფერადი ლექსები
ჯერ კიდევ არ გაყიდულა;
უმჯობესია ჩვენს დროში
ეარშიყო დიასახლისს

ეს იყო გრიგოლლოვანი და ცეცხლოვანი პოეტის უკანასკნელი თქმა, რის შემდეგაც სმა არავის ამოელებოდა.

ერთი, ორი, ერთი ორი,
დაუკარით მჯრში.
ლექსი ვსთქვი და ქეც დავბეჭდე
მითავაზეთ ტაში.

სანდრო იულის პოეზიაში ეს მხოლოდ სასხვათაშორისოდ მოვიყვანე.

ყველამ კი მიაღწია რაღაცას: ვალერიან გაფრინდაშვილმა მიაღწია სიჩუმეს.

შალვა აფხაიძე სკოპკას დამსგავსებია...

გრიგოლ რობაქიძემ ბერლინიდან ისევ თბილისს მოაღწია... და, და, და, და... მიაღწია, მიაღწია. ფუტურისტებმა ვერაფერს მიაღწიეს, პროლეტარულმა ასოციაციამ საკუთარი ჟურნალის არსებობას მიაღწია, ძველმა მწერლებმა — ზოგიერთმა იუბილეს მიაღწია, ცისფერმა ყანწელებმა მიაღწიეს სიდინჯეს...

— მე რას მივაღწიე, მე რას მივაღწიე, მე რას მივაღწიე?

— შენ არა ხარ პოეტი.

— ვინ? მე ვერ დავსწერ ლექსებს და პოემებს თუ? ...ფილისტერო... სოფლის მასწავლებელო...; შენ... ...ვაიმე!

— უჰ! მადლობა ღმერთს გამომეღვიძა. უკაცრავათ ყველასთან; ეს მხოლოდ სიზმარი ყოფილა. —ტო.

თებერვლის რევოლიუციამდე



მშრომელი: მიშველეთ, „გოროდოვოი“ მახრჩობს!

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ



მშრომელი:—მიშველეთ. ეხლა ეს ოხერი მახრჩობს!

ბურჟუა: —ეხლა რაღა გაყვირებს,—ხომ მოგაშორე „გოროდოვოი“?!

მშრომელი:—ის კი მომაშორე. მაგრამ ეხლა შენ მახრჩობ... ეს სულერთია: გინდ ნამს დაუხრჩვივარ, და გინდ ზღვას... მიშველეთ!

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ



„გოროდოვოი“ (ბურჟუას):— იგი შენ! რომ ვახრჩობდი, რად მოეშველე?! ახია შენზე რაც მოგივა.

ბურჟუა:—სულელი ჩემი თავი,—დამეხარბა!.. მაგრამ ეხლა შენც სსს და მეც სსს...



— როგორ გასლოკინებს, ძმობილო! ალბად იქეიფე-ბდი სადმე და გაცრებულხარ!

— რა დროს ქეიფია! დარდისგან ლამის გული გამის-კდეს... ეს იმის ნიშანია, რომ; ალბად, საზღვარგარეთ მენშევიკები მიგონებენ.

# ყოფნა-არყოფნა

## (მონოლოგი პოემიდან „გაბითურება")

შენ ჩემო გოგრავ, ხაბურზაკივით რომ ამოჩრილხარ ამ ჩემს კისერზე, სულ ზედმეტია შენი თრევა ჩემივე მხრებით... ახი იქნება გადაგავლო ნავთი, ამოგვწვა, ან შეგახეთქო ქვისა კედელს, თავო ტიალო!.. მე შენ მეტყ-ვი და არ დაინთხეს ერთბაშად სითხე, მაჩვენებელი სი-ბრძნისა და ჭკუა-გონების...

რაში მარგიხარ, რა სიკეთე გიქნია ჩემთვის? ვისი ბრალია, ვინ ჩაგაგდო ასეთ ყოფნაში? შენ, შემო გოგრავ, რომელსაც მე მოგანდე ბედი და ჩაგაბარე ამ ცხოვრების ყველა სადავე. შენი წყალობით დავემგზავსე მე გამხმარ ტარანას, შუა ზაფხულში რომ ჰყიდიან ფოთში ვაჭრები. შენი წყალობით მე დავარდი იშკილებიდან და დავჩერ-ჩეტობ ფრთებ-ჩამოყრილ ინდაურივით. ვიყავი კაცი ერთ დროს მართლაც საკმაო წონით, ჭკუის სასწავლად ჩემთან ხშირად მოსულა ბევრი. ეხლა კი ჩემსა წონას უდ-რის ბამბის ფანტელი და დავპამპალებ ცხოვრებაში, როგორც რომ პროპკა..[*])

ოჰ, მაგონდება მე სულმნათი ბარათაშვილი, რომელ-საც უთქვამს სიტყვა ჩემზე ზე-გამოჭრილი: „არც ისე ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემგზავსოს. იყოს სოფელში, ხან ქალაქში ულუკმაპუროდ".

შენ, ჩემო გოგრავ, სად იყავ მაშინ, ამ ქვეყანაზე ჭკუას როცა რომ არიგებდნენ? სად იყავ მაშინ, როცა ყველამ გზა გაიკაფა? ალბად, საკანში იჯექი და ვე-რთხებს ითვლიდი. შენ გამოდექი ერთი რაღა ბრძენთ-უხუცესი და პოლიტიკოს-მეცნიერი, გონება სალი. ღმერ-თი გიშველის, შენ რომ კარგად აუღე ალღო ცხოვრების დუღილს, ისტორიის ჩარხისა ბრძოლას..

[*]) მიხო-პრობკა არავის ეგონოს.

გადექი განზე, გაიბუტე და გაიბერე, ვითომდა შენ-ზე მთელი ხალხის ეკიდა ბედი.. შენ არ იცანი საბ-ჭოები, მათი მთავრობა, ვითომდა ერთობ კულიჯი ხარ, ან ჩემბერლენი.... შე ჩემანალა, რა ხარ, ვინ ხარ, ვის დარჩენიხარ? ვინ გაგდებს ჩხირად, ვინ მოგიზლავს პა-ტივს, დიდებას? ან რას ფიქრობდი, რომ დაიწყე ჩხირკედელობა? დაიწყე სადღაც ორღობეში გავლა და ჩმახვა...

იქნებ ფიქრობდი, რომ ამისთვის შაქარს გაჭმევდენ, ან მიიღებდი ბერიასგან შენ შუბლზე კოცნას.

ოი, შე გოგრავ, მართლაც გოგრავ და მართლა ქცახო. გიტირეს ყოფა? აი დარდი! ახია შენზე. სამი წელი ხომ გაატარე ჩეკაში იქეთ? კიდევ ცოტაა... რა-ტომ ტყავიც იქ არ დასტოვე. იარე ეხლა ცარიელი და ყლაპე ნერწყვი.. არც კი გრცხვენია, რომ ყოველ დღეს ალამებ უზმად.....

შეხედე ერთი, ყველას შენზე რომ რჩება თვალი.. დამსგავსებიხარ უმუშევარ მთავარ-დიაკვანს. ყველა მო-რთული, მოკაზმული ჩაგივლის გვერდით, მიდის, იცი-ნის, მხიარულობს, კმაყოფილია. რა უბარიათ, რატომ არის ეს ერიამული? შე უბედურო, მიხვალ შენით, სხვამ რომ არ გითხრას. ყველა ზეიმობს, რომ შესრულდა ათი წლის თავი... ოჰ! შენ გაგიხმეს, „დემოკრატო", ეს ლაყე თავი. ათი წლის თავი შეუსრულდა იცი ვის, ხეპრე? ხე-ლისუფლების; რომელიც რომ შენ არ „იცანი"

ოოო! უშენობამ ხედავ როგორ „დალუპა" ხალხი? არაფერს სჭამენ, არც იცვამენ, კვდებიან რაღა! შენსა-ვითაა სულ ყველანი ფერდებ-შემხმარი.

ჩამომითვალე „მიღწევები" შენი, პირადი... ათი წლის თავზე ჩამაბარე ერთი „ატჩოტი". ცოლი სხვას გა-ჰყვა, შენი შვილი პიონერია, შენი ოთახი კი წაა-გავს დათვების ბუნაგს. ადგები მარტო, წვები მარტო, დადიხარ მარტო, მუდამ მშიერი, ჩაღლეტილი..

ყოფნა.... არყოფნა... რა ყოფნაა ასეთი ყოფნა. ვისი ბრალია სთქვი, ასეთი გაბითურება? ოჰ! გოგრავ, გოგრავ, რა მიყავი, რა ყოფაში ვარ? ერთ დროს იყავი „გა-მჭრიახი პოლიტიკოსი"; ერთ დროს ხომ გახსოვს უ-„ბა-ტონო"-თ ხმას არავინ გცემდა. „იდეურ" კაცად ითვლე-ბოდი, იყავი რაღა უძაღლო ქვეყნის კარგი კატა, — კატა, რომელსაც შესაფერისი საკუჭნაოც გქონდა მდი-დარი.

ყოფნა.... არყოფნა... აღარ ვიცი რომელი სჯობნის!.. გაბითურება ასეთი ვის ხვედრია წილად? მოდი, და ენდეუ ასეთ გოგრას, ამ ჭკუის კოლოფს. არ სჯობდა რომ მის ნაცვლად მქონოდა მხრებზე,მყავე კომბოსტო, კარტო-ფილი და ან ბოლოკი? აფსუს, რა კაცი გამაფუჭა, მაგ უპატრონომ! გაბითურება..... გაბითურება... ოჰ! გოგ-რავ! ათ წლის თავზე მე უარს ვამბობ შენს ტარებაზე....

ყოფნა... არყოფნა..:

**ხვაიირ-ბეინ-შეიხ.**



# საოქტომბრო ძღვენი ჩვენს პოეტებს

### გალ. ტაბიძეს

აჰა, ოქტომბერი მოდის მზისადარი;
გთხოვთ, რომ ასი ლექსი კიდევ გამოაცხო;
სწერე„ ფონ-რიდიეით", სწერე სისადავით
წამით დაანებე თავი ნაძვს და ცაცხვებს.

### ალ. მაშაშვილს.

ქუდმოგლეჯით დაგეძებდით... დაეიარეთ:
ზაჰესი და დარიალი. დარიალი;
ერთი გვითხარ, თუ გიყვარდე, საოქტომბრო
შენ რამდენი ლექსი გვიძღვენ ღვარიანი.

### კ. ლორთქიფანიძეს.

თუმცა თავი გაიკრიჭე, „ბუჩქს" აღარ გავს შენი
თმა,—
მაგრამ მაინც გეენატრება ოქტომბრისთვის შენი
თქმა..

### სოლომონ თავაძეს.

ვწუხვარ გარწმუნებთ, რომ მე ოქტომბერს
დიდი პოემა ვერ უთავაზე;
დრო აღარ მქონდა,—ვერ მოვასწარი.
მე გეუბნებით ამას—თავაძე.

### სიკო ფაშალიშვილს.

ვეძებთ შენს ლექს და პოემებს, მაგრამ ძმაო,
ვერსად ვხედავთ, დაბეჭდილი არსად არი..
ეს მაინც გვწამს „ტარტაროზში" ჩვეულებრივ
გაგვაცინებს ოქტომბრისთვის ფარსადანი.

### პ. იაშვილს.

ათი წლის თავი უცებ მოვარდა,—
შენ კი ლექსები კვლავ შეაჩერე..
მუდამ ცენტრალკით ესვრი შევარდენს
და დასდევ ტყეში ბუსა და ძერებს.

### ი. გრიშაშვილს.

გრიშაშვილო მტკიცედ დგეხარ
ისევ უმღერ ტურფა შვილებს..
ერთი გვითხარ ოქტომბერში
ქალს რა ფერი დაამშვენებს.
არ გვინდა, რომ დაგავიწყოთ
დედის ხსოვნა, დედის ხსენი;
მაგრამ გთხოვთ, რომ ქალის კაბას
დაეხსენი, დაეხსენი,—
თორემ კაბა გაგვიძვირდა
და ტუფლები უფრო მეტად,
ოქტომბრისა ქალის თვალში
შენ ვერ რჩები ნათლის სვეტად

### ს. აბაშელს.

უწინ უმღერდი გზას და სიერცეს
ეხლა ზაჰესი გულზე დაგესო..
დიდება შენდა მაღალო ზაჰეს,
ძნაძილესო და უმხურვალესო.

### გრ. რობაქიძეს

ვერას დააკლებ ჩვენს ხელოვნებას.—
დროთა მსვლელობის ხელი ვერაგი;—
ვიდრე არსებობს შენი მალშტრემი,
შენი ლონდა და გველის პერანგი....
გთხოვთ გვითხრა სიტყვა, „მაღალო ძმაო".
გთხოვთ გაგვაგონო, შენი ხმა მკვეთრი:
დღეს ევროპაში რაა საამო,
ან მისი სიპი ზღვას რატომ ერთვის?

### ტიც. ტაბიძეს.

პოეტო ნაზო, უგვაზდიკესო,
ურიცხვმა „მტრებმა" ვერ მოგდრიკესო,
**მაგრამ ეხლა:**
ავადმყოფობა წამოგეპარა,
დაგიმორჩილა „მართლა სხვა კაცო";
ადექ სთქვი ლექსი კვლავ შენებურად
და ეს ქვეყანა „დააბარბაცე".

### რაჟდენ გვეტაძეს.

მე მუდამ ვირი მემახსოვრება,
ოქტომბრის თავზეც (ამბობს გვეტაძე)
ნეტავ შემეძლოს ვირთან ცხოვრება,
ნეტავი ვირებს მე გავეტაცე.

### ბენიტო ბუაჩიძე

ჩემს მოხსენებებს თუმცა ყველას აქვს
ერთი საგანი და სათაური
მაგრამ მტვერს ვადენ ლიტერატურას
ჩემი ყვირილით, ჩემი **ხმაურით.**
თბილის-ბათომი და ქუთაისი **ჩემი**
სიტყვების გახდა ტრიბუნა;
ყველამ იცოდეს ჩემმა ქუხილმა,
რომ პოეზია შემოაბრუნა.

### ტ. გრანელი.

ეს დღე ყვავილით გაჩნდება ისევ,
იქ ვინცხა მიდის, აქ კივის რაცხა;
წუხელის ისევ მესტუმრა ქრისტე,
აგერ ვირი დგას მიათრევს ფაცხას.
(ვაი შენს ამ ლექსს ძმაო ტერენტი,
„რაცხა" სხვა გვინდა ამაზე მეტი).

### სეზმან ერთაწმინდელს.

არ მახსოვს როდის, მაგრამ მეზმანა::
თეატრის თავზე ფრენდა სეზმანი,
და კითხულობდა: ან თუ, ან ნეტა
ო, მე ვარ, მე ვარ; მე ვარ ღმერთმანი
„წითელი შოლტის" ანტუანეტა.

### ფუტურისტებს

ცა შორი ბესო ოთხი;
(ფუტურიზმი დადის ფორთხვით)
პოოპ, პოოპ, ჰერი, ერი,
(არ გამოვა თქვენგან არაფერი).

**ქონდარი.**

# ბურჟუი სცენა

ათია, ათი! დაკანკალებულ-დაგვარგვალიტებული ათი წელიწადია, რაც აგი ბარშენიკები აშპენ ნიკოლოზის ტახტზე და თვითონ ნიკოიე ტახზე შეაჟინეს.

რა უნდა დაგიმალოთ, ან რა მაქ, ღმერთო მომკალ, სამალავი! რაც მართალი მართალია ანაგებათ არ მგონებია, თუ მაგენი ამდენხანს გაძლებდენ.

მახსოვს, პირველათ რომ რევოლუციე მოხთა, რაცხა ფარცაკი საქმე გვეგონა. ყოლი კაცი იძახოდა: გავკეთდით ბიჯო, წალმა წევიდა ჩვენი საქმეო. პაწე ქე მიკვირდა: ვაჟო, თუ რევოლიუციაა, ჩხუბი და დავიდარაბა უნდა იყო, ოავა ნაზათ ჩამოაბრძანეს აგი ჩინოვნიკები მეთქინ.

იგიც მახსოვს, ჩვენ დროს—მენშევიკების დროს, რომ აგი ჩვენი ნახუცვარაი ნიკიფორაი (მაშვინ ბლაყოჩინი იყო) წირვაში რომ გამუურევდა: „ღმერთო აცოცხლე ჩვენი მთავრობაო",—ჩემი ბიჭი მაშვინაც ილრიჭებოდა: რა მთავრობაა მაგი მთავრობა, ღვდლების სალოცავად აქვს საქმეო.

აი, ყორიფელი კარგათ მახსოვს, მარა იგი აღარ ვიცოდი, ამდენი ლოცვა-კურთხევის მერე ბარშენიკები თუ შამევიდოდენ.

შამევიდენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მარა რა შამევიდენ! ამ შანმა მენშევიკებმა ზაგრანიცაში მოფოცხეს ლიწინ-ლიწინით (ახლაც იქინე ბუნაგობენ თუ საჭმელი არ შამოელიენ).

დაერჩით. მარა გული მაინც საგულეს გვქონდა: მე თვითონ ვფიქრობდი. რომე ერთ·თვეში წავლენ მეთქი,

# აღმშენებლობა



უცხოეთში

ჩემი მეზობელი ივანიკაი მიჩიოდა სამ კვირეში წავლიენო, ჩვენ ღვდელს დასიზმებოდა ათ დღეში გაძუნძულდებიენო, დიაკონს გონია სულ არ ჯერავა მაგინის შამოსვლის ამბაეი...

ერთი სიტყვით, ყველე დაჯერებული იყო, რომ მაგენს დიდი დღეი არ ქონდა. ციცაის გათხოვა მინდოდა, აღარ გავათხუე, ვიფიქრე: წავლიენ და მერე გემოიანათ ვიქორწილეფ მეთქინ (მერე ქე გაზდია ვინცხა კომსომოლას), ჩემმა სიმაურმა ცხენი და ძროხა გაყიდა,—წამართუმენო. იგი ფული საცხა შეინახა და ერთ წელიწადში ქე დიეკარქა ფასი.

აი, ჩვენი გრიგოლაი რომაა, ცოლშვილი ოჩამჩირეში გააგზავნა: მდიდარი კაცია, კალამ ულაყათ ითქმის (ასე უძახიენ ულაყიაო) და იფიქრა ცოლ-შვილს ჩამომართუმენო.

ერთი სიტყვით, ყველას ბუძგი შეუდგა ტანში, მარა სად გინდოდა რომ შემძვრალიყავი? ვინ იყო მაშველი?

ვართ და უყურყუტებთ როის წავლიენო.

გევიდა ერთი კვირე, მეორე, გევიდა თვეი, წელიწადი, კიდომ წელიწადი, კიდომ და კიდომ...

რას ხედავს ჩემი თვალები! აი წლები მირბის პარავოზივით და აგი ბარშენიკები ბანდალს არ შობიენ... წასვლა კიარა, თლათ უმფრო და უმფრო გეიდგენ ძირი, გაძრიელდენ და გაბაჯაკინდენ!

ბიჯო! რას შობი ახლა! მიელიენ კიარა, სხვასაც აბარშანიკებენ და მის კედაროზე გადაყავენ.

უყურეს, უყურეს და ბოლოს ზაგრანიცაში გაბუნძულებულ აფხანაგების ბრძანებით, ფულით და წინამძღოლობით აჯანყებაც მუაწყვეს. სულო ცოდვილო და კალამ მეც ევიღე ჩემი საჩიტე თოფი, ცოლმა არ დამანება თვარა.

მას მერე მეც დავრწმუნდი, ჩემი მეზობლებიც და მტერ-მოყვარეც, რომე მაგენი ფეხს აღარ მეიცვლიენ აქედან.

იგი იყო და იგი! მეც დავრწმუნდი, ჩემი მეზობელიც, ერიც და ბერიც, რომე მაგენის წასლას საშველ-სახიდებელი აღარ დადგებოდა. ჩვენმა ღვდელმა წვერი გეიპარსა, თაეი გადახვინჯილა და ანაფორა ჩოხა-ახალოხათ გადააკეთა. ამ ჩვენმა ულაყმა ყურები ჩამოყარა და ერთ კასხელა კომუნისტს მიათხუა ქალიშვილი (კაი გვზითიც მიაყოლა), სხვებმაც დეინახეს, რომე ტყუედებოდენ და შეურიგდენ.

მეც დავფიქრდი, მივიხედ-მევიხედე, მაგენის ნამუშიერს გამოვხედე და... რა ვქენი იცით?

რას ვიზამდი თქვენი აზრით?

რა ვქენი და შევდექი პლათორმაზე. ან და რეიზა არ უნდა შევდგე: კლასი ააშენეს, გზაი გეიყვანეს, ხიდე გააკეთეს, ფაფრიკები მუაწყვეს, ზაღესი მუაკვარაჭინეს, რიონზესი დეიწყეს და რა ვიცი რა არ ქნეს.

ამ ბერიკაცს წერა-კითხვა მასტავლეს. მე და ჩემი დედაბერი უჩენიკებივით ვიარებით კლასში, ბანკი გაგვიხსნეს, ბალნიცა გააღეს...

მოი ახლა და აგინე მაგფერი ხალხი. არა ძამია, მაგისთანა დახვინჯილებულ ბიჭებიზა გლახას ველარაფერს ვიტყვი, აცოცხლოს და ამყოფოს ისე, რომ ჩვენც კიდომ უმფრო გავხარებულიყოთ წმინდა ზაღესის მადლით!

გუზ-გუზ.

# ოქტომბრის წინადღით




ბმილამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო,
ტბილური, შავი დღეო,
გაგვითენდება ხვალეო.

კვირა. 13 ნოემბერი 1927 წ. № 126 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

## იმედგაცრუებულნი

„ცაკის საოქტომბერო მანიფესტი გამფლანგველებს არ ეხება და მათ სასჯელი არ უმსუბუქდებათ".



მოლარე (გამგეს ციხეში):—მოსაკლავი ხარ ჩემი ხელიდან! აკი მეუბნებოდი, რომ—ნუ გეშინია, გავფლანგოთ; ოქტომბრის ათი წლის თავზე დიდი ამნისტია იქნება და შეგვრჩებაო?!

გამგე:—იმედი კი მქონდა, მაგრამ ხომ ხედავ,—არ შედიან ჩვენს მდგომარეობაში!

# „საპატიო მიზეზი"

პატარა მიტრო დაღლილიყო ტირილისაგან და პაუ-ზებით სტიროდა.

მის უნცროს დას—მარუსიას ახლად დაწყებული ჰქონდა ტირილი და განუწყვეტლივ სტიროდა,—ხოლო ყველაზე უნცროსი პაწია რეზო მოთმინებიდან გამოსული, აკვანში მაგრად გაკრული, ისე ჰკიოდა, რომ მეზობლები სწყევლიდენ:— უი, რა ჩხავანა არის ის არ გასაზრდელი!

— იტირეთ, იტირეთ თქვენი მამის სიცოცხლე, თქვე არ-გასაზრდელებო!—დაიკაპასა დედამ და ბავშს აკვანში პატარა შუშიდან „ნესტლენ ფქვილი"-საგან შემზადებული რძე მიაწოდა...

ცოტა ხნის შემდეგ, მისწყდა ბავშთა ხმაური,—სამივეს ჩაეძინა.

ქვევით, სახლის შემოსავალში გაისმა ბრაგვანი და გინება.

— ის გამოსაწყვეტი იქნება, ის!—გაიფიქრა ტასომ და დააყურა. აკვანში რეზო ნელა ხვრინავდა.

არ შეცდა ტასო. მისი ქმარი მოდიოდა და მღეროდა:

**ალმასკომის თავმჯდომარე,**
**შენ გენაცვალეო,**
**ჩემი ტასო დამიბერდა,—**
**გამომიცვალეო...**

— შვილებს რა ვუყო, თორემ ალმასკომის თავმჯდომარისათვის აღარ დაგჭირდებოდა თხოვნა—თვითონ მე მი გატოვებდი, შე ლოთო შენა!—ჩაილაპარაკა ტასომ და ქმარს კარები გაუღო...

**სახლში მოსვლა მას უხარის,**
**ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...**

მიუმღერა ქმარმა ტასოს და მოინდომა ჩახვევა, კოცნა,—მაგრამ ცოლი გაუდგა.

— არა უშვას, რა! დღის სხვა დღეა... დღეს მუშების დღეა... დღეს პროლეტარიატი, ისეთია, რომ... ოქტომბრის ათი წლის თავი. ეს ხუმრობა ხომ არ არის...—ჩვენ მუშებმა... ვენაცვალე ლენინს... დღეს რომ დავთვერი, ეს არ არის გასაკვირი... დღეს ჩემი აღდგომა არის... მსოფლიო რევოლიუცია უნდა მოვახდინოთ და ჩვენ უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა...

— კვარტებს!— გესლიანათ დასცინა ცოლმა...

— არა, ჩვენ უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა...

**ეს არის ჩვენი**
**უკანასკნელი ბრძოლა...**

— გრცხვენოდეს შენ ნამდვილი მუშის შემარცხვენელი ხარ... ყველა მუშები რომ შენსავით ლოთი ყოფილიყო, დღეს არც ოქტომბერი იქნებოდა... აკი სთქვი და პირობა მომეცი, რომ ამიერიდან აღარ დავთვრებიო!—ნეტავი ვინ გაძალებდა ვიცოდე?!

— ვინ მაძალებდა და—სინდისი, იდეა. რევოლიუციის სიყვარული და გატაცება... მოდი, დამიჯექი აქ და სათითაოდ ჩამოგითვლი სადღეგრძელოებს... თუ უარის თქმა შეიძლება ასეთ სადღეგრძელოებზე, მე მაშინ დამნაშავე ვიქნები,—თუ არა და, რას მერჩი?!

**პირველი სადღეგრძელო** იყო ის, რომ... ამხანაგებო, დღევანდელი დღე, ე. ი. ოქტომბრის ათი წლის თავი, ეს ისეთი დღესასწაულია, რომ უკეთესი დღესასწაული ჩვენ არა გვაქვს. ამიტომ, ამხანაგებო, გაუმარჯოს ოქტომბრეს, რომელმაც ჩვენ—მუშათა კლასს მოგვცა ყოველივე კარგი საქმე და მდგომარეობა... ოქტომბერი, ეს არის რაც არის და,—ჩემო ცოლო, ჩემო ტასო, ნუ თუ მე ამაზე, ამ სადღეგრძელოზე უარი უნდა მეთქვა! არა, არასოდეს; მე ბარიკადებზე გავსულვარ; მე ფოთი ამიღია ხელში, მე სიცოცხლე არ დამიშურავს რევოლიუციისათვის და ოქტომბრის რევოლიუციის სადღეგრძელოზე ვიტყოდი უარს,—ისიც მაშინ, როცა ყველა სიამოვნებით სვამდა ამ სადღეგრძელოს? დიახ! ჩაის სტაქნით დავლიეთ ოქტომბრის სადღეგრძელო... აბა, კონტრ-რევოლიუციონერობას ხომ არ დამაწამებდნენ ჩვენ ადგილკომის მდივანს! ეს, ჩემო ტასო საჭირო იყო!..

**მეორე სადღეგრძელო** ეს ის იყო, რომ... შენ არ იცი, ტასო,—თუ რევოლიუციას კარგი ხელმძღვანელი არ ჰყავს, ის რევოლიუცია დამარცხდება. სწორედ ამიტომ იყო, რომ თებერვლის რევოლიუცია დამარცხდა—მას არ ჰყავდა კარგი ხელმძღვანელები; მით უკეთესი მუშებისათვის... ჰო-და ამხ. ლენინი,—იმას ვენაცვალე მე,—იყო ის კაცი, რომელმა კაცმაც მოახდინა ოქტომბრის რევოლიუცია... თუ არა ლენინი, ჩვენ დღეს უარესს დღეში ვიქნებოდით, ვიდრე ომამდი... ჰო-და, ერთი ის მითხარი, ასეთი კაცის სადღეგრძელო კაცმა ერთი ჩაის სტაქნით არ უნდა დალიოს?! ჩაის სტაქნით კი არა, ორმოც ვედრიან ბოჭკით უნდა დალიო თუ კი ღვინო იქნება საკმაოთ.. დიახ, მე დავლიე ლენინის სადღეგრძელო... უარის თქმა ხომ არ შეიძლებოდა, ამაში შენც კი დამეთანხმები... კონტრ-რევოლიუციონერობას ხომ ვერ დამაწამებდნენ ამხანიგებს...

**მესამე სადღეგრძელო**, რაღა ბევრი გავაგრძელო... ერთი იგი მითხარი... შენც კარგად იცი, რომ უმსხვერპლოთ არაფერი არ იქნება... და აი, სწორედ, მესამე სადღეგრძელოთ ჩვენ ვადღეგრძელოთ და ვუსურვეთ კარგად ყოფნა ყველა იმ ამხანაგებს, რომლებმაც თავი შესწირეს რევოლიუციას, ანუ ჩვენს ბედნიერებას... დღეს ისინი სამარადისოთ განისვენებენ... საუკუნოთ იყოს ხსენება მათი... და დაიწყო სიმღერა:

**თქვენ მსხვერპლი გახდით დიად ბრძოლის,**
**ხალხის სიყვარულს შესწირეთ თავი...**

რას ერჩით იმ ხალხს; სიცოცხლე შეგვწირეს და ჩვენ, „ხეუქელი", ერთი ჩაის სტაქნით არ უნდა ვადღეგრძელოთ ისინი? სხვაზე ნაკლები რად უნდა იყოს შენი ქმარი!?!

**მეოთხე სადღეგრძელო**... ოი-ოი, რა იყო, რომ იცოდე!.. დღეს, როცა ჩემბერლენი და ძმანი მისნი... როცა რეაქცია კბილებს ილესავს და მშიერი მგლებივით გვიცქერს... როცა უნდა საბჭოთა კავშირი, ეს მუშებისა და გლეხების რესპუბლიკა გააცამტვერონ,—როგორ გგონია, შენ ჩემო ტასო,—თუ იგინი იარსებებენ,—ჩვენ გაგვახარებენ და მოსვენებას მოგვცემენ? არა; ამაში ვერავინ მოგვატყვილებს... მაშასადამე: მეოთხე სადღეგრძელო... ანუ თუ ყველგან არ მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია... ჯერ შენ აიღე ჩინეთი... ეს ჩან-კაი-ში და ჩან-ძო-ლინი უნდა მოხდეს მსოფლიო რევოლიუცია და მხოლოდ მაშინ ვიქნებით ჩვენ გამარჯვებული, თორემ.... მაშასადამე: მეოთხე სადღეგრძელო, ეს თითქის ყველაზე უფრო საჭირო და სავალდებულო სადღეგრძელო ჩვენ დავლიეთ ექსტრა, რადგან სოფლიო რევოლიუცია ჩვენ გვინდა მოხდეს ექსტრად... ჰო-და, ჩემო ტასო, ამაზე უარის თქმა შეიძლებოდა? არა, თვითონ შენ სთქვი, თუ შეიძლებოდა? რომ არ დამელია,—მენშევიკობას შემომწამებდნენ ამხანგები და ადგილკომში... ხომ იცი, სიფრთხილეა საჭირო, თორემ...

— კარგი, კარგი. დაეგდე და დაიძინე.

— არა; უნდა აგიხსნა, თორემ შენ გატყობ, რომ გაჯავრებული ხარ ჩემზე...

**მეხუთე სადღეგრძელო**... საქმე იმაშია, რომ ჩვენ—საბჭოთა მუშები რას გავხდებით სხვა ქვეყნებშიაც ოქტომბრის მოსახდენათ, თუ იქაური ჩვენი ძმები ჩვენსავით არ იბრძოლებენ!—და დაიწყო სიმღერა:

**ადსდეგ მშიერნო წამებულნო,**
**მონებო მთელი ქვეყნისა!**

მაშასადამე: მეხუთე სადღეგრძელო, ის იყო იმათი სადღეგრძელო, რომლებიც უნდა გამოვიდენ ჩვენსავით და ქვეყნის ყველა ნაწილში უნდა დაამყარონ საბჭოთა ხელისუფლება... დიახ, ეს აუცილებელია... მაშასადამე: უადგილო არ არის ეს სადღეგრძელო... მსოფლიო რევოლიუცია... მსოფლიო პროლეტარიატი... ქვეყნის ყველა ნაწილში... ქვეყანა ტირალებს... აი ეს ქვეყანა რომ ტრიალებს... ჭერის ჩარხიც ტრიალებს... მიწა ტრიალებს... ყველაფერი ტრიალებს..., აკვანი ტრიალებს და ბავშვი არ გადმოვარდეს... ტრია... ლებს... რევო... ლიუ... ცია!...

ჩაეძინა...

ტასომ ერთი მაგრად ამოიოხრა ნაღვლიანად და დაძინებულ ქმარს ტანზე გახდა დაუწყო. **ისელი.**

# ჩემბერლენი
## ოქტომბრის დღესასწაულის დღეს



# უკმაყოფილო

ამბერკის გამგის ადგილი ჰქონდა თვალში ამოღებული, როგორც ქორი წიწილს, ისე უცქეროდა და უტრიალებდა მას.

— იქ არის ჩემი ალაგი, აი იმ კაბინეტში, იმ სავარძელში! — ეუბნებოდა იგი თავის თავს და საერთო კანცელიარიიდან უცქერდა სანახევროდ ღია კარებში გამგეს, რომელიც ვიღაც ლამაზ ქალს ემუსაიფებოდა.

საქმის-მწარმოებლის თანამდებობას რომ გამგის თანამდებობა სჯობია. ეს კარგად იცოდა ამბერკიმ.

რაც მართალია, მართალია: გამგეზე ნაკლები თავი არ ჰქონდა ამბრეკის. მაშასადამე: საჭიროა ზოგიერთი დაბრკოლებების გადალახვა, თორემ ყასაყოკი იქ წამოიჭიმება.

— შენთვის დაეტიე; ღმერთს მადლობა შესწირე, რომ საქმის - მწარმოებლობა მოგცეს.. ამერიკაში ისეთი მანქანა გამოიგონეს, რომ სიცრუე-სიმართლეს აღნიშნავს, ირკვევს ადამიანის გულისწადილს. ჰოდა ისეთი მანქანა რომ აქ ჩამოიტანონ და იმითი გაგშინჯონ, მაშინ ხომ ისეთ პანღურს ამოგკრავენ, რომ იქედან სტამბოლში ამოჰყო თავი! — ეჩურჩულებოდა გული ამბერკის.

— ცდა ბედის მენახევრეა! — მიუგო ამბერკიმ და სარეგისტრაციო წიგნში აღნიშნა შემოსული ქაღალდი.

—:—

განცხადებაში, რომელიც უჯრედში შეიტანა პარტიაში მისაღებათ, ამბერკი თავისი სპეცობის დოკუმენტებთან ერთად, სწერდა:

**დავრწმუნდი რა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად-ერთი ხელისუფლება, რომელიც ემსახურება მშრომელთა კლასს და იცავს მის ინტერესებს; აგრეთვე დავრწმუნდი რა იმაში, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლება პატარა ერების (და მაშასადამე ჩვენი ერისაც) ბედნიერება, — ამიერიდან მე ვგმობ ჩემს წარსულს და მინდა ვემსახურო არჩეულ ხელისუფლებას. მხოლოდ ეს შემეძლება პარტიის რიგებში ყოფნით. ამიტომ გთხოვთ, მიმიღოთ პარტიაში.**

—:—

მართალია: პარტიაში იგი საექვო კანდიდატათ ჩაიწერეს, მაგრამ ნახევარი წლის, ე. ი. ექვსი თვის შემდეგ მოაჰერხა მიზნის მიღწევა — გამგეთ დანიშნეს.

— კომუნისტი გახდი! არ გრცხვენია? — უსაყვედურებდენ თავისი ამხანაგები ამბერკის.

— რა ვქნა, კაცო, საშველი არ მომცეს — შენისთანა ხალხი გვჭირია ასეთ აღმშენებლობის დროსო... ერთი სიტყვით. ძალით შემატანიეს განცხადება პარტიაში მისაღებათ... თუ არ შეასრულე მათი, ხომ იცი როგორი არიან?! მეც ავდექი და მივეცი განცხადება... მადლობა ღმერთს, — კანდიდატათ ჩამრიცხეს და არა პარტიის წევრად.

—:—

როგორც ჯდომა გამგე, ამბერკიმაც პირველ ყოვლისა კაბინეტი გადააკეთებინა - მოაწყობინა თავის გემოზე და ყაიდაზე. შემდეგ კანცელარიაში გაატარა „რეფორმები“ — მაგიდები შესცვალა - შემოსცვალა და გადადგა - გადმოდგა.

აი ასე სჯობია; ქაღალდი აქ მოვა, იქ მიიღებენ, იქ ჩასწერენ, შემდეგ იქ გადასცემენ, მერე იქ განიხილავენ, ბოლოს მე გადმომცემენ რეზოლუციის დასაწერად და ისევ აქ მოვა. აი ეს არის რაციონალიზაცია.

—:—

გავიდა კიდევ ნახევარი წელიწადი, ე. ი. ექვსი თვე და დღეს, როცა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამოსულა ამბერკიც უცქერის ამ სანახაობას, მაგრამ სხვებისავით ვერ არის მხიარული. აწ და როგორ უნდა იყოს, როცა კაცი ორი დღეა რაც მოხსნეს თანამდებობიდან და პასუხისგებაშიაც მისცეს.

მუშკლეხინის ბრალდება არც ისე უმნიშვნელოა:

...ძე მაბერკი ბიუროკრატიზმისა, პროტექციისა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და საქმის არ ცოდნისა და დაუდევრობისათვის, მოხსნილ იქნას თანამდებობიდან, — ხოლო სახელმწიფო ქონების გაუზოგა-

ნეაღ და მიზანშეუწონლად დახარჯ-ვისათვის მიეცეს პასუხისგებაში.

ამიტომ არის ამბერკი მოწყენილი იქა, რომ იტყვიან: „დანა პირს არ ულებს-ო. ბატიეით დაბნეულად დადის... კოსტიუმიც ძველი ჩაუცვამს!

—:—

— ჰაა, გამარჯვება ამერკის—მიესალმა ნაცნობი. — რაშია საქმე, რომ დღეს ეს ძველი კოსტიუმი რომ ჩაგიცვამს და აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს დღესასწაულში?

— ისე მელაპარაკები, თითქოს არაფერი იცოდე!

— რა იყო? რა მოხდა! — იკითხა გაკვირვებით ნაცნობმა.

— ქვეყანამ გაიგო, გაზეთშიაც ჩამწერეს... მომხსნეს სამსახურიდან და პასუხისგებაშიაც მიმცეს.

— რატომ? რისთვის? შენ ხომ...

— რატომ და არ იცი მაგათი ამბავი? არ მენდვენ, როგორც არა-საიმედოს. შენ ისეთი პატრიოტი ხარ, რომ შენი გამოცვლა არ იქნებაო. საქართველოს შენ მთელ მსოფლიოს ანაცვალებ, ქართველი ერთი შენი სალოცავი ხატიაო... აი ამიტომ მომხსნეს, როგორც პოლიტიკურად არა-საიმედო პიროვნება, თორემ სხვამხრივ დიდ პატივსა მცემდენ:

— ყოველმხრივ უნაკლო, საქმის ზედმიწევნით კარგი მცოდნე, პატიოსანი, თავაზიანი და დაუზარებელი, ენერგიული მუშაკი! — ასე გამომიცხადეს, როცა დამითხოვეს.

— ხომ გეუბნებოდი, რომ მაგათთან არ იმუშავებ — მეთქი?!

— რა ვიცოდი, კაცო, თუ ასე ამომკრავდენ პანღურს! თვითონ მიმიწვიეს, შემეხვეწენ — ძალიან გვჭირიხარო, უშენოთ საქმეს ვერ გაეუძღვებითო; რა შენი საქმეა საქმისმწარმოებლობაო..

— ჰოდა არ დამაყენეს, კაცო, თორემ მე მერჩივნა საქმის მწარმოებლობა; ვიქნებოდი ჩემთვის და ჩემს ეროვნულ მრწამსაც არ შევლახავდი... მართალს მეუბნებოდი — პატიოსან კაცს მაგათთან არ ემსახურებაო... მაგრამ რა მიკვირს იცი! ჩემისთანა ხალხს რომ არ იკარებენ, როგორ აკეთებენ ამოდენა საქმეს და ან როგორ არსებობენ?!

ამ დროს მოვიდა ქალი, რომელიც ეხლაც იქ მსახურობს, სადაც ამბერკი გამგეთ იყო.

ეტყობოდა ქალი დემონსტრაციიდან გამოპარულიყო; ახალ ფეხსაცმელებს მოეჭირა და კოჭლობდა.

ამბერკი, როგორც კი სალამი მისცა, მაშინვე დაემშვიდობა და წავიდა, თავს უშველა, რომ მისი ტყუილი მის თანდასწრებით არ გამოაშკარავებულიყო.

— რატომ დაითხოვეს და პასუხისგებაში მისცეს თქვენი ყოფილი გამგე ამბერკი? — შეეკითხა ამბერკის ნაცნობი ახლადმოსულ ნაცნობ ქალს.

— დაითხოვეს მა რას უზამდენ, როცა ძველი თანამშრომლები დაითხოვა და მათ ალაგას თავისიანები მიიღო! ცოფიან ძაღლივით კბენდა ყველას; ეოთ თვეში ორი ავტო გასცვითა წაღმა - უკუღმა ხეტიალით; საქმის არაფერი არ გაეგებოდა და წარმოებამ მის წყალობით რამდენიმე ათასი მანეთი იზარალა... დათხოვნა რა არის, —პასუხისგებაშია მიცემული და გვარიანი სასჯელიც მოელის.

— კი მაგრამ ამნისტია უშველის!

— მასაც მაგისი იმედი აქვს, მაგრამ არ მგონია უშველოს...

ენუქი.

# საქართლიანი საყვედური



**პუშკინი (გ. ცეცხლაძეს);—კარგი, ყმაწვილო, დეე მგავდე ჩემს ლენსკის, როგორც შენ ამას ამბობ,—მაგრამ, სამაგიეროთ, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე ჩემს ნაწარმოების თარგმნას...**

# შემცირების მსხვერპლი

კომედია ერთ მოქმედებათ

## მოქმედნი პირნი:

ივან გრიგოლიჩ—მასწავლებელი.
ეკატერინა პავლოვნა—ცოლი მისი
გრიშა მშვიდობაძე—მასწავლებელი.
აბრეშა რიჟინაშვილი—ვაჭარი.
კოსტა სირბილაძე—ფოსტალიონი
სტეფანე ფლიდაძე—მიკიტანი.
ბეკო ტყავაძე—მეხორცე.
ერისტო ფულაძე—მეზობელი.
არშაკ არუთინოვი—მეხილე.

## პირველი მოქმედება

უბრალოთ მორთული ოთახი, რომელსაც აქვს სამი კარი და ორი ფანჯარა. სდგს ერთი ტახტი, რგვალი მაგიდა, რომელზედაც წიდნები და საწერ-კალამი აწყვია. კედელზე ჰკიდია გეოგრაფიული რუქები. მაგიდასთან ზის მასწავლებელი სათვალეებით.

## გამოსვლა პირველი

ივან გრიგოლიჩ. კიდევ შემცირება... ვერ გამიგია რაშია საქმე?! არა, ამ ნატურალურმა და ბიოლოგიურმა მეთოდებმა მომინელეს კაცი! მიდგომა გაკლიათ, ჩორთ ეგო პობრალ! მიდგომა! ბავშის გალახვა—ნეზაკონნო; კუთხეში გაჩერება—ნეზაკონნო; ოსტავიტ ბეზ ობედა—ნეზაკონნო, წაუქინძისთაო გოგრაში—ნეზაკონნო; დაითხოვო; სკოლიდან—ნეზაკონნო, აიყვანო და მომაზადო—ნეზაკონნო!.. ა ჩტო ვაკონონნო, ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა. დალოცვილი იყო ძველი დრო; შეხვადოდი სკოლაში:

— სანიკიძე შალვა, ოტვეჩაი!..
— ნე ზნაიუ...

რას დვა პო ბაშკე, ი კ ჩორტუ. არც სისხლი ვგიშრებოდა და არცბრინჯები. დღეს რას ვხედავ! ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა, ნე პონიმაიუ! (პაუზა)... ჩორტ ეგო ზნაეტ—რა სიზრმებში ვიყავი წუხელ? ნეტავი კარგათ გამომეტანა. (დაფიქრდება)... ააა..: მახსოვს, მახსოვს::: ვითომ განათლების განყოფილებში ჩემზე ჰქონდათ მსჯელობა ერთი ინსტრუქტორი დაჟინებით მოითხოვდა ჩემს მოხსნას, „სტარი რეჟიმის მომხრეაო“. ...ჰო, მერე ვითომ პაგონები და პეტლიცები მქონდა... მერე, ვითომ, სადღაც ცხენით დავქროდი, ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა, რას ნიშნავს ეს სიზმარი! (შემოდის ცოლი).



— გამარჯობა შენი, წინეთ ძალიან მსუქანი მახსოვდი! ეხლა რა მოგივიდა?
— თანამდებობა გამომეცვალა,—დამაქვეითეს.

## გამოსვლა მეორე

**ეკატერინა პავლოვნა.** (ირონიით ქმარს): დამსახურებულ პედაგოგს ვახლავარ. როგორაა ივან გრიგოლიჩ შენი დაპირება აა? ბატონიშვილო! კოვერკოტის კოსტიუმზე მაქვს საუბარი.

**ივან გრიგოლიჩ.** ნეტავი შენ ჭკუა მოგცა და ისიც მე მომცა. რა კოვერკოტება--ფუთი სიმინდი ექვსი მანეთია და „სოკრაშჩენიე“ გახელებული მგელივით მიყურებს სიკბილოს. ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა, რა ადამიანებია ეს ქალები!

**ეკატერინა პავლოვნა:**—„სოკრაშჩენიე“ მე ფეხებზედაც არა მკიდია. კორკოტი მიყიდე თვარააა! მამა-ჩემსა აქ[illegible] ცხონება, მე შენ გაჩვენო სეირი.—მაგ აჩკებს გამოშტერებულ თვალებში მიგაფშვი. შე ყურუმსალო, შენა; წადი და უყარე მერე კაკალი. არა, ჩემი შენახვა თუ არ შეგეძლო, რაზე მთხოულობდი?!? (თავისთვის) მიქელაძის ქალი, საპატივცემო თავადიშვილი ამ ცხვირ-მინგრეულ უჩიტელს შიმცეს და კიდევ შეხედე რა ამბავშია?

**ივან გრიგოლიჩ.** (თავისთვის):—ოდნო ბეზობრაზიე, ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა; ვალებში კისრამდი ვარ ჩაფუფლული, „სოკრაშჩენიე“ მილიტინებს, შიმშილი მომელის და ეს კიდევ კოვერკოტებზე ლაპარაკობს. ნე პონიმაიუ მე და ჩემა ღმერთმა, ნე პონიმაიუ.

**ეკატერინა პავლოვნა:**—შენ უჩიტელი კი არა, მუჩიტელი ხარ, მუჩიტელი. გაიგე? აბა, არ გავდეს შენი ცოლი ჩვენს მეზობელ თამარას,—ისეა ჩასუქებულ-ჩაფუნთრუშებული, როგორც მომსებული ვარია. ზურგზე რომ წყალი დაასხა წვეთი არ დაიქცევა ისეა განანავებული. მისი ქმარი უჩიტელიცაა და დირექტორიც. კონტრაბანდისტი უწოდე, შენ მინგრეულ ქოხს ჰგავს, შენმა სიცოცხლემ, მისი „დვარეცი“... კვირას კლუბში ვარ დაპატიჟებული. ლაკის ტუფლები დამიხსენი, თვარა ღმერთმს გაგაცლი მუცლიდან, გაიგე? შემოგივარდები გაკვეთილზე და გაგჩეჩავ; უჩიტლობას კი არა, თავს დაგავიწყებ; ხომ გახსოვს შარშანდელი? ასე დაგნაყავ, აი! (მუქს მაგიდზე ურტყამს).

**ივან გრიგოლიჩ.** (დადის გაბრაზებული). თავი დამანებე, დედაკაცო; ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა! გელაპარაკები თავი დამანებე თვარა,, დავტრიალდები ერთი ბეკოს ჯორივით და სულ მივლეწ-მოვლეწავ აქაურობას.

**ეკატირინა პავლოვნა:**— მილეწ-მოლეწავ, თვარა შენმა სიცოცხლემ მანთაშევის „აბსტანოვკა“ გაქვს ვენიდან გამოწერილი! რა კაცი ხარ, რა კაცი გამაგებინე? სამი სტუმარი რომ გეწვიოს, პიჭა-საინს ვერ უშოვი, ღამეს ვერ გაათევინებ. შენ ივან გრიგოლიჩი კი არა, ჩერჩეტ გრიგოლიჩი ხარ, ჩერჩეტ გრიგოლიჩი.

**ივან გრიგოლიჩ.**—ოპიატ გოვორიტ! თავი დამანებე, ქალო; ნუ მხეთქავ გულზე შე მუცელზე გასახეთქო; შენ გოუგჯი და გოუსკდი შენს პატრონს. ენ პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა, ნე პონიმაიუ!

**ეკატერინა პავლოვნა:**—შეხედეთ ერთი, სიკვდილის წინამორბედს არ გავს ეს გლახის პირი ესა! (თავისთვის) მიქელაძის ქალი, საპატიეცემული თავადიშვილი ამ ცხვირ-მინგრეულ უჩიტელს მიმცეს და. შეხედე კიდე რა ამბავშია?!? რავა ჩამობანძგვლია წვერი და ულვაში აჯა-

მეთის ტყესავით აა? წყლტუპოს ალმასკომის შენობის პოდიეზდს არ მიუგავს ამ კედარ ძაღლს ის ცხვირი! წამეიწიე ერთი წამეიწიე; მამაჩემსა აქვს ცხონება გდღუზო მაგ გოგრაში რაც კი ხელში მომყვება. (აუტეხენ ერთი-მეორეს წიგნების სროლას).

### გამოსვლა მესამე

**იგინივე და გრიშა**

**გრიშა:**—აქა მშვიდობა. (ართმევს ხელს ჯერ ცოლს, მერე ქმარს.) მგონი აქ ჩხუბს ჰქონია ადგილი, არა?

**ეკატერინა პავლოვნა:**—როგორ გეკადრებათ, პატივცემული გრიშა! ჩემმა ქმარმა პიესა დასწერა და მისი რეპეტიცია გვქონდა, თუ როგორი გამოვიდოდა სცენაზე.

**გრიშა.** ააა! რეპეტიცია? ეხლა ყველაფერი გასაგებია; მაგეთი რეპეტიციები ჩემთანაც ხშირია; მაგრამ რას იზამ დაიკონა, უფულობაა დამნშავე, უფულობა. ჩვენი ჯამაგირის პატრონს, ეგრეთი რეპეტიციები ხშირი აქვთ.

ივან გრიგოლიჩ! გაიგე რამე?

**ივან გრიგოლიჩი:**—რის შესახებ მეკითხებით?

**გრიშა:**—ჩვენ რომ გვაინტერესებს—სოკრაშჩენიეზე.

**ივან გრიგოლიჩ:**—არც გამიგია და არც მინდა გავიგო; მე მაგის შიშმა დამადნო, როგორც სანთელი. (შემოდის ფოსტალიონი).

### გამოსვლა მეოთხე

**იგინივე და კოსტა**

კოსტა:—ივან გრიგოლიჩი აქ ცხოვრობს?

**ივან გრიგოლიჩი:**—მე გახლავარ, რა გნებავთ?

**კოხტა:**—წერილია თქვენზე, მომიწერე—სასწრაფოთ ისწორებს სათვალეებს, ხევს წერილს და კითხულობს:

**ქუთაისის მესამე შრომის სკოლის მასწავლებელს ივანე გრიგოლისძე გობეჩიას.**

აშით გაცნობებთ, რომ დღეის რიცხვიდან თქვენ მო**ხსნილი ხართ სამსახურიდან, როგორც ნამხახური, პენსიის შესახებ შუამდგომლობა აღძრულია სადაც ჯერ არს.**

აი ჩემი სიზმრის ახსნა! რაღა ექნა აწი! რა წყალში ჩავარდე? რით ვარჩინო ცოლი! რა ეშველება ამდენ მევალეებს? (შემოდის აბეშა).

### გამოსვლა მეხუთე

**იგინივე და აბეშა**

**აბეშა:**—სალამო მშვიდობისა, ბატონო ივან გრიგოლიჩ. ღმრთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს ვადაი. თუ შენი ღმერთი გწამდეს, ი ჩემი გროშები მომითვალე ვადაი; ადესაში მივდივარ რჯულის მადლმა და ეგება ფარები ფარებს წავაწიო.

**ივან გრიგოლიჩ:**—აკი ჯამაგირამდე მენდე აბეშა! რაშია საქმე?

**აბეშა:**—რა ვიცი ვადაი, ფოსტალიონმა გვითხრა ივან გრიგოლიჩმა პროშენიე შეიტანა ნაროზრაზში უჩიტლობა აღარ მინდაო და,—მეც ანგარიშის გასაწმენდათ ამოვედი ვადაი. თუ შენი ღმერთი გრ;ამდეს, ნუღარ მაყოვნებ, პარახოდი გამასწრებს ვადაი და ამოვარდები კაკალი ქაცი. სიყმეს გეფიცები არ შეგაწუხებდი, მარა საძესოთ ვარ ვადაი რჯულის მადლმა გამზადებული.

**ივან გრიგოლიჩ:**—ძალიან კეთილი და პატიოსანი... (შემოდის სტეფანე).

### გამოსვლა მეექვსე

**იგინივე და სტეფანე**

სტეფანე:—(ქუდს მოიხდის და იღლიაში ამოიდებს) სალამო მშვიდობისა ივან გრიგოლიჩ. როგორ ბრძანდებით ბატონო ჩემო, თქვენი პატიოსანი ცოლითურ?

ივან გრიგოლიჩ. მადლობთ ჩემო სტეფანე, ერთნაირათ.

სტეფანე:—ივან გრიგოლიჩ, კი არ შეგაწუხებდით, მარა იმისანა გაჭირვებაში ვარ, ბატონო ივან გრიგოლიჩ, იმისანაში, რომ შეგეცოდები, რომ გაიგო მე ნუ მოგიკვდები იმ ჩემი გროშების გარდა, ეგება ერთი ოცი მანეთით გამიწყოთ ხელი და მერე მე ვიცი თუ გინდა შენი გულისთვის თავდაღმა დავეკიდები ერთ თვეს. (თავისთვის) ერთი ჩემს ფულს გამოვსცინცლავდე და მერე კისერი უტეხია მაგასაც და მისცოლსაც.

ივან გრიგოლიჩ:—ძალიან კეთილი და პატიოსანი, რამდენია ჩემზე?

სტეფანე. ამ საათში ბატონო. (იღებს საანგარიშო ჩოთქს წინსაფრიდან—უბიდან კი ანგარიშს): სამი მან. და 20 კაპ... იმ ღამეს, ბატონო,—2 მ. და 30 კ.::: იმ დილას ჩემო პატიოსანო 5 მან. ქე რომ ივლიანემ გოგია გალახა... 90 კაპეიკი ფუნჯის. (6 ბოთლი ნა ვინოს—3 მან... ის ბუჩუყი, ეს ბუჩუყი და სულ 16 მან. და 40 კაპ. შენ ხარ ჩემო ბატონო... (ჩუმი ხმით) კი არ შეგაწუხებდი, მარა სიძე მყავდა უჩიტლათ, სოკრაშჩენიეში მოხვდა და გზის ფულათ მინდა გაუგზავნო

**ივანე გრიგოლიჩ.** ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა, ნე პონიმაიუ.

**აბეშა.** მოვიცადო ვადაი?

**სტეფანე.** (ეფარება აბეშას):—დეიკარგე შე დურაქო.

**აბეშა:**—მოვიცადო ვადაი? შემოდის ბეკო).

### გამოსვლა მეშვიდე

**იგინივე და ბეკო.**

ბეკო:— ივან გრიგოლიჩს სალამი... როგორ ბრძანდებით ბატონო?

**ივან გრიგოლიჩ:**—ცოტა უფრო მოხუდილათ.

**ივან გრიგოლიჩ:**—დიახ! ახლაც უქეიფოთ ვარ, ვერ ატყობ, რამდენი მნახველები მყავს?

**აბეშა:**—მოვიცადო, ვადაი?

ბეკო:—ბატონო ივან გრიგოლიჩ. ასხიდან ჯოგი ჩამორეკეს და ცოტა ფული მჭირდება, თვარა რავა შეგაწუხებდი. მართალია, მრტო სამი თვის ნახარჯია, მარა ხომ იცი ძალიან მესაჭიროება გროშები.

აბეშა:—მოვიცადო ვადაი? (სტეფანე ეჩხუბება აბეშას რიგისათვის, წიხლებსაც ესვრის).

**ივან გრიგოლიჩი:**—ძალიან კეთილი და პატიოსანი. (თავისთვის( ნე პონიმაიუ მიდა ჩემმა ღმერთმა. (შემოდის ერისტო).

### გამოსვლა მერვე

**იგინივე და ერისტო**

**ერისტო:**—ივან გრიგოლიჩს სალამი.

**აბეშა**—მოვიცადო ვადაი?

**ივან გრ.** მადლობთ, ჩემო ბატონო. (ოთერედში დიდი ამბავია, აბეშას აბურთავებენ, მიკიტანს სურს პირველი რიგი დაიკაოს, აბეშას საანგარიშო ჩოთქს ურტყამს თავში და ყველანი წიხლებს ესვრიან).

**ერისტო:**—ჩემი 50 მან. ფული ჩამოდი თვარა, ღმერთებს გაგაცლი მუცლიდან.

**აბეშა**—მოვიცადო ვადაი?

**ივან გრიგოლიჩ.** ნე პონიმაიუ მე და ჩემმა ღმერთმა, ნე პონიმაიუ. (შემოდის არშაკი).

### გამოსვლა მეცხრე

იგინივე და არშაკი.

არშაკი:—ივან გრიგოლიჩ დობრის ვეჩერ. (რამდენი სტუმრები გყოლიათ? ალბათ მე აქიდიასი მიშერებოდით არა? (ხმა მაღლა) ჩემი არბუზის ფასები ჩამოდი, გესმის (წაიწევს) სკაჟი დაიოშ ილი ნეტ, თორემ ეს არის აგაფუჩრე ფაორეთში.

აბეშა: მოვიცადო ვადაი?

**— ეცემიან ივან გრიგოლიჩს. ისმის ხმეში: „ფული ჩამოდი, თვარა გაგაქვრეთ ეს ეს არის“.**

**აბეშა.** (დარბის და იძახის):—ვაი ამ ქამას, ვაი ამ ქამას?!

**შიხლინსკი. ბომბ.**

# ახალი ამბები

— ოქტომბრის ათი წლის თავმა საუცხოვოთ ჩაიარა. მთელი ქალაქი ერთიან ჩირაღდანს წარმოადგენდა: ხალხის ენტუზიაზმი ვერც „რეჟიმ ეკონომიამ“ გაანელა. ყველგან გამოფენილი იყო დავუვიწყარ ლენინის სურათები. ზოგიერთ ჩვენ ოპოზიციონერებმა, რომლებიც „ვერ მოასწრეს“ თავის დროზე ოქტომბრის რევოლიუციის ბელადის სურათის შეძენა, თავიანთ ფანჯრებიდან გადმოკიდეს ტროცკის და ვირაპის სურათები (ტყუილათ კი არ თქვეს გამვლელგამომვლელებმა: „ბედაურების დაიხოცნენ, ვირაპს დარჩა მოედანიო“.

— რადგანაც პრესაში სახკინმრეწვის მიერ წელს დადგმული სურათების დრო და რიცხვი ყოველ დღე იცვლება, სახალხო განათლების კომისარიატს განზრახვა აქვს სახკინმრეწვის გამგეობის წევრები მიიღოს პირველ საფეხურის შრომის სკოლაში ‚ურრალო‘ არითმეტიკის შესასწავლათ.

— სახკინმრეწვმა დაპირებულ სურათების „ორთქლმავალი“ და “1 საათი და 45 წ.“ მაგიერ, ამ უქმე დღეებში გვაჩვენა „გრანდიოზული“ პატეტიკური ბოევიკი „ვრუზია ნა პოდუშე“. სურათი ლამაზი და შინაარსიანია.

ის გვაჩვენებს ნამდვილ „პადიომებს“ —ციციანოვისას, მამადავითისას, სირაჯხანისას და სხვებს. მაყურებლებმა მოითხოვეს ახლო მომავალში ახალი სურათის გადაღება — „ვოსკინპრომ ნა პადიომე“.

— ჩვენმა მილიციამ ამ უქმე დღეებში მშვენიერათ დაიცვა წესიერება. ამხ. ხმალაძე სრულიად კმაყოფილი იქნებოდა, რომ ეერის და სოლოლაკის უბნებში არ დაკარგულიყო ოცდა-ოთხი „პლევატელნიცა“.

— ყველა ცენტრის ჯვარედინ ქუჩებზე დადგმულ სემაფორებს ამხ. სიმონ ხმალაძეს განკარგულებით გაუკეთეს არლის ველები. ყველა სემაფორის გადატრიალებაზე მილიციონერი სტკბება ლამაზი ჰანგებით. დადგმის შემდეგ აღარ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მილიციონერებს სიმაფორზე დასძინებოდეს.

— ამხ. მამულაიშვილის განკარგულებით სახელმწიფო ოპერაში ძილი შეიძლება. ხოლო ხვრინვა აკრძალულია. ამ განკარგულების შემდეგ გერმან გოგიტიძე ოპერაში აღარ დაიარება.

— საშა ახმეტელს თავის „ზებლიაკ“ კომბალისაგან მოსვლია ამგვარი მუქარის წერილი: „შე ჩემა ნალავ, რატომ წელს ჩემი თავი აღარ გამოგყავს თეატრში? ყველაყას გიტირეფ, თუ რომ ამ მოკლე ხანში „ამერიკული ძია“ არ გიცეენებია. რა ჩემ ფეხებათ მინდა შენი კარმენისტები... მამა!“.

მორ.ლორი.

# „შ ა რ ი“



მასწავლებელი:—მამაშენმა მოგცა რვა კაპიკი; მე მოგეცი ორი შაური; რამდენია სულ.

მოწაფე:—ვა, შარზე ხომ არა ხარ? როდის მომეცი ორი შაური.



# ლევარსი როხროხაძე

— ლევარსი, ეს რა მოგსვლია?! ვინ დაგისერა ეს მოტვლეპილი თავი დანით?—გაკვირვებით შევეკითხე ლევარსის, რომელსაც, მართლაც, მელოტი თავი დანით ჰქონდა დაჭრილ-დასერილი.

— რას სულელობთ! ვინ გაბედავდა ჩემი თავის დასერას? თვითონ მე ვქენი!—ამაყად მიუგო ლევარსიმ.

— კი მაგრამ, როგორ? შენ ხომ სპარსელი არა ხარ, რომ შახსეი-ვახსეი გეთამაშა და თავი ასე დაგეჭრა?

— ის მე ვიცი!

— გვითხარი, რაშია საქმე?

და ლევარსიმ უამბო:

სწორედ შუადღე იქნებოდა. ყანას ვთოხავდი. უცბად მომესმა რაღაც ხმაური და ყიჟინა. მოვიხედე და დავინახე: ვიღაც მორბოდა; სირბილისაგან ენა ამოვარდნოდა ცოფიან ძაღლივით.

-- რა დაგემართა? რა ამბავია?—შევეკითხე იმ გაჭირვებულს. ვერ ვიცანი. მან კი მიცნა, (მე ხომ ქვეყანა მიცნობს).

— ლევარსი, თავს უშველე; შენს დასაჭერათ ამდგარა მთელი სოფელი და აქეთკენ მორბის. თავს უშველე ეხლავე!—მომაძახა და ჩემთან მოვარდა...

— რა უნდათ ჩემთან?—მშვიდათ შევეკითხე.

— რა უნდა და,—ლევარსის მოტვლეპილი თავი აქვს კვახივითო; მისი თავის ტყავი დოვლისათვისა გამოგვადგებაო... უნდათ დაგიჭირონ, თავზე ტყავი გადაგაძვრონ, გაგხადონ, აგატყავონ და დოვლათ გააკეთონ... გაიქეცი, თავს უშველე ლევარსი, —თორემ ხომ ხედავ, აი ეგერ გამოჩნდენ?—სხაპასხუპით მომახალა და გამითითა გზისკენ, საიდანაც, მართლა, მთელი სოფელი მორბოდა კეტებით და ცულ-ნაჯახებით შეიარაღებული.

ცოტა არ იყოს, ქე შევფიქრდი, თუმცაღა რას გასდებოდენ ჩემთან, მაგრამ მაინც გაქცევა ვამჯობინე.

— აბა, შენი ჩოხა მე მომეცი, და შენ ჩემი პალტო ჩაიცვი და ქუდი დაიხურე, თორემ გიცნობენ და საქმე ცუდათ წავა!—მირჩია მან.

მე დავუჯერე: მისი ტანსაცმელი მე გადავიცვი საჩქაროთ, მან კი—ჩემი, მან დაიწყო ყანის თოხნა. მე გავიქეცი.

— ამ კაცმა თუ გამოირბინა ეხლა?—შეეკითხენ მას.

— კი გამოირბინა... რა იყო? რა მოხდა? ვინ არის ის კაცი?—შეეკითხა სოფლელებს ის.

—ვინ არის და ქურდი, რომელმაც გაგვინადგურა ოჯახი. ის უნდა დავიჭიროთ! — ჰყვიროდენ სოფლელები და უკან მომდევდენ.

„ეჭვიანობენ იმ კაცს!—გავიფიქრე და სირბილს მოუმატე. ისე ზორბად ვირბოდი, რომ „როცა ოზურგეთს გავშორდი თავის შემაგრება მინდოდა, რათა სადღაც ნატახებს იქით ზღვაში არ გადავვარდნილიყავი. ხომ იცით ნატანებს-ოზურგეთს შუა ოც ვერსამდეა?!..

მივიხედე და, წინადანაც ქე არ მორბიან ჩემს დასაჭერათ!

„ვინდა იყოსა ახლა? კიდევ ძაღლიანი კაცი, თორემ ჩემს ალაგას სხვა მთლად დაიბნეოდა.

— ხეზე ავხტები, ზედ მწვერვალზე წამოვჯდები, და იქ ხომ ვერაფერს დამაკლებენ!?—ამის გაფიქრება და ტრიასავით ხეზე შეხტომა ერთი იქენ;

— ჰაიტ, თქვე ყურუმსაღებო, აწი რაღას დამაკლებთ!—ჩამოვსძახე ქვემოთ სოფლელებს, რომლებიც მშიერ ტურებსავით მიცქეროდენ ზემოთ.

დაიწყეს ლაპარაკი, კამათი. მე ამოვიღე და არხეინად გავაბოლე ჩემი ჩიბუხი.

უცებ ცულის ხმა მომესმა.

ჩამოვხედე და, რას დაინახავ,—ქე სჭრიან ეს ოხრები ხეს, რომელზედაც მე ვარ. ეხლა კი წახდა საქმე: ჩემი თავის ტყავიდან დოვლს გააკეთებენ, დაუკრავენ და ზედ მაცეკვებენ... ეს უკვე გადაწყვეტილია... აუცილებლად ეს მომელის... გადავხტე აქედან ზღვაში,—მარა „პარახოდს“ ვერ ვხედავ, რომ შიგ ჩავუხტე; არა და, საშველი არ არის!..

ამ ფიქრებში ვარ, რომ უცებად მომაგონდა—წელზე მახვილი დანა მკიდია. ვიშიშვლე იგი. ქუდი ძირს გადმოვაგდე.

— ეს თქვენი ფეშქეში იყოს!—ჩამოვსძახე სოფლელებს და ამ ჩემს მელოტ, მოტვლეპილ თავზე დანა ჩამოვისვი და ჩამოვისვი, სულ დავსერე; სისხლი ღვარივით ჩამომდიოდა.

— დავიღუპეთ; მთავრობა პასუხს გვაგებიეს, რომ კაცი თავს იკლავს!—დაიწყეს ყვირილი და ცული ხელიდან გააგდეს, მაგრამ გვიანი იყო—ხე უკვე გადაიზნიქა წასაქცევათ.

— არ გვინდა შენი არაფერი, ოღონდ თავს ნუ მოიკლავ!—დამიწყეს ხვეწნა-მუდარება.

მარა, თქვენც არ მომიკვდეთ, მართლა შახსეი-ვახსეისავით დავისერე, დავიჩეხე თავი. არ შევიბრალე იმათი მუდარა და გამარჯვებული ხმით ჩამოვსძახე:



**— არც მე მინდა თავი თავათ, არც თქვენ გარგებს დოვლის ტყავათ! —** და ამ დროს ხეც წაიქცა.

მოვარდენ ჩემთან.

მიცნეს. გაუკვირდათ.

ყველაფერი მიამბეს.

მეც ვუამბე ყველაფერი.

თურმე იგი ოხერი ვიღაცა ქურდი ყოფილიყო და დასაჭერად მოსდევდენ; თურმე მომატყუილა; მას მოსდიოდენ დასაჭერათ და მე გამაქცია.

მომივიდა გული. გავიქეცი ისევ ყანაში, რომ ის ოხერი ქურდი მიმებეგვა, მაგრამ არ შეგჭამა ჭირმა,— გაქცეულიყო, იქ აღარ დამხვდა; ჩემი ახალი ჩოხა და ჩაბალახიც თან წაეღო...

კიდევ კარგი რომ თოხი დამიტოვა...

აი, ასე იყო საქმე და არა ისე, თქვენ რომ გგონიათ—თითქოს სხვამ მიქნა ეს. ლევარსის ვერავინ ვერაფერს გაუბედავს.

ხმო.ძმ.

# რადიოს ბრალია

„ზოგიერთ დაწესებულებებში დადგეს რადიო-აპარატი, რაც ხელს უშლის მუშაობას, რადგან მთელი შტატი რადიოს უსმენს“.





# რადიო სოფლად

არც თუ ისე დიდი ცენტრია ამაღლების თემი, რომ ყოველმა მოქალაქემ, მიუხედავათ გეოგრაფიის ცოდნა არცოდნისა, იცოდეს ამაღლების გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატიური პირობები და მოსახლეობის ზნეჩვეულება.

მეორე მხრივ, არცა თუ ისე დაჯაბნებულია ამაღლება, რომ საზოგადოების განსაზღვრულმა ნაწილმა (თუნდაც თვით ამაღლებისელებმა) არ იცოდეს რომ ამაღლების თემი გურიის ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენს და შეძლების და გვარად იღწვის მშენებლობის ფრონტზე.

მართალია, მეტად ძნელია მშენებლობის დარგში წინსვლა, როცა თემს ერთი რადიო-სადგურიც არ გააჩნია მაგრამ ამაღლების თემი მაინც იღწვოდა და მოღვაწეობდა.

ვინ იცის, რით გათავდებოდა ეს ამბავი, ან საით წავიდოდა ამაღლების ცხოვრების სვლიგეზი, ან როგორი იქნებოდა ამ თემის კულტურულ მშენებლობის ტემპი, რომ... რაღაც იღბლად (თუ უიღბლოდ) მისი წარმატების გზაზე არ აღმართულიყო... რადიო სადგურის ანძა.

რადიო სადგურის ანძა, რომელსაც ახალი სხივი უნდა შეეტანა ამაღლებაში, იმავე თემის ეკალივით ჩაერჭო ადგილობრივი მცხოვრებთა გულს დანერვიული სისტემა აუფორიაქა.

— რა იყო? რა მოხდა?—კითხულობს განცვიფრებული მკითხველი.

იმდენი არაფერი: თბილისში დაარსდა ამაღლებისელთა სათვისტომო.

— მერე რა უყოთ?

— რა უნდა უყო, კარგი საქმეა, მაგრამ...

დიახ. იმას მოგახსენებდით: სათვისტომო დაარსდა და ვინაიდან თბილისში მრავალია ამაღლების „ემიგრანტები", ამიტომ სათვისტომოც საკმაოდ მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა.

დაიწყეს ფულების შეგროვება ამაღლების სასარგებლოთ. აგროვეს და აგროვეს, საქმე იქამდე მივიდა, რომ დაგროვილმა თანხამ 700 მანეთს გადააცილა.

გადააცილა, მაგრამ სად გინდა წაიღო ამდენი ფული.

მართალია, ამაღლებაში გზები არვარგა და ადგილობრივი მოსახლეობა ზამთარ - ზაფხულიანა ტალახის ვანებს იღებს, მაგრამ აქ საძრახისი არაფერია. ახტალაში აღარ არის საჭირო წასვლა.

ისიც მართალია, რომ ამაღლების სკოლა მოუწყობელია, მოწაფეებს სკამები არა აქვთ, ფანჯრებიც თითქმის ჩასადგმელია და სკოლას ერთი გახრეკილი ფიზიკური კაბინეტიც არ მოეპოვება, მაგრამ რა უყოთ, ასეთ წვრილმანებზე მაინც ხომ არ შეიძლება 700-800 მანეთის გადადება.

ექვს გარეშეა ისიც, რომ თემს მრავალი სხვა აუარებელი მოთხოვნილება აქვს, მაგრამ სათვისტომო რა შუაშია, მას ხომ არ შეუძლია იკისროს თემის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მაშ რაში უნდა დახარჯულიყო ამოდენა ფული.

სათვისტომომ იფიქრა, იმსჯელა, იკამათა, იდავიდარაბა და ბოლოს გამოსავალიც პოვა. ეს გახლდათ მისიებ **რადიო - სადგურის მოწყობის აზრი.**

ვინ გიჟია, რომ ასეთ დიდებულ აზრს წინაღუდგება. — ცხადია არავინ.

ამიტომ სათვისტომომ შეიძინა რადიო - სადგურის მთელი მოწყობილობა, იქირავა და „შეკაზმა" ტეხნიკოსები, რადიო - სპეცები და ამაღლების გზას გაუყენა.

რადიო-სპეცები ამაღლებაში ჩავიდენ, მოილხინეს, ისიამოვნეს და რადიო - სადგურის მოწყობას შეუდგეს.

ალბად სპეცებს მაღლა ასვლა შეეზარათ და რადიოს ანძა, მაღალი ადგილის ნაცვლად მიწაში ჩაარჩვეს, იქვე აპარატი მოაჭახრაკეს ხმამაღლა მოლაპარაკე (ქართულად გრომკოგოვორიტელი) მოაწყვეს, სახელდახელოდ ერთი მანტიორი მოამზადეს და გზას გაუდგენ.

რადიო - სადგურის მოწყობა 750 მანეთი დაჯდა.

ამაღლების თემში მეხივით გავარდა ხმა რადიო - სადგურის დადგმის შესახებ. შიკრიკები აფრინეს და ხალხიც მოგროვდა სადგურის საზეიმო გახსნაზე.

გლეხები ჯერ შორიდან ათვალიერებდნენ ამ უცნაურ „მხეცს", მერე ახლოს მოეიდენ და დაათვალიერეს, შეეჩვიენ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა პიქუნამ „გრომკოგოვორიტელის" ხახაში მოინდომა ჩაძრომა: „ერთი ვნახო შიგ რა ამბები ხდებაო".

— გრამაფონი ყოფილა,—სთქვა ერთმა „ნარებმა" გლეხმა.

— გრამაფონი კი არა, არღანივით უკრავს თურმე—უპასუხა მეორემ.

— თუ უკრავს მაგას სახლში წავიღებ, ციცაის ქორწილი მაქვს.—გაუხარდა მესამეს.

მონტიორმა აუხსნა ყველას, რომ ეს არის ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევა და მისი საშუალებით შეიძლება მოსკოვიდან ლაპარაკის გაგონება, კონცერტის მოსმენა და სხვა.

— თუ მასეა, გადაბრუნე ერთი. დუდუკარი—სთხოვეს მას.

მონტიორმა აუხსნა, რომ ლაპარაკიც და კონცერტებიც საღამოობით იწყება.

ხალხმა დაიცალა. მოსაღამოვდა.

— აბა სმენა, გაისმა მანტიორის ხმა,—იწყება. მანტიორი რადიოს მოუბრუნდა.

რადიო „ამუშავდა".

ხალხი გაირინდა.

არაფერი ისმის.

მანტიორი ისევ მიუბრუნდა აპარატს და რაღაც გაასწორა.

მოისმა შიშინი.

ყველამ სული განაბა

შიშინი გრძელდება, ყველა სდუმს.

ისევ შიშინია.

ვიღაც ახველებს, მანტიორი ისევ აპარატს ასწორებს.

რადიომ ახლა ხრიალი დაიწყო:

# ა ხ ა ლ ც ი ხ ე




ერთი ბაღლინჯო (მეორეს): აქ სიცივეში ჩვენ კინოზე უკეთეს ადგილს ვერსად ვერ ვიპოვით; შევიდეთ შიგ.

ვილაცამ კვლავ ჩაახველა. გაისმა ცხვირის დაცემინების ხმა. რადიო კვლავ ხრიალებს.

მონტიორმა ისევ გაასწორა აპარატი, რომელმაც „პესნი“ შესცვალა და ხრიწინზე გადავიდა.

ვილაცამ დაამთქნარა. ხველება გახშირდა.

მანტიორმა კვლავ გააჩხაკუნა აპარატი. რადიო სადგური აჩიფჩიფდა, არახრახდა და ბოლოს ქშენაზე გადავიდა. ბოლოს ისიც შეწყდა.

— დიდებულია! — მხიარულად წამოიძახა ვილაცამ და დაუძახა: — კაი ხანია ასეთი პესნები აღარ გამიგონია.

მოისმა სიცილი, ოხუნჯობა, უმადური ხმებიც.

— დალოცვილები, თუ გვიგზავნიდნენ, ქე მაინც ხეირიანი გვოეგზავნათ.

— ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა...

— ტეხნიკის თუ ტეხნიკოსების?

— თუ ჩვენი სათვისტომოს?

ასეთი საუბრით დაბრუნდენ სახლში.

მონტიორი მას შემდეგაც ბევრჯერ ეცადა რადიოს ამეტყველებას, მან მოიშველია ადგილობრივი კულტურული ძალები. თემაღმასკომი და მასწავლებლობა და სხვები, მაგრამ ამაოდ. რადიო ისევ ხიხინებს, შიშინებს და ხრიალებს.

—ნერვები აგვიშალა მაგ შეჩვენებულმა.ჩივიან მასწავლებლები.

— მოგვეჯაყა მაგ წყეულმა — უკმაყოფილოდ გაიძახის თემაღმასკომის თავმჯდომარე.

ტეხნიკის უკანასკნელი „სიტყვა“ი თითქოს აქ არაფერია, სდგას თავისთვის და ძველებურად არხეინად ხრიწინებს.




**მილიციელი** (გლეხს):—ამხანაგო, ათი შაური მოიტა პაპიროსის ნამწვავი რომ ტროტუარზე დააგდე და მანეთიც—საფურთხებელში რომ არ ჩააფურთხე!

**გლეხი:**—მადლობა ღმერთს, რომ სხვა კიდევ არაფერი მომივიდა, თორემ ხომ გავიყიდებოდი ამ თქვენს ქალაქში!

იხრიწინოს რამდენიც უნდა. აქ სათვისტომო არაფერ შუაშია. მან (სათვისტომომ) თავისი ვალი მოხადა და მოაწყო ეს რადიო - სადგური. რაც შეეხება „პესნების“ მორჩევას, ეს თვით სადგურის პირადი საქმეა.

ალდარ-სალდარხან

# „მგზავრობა“

ამას წინეთ (მგონი შაბათი დღე იყო) პაწია საქმე მქონდა ქუთაისს.

ავდექი, ვახსენე ღმერთი, გადავიწერე პირჯვარი (გასამხელათ არ ვამბობ და თქვენ შეგეწიოს მისი მადლი) და გაუდექი გზას. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, მივადექი „პათორმა“ ორპირს (ტყიბულის შტოზეა).

ჩემი ცოდვით სავსე პათორმა დოუხურავი ყოფილა. კოკის-პირული წვიმაა. ვიკითხე „პოეზი“. მითხრეს:— პოეზს კიდევ დააგვიანდება ერთი საათი და 75 წუთიო.

დავჯექი და ვუცდი, თანაც მასხამს და მასხამს წუმაზე კაკალ კისერში. ბევრი თუ ცოტა ვუცადე, აღარ მახსოვს,—მოვიდა პოეზიც; გაჩერდა თუ არა, აგერ ვილაცამ ძველი „გოროდავოივით“ ჩაბერა „შუშტუკში“. მე ვთქვი —რა წავახდინე ამის ფასი, ეს ოჯახ დამწვარი მილიციონს რომ უძახის-თქვა,—და დავაპირე გაქცევა. ამ დროს კურო მოზვერივით დეიბღავლა შავმა „პოეეზმა“ და გოუდგა გზას. მივაყვირე:—აფხანიკო, თუ კაცი ხარ ცოტა მომიცადე, მეც მოვდივართქვა. არ შეგჭამოს ქირმა იმან ჩემი არ გაიგონა. არც ასთე ვარგა-თქვა,—ვიფიქრე ჩემთვის და გამეეეფსკვენი კუდში. უცფათ რაცხას დევეტაკე და გავხდი ძნეყვა მიწაზე; „აქ მოდი და აგაყენებთო.—მიძახიან „პოეეზდიდან“. გამეხარდა; მოვიკრიფე უკანასკნელი ძალღონე და ამოვყავი პოეეზში თავი.

გევიხედე და შამევიდა პოეეზში ვილაცა ქალი, რომელსაც გამეეკვეხებია ღლიაში უშველებელი შავი პორტმანი; ისე შეელესა ლოყები პუდრით, რომ ჩვენი სახტარის კედლები გეგონებოდათ. მე ვერ შემამჩნია და იქვე ვილაც მისავით დიდ პორტმანიან კაცებს მიესალმა; იმგენმაც თავი დაუკრეს და ხელზე ემთხვიენ. მე მეგონა—ეს ვინცხაა ახალი მოდის ღვდელი იქნება-თქვა და დავაპირე ხელზე კოცნა, წამოვღოღდი ზეზე, მომიქნია პოეეზმა და ზე მიმარტყმევია ეს გამოლაყებული თავი კედელზე. ხალხმა სიცილი დაიწყეს და მე გულმოსული დავჯექი ჩემ ადგილზე.

გევიხედე და, იძახიან:—ბილეთები მოამზადეთო.

— თქვენი ბილეთი!—მეკითხება „ლევიზიონი“.

— ჯერ ბილეთი არ მიყიდია!

— მაშ გადაიხადეთ „სტრაფი“!

— შენ, აფხანიკო, შეპრეტილი უნდა იყო! „სტრაფს“ რეიზა გადავიხდი, როცა ჩემთვის ჯერ ბილეთის ყიდვა არავის უთქვამს.

— შენ ხომ არ გეძინა, როცა მებილეთე ქალმა გაიარა ამ ვაგონში?

— მე, აფსანიკო, მებილეთე ქალი არ მინახავს და არც არავის უთქვამს ბილეთის ყიდვა. წეხანა ქე შამევიდა ვინცხა ფსსვილი ქალი, მარა ის მებილეთე კი არა, ახალმოდის ღვდელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველა ხელებზე კოცნიდა.

ბევრი ვიდევეთ, მარა არაფერი გამეწყო და იმ ოჯახდაქცეულმა. გადამაშვლეჭია კაკალი ხუთ მანათიანი.

„ხურდა არ მაქვს და მეორეთ რო დაგსტრაფავ, მაშინ გამოგიქვითავო,—მითხრა და გაუდგა გზას. (ოუშენდა კერია, მეორეჯელ მე იმან პოვეზში მნახოს). მივედი ქუთაისს. შევიარე ახალ ბაზარში და ნავხე რაცხას ატრიალებდენ. მივედი მეც და დავატრიალე ის რაცხა ჯანდაბა იყო; მეოცეჯერ რომ შამოვატრიალე, მერგო ერთი ორ შაურიანი საპონი. ვსტაცე ხელი და მოვდივარ.

— აფხანიკო, ჯერ ფული მოგვეცი და მერმეთ წადი!—მომაძახა ვინცხამ.

— ძამია შენ ხომ არ შეშლილხარ! აკი მოგეცი ამ საპნის ფასი ორი შაური.

— საპონი კი არა, შენგან ორი მანეთი მერგება,— შენ ოცჯერ დაატრიალე და თითო დატრიალება ორი შაური ღირს.

მეც ამევიღე და მივეცი ორი მანეთი, მეტი რა გზა მქონდა? დანარჩენი გამოვფსკვენი მაგრათ პლატუკში და ჩევიდევი გულჯიბაში.

მივედი „კომპერატიაში“. ჩემმა ალათიმ პერანგის ამხანაგი დამაბარა და მოვაჭრევიე ერთი კილოგრამა; დამიწერა რაცხა ქაღალდზე და მითხრა იქ მიდი და სამი აბაზი გადაიხადეო. მივედი კასასთან და ნავხე,—გულჯიბაში პლატუკი აღარ არის; (ვინცხა „პატიოსან“ ჯიბგირს წაეღო). იმ უსვინდისოს ბილეთის ფულიც აღარ დეეტოვებია ჩემთვის. (შევარცხვინე მისი პატიოსნობა) მევედი სტანციაში და ჩემი ნაცნობი იეანე შემხვდა; ვისესხე სამი აბაზი ბილეთისთვინ და ჩავდექი „ვეჩერედში“. მოდის ხალხი და მეუბნება:—უკაცრავათ და დგება ჩემზე წინ. ჩამოვრჩი თლათ უკან.

ნაუ!—გაისმა ზარას ხმა, შეიქნა აურ-ზაური. ბილეთებს ჯერ კიდევ არ არიგებს ი მოლარეა თუ რაცხა მისი ოჯახის დაფსევა. კიდევ ცოტა სანი და კასაც გაიღო, მაგრამ ის საცოდავი მებილეთე ერთი ბილეთის გაყიდვას ერთ საათს უნდებოდა. ბილეთი ღირს ჩვენამდი 53 კაპიკი, არ შეგჭამოს ჭირმა, ხურდას მოცემაზე ის თავს არ იწუხებდა. როგორც იქნა, გაიყიდა სულ ხუთი ბილეთი, მათ ხურდა აღარ უძებნიათ.

ნაუ-ნაუ!—მოგვესმა მეორე ზარას ხმა. კასა დაიკეტა, დავრჩით უბილეთოთ. შეიქნა ორომტრიალი, დედის გინება, გარტყმევ-გამორტყმევა და ვაი დედას ძახილი. მე ბილეთის აღება აღარ მიძებნია; წაველი და ჩავჯექი პოვეზში.

— ბილეთი!—მეკითხება ლევიზორი!

— არა მაქვს! მსკანჩეს ხელი, დამიჭირეს და რადგან ფული არ ამომაჩნდა, დოუწყეს წერა აქტს.

— სახელი შენი?—მეკითხება ლევიზორი.

— პეტრე. (თუმცა პავლე მქვიან).

— გვარი?

— ლატაკაძე!—(აქაც ტყუილი დავარტყი).

— მამის სახელი? (ვაი შენ მიეწიე და გაასტარი კიდო იმას-თქვა მივაწყევლე გულში).

— სეხნია!—(ცხონებულს მარკოზა ერქვა).

შემდეგ გამომიშვეს და შემპირდნენ, რომ გადასახადი სახლში მოგივაო. ოუშენდა კერია, იმგენმა ჩემი კვალი მეიძიონ; წევიდენ და ეძიონ ოკრიბაში პეტრე სეხნიას ძე ლატაკაძე; მანამდი ვერ ოუდგეს გვერდები, რამდი იმგენმა ის ფული ვერ მიიღონ და მეც ქუთაისს წასული ვერ მნახონ.

**„დონ-გან“.**

# ჭიორა

ჭიორაში მასწავლებლობს
ვინმე სეფე მეტრეველი;
მოწაფეების ცემაში
გმირი არის უძლეველი.

სასჯელად შემოულია
იმას მოქნეული ხელი,
ამ ვაჟბატონს ჰგონია, რო
ხანა იყოს სიევ ძველი.

თუ მოწაფეს გაკვეთილზე
სიტყვიერად შეცდა რამე,—
მაშინათვე მისი ხელი
ათქმევინებს: „დედა, ვამე“.

და წერაში თუ კი შეცდა,
ვერ დასწერა კარგი ასო,—
მაშინ ჩვენი „ტარიელი“
გადაახევს რვეულს თავსო.

ერთხელ უცხო მოწაფესა
(რეხვიაშვილს გრიშას),
სამასწავლებლო ოთახში
ყბაში ხელი სთხლიშა.

ტარტაროზო, ასე არის
დაჩეეული სეფეო;
ვაჟბატონმა ვერ გაიგო,
რომ აღარ გვყავს მეფეო.

**წითელი ფუტკარი**

# პამოცანა

**(ასკანისათვის)**

მართალია: სულმა მძლია,
„შემაჭამა ფულმა თავი“,—
მაგრამ ეს კი ყველამ იცით,
არ ვყოფილვარ კაცი ავი.
ეხლა ბათუმს მივაშურე,
ჩემთვის არის ყველგან ბინა).

ფუ იმ ვაჟ-კაცს, თუ კი ვინმემ
ჩემს ბიჭობას შეაგინა.
წყალ-სადენის ფული ბლომად,
მართალია, მე მხვდა წილად,
საქმეც კარგად მოვაგვარე,
შემერგება მგონი ტკბილად.

**პომპოლიუე.**

# წერილი ტარტაროზს

**საჯევახო (გამოჩინებულის თემი)**

გამოჩინებულს თემსა ეწვიე,—
აქ თავმჯდომარეს ნახავ „ქებულსა“.
მისი „შრომა და საქმიანობა“,
მართალი გითხრა, მოგიკლავს გულსა!

სახელათ ჰქვია მელქისედექი,
დოლიძე არის მისი გვარია..
ნეტავ იცოდეთ ჩემო ძმობილო
ამ კაცმა საქმე როგორ არია!

სიმინდი გვაკლდა, შველა გვინდოდა,
თავმჯდომარესაც ვსთხოვდით შველასა.
ის „ძმა-ბიჭურად“ სამიკიტნოში
გაიძახოდა: „დელა-დელასა“!..

გლეხკომმა გვითხრა:—სიმინდს მოგიტანთ
მაშინ გლეხთათვის აღმოჩნდა შველა,—
მაგრამ მდიდრებმა პასუხი გასცეს
— ჩვენ აღარ გვინდა, მაძღრად ვართ ყველა!

და ამის შემდეგ ჩვენ ღარიბ გლეხებს
შიმშილით სული გვეხუთებოდა!...
თემაღმასკომი ყურს არ იბერტყდა
და თავმჯდომარეს ეძინებოდა!..

გაქირვების დროს კოოპერატივმაც
არ შეგვიწყნარა, არ მოგვცა შველა!..
ჭოფლის და თემის მესვეურები
გაიძახოდენ: „ოდელა-დელა“!..

—:—

ოდილ-ოდილა, დელა, დელაო,
საკრედიტო ბანკს ვსთხოვეთ შველაო!..
მაგრამ საწყალი რას გვიშველიდა,—
დეფიციტს ფეხ ქვეშ გაეთელაო!..

—:—

სამკითხველოსაც მივესალამოთ
და მასაც ვკითხოთ საქმე რაშია!?!.
და რას შეხედავ, ჩემო ძმობილო,—
ორი გაზეთი გდია შკაფშია!..

—:—

ჩვენს აფთიაქშიც კი შევცვანცვალდეთ
და მოვიკითხოთ რეცით წამალი;
აქაც რას ვხედავთ? გეგიძე არა;
სამიკიტნოში ის არის მთვრალი!..
მეორე დღესვე მივიდეთ კიდევ,
ვეღარ ვიპოვეთ აფთიაქარი,—
ტურას ნადირობს, ტყეში წასულა,
და დილით ადრე მიჰკეტა კარი!.
აფთიაქისა გამგე გიორგი
ფოსტისა გამგე მკვირცხლი ბიჭია,
და თავმჯდომარე... სამივე ერთად,
ნადირობაშიც მას აქვს ნიჭია!..
ძმაო ტარტაროზ, სიმართლეს გეტყვით,-
ჩვენს თემ-აღმასკომს ნამდვილად სძინავს!.
მდივან ესტატე ტახივით დადის,
მელქისედექი ვაცივით ფშვტვინავს!..
უმოქმედობით გზები გაფუჭდა,
შეკეთებაზე არავინ ზრუნავს!..
განა ვინ არის გამკეთებელი!?
თემაღმასკომი უკულმა ბრუნავს!..

საშ-კორი.

## ჯოჯოხეთის კუთხე



### სალარო—ცირკი

ამერიკაში ფეხსაცმელების მწმენდავს სავარძელთან უდგას რადიო-აპარატი, რომლის საშუალებით მუშტარი ისმენს კონცერტს, ან სხვა რამეს.

ჩვენში კი ჯერ დიდ რკ. გზ. სადგურებშიაც ვერ მოუწყვიათ ასეთი რამ. მგზავრებს უხდებათ დიდი ხნით ლოდინი, მინამ მატარებელი მოვიდოდეს. დარბაზი უბრალოთ მორთულია—არავითარი გასართობი შიგ არ არის. ზაფხულობით კიდევ არა უშავს—ბუზებს მაინც გამოეთამაშება ლოდინით დამქანცველი მგზავრი,—მაგრამ შემოდგომა-ზამთრობით მდგომარეობა იცვლება—ბუზები იხოცებიან და მგზავრებსაც ესპობათ გართობის საშუალება.

ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქციეს სადგ. საჯავახოში, სადაც მოლარემ და მისმა ამხანაგმა სალაროში გახსნეს ცირკი. აი რას გვწერს ამის შესახებ პარმენ:

**მოლარე და მისი ამხანაგი ჭიდაობდენ სალაროში. ჭიდაობა უშედეგოთ დამთავრდა, (იშკილს ადგილი არ ჰქონებია), თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე ბილეთის გადმოცვენას. ჭიდაობა მეორე დღისათვის გადაიდვა. პირობის თანახმად ექვსი ბოთლი ღვინო უნდა იყიდოს დაზარალებულმა მხარემ.**

**მაყურებლები გაიძახოდენ:**

**— სად არის ეხლა ნეტავი ტარტაროზი?!—(არ ვიცი—რატომ ნატრობენ ასე ძლიერ ტარტაროზს!) მთელი დარბაზი მათ უცქეროდა და იცინოდა. მატარებელის მოსვლაც არავის გაუგია...**

აი ეს არის გამოგონება და მიღწევა ოქტომბრის ათი წლის თავზე.

კარგს იზამენ სხვა სადგურები, თუ ამ მაგალითს მიჰბაძავენ.



ეს ექვსი ბოთლი არის ის ბოთლები, რომლებიც უფრო მოუთმენლათ ელოდებიან სამიკიტნოში დაცლას, ვიდრე მგზავრები სადგ. საჯავახოში მატარებლის მოსვლას.

### „წმინდა—ღორი“

ძველ დროში ხალხი თაყვანს სცემდენ და მსხვერპლს სწირავდენ სხვადასხვა ცხოველებს, გარდა ღორისა...

და დღეს, ეს ყოველთვის და ყველას მიერ აბუჩად აგდებული ცხოველი, დაფასებულია ღირსეულად.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ღორის შესახებ, ჩვენი მუდმივი და დაკვირვებული მკითხველები მაშინვე გაიფიქრებენ (და მიხვდებიან):

— რაკი ღორზეა ლაპარაკი, ალბად ეს ამბავი ნატანებში მოხდებოდა!

სწორედ რომ ნატანებში მოხდა:

**საახალწლოთ რომ დაეკლა,**
**ასუქებდა ღორს პატრონი;**
**უხაროდა, იკვეხნიდა—**
**ექნებოდა ბევრი ქონი**
**მაგრამ ღამით მეზობელმა**
**ღორი ჩუმათ მოიპარა;**
**წაიყვანა თავის სახლში,**
**დანა ყელში გაუყარა.**
**ღორი ჰყვირის, და ჰყვირილზე ,**
**თავს დაადგა ქურდს პატრონი,—**
**და რაც რომ იქ მოხდებოდა,**
**კი მიხვდებით ყველა მგონი.**

ერთი სიტყვით, საქმე სახალხო სასამართლოდან საოლქო სასამართლოში წავიდა, რამაც კიდევ უფრო დააზარალა მომჩივან-მოპასუხე, რაზედაც ბუჯგუტლა ვწერს:

„ვექილი სცვლის ვექილს,—იხარჯება ფული
საქმეს ჯერ არ უჩანს ბოლო-დასასრული;
გაიყიდა: ძროხა, გაიყიდა ხარი;
ეს ამბავი ალბად დაკლულ ღორს უხარის.



სურათზე ნაჩვენებია ღორისადმი მსხვერპლად შეწირვა ძროხისა, ხარისა, ხეხილისა და ფულისა.

უსინდისო ღორი, როგორ უხარია და კმაყოფილია ასეთი ამბით!

## ბიუროკრატი ცხენი

რა გასაკვირია. რომ ჩვენმა ბიუროკრატებმა ბიუროკრატობა არ მოიშალონ. როცა ჭიათურაში ცეცხლის მქრობელ რაზმს ჰყავს ბიუროკრატი ცხენი.

თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ამაში, ჩვენ აალაპარაკებთ თვითონ ავტორს— „კორი-ანტელს":

**თუ სურვილი არა აქვს, ეს ცხენი ფეხსაც არ მოიცვლის. ზოგი უკან აწვება, ზოგი წინიდან ქაჩავს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. 22 ოქტომბერს ქალაქის გარეუბანში სახლს ცეცხლი გაუჩნდა; დაიძრა რაზმი, მაგრამ ცხენმა ფეხი არ მოიცვალა. ასე იქცევა ეს ცხენი ყოველ-**



**თვის, და ეს მაშინ, როცა ის მგელის კერძი, საუცხოვოთ მოვლილია და ძალიან მსუქნადაც არის.**

ეხლა კი მივხვდი, თუ რატომ ბიუროკრატობენ ჩვენი ბიუროკრატები—არც ამათ აკლიათ მოვლა და უზრუნველყოფა, მაგრამ მაინც ბიუროკრატობენ... შეიძლება ეს მეტის-მეტი მოფერებით და პატივის-ცემით ხდება!

## „ადგილკომი" (შეცდომა არავის ეგონოს).

ლაპარაკია ჭიათურის ხე-ტყის სახერხ ქარხნის ადგილკომზე

მართალია, საქმის გაკეთება არ ესერხება ამ ადგილკომს, თორემ ცეკვა ისეთი იცის, რომ მის მასწავლებელს —ქარხნის გამგეს შაიმშელაშვილს შეუძლია იამაყოს თავისი უნარით.

რამდენიმე ხნის განმავლობაში მან ჩინებულად შეასწავლა ადგილკომს თავისი დუდუკის ქვეშ ცეკვა.




აქ სურათზე ნაჩვენებია ცეკვის გაკვეთილი. შაიმშელაშვილი უკრავს დუდუკს, რომლის ხმაზე ადგილკომის მდივანი ცეკვობს და ბუქნას გადადის.

ბეჯითობასაც იჩენს გამგე—ზედმეტ საათებსაც ამუშავებს ყველას, მაგრამ ადგილკომს ისე შეუყვარდა ცეკვა, რომ აღარაფერი აღარ ახსოვს.

# ცნობათა მიღება



**ტარკორს** (ახალდაბა, გორის მაზრა):—რევოლიუციის ათი წლის თავზე, თქვენ უნდა ამაყობდეთ ასეთი „ისტორიული ნაშთები“-თ, რომლებიც დღეს არქივში ინახებიან.

**ერთია კარაბეგოვი**
**„ნაკნიაზარი“ ძველია;**
**გლეხების ცემა-ტყეპაში**
**გაჩვეული აქვს ხელია...**
**ხატყეოს ვამვე ბრძანდება,**
**მოულერია ყელია.**

—:—

**სადგურისაკენ წავიდეთ**
**და ვნახოთ ყიფიანია.**
**არ არის; ჯერ არ მოსულა,**
**დრო არის თუმცა გვიანია..**
**ალბად ის სადმე ქეიფობს,—**
**ეჰხ! რა დორს სამსახურია...**
**(რა ვუყოთ მერე, რომ უყვარს**
**ქალებში ხელთ ფათურია).**

ჩვენ ასეთ ხალხისათვის დათმობილი გვაქვს უფსკერო გოდორი,—ამიტომ თქვენ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ თქვენი წერილი იქ არის მოთავსებული.

**კოკონას** (ტყიბული):—ჩვენ გვგონია ტერენტიზე უფრო დამნაშავე აქ არის ადმინისტრაცია, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას:

**მიმოავლისათვის აქა გვყავს**
**ჩვენ ერთი „ავტო-დრეზინა“...**
**ჩვენსა ტერენტის—კონდუქტორს**
**კვლავ სძინავს, როგორც ეძინა..**
**როცა ხურს—გამოიღვიძებს,**
**ჩაჯდება თვისი ცოლითა...**
**სხვები ფეხებზე ჰკიდია,**
**თვითონ კი მიდის ქროლითა**

ტრიუკი გააკეთა—უფსკერო გოდორში გადავარდა.

**მელგარიძეს** (ტყიბული):—ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: **„ასი ურტყი დავითასა, არ მოიშლის თავისასა“...** სწორეთ ასევე ითქმის თქვენს წითელ სასადილოზე, რომლის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვქონდა მოთავსებული წერილები და კარიკატურა.

ხოლო რაც შეეხება ბუჰხალტერ ქორქოლაძეს, რომ... ს:

**სადაც დათვერბა, დაწვება,—**
**არ უყვარს აურ-ზაური...**
**ფეხებზე არა ჰკიდია**
**ორი და ათი შაური,—**

რას ერჩით ამ კაცს? მადლობის ღირსია თუ აყალმაყალის თავზე არ არის. (ნეტავი ყველა ლოთები მასეთები იყვნენ!).

კოოპერატივის შესახებ კი უკომენტარიოთ ვათავსებთ ცნობას, რომელიც ჰბობს, რომ:

**საწყალმა მუშა-ღარიბმა**
**ველარ იყიდა ფანელი...**
**ეს იმიტომ, რომ—ფანელთან**
**უნდა იყიდო საპანი;**
**ორივეს ყიდვა ვერ შესძლო,**
**და დარჩა ხელდანაბანი.**

თქვენ ცდებით, როცა ამის შესახებ კოოპერატივს უსაყვედურებთ. საქმე იმაშია, რომ თქვენი კოოპერატივი თქვენზე ზრუნავს, და თქვენ კი ამას ვერ ხედავთ... ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ ზამთარში ფანელზე უფრო საპანი გაგათბობს! ხოლო ორივე თუ გექნებათ, მაშინ ხომ მთლად უკეთესი—სიცივე ვერაფერს დაგაკლებს. აი, სწორედ ითვალისწინებს რა თქვენი კოოპერატივი ამ გარემოებას, იგი ცდილობს ისეთ მდგომარეობაში ჩაგაყენოს, რომ თქვენ ძალაუნებურად იყიდოთ საპანი და ფანელი, რითაც პატივი სცეთ საკუთარ თავს.

ასე, რომ ჩვენ ამის შესახებ მადლობის მეტს ვერაფერს ვეტყვით თქვენს კოოპერატივს.

რა კოოპერატივის ბრალია, რომ თქვენ ფული არა გაქვთ ორივეს—საპნის და ფანელის შესაძენათ?! აქ ფულს მნიშვნელობა არა აქვს. მიდგომა სწორია.

**წკიპურტს** (ხონი):—საკმარისია წკიპურტი, რომ თავის ალაგას ამოჰყონ თავი იმათმა, ვისაც ევალება მაგ დარაბისელ შენობის შეკეთება. **კარგი** იქნებოდა, **რომ** თვითონ ჩავარდნილიყო შიგ. დაუცადეთ, ასეც დაემართება. ეს წერილიც იქ გამოგადგებოდათ.

**უტუს**:—თქვენი სურვილის წინააღმდეგი ჩვენ არა ვართ, ხოლო წერილი კარგად დამუშავებული უნდა იყოს, თუ გინდათ, რომ იგი ჟურნალში მოთავსდეს.

**ლეიპციგელს** (ბათომი):—ეს არ არის იუმორისტული წერილი; ამიტომ ჩვენ მას ვერ დავბეჭდავთ. თუ თქვენ გინდათ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოთ, მიმართეთ შესაფერ ორგანოებს.

**იშკილს**:—შარადა არ დაიბეჭდება. ხოლო ამდენი მუშაობამ რომ უქმად არ ჩაგიაროთ, სანიმუშოთ ვბეჭდავთ შემდეგს:

**ჩემს თავში ქარი გრიალებს**
**ტვინი დოინჯით თამაშობს**
**ხან ქარიშხალი, ხან ყინვა**
**არევ-დარევით ქანაობს...**
**სხეული გიჟის კუნთებით**
**იშლება ვითა ფარადა;**
**მიბრძანებს ტვინის კოლოფი**
**დავსწერო რამე შარადა.**

თავისთავს საუცხოვოთ ახასიათებთ. ჩვენც გეთანხმებით თავისთავის შეფასებაში. ყველა ამის შემდეგ, არც გასაკვირია, რომ თქვენი შარადა უვარგისი გამოდგა.

**ხიკოვიჩას**:—ვინაიდან თქვენს წერილში „ჯარიმის“ გადახახდელად ორი კაპიკის სიცილიც აღარ აღმოჩნდა, ამიტომ მოთავსებულია შესაფერ ალაგას.

**ნატანებელ შმაილას**:—თქვენ გვთხოვთ, რომ გამოვაცხადოთ შემდეგი:

**გთხოვთ ჩემი ნისიის ნდობის დაკარგვა მეპურე ქინქლაძესთან ჩახთვალოთ გაუქმებულათ, ვინაიდან ძველი ვალი გადავიხადე და ახალ ნისიას კი აღარ მაძლევს.**

ძალიან კარგადაც იქცევა. როგორც იქნა ელირსა ნისიის აღებას და კიდევ ხომ არ შეცდება? ახალი ნისია რომ მოგცეს, ალბად მას მოუწევს ასეთი განცხადების გამოქვეყნება:

**გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულათ ერთი წლის პურის ძველი ნისია, რომელიც ირიცხება ნატანებელ შმაილაზე, ვინაიდან, სულერთია, ფულს მიხგან მაინც ვერ ავიღებ.**

დიახ, ეს ასე იქნება.

ყოველ შემთხვევაში მეპურე კარგად ვერ მოქცეულა. თქვენ შეგიძლიათ პროტესტი გამოუცხადოთ და შიმშილობა დაიწყოთ, რომ მის ფურნეში პურის ყიდვას თავი დაანებოთ.

**პ. სუნჩელს**:—წერილში, რომელსაც თქვენ სატრფო ნინოს უძღვნით, ერთ ალაგას ასე სწერია:

უძვირფასეს თქვენს სახეს,
ვინ არ შეიყვარებს.
ოც ვირის ძალით ვაკოცებ
მაგ თქვენს ლამაზ თვალებს...

საინტერესოა ვიცოდეთ—რამდენს უდრის ეს ძალა, რომ შევუფარდოთ თქვენს ძალას? ტარტაროზის ვამოანგარიშებით ამ ძალის ერთი მეოცედი უდრის თქვენს ძალას.

# მიხოს „სამაწვნე ქილა“



1. ყოველდღე დააქვს მიხოს
   მაწონი გასასყიდათ.
   (ეს ერთადერთი წყარო
   მას აქვს ცხოვრების ხიდათ).



2. დაბრუნებისას ნახა
   საფურთხებელი ყუთი.
   — ვა, ამ ქილაში ჩავა
   მაწონი ერთი ფუთი



3. — ალბად ეს ქილა ვინმეს
   დარჩა, ან დაეკარგა!..
   აიღო ქილა იგი
   და ზურგზე ვირს აბარგა.



4. და მიხომ ახალ ქილით
   აჰკიდა ვირს მაწონი...
   მუშტრები დაესია...
   (ქილა აქვს მოსაწონი)...

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 66

კვირა. 20 ნოემბერი 1927 წ. ფასი სამი შაური
№ 127 ტარტაროზი № 127

ამ სურათმაც მიჰბაძა ოპოზიციას და ამიტომ მიდის იგი ასე ირიბულათ, ალმაცერათ.




ოპოზიციონური მარში

# „ბაყრა“

## ალეგორია

ათი წლის განმავლობაში რევო და ლიუცია გვარიან მშვიდობიანათ ცხოვრობდენ.

მართალია: ცხოვრების ამ მანძილის გავლის განმავლობაში შიგ და შიგ ბევრჯერ მომხდარა მათ შორის წალაპარაკება, აყალ-მაყალი და უსიამოვნება, მაგრამ საქმე იქამდე არ მისულა, რომ ისინი ერთმანეთს განშორებოდენ.

პირველ წლებში ძალიან ღარიბათ ცხოვრობდენ— არაფერი არ გააჩნდათ; შესაქმნელი იყო ახალი ოჯახი, რასაც დიდი ენერგია, უნარი და გამძლეობა სჭიროდა.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ლიუცია მხარში ედგა რევოს, რომელიც რვა საათის სამუშაო დღით არ კმაყოფილდებოდა და მეტს მუშაობდა, რომ საჩქაროთ აეგო, აეშენებია ახალი ოჯახი.

მართალია: ლიუციას ხშირად გამოუთქვამს მერმედა მერმე უკმაყოფილება ცხოვრების ასეთ პირობებისთვის, მაგრამ რევო ტკბილათ და დარიგებით ეტყოდა:

— მაშ, როგორ გინდა, ჩემო კარგო! თუ არ ვიმუშავეთ,—არც არაფერი გაკეთდება. შენ სუსტი არსება ხარ— არ შეგიძლია ჩემსავით მუშაობა, არა გაქვს გამძლეობა,— მაგრამ არა გთხოვ ჩემსავით იმუშაო,—ხოლო ეს კი იცოდე: მუშაობის დროს ხელს ნუ მიშლი და თავს ნუ მაბეზრებ ტყუილ-უბრალო ლაპარაკით.

— როგორ! განა ლაპარაკის უფლებასაც აღარ მაძლევ?—უკმაყოფილოთ და გაბრაზებით შეეკითხა ლიუცია.

— ბატონო ჩემო, ლაპარაკსაც აქვს თავისი დრო და საჭიროება. მუშაობის დროს,—ვიმუშაოთ,, ლაპარაკის დროს—ვილაპარაკოთ.

— იცოდე, რომ ამნაირ რეჟიმს მე ვერ ავიტან. ჩვენ ორივე თანაბარი უფლებით უნდა ვსარგებლობდეთ ოჯახში.

— ანბანურ ჭეშმარიტებას ამბობ... მაგრამ...

— ჰო-და, თუ ვამბობ,—მე გეუბნები, რომ ასეთ ცხოვრებას ვერ ავიტან. ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც ჩვენ ოჯახს ხელი მოვკიდეთ, მაგრამ ჩვენ ზოგიერთ ჩვენს მეზობლებზე უარესათ ვცხოვრობთ; იმათ მეტი ქონება და სიმდიდრე აქვთ, ვიდრე ჩვენ.

— იცი, ლიუცია, რა გითხრა?! შენ სულ სხვა ჰანგზე დაიწყე სიმღერა. რაღაც ძალიან მამაღლი თავს და ასე წარმოგიდგენია, თითქოს შენ იყო ჩვენი ოჯახის მზე და მთვარე. შენ უწინაც გახასიათებდა ამნაირი კუდაბზიკური „დიდკაცური“ და „კეთილშობლიური“ მიდრეკილება. მე მახსოვს: გაცნობის პირველს ხანებში ხან მე მეარშიყებოდი და ხან ვაჭრის ნოქარს, რომელსაც ჩემზე მეტი ქონება ჰქონდა.

— ნეტავი მას გავყოლოდი,—უფრო მოგებული ვიქნებოდი. შევცდი და რაღა დროსია!

— ხელს არავინ გიშლის; შეგიძლია ეხლაც „გამოასწორო შეცდომა“.

— რა ვიცოდი, რომ შენ ასეთი მკაცრი იქნებოდი, თორემ...

— უკაცრავათ, მაგრამ მე არავის ნებას არ მივსცემ მუშაობის დროს ხელი შემიშალოს. იცოდეთ, რომ მე ყოველთვის ასეთი „მკაცრი“ ვიქნები, და ისიც იცოდე, რომ ჭკუას დაუხმე, თორემ...

— თორემ რა?

— ის რა, რომ შენ ნებას არ მოგცემ ახლად-შექმნილ ოჯახს ჩირქი მოსცხო... მგონი მიმიხვდი.

— თითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ!

— მე იმას ვლაპარაკობ, რომ ოჯახში ნუ შემოგაქვს გახრწნის და ცუდი ყოფა-ქცევის სულისკვეთება...

— შენ ცილს მწამებ!

— მოიგონე, როცა ტყეში წაბრძანდით „ნასეირნობით“. იქ რომ ხელის ფათური გქონდათ...

— ჰაერის გადასაყლაპავათ წავედით, და არა იმ ზრახვებით, შენ რომ გგონია!

— ჰააა! მაშ სარდაფშიაც ვიღაცეებთან, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ ჩვენს ოჯახთან, პირიქით: მტრები არიან,—სარდაფშიაც მალულათ „ჰაერის გადასაყლაპავათ“ წაბრძანდით?... მაგრამა იქ, მგონი, სხვა რამე გადაყლაპეთ!..

— ადამიანს ნაცნობების და ამხანაგების მონახულობაც აღარ შესძლებია!

— კი, მაგრამ, თუ თქვენ ცუდი ზრახვები არა გაქვთ, რატომ ოჯახში, თქვენს წრეში არ ნახლუობთ ერთმანეთს! ლაქებში და იქ „ერთობით“ „მუსაიფობთ“?

— შენ დესპოტი ხარ—თავისუფლებას არ მაძლევ!

— ძალიან ცუდათ გაგიგია თავისუფლება. ასეთ საქციელს თავისუფლება კი არ ჰქვია, არამედ— გარყვნა!

— რევო!

— ლიუცია!... ხმა დაიდაბლე. აქ სარდაფი კი არ არის, სადაც „ამხანაგებთან და ნაცნობებთან სამუსაიფოთ იკრიბებით“ აქ არც ტყე არის, სადაც „აჰერის გადასაყლაპავათ“ დასეირნობთ... დიახ! მოთმინებას საზღვარი აქვს და იმ საზღვარზე უკვე მისული ვარ.

— მე ვერ შევურიგდები ასეთ პირობებს!

— და შენზე უფრო—მე... მე არა მცალია შენს კაპრიზებს ავყვე და დრო მოვაცდინო.

— უმადურო, აგრე აფასებ ჩემს ღვაწლს და ამაგს, რაც მე ოჯახის აგებაში მიმიძღვის?!

— არასოდეს მე არ დამიმცირებია შენი ამაგი, მაგრამ ნურას უკაცრავათ, რომ მისი გაზვიადების უფლება არ მოგცე.... შენ ყოველთვის ყოყმანობდი ჩემთან საქმის დაჭერას. მოიგონე დაქორწინების წინა დღეები...

— თუ არა მე, ნახავთ რა ბიჭიც იქნებოდი!

— ჰმ! ცდები ქალ-ბატონო; ნუ თუ გგონია, რომ— შენ არ გამომყოლოდი, მე ოჯახის აშენებაზე ხელს ავიღებდი?.. მაშინ, როგორც ეხლაც, ჩემში ჩქეფდა ძლიერების ენერგია და ღვივოდა ახალგაზრდული გატაცება ახალი ცხოვრების შესაქმნელათ. შენ ეს შეამჩნიე... ყოყმანობდი, მაგრამ იმის შიშით, რომ გამარჯვების შემდეგ ჩემგან გარიყული არ დარჩენილიყავ,—გამომყევი... დღეს ვგაქვს ახალი ოჯახი... შენ ისევ ძველებურით დაიწყე სიმღერა. არ არის გასაკვირი—ასეთია ბუნება. „კოკასა შინა რაც არის, იგიევე წამოდინდების“.

— შენ, არა გაქვს უფლება ჩემს წარსულს დასცინო!

— არც სურვილი მაქვს... ხოლო არც შენ შეგიძლია უარჰყო ის ფაქტი, რომ შენ ბევრს ელაქუცებოდი და გიყვარდა „ცვალებადობა“. თუ შენ ამას უარჰყოფ, ჩემი რა ბრალი იქნება, რომ შენმა წერილებმა, რომლებსაც სწერდი „სატრფოებს“,—შენ ეს დაგიმტკიცოს!?

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— აშკარა: კიდევ გაფრთხილება და წინადადების მოცემა შენ ვერ გამოგასწორებს. მაშასადამე: ჩვენ ერთმანეთს უნდ გავეყაროთ.

— მეც ეს მინდა, მაგრამ მე აქედან ფეხს არ მოვიცლი,— შენ უნდა წახვიდე.

— ხა-ხა-ხა-ხა! რა გულუბრყვილო ხართ! შენ გინდა —მე წავიდე, ოჯახი დაგიტოვო, რომ ჩემს შემდეგ მოიყვანო შენი ძველი „სატრფოები“ და ბუქნა გადახვიდეთ ჩემს ნაშრომ-ნაოფლარზე! ვერ მოგართვი!

—:—

რევომ ლიუციას ჩამოართვა ათი წლის წინეთ „მმაჩში“ (ზაგსი) დადებული ქორწინების დოკუმენტი და გაისტუმრა ოჯახიდან, სადაც ლიუციის წასვლის შემდეგ დამყარდა წესიერება და რევომ ისევ განაგრძო ოჯახის აღმშენებლობა.

ისელი.

# „ᲘᲛᲔᲓᲘ"



ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲘ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲘ:—ხედავთ, ბატონო ნოე! —საქართველოში რალაც ახალი პარტია გაჩენილა.

— მენშევიზმი. ჩვენი საშველი მაინც აღარ არის! ესლა გვაკლია!

ᲜᲝᲔ:—ეს კორექტორული შეცდომაა! ალბათ უნდა იყოს: ნოემენშევიზმი.

# ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲛᲘᲑᲐᲫᲕᲐ

ოპოზიცია გაიბლინძა შესანიშნავად
და აღარ ჰყოფნის მას დაფერთხვა ესოდენ მცირე:
ჰყივის ლევ ტროცკი: თუმც გამწეწეს, არა ვარ მცირე.
ჩემთან შემოკრბით, გარიცხულნო ყველამ ერთ თავათ.
ოპოზიცია გაიპლიძა შესანიშნავად,

დანგრეულ „უკლონს" დაუბრუნდა „ძველი სინაზე",
ვირაპი გვერდში მოისკუპეს, ვით პატარძალი;
თუმანოვებმა მოიმარჯვეს ხელში ორძალი,
ლადო დუმბაძე ფეხს არ აცვლის „მტერის ჯინაზე".
დანგრეულ „უკლონს" დაუბრუნდა „ძველი სინაზე",

სიზმარში ყველას ელანდება პიედესტალი.
დღეს ოკუჯავას დაუწუნეს ოქროპირობა.
სევასტის ბოდვას ბევრჯერ სჯობნის სიტყვის ძვირობა.
შვიდი საათის სამუაშოს დაუმსო თვალი,
სიზმარში ყველას ელანდება პიედესტალი.

სიმონ-ალა.

# ᲣᲘᲛᲔᲓᲝ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ

საბჭოთა წესიერი მოსამსახურე ხეპროვი (ყოფილი პოლკოვნიკი, დიდი მოტრფიალე ეპოლეტების და გამოსარჩენის) არა უშავდა—სცხოვრობდა ჩვენ დროშიც. წესიერად შეჰქონდა კავშირში ფული; არასოდეს გაქანებულ ტრამვაიზე არ შემხტარა, და როცა ქუჩებში საფურთხებლები ჩაამწკრივეს, ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო სახლიდან სამსახურისაკენ გამგზავრება

ესეც მისი წესიერებით აიხსნება, მან სავალდებულოდ მიიჩნია —ყველა საფურთხებელთან შეჩერებულიყო და წმინდა მოვალეობა მოეხადა.

ეს კიდევ არაფერი, ხეპროვი საფურთხებელთან მისვლისას ასტეხდა ხველას:

— ხოოპ... ხოოუპ!!—გაიძახოდა ის, სანამ მილიცელის ყურადღებას არ მიიქცევდა. ერთი სიტყვით ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ის წესიერი საბჭოთა მოსამსახურე და მოქალაქე არ იყო.

— კაცო ჯამაგირს კარგს იღებ, სარჩენი არავინ გყავს, რატომ მინის მაგიერ კარდონი ჩაგისვამს ფანჯარაში? —ეკითხებოდენ მეგობრები ხეპროვს.

— ამ არამზადების ხელში აბა რას გააკეთებს? სადაა ძველი გამოსარჩენი... შიმშილით ვიხოცებით.—დაბალი ხმით იტყოდა ხეპროვი და ეშმაკურად ჩაიცინებდა.

არა მეგობარს, ე. ი. საბჭოთა წყობილების გულით მომხრეს თვითონ დაასწრებდა:

დიდი მიღწევებია გულახდილად უნდა გითხრა; ძველად ასეთი კარდონები არ კეთდებოდა. მინის მაგიერობას სწევს, ჩვენ ეზოში საშინელი ცელქი ბავშებია, რამდენჯერ უნდა გამომეცვალა გატეხილი მინები, რომ კარდონი არ გამომდგომოდა და ჩაიხროხითებდა.

ვერავინ ვერ ხვდებოდა, თუ რად ჰქონდა ხეპროვს მინის მაგიერ კარდონი ფანჯარაში. ორი კარდონის შუა ხეპროვს ჰქონდა მოთავსებული ნიკოლოზ მეორის ად მისი (ნიკოლოზის) ალექსანდრას სურათი.

ეხლა კი ყველსათვის ცხადია, რომ ხეპროვი ძველი დროის დაბრუნებაზე ფიქრობდა.

ხეპროვის უკანასკნელი იმედი იყო ათი წლის თავი. იგი ორი არგუმენტით წელ-გამაგრებული ელოდა საბჭოთა წყობილების აღსასრულს.

**პირველი არგუმენტი:** საბჭოთა წყობილება დაინგრეოდა სწორედ ათი წლის თავზე. მან სადღაც ყური მოჰკრა ასეთი ამბავს: „თუ ათ წელს გამაგრდა საბჭოთა წყობილება, შემდეგ ევროპას უფლება არ აქვს ომის გამოცხადების; ამას კი არავინ დაუშვებს, —და სწორედ ათი წლის თავზე დაანგრევენ ამ აუტანელ რეჟიმს".

# „ბ ა ყ რ ა“

## ალეგორია

ათი წლის განმავლობაში რევო და ლიუცია გვარიან მშვიდობიანათ ცხოვრობდენ.

მართალია: ცხოვრების ამ მანძილის გავლის განმავლობაში შიგ და შიგ ბევრჯერ მომხდარა მათ შორის წალაპარაკება, აყალ-მაყალი და უსიამოვნება, მაგრამ საქმე იქამდე არ მისულა, რომ ისინი ერთმანეთის განშორებოდენ.

პირველ წლებში ძალიან ღარიბათ ცხოვრობდენ— არაფერი არ გააჩნდათ; შესაქმნელი იყო ახალი ოჯახი, რასაც დიდი ენერგია, უნარი და გამძლეობა სჭიროდა.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ლიუცია მხარში ედგა რევოს, რომელიც რვა საათის სამუშაო დღით არ კმაყოფილდებოდა და მეტს მუშაობდა, რომ საჩქაროთ აეგო, აეშენებია ახალი ოჯახი.

მართალია: ლიუციას ხშირად გამოუთქვამს მერმედა მერმე უკმაყოფილება ცხოვრების ასეთ პირობებისთვის, მაგრამ რევო ტკბილათ და დარიგებით ეტყოდა:

— მაშ, როგორ გინდა, ჩემო კარგო! თუ არ ვიმუშავეთ,—არც არაფერი გაკეთდება. შენ სუსტი არსება ხარ— არ შეგიძლია ჩემსავით მუშაობა, არა გაქვს გამძლეობა,— მაგრამ არა გთხოვ ჩემსავით იმუშაო,—ხოლო ეს კი იცოდე: მუშაობის დროს ხელს ნუ მიშლი და თავს ნუ მაბეზრებ ტყუილ-უბრალო ლაპარაკით.

— როგორ! განა ლაპარაკის უფლებასაც აღარ მაძლევ?—უკმაყოფილოთ და გაბრაზებით შეეკითხა ლიუცია.

— ბატონო ჩემო, ლაპარაკსაც აქვს თავისი დრო და საჭიროება. მუშაობის დროს,—ვიმუშაოთ,, ლაპარაკის დროს—ვილაპარაკოთ.

— იცოდე, რომ ამნაირ რეჟიმს მე ვერ ავიტან. ჩვენ ორივე თანაბარი უფლებით უნდა ვსარგებლობდეთ ოჯახში.

— ანბანურ ჭეშმარიტებას ამბობ... მაგრამ...

— ჰო-და, თუ ვამბობ,—მე გეუბნები, რომ ასეთ ცხოვრებას ვერ ავიტან. ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც ჩვენ ოჯახს ხელი მოვკიდეთ, მაგრამ ჩვენ ზოგიერთ ჩვენს მეზობლებზე უარესათ ვცხოვრობთ; იმათ მეტი ქონება და სიმდიდრე აქვთ, ვიდრე ჩვენ.

— იცი, ლიუცია, რა გითხრა?! შენ სულ სხვა ჰანგზე დაიწყე სიმღერა. რაღაც ძალიან მამადლი თავს და ასე წარმოგიდგენია, თითქოს შენ იყო ჩვენი ოჯახის მზე და მთვარე. შენ უწინაც გახასიათებდა ამნაირი კუდაბზიკური „დიდკაცური“ და „კეთილშობლიური“ მიდრეკილება. მე მახსოვს: გაცნობის პირველს ხანებში ხან მე მეარშიყებოდი და ხან ვაჭრის ნოქარს, რომელსაც ჩემზე მეტი ქონება ჰქონდა.

— ნეტავი მას გავყოლოდი,—უფრო მოგებული ვიქნებოდი. შევცდი და რაღა დროსია!

— ხელს არავინ გიშლის; შეგიძლია ეხლაც „გამოასწორო შეცდომა“.

— რა ვიცოდი, რომ შენ ასეთი მკაცრი იქნებოდი, თორემ...

— უკაცრავათ, მაგრამ მე არავის ნებას არ მივსცემ მუშაობის დროს ხელი შემიშალოს. იცოდეთ, რომ მე ყოველთვის ასეთი „მკაცრი“ ვიქნები, და ისიც იცოდე, რომ ჭკუას დაუხმე, თორემ...

— თორემ რა?

— ის რა, რომ შენ ნებას არ მოგცემ ახლად-შექმნილ ოჯახს ჩირქი მოსცხო... მგონი მიმიხვდი.

— თითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ!

— მე იმას ვლაპარაკობ, რომ ოჯახში ნუ შემოგაქვს გახრწნის და ცუდი ყოფა-ქცევის სულისკვეთება...

— შენ ცილს მწამებ!

— მოიგონე, როცა ტყეში წაბრძანდით „ნასეირნოთ“, იქ რომ ხელის ფათური გქონდათ...

— ჰაერის გადასაყლაპავათ წავედით, და არა იმ ზრახვებით, შენ რომ გგონია!

— ჰააა! მაშ სარდაფშიაც ვიღაცეებთან, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ ჩვენს ოჯახთან, პირიქით: მტრები არიან,—სარდაფშიაც მალულათ „ჰაერის გადასაყლაპავათ“ წაბრძანდით?... მაგრამ იქ, მგონი, სხვა რამე გადაყლაპეთ!..

— ადამიანს ნაცნობების და ამხანაგების მონახულობაც აღარ შესძლებია!

— კი, მაგრამ, თუ თქვენ ცუდი ზრახვები არა გაქვთ, რატომ ოჯახში, თქვენს წრეში არ ნახულობთ ერთმანეთს! ლაქებში და იქ „ერთობით“ „მუსაიფობთ“?

— შენ დესპოტი ხარ—თავისუფლებას არ მაძლევ!

— ძალიან ცუდათ გაგიგია თავისუფლება. ასეთ საქციელს თავისუფლება კი არ ჰქვია, არამედ— **გარყვნა!**

— რევო!

— ლიუცია!... ხმა დაიდაბლე. აქ სარდაფი კი არ არის, სადაც „ამხანაგებთან და ნაცნობებთან სამუსაიფოთ იკრიბებით“ აქ არც ტყე არის, სადაც „ჰაერის გადასაყლაპავათ“ დასეირნობთ... დიახ! მოთმინებას საზღვარი აქვს და იმ საზღვარზე უკვე მისული ვარ.

— მე ვერ შევურიგდები ასეთ პირობებს!

— და შენზე უფრო—მე... მე არა მცალია შენს კაპრიზებს ავყვე და დრო მოვაცდინო.

— უმადურო, აგრე აფასებ ჩემს ღვაწლს და ამაგს, რაც მე ოჯახის აგებაში მიმიძღვის?!

— არასოდეს მე არ დამიმცირებია შენი ამაგი, მაგრამ ნურას უკაცრავათ, რომ მისი გაზვიადების უფლება არ მოგცე.... შენ ყოველთვის ყოყმანობდი ჩემთან საქმის დაჭერას. მოიგონე დაქორწინების წინა დღეები...

— თუ არა მე, ნახავთ რა ბიჭიც იქნებოდი!

— ჰმ! ცდები ქალ-ბატონო; ნუ თუ გგონია, რომ— შენ არ გამომყოლოდი, მე ოჯახის აშენებაზე ხელს ავიღებდი?.. მაშინ, როგორც ეხლაც, ჩემში ჩქეფდა ძლიერების ენერგია და ღვივოდა ახალგაზრდული გატაცება ახალი ცხოვრების შესაქმნელათ. შენ ეს შეამჩნიე... ყოყმანობდი, მაგრამ იმის შიშით, რომ გამარჯვების შემდეგ ჩემგან გარიყული არ დარჩენილიყავ,—გამომყევი... დღეს ვგაქვს ახალი ოჯახი... შენ ისევ ძველებურით დაიწყე სიმღერა. არ არის გასაკვირი—ასეთია ბუნება. „კოკასა შინა რაც არის, იგივე წამოდინდების“.

— შენ, არა გაქვს უფლება ჩემს წარსულს დასცინო!

— არც სურვილი მაქვს... ხოლო არც შენ შეგიძლია უარჰყო ის ფაქტი, რომ შენ ბევრს ელაქუცებოდი და გიყვარდა „ცვალებადობა“. თუ შენ ამას უარჰყოფ, ჩემი რა ბრალი იქნება, რომ შენმა წერილებმა, რომლებსაც სწერდი „სატრფოებს“,—შენ ეს დაგიმტკიცოს!?

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— აშკარა: კიდევ გაფრთხილება და წინადადების მოცემა შენ ვერ გამოგასწორებს. მაშასადამე: ჩვენ ერთმანეთს უნდ გავეყაროთ.

— მეც ეს მინდა, მაგრამ მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი,— შენ უნდა წახვიდე.

— ხა-ხა-ხა-ხა! რა გულუბრყვილო ხართ! შენ გინდა —მე წავიდე, ოჯახი დაგიტოვო, რომ ჩემს შემდეგ მოიყვანო შენი ძველი „სატრფოები“ და ბუქნა გადახვიდეთ ჩემს ნაშრომ-ნაოფლარზე! ვერ მოგართვი!

—:—

რევომ ლიუციას ჩამოართვა ათი წლის წინეთ „მმარ-ში“ (ზაგსი) დადებული ქორწინების დოკუმენტი და გაისტუმრა ოჯახიდან, სადაც ლიუციის წასვლის შემდეგ დამყარდა წესიერება და რევომ ისევ განაგრძო ოჯახის აღმშენებლობა.

ისელი.

# „ი მ ე დ ი“



ემიგრანტი მენშევიკი:—ხედავთ, ბატონო ნოე! —საქართველოში რაღაც ახალი პარტია გაჩენილა.
— მენშევიზმი. ჩვენი საშველი მაინც აღარ არის! ესღა გვაკლია!
ნოე:—ეს კორექტორული შეცდომაა! ალბათ უნდა იყოს: ნოემენშევიზმი.

# ოპოზიცია

### მიბაძვა

ოპოზიცია გაიბლინძა შესანიშნავად
და აღარ ჰყოფნის მას დაფერთხვა ესოდენ მცირე:
ჰყივის ლევ ტროცკი: თუმც გამწეწეს, არა ვარ მცირე.
ჩემთან შემოკრბით, გარიცხულნო ყველამ ერთ თავათ.
ოპოზიცია გაიპლინძა შესანიშნავად,

დანგრეულ „უკლონს“ დაუბრუნდა „ძველი სინაზე“,
ვირაპი გვერდში მოისკუპეს, ვით პატარძალი;
თუმანოვებმა მოიმარჯვეს ხელში ორძალი,
ლადო დუმბაძე ფეხს არ აცვლის „მტერის ჯინაზე“.
დანგრეულ „უკლონს“ დაუბრუნდა „ძველი სინაზე“.

სიზმარში ყველას ელანდება პიედესტალი.
დღეს ოკუჯავას დაუწუნეს ოქროპირობა.
სევასტის ბოდვას ბევრჯერ სჯობნის სიტყვის ძვირობა.
შეიდი საათის სამუაშოს დაუმსო თვალი,
სიზმარში ყველას ელანდება პიედესტალი.

**სიმონ-ალა.**

# უიმედო იმედები

საბჭოთა წესიერი მოსამსახურე ხეპროვი (ყოფილი პოლკოვნიკი, დიდი მოტრფიალე ეპოლეტების და გამოსარჩენის) არა უშავდა—სცხოვრობდა ჩვენ დროშიც. წესიერად შეჰქონდა კავშირში ფული; არასოდეს გაქანებულ ტრამვაიზე არ შემსტარა, და როცა ქუჩებში საფურთხებლები ჩაამწკრივეს, ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო სახლიდან სამსახურისაკენ გამგზავრება

ესეც მისი წესიერებით აიხსნება, მან სავალდებულოდ მიიჩნია —ყველა საფურთხებელთან შეჩერებულიყო და წმინდა მოვალეობა მოეხადა.

ეს კიდევ არაფერი, ხეპროვი საფურთხებელთან მისვლისას ასტეხდა ხველას:

— ხოოპ... ხოოუპ!!—გაიძახოდა ის, სანამ მილიცელის ყურადღებას არ მიიქცევდა. ერთი სიტყვით ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ის წესიერი საბჭოთა მოსამსახურე და მოქალაქე არ იყო.

— კაცო ჯამაგირს კარგს იღებ, საჩრჩენი არავინ გყავს, რატომ მინის მაგიერ კარდონი ჩაგისვამს ფანჯარაში? —ეკითხებოდნენ მეგობრები ხეპროვს.

— ამ არამზადების ხელში აბა რას გააკეთებს? სადაა ძველი გამოსარჩენი... შიმშილით ვიხოცებით.—დაბალი ხმით იტყოდა ხეპროვი და ეშმაკურად ჩაიცინებდა.

არა მეგობარს, ე. ი. საბჭოთა წყობილების გულით მომხრეს თვითონ დაასწრებდა:

დიდი მიღწევებია გულახდილად უნდა გითხრა; ძველად ასეთი კარდონები არ კეთდებოდა. მინის მაგიეროზას სწევს, ჩვენ ეზოში საშინელი ცელქი ბავშებია, რამდენჯერ უნდა გამომეცვალა გატეხილი მინები, რომ კარდონი არ გამომდგომოდა და ჩაიხოხითებდა.

ვერავინ ვერ ხვდებოდა, თუ რათ ჰქონდა ხეპროვს მინის მაგიერ კარდონი ფანჯარაში.ორი კარდონის შუა ხეპროვს ჰქონდა მოთავსებული ნიკოლოზ მეორის აღ მისი (ნიკოლოზის) ალექსანდრას სურათი.

ეხლა კი ყველასათვის ცხადია, რომ ხეპროვი ძველი დროის დაბრუნებაზე ფიქრობდა.

ხეპროვის უკანასკნელი იმედი იყო ათი წლის თავი. იგი ორი არგუმენტით წელ-გამაგრებული ელოდა საბჭოთა წყობილების აღსასრულს.

**პირველი არგუმენტი:** საბჭოთა წყობილება დაინგრეოდა სწორედ ათი წლის თავზე. მან სადღაც ყური მოჰკრა ასეთი ამბავს: „თუ ათ წელს გამაგრდა საბჭოთა წყობილება, შემდეგ ევროპას უფლება არ აქვს ომის გამოცხადების; ამას კი არავინ დაუშვებს, —და სწორედ ათი წლის თავზე დაანგრევენ ამ აუტანელ რეჟიმს“.

მეორე არგუმენტი, (ანუ ანეკდოტი) ასეთი ჰქონდა: ვილაცას ეკითხებიან:

— როდის მოვა საბჭოთა წყობილების დასასრული?

— ორი წლის შემდეგ.

— რათა?

— უმაღლესი სასჯელი ათი წელია; რვა წლის სასჯელი მოვიხადეთ, და ორი კიდევ დაგვრჩა (ალბად ეს მუსაიფი გამართულა 1925 წელში).

და აი, ასეთი მტკიცე იმედებით ცდებოდა ათი წლის თავს ხეპროვი.

ოქტომბრის დღესასწაულებთან დაკავშირებით წაადრევად, ე. ი. 5 ნოემბერს მიილო ნახევარი თვის ჯამაგირი; გულზე ოქტომბრის ათი წლის თავის საიუბილეო ნიშანი ჩამოიკიდა და გაემართა სახლისაკენ. (რასაკვირველია გზაში არცერთი საფუძვლიანი სიფრთხილე უყურადღებოდ არ დაუტოვებია).

ექვს ნოემბერს სახლში 10 საათზე დაბრუნდა. ისე „განიერად“ მოდიოდა, რომ ყველა დარწმუნდებოდა თუ რათ გააგანიერა აღმასკომმა ქუჩები.

(გაგრძელება იქნება)

ეფენდი.

შემოიარეთ რედაქციაში.

# მუზეუმში




პირველი აბიტურიენტი: — ვისია ეს ძეგლი თუ იცი?

მეორე: — ვაი, შე სულელო, მაგი არ იგი სტუდენტმა კაცმა?! ვერა ხედავ ხელები და ტანი აღარ აქვს!.. ეს არის ინვალიდის ძეგლი.

# „ტელას“

ვაცნობებთ, ყველას, ყველას,
ვინც ჰრაქით, ებრძვის ბნელას, —
ზაჰესში ჰპოებთ შველას,
ოღონდ მივაწვეთ „ტელასს“.

მითხარით ის რა კაცია, ვისაც დღეს არ სწამს ელექტროფიკაცია? გამოვიდეს ყველა ვინც მამაკაცია, დაუშვებელია აქ ოპოზიცია, ან ფრაქცია, ხომ ხედავთ სიბნელემ ჩვენი ოჯახი დააქცია. ჩემმა ცოლმა წუხელ ბნელაში ერთი ბანკა მურაბა დააქცია დასამზარეულოში შემოპარული ქურდი კასრულებით დატვირთული გააქცია.

ჰო... და ხომ მიხვდით საქმე რაშია? ჩვენი „ზაჰესი“ ხათაბალაშია, მართალია ის ავჭალაშია, მაგრამ სინათლე აქ, ქალაქშია. თუმცა მართალია ის არც ჩემს სახლშია, არც თქვენს სხლშია და სწორედ საქმეც ამაშია, რატომ არ იკითხავთ, ჩვენ ელექტრონით ვინ დაგვამშია?

ზაჰესს ვინ მოუწყო ეს ხათაბალა! ვირის ძალამდე ვინ დაიყვანა 56.000 ცხენის ძალა. ლამის დარდისაგან წამძვრეს თავის ქალა. ზაჰესის ქებით მე წავართვით ზაჰლა, მხოლოდ აღარ ვიცი, რა ხდება ახლა.

ჩემი მოწოდება, მართალია, ნაკლებ ბრძნულია, მაგრამ როცა გული ერთობ დატანჯულია, მაშინ გონებაც ერთობ არეულია, მოქალაქენო თქვენ თუ იცით, რომ „ზაჰესი“ დამწყვდეულია? ისიც ჩვენსავით წარბშეკრულია, და ჩვენ გვითვლის, რომ არ გავიტეხოთ გულია, მართალია ის ეხლა გაბაწრულია, მასაც ჩვენსავით სინათლე სწყურია, მაგრამ ის დარწმუნებულია, ცხენების და კაცების ძალა, გაარღვევს „ტელასს“, მხოლოდ სიფრთხილე გმართებთ ყველას... „სასიკვდილოა“, საფრთხილოა.

საჭიროა შეუტიოთ „ტელასს“, მაგრამ ვაფრთხილებთ კიდევ ყველას: შეიარაღდეთ, ნუ გამოხვალთ ხელცარიელი, „ტელასი“ გახლავთ „ლომტარიელი“. ადვილად არ სჭრის მასთან მუდარა და არც მუქარა.

ყველას, ყველას, ყველას! ნუ ეხუმრებით „ტელასს“. საფრთხილოა თქვენ ნუ მომიკვდებით, შეიარაღდით ყველანი „შჩოტჩიკებით“, ოღონდ ნუ დაღონდებით. თან წამოიღეთ „პროვოდებიც“, თან წამოიღეთ „ვინტი“, „ატვიორკა“, მაკრატელი, „ვიკლიუჩატელი“ და „ვკლიუჩატელი“.

მართალია სიბნელეში ხომ ვერ დავბერდებით, შეიარაღდით აგრეთვე განცხადებებით. ფრთხილად იყავით „სასიკვდილოა“... „სასიკვდილოა“, თუ მწამს მამისეული! თქვენმა ძველმა განცხადებებმა, ამიტომ დალიეს იქ სული...

ყველას, ყველას, ყველას! აბა მივაწვეთ „ტელასს“. გავანთავისუფლოთ ჩვენი „სულ მნათი“. ერთხელ ღამითაც ვნახოთ ჩვენი ოთახის სურათი:

აივსო მოთმინების ფიალა. გარეთ გამოვალ თვალს მჭრის ელექტრონი ბრჭყვიალა, სახლში შევედი, წამოვკარი ფეხი და მაგიდამ ისე იგრიალა, რომ გეგონებოდათ „სევასტოპოლის აღება“.. რამდენს ოთახში შევალ, მე ჩემი მემერთება და თუმცა ყველასი მეხათრება, მაგრამ რას იზამს კაცი გავგიჟდი ამდენი მოთმინებით... ჩემი ოთახი ავავსე დამტვრეული თეფშებით და მინებით...

ყველას! ყველას! ყველას! ეხლა გთხოვთ შველას. მაგრამ შეუტიოთ „ტელასს“. ნუ დაგვტოვებთ მარტოხელას, გავაერთიანოთ ძალები ხუთი ათასი ცხენის, ხუთასი ათასი კაცის, ნახევარი მილიონი ვირის, 300 ათასი ჯორის, არაფერი იწამოთ „მანტიორის“ თან წამოიყვანეთ პროტექტორი, შეიძლება გამოგვადგეს რეპარტიორიც.

ხომ გიყვართ ზაჰესი. ეს უდავოა, ეს ნათელია, მაგრამ თქვენს ოთახში რომ ბნელა და გარეთ ნათელია?, ესეც უეჭველია და რაღაა იგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელია. წავიდეთ იერით და ის მაინც გავიგოთ, — დამნაშავე რომელია.

სკგიერ-ბენ-შეიხ.

# სარევიზიო კომისიის დასკვნა

ეს ამბავი მოხდა ამ რამოდენიმე ხნის წინად.

რაიონულ კოოპერატივის გამგეობამ მიიღო ცენტრიდან განკარგულება, სადაც სხვათა შორის ეწერა:

**„ვინაიდან ფასების შემცირების დირექტივა არ გაგიტარებიათ მთლიანად, ამიტომ სასტიკად გევალებათ მიმდინარე თვის ბოლომდე საქონლის ფასები 10 პროცენტით შეამციროთ“.**

ამას იწერებოდა ცენტრი. გამგეობა შეფიქრიანდა. გამგეობის თავმჯდომარემ გრძელი ულვაშების წიწკნა დაიწყო: ასე იცოდა ყოველთვის, აღელვების დროს. თავმჯდომარის მოადგილეს თავის ქექა აუტყდა. წევრებს ჭამის მადა დაეკარგათ; გამგეობის მთავარმა ბუღალტერმა ბევრი ფიქრისგან სამუშაო დღე გააცდინა; უნცროსი ბუღალტერი მუშაობის გათავებამდე ბოლთას სცემდა კანცელარიის აივანზე; მოანგარიშე ისე იყო ფიქრში გართული, რომ ანთებული პაპიროსი ცეცხლმოკიდებულ ბოლოდან ჩაიდო პირში და ენა დაიწვა; მოანგარიშის თანაშემწემ მეტის მეტი აღელვებით ერთი ბოთლი მელანი დაღვარა ახალნაყიდ საანგარიშო წიგნზე, რისთვისაც შენიშვნა მიიღო; საქმის მწარმოებელს ჭამის მადა დაეკარგა; მის უმცროს თანაშემწეს ბაგე გაუფითრდა; რეგისტრატორმა ქალმა თავდავიწყების გამო ტუჩის „პომადა“ ცხვირზე წაიცხო, მემანქანემ აღელვების გამო მოლარის თანაშემწეს ცხელი ჩაი გადაასხა კოვერკოტის შალვარზე, შიკრიკი აიგრიზა, დამგველმა ცოცხის ტარი გადატეხა და „ზავხოზის“ ორივე თანაშემწე გამგეობის მდივანს წაეჩხუბა. დანარჩენი თანამშრომლებიც არა ნაკლებ აირიენ.

თავმჯდომარემ სასწრაფოდ კრება მოიწვია.

— ერთი მეათედი უნდა დაუკლოთ ფასები ამხანაგებო! ამბობდა იგი მოწყენით. მერე საიდან? ჩვენ ძვირად გვაქვს ნაყიდი, „სკიდკა“ არ მოუციათ.

— შტატი შევამციროთ! წამოიძახა უჯრედის მდივანმა.

— ასეთი მცირე შტატის კიდევ შემცირება არ შეიძლება, მკაცრად წარმოსთქვა თავმჯდომარემ, რომელსაც საკმაოდ ბევრი ნათესავები ყავდა შტატში,— მერე ეს ხალხი სად უნდა წავიდეს? ისევ ჯობს სხვა რამე მოვიგონოთ.

— ზედნადებ ხარჯებს დაუკლოთ,—სთქვა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— სად არის ზედნადები ხარჯები? აღშფოთდა თავმჯდომარის მოადგილე ( მას კომანდიროვკები უყვარდა), ისედაც შემცირდა ხარჯი ამ მომჭირნეობის რეჟიმის გამო, მარტო ჯამაგირზე ხომ ვერ ვიქნებით...

— მართალია, მართალი! დაეთანხმენ მას თავმჯდომარე, მთავარი ბუღალტერი და ზავხოზი.

— მაშ რა ვქნათ?

ყველა ჩაფიქრდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ისევ თავმჯდომარემ დაარღვია მყუდროება.

— ვიპოვე, ვიპოვე!..

— რა იპოვე? მიაძახეს.

— გამოსავალი....,

— აბა?!.

— ხომ გახსოვთ ამხანაგებო, ჩვენმა კოოპერატიულმა რაიონმა ამ ერთ წელში სამი ათასი მანეთი მოიგო. ჰოდა, იმ მოგების ანგარიშზე დავაკლოთ და ცოტა თავნიდანაც წავუმატოთ.... სულ ერთია, თუ ვიზარალებთ, ჩამოგვიწერენ,—გვაპატიებენ...

— ჩინებული აზრია! მოიწონა ყველამ (უჯრედის მდივნის და ადგილკომის გარდა.

მართლაც დააკლეს და დაკლების ხარჯზე „მოგება“ გაანიავეს

ორიოდე თვის შემდეგ აღნიშნულ კოოპერატიულ რაიონს ესტუმრა რევიზია ცენტრიდან, რომელმაც გამოარკვია ფასების დაკლების კამპანიის შედეგები.

აი, ამონაწერი სარევიზიო კომისიის ოქმიდან:

„....ამიტომ, სარევიზიო კომისია სცნობს, რომ ფასების დაკლების კამპანია ამ კოოპერატიულ რაიონის გამგეობას ცუდათ გაუგია: აქ შტატი უნდა შემცირდეს ორმოცი კაციდან 10 კაცამდე, ზედნადები ხარჯები უნდა შემოკლდეს, საქონლის ღირსება გაუმჯობესდეს და შეძენილ იქნას პირველი მოთხოვნილების საქონელი...

გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილება გამგეობას და სხვ...

**ალლარ-ალლარხან.**

# გამოქვექილი

მადლობა ღმერთს რაცა ვარ,
ხედის არ ვარ წუნია.
კაცუნების საქმისთვის
არ ვარ დასაწუნია.
რა დარდი მაქვს—მათ საქმე
თუმც სდის მყრალი სუნია!
ფული მომცენ,—არ ვწუხვარ
თუნდაც სჭირდეს მუნია.

—:—

კაცი უკვე დავბერდი,
წვერები მაქვს ჭალარა;
ისე გამოვიფიტე,
ვით უდაბნო სახარა.
რა ვუყოთ, რომ ამ თავში
ჭკუა დარჩა აღარა.
და ამიტომ შიგ ისმის:
დიფტიპიტო, ნაღარა...

—:—

ღმერთა კარგად მიმყოფოს,
ვისაც უყვარს ხლაფორთი:
იხტიბარში შევატყობ,
ვეუბნები: „აშ მორთი“...
და ჩემსა და მის შორის
ძაფები ბაბმულია.
ჩემს ჭკუაზე მოვიყვან;
გახდება ძაბუნია.

—:—

თვითეულ გამოსვლაზე
თუმნიანი მოდისა,—
და არ ვწუხვარ, თუ საქმე
გათავდა როდისა!
დეე, ბევრჯერ გადიდოს,—
ფეხებზე არ მკიდია;
საქმეს ვბერავ უზომოთ,
თითქოს იყოს დიდია.

—:—

ვაბითურებ მომჩივანს,
მე ვარ მისი ვექილი;
ნეტა სხვა თუ იქნება
ჩემზე გამრქექილი?!

**ჭინჭარი.**

# „ო ი ნ ი"

ჩვენი სახლის პატრონი ყველა დგმურებს ეჩხუბება.

ეს ჩვეულებრივი მოვლენაა — ყველა სახლის პატრონი ასეთა.

მაგრამ ჩვენმა სახლის პატრონმა თავის კოლლეგებს აჯობა ხრიკებსა და ოინების გამოგონებაში.

ჩვენს სახლში ცხოვრობენ შოფერი და მისი თანაშემწე.

მოგეხსენებათ, რომ ამ პროფესიის ხალხს მეტად განვითარებული აქვს მუშტი, რომელსაც საჭიროების დროს (საჭიროება კი ხშირია მათ ცხოვრებაში) ხმარებაში უშვებს.

—:—

ახლად დაძინებული ვიყავით.

აივანზე სახლის პატრონი შოფერს ეჩხუბებოდა.

— შე ვირისთავო, კვირაში ნახევარჯერ სახლში ღამეს არ ვათევ და შენ რას მიედ-მოედები? ეეე, ბიძაჩემო, ხრიკებს და შარებს დაეთხოვე, თორემ ისეთს „აგადრასტებ" (ე. ი. გაგარტყამო), რომ ერთ კვირას ჭკუაზე ვერ მოხვიდე, — (თუმცაღა სადა გაქვს რომ მოხვიდე!?!), ხომ იცი — მე მაინც და მაინც ბოდიშის მოხდა არ მიყვარს, — ერთი, ორი, — და მზად არის! — ეუბნებოდა შოფერი სახლის პატრონს.

— ანდრო, ანდრო! — უძახოდა ოთახიდან ოთახში მეზობელი მეზობელს, — გესმის: სახლისპატრონი შოფერს ეჩხუბება!

— მე კი არა, თითქმის ყველა დგუმრებს ესმის, ერთმანეთს აღვიძებენ და სეირს უყურებენ! — შუა კარებში ელაპარაკებოდა საცვლების ამარა ანდრო თავის მეზობელს.

მართლაც: თითქმის მთელი სახლი გამოფხიზლებულიყო. ერთ ბინაში ატირებული ბავშიც კი ჩააჩუმეს, რომ კარგად გაეგონათ აივანზე რაც ხდებოდა.

შოფერი და სახლის პატრონი უფრო და უფრო უტევდენ ერთმანეთს.

— კაცო, გამოვიდეთ, თორემ, ხომ იცი შოფერები რა ხალხია?! სცემს და მერე!..

— აი დარდი ამ ჩემს ფეხებს. ჩვენც ეს გვინდა, რომ სცემოს; ეგებ ჭკუა ისწავლოს მაგ გამოსულელებულმა... თუ კაცი ხარ, დაჩუმდი, ხელს ნუ უშლი...

— ა, შე ჩემანალა! — მოისმა შოფერის ბოხი ხმა და ტკაცანი.

— ვაი, დედააა! მომკლა ამ ოხერმა... მიშველეთ! — მოისმა სახლისპატრონის ხმა და იატაკზე ბრაგვანი.

— ოჰოჰო, ოჰოჰო... რა კარგია, ვაისულო! — გაუხარდათ ლოგინიდან ამდგარ ბავშებს და სიხარულისაგან ლოგინზე ცეკვა დაიწყეს!

— კარგი... ეხლა დაწევით, თითქოს არაფერი იცით! — გააფრთხილეს დედებმა, — და ბავშები საბანს ქვეშ შეძვრენ. — დაიძინეთ! უთხრეს და სინათლე ჩააქრეს, თითქოს აივანზე არაფერი ხდებაო.

— გიამოს... შეგერგოს... გიკურთხოს ღმერთმა მარჯვენა! — ჩაილაპარაკა ანდრომ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა დასაძინებლად.

—:—

მეორე დღეს სახლის პატრონი თავ შეხვეული გამოცხადდა კომისარიატში და წინაღამინდელი ამბავი განაცხადა:

— მკლავდა, მახრჩობდა... ავტომობილის რეზინი დამარტყა თავში. კიდევ ძალიან მაგარი თავი მქონებია, თორემ მიკვირს როგორ გაუძლო თავმა რამდენჯერმე რეზინის დარტყმას. მუშტებიც ჩამიშინა თავში და მკერდებში... თავი გაბზარული მაქვს მგონი ტვინიც გადმოდის იქიდან!..

— ნუ გეშინია, — რაც არ არის, რა უნდა გადმოვიდეს! — ჩაილაპარაკა ერთმა მილიციელმა, რომელიც კარგად იცნობდა სახლის პატრონს, როგორც დგმურების შემაწუხებელს და „ხლაფორთის კაცს" (ასე უძახდენ ზედმეტსახელათ სახლის პატრონს).

თავის შეუხსნეს. მაინცადამაინც არაფერი აჩნდა.

—:—

დაჰკითხეს დგმურებს.

ყველამ სთქვა, რომ არაფერი იციან ამ ამბის შესახებ.

ბრალდება დაუმტკიცებლათ სცნეს დე შოფერი პასუხისმგებლობიდან გაანთავისუფლეს.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაცხარდა სახლის პატრონი.

ადმინისტრაციას და სასამართლოსაც აგინებდა:

— დღეს ქვეყანა მაგათ ხელშია; მაგინი ხომ ყაჩაღებია. მაგრამ... ვნახოთ... ჩემი გალახვა არ შერჩება... მე არ ვიქნები (...აქ თავისი სახელი და გვარი სთქვა), თუ სამაგიერო არ გადაუხადო.

—:—

ამის შემდეგ, გვიან საღამოობით ძალიან ხშირად ვნახულობდით სახლის პატრონს შემოსავალში კარებთან კიბეზე იჯდა.

— რაშია საქმე, რომ სახლის პატრონი, ყოველთვის შემოსავალში ზის საღამოობით!? — გვიკვირდა დგმურებს.

—:—

თითქმის ყველას ეძინა, როცა აჩქარებული ავტოს ხმაური მოისმა ჩვენს ქუჩაზე.

ორიოდე წუთი და სახლის შემოსავალში ატყდა საზარელი ხმაური და ყვირილი.

მთელი სახლი და მეზობლობა პანიკამ მოიცვა.

გარედ გამოვედით.

როცა ავტომ ჩვენი სახლის შემოსავალთან მოაღწია, შემოსავალიდან გამოვარდა თავპირ - დამტვრეული და გასისხლიანებული სახლის პატრონი; მივარდა ავტოსთან და უცბად გაიქცა ყვირილ - ყვირილით კომისარიატისაკენ.

ავტო გაჩერდა.

„სასწრაფო დახმარება" იყო, ჩვენს მეზობლათ მეორე ქუჩაზე ვიღაცას რევოლვერი გავარდნოდა და ამხანაგი დაეჭრა. მილიციელიც თან ახლდა „სასწრაფო დახმარებას".

ყველას გაუკვირდა ეს ამბავი.

— გიჟი ხომ არ არის! — იკითხა „სასწრაფო დახმარების" ექიმმა.

— ჩვენი სახლის პატრონია! —

— რაღაც ოინია ალბად! — სთქვა მილიციელმა.

„სასწრაფო დახმარება" წავიდა თავის ალაგას.

ამბის გასაგებათ კომისარიატში წავედით რამოდენიმე დგმური.

—:—

ჩვენი სახლის პატრონი იქ დაგვიხვდა.

თავ - გატეხილი და სისხლში ამოსვრილი, იგი ეუბნებოდა მორიგეს:

— ა ბატონო, გახსოვთ ერთხელ რომ მცემა და თქვენ გაამართლეთ!? ვერ დაუმტკიცეთ!.. დღესაც მცემა იმ შოფერმა.. ჩემი მოკვლა უნდოდა. მთვრალი იყო ავტომობილი მოაგდო; მე „პადეზდში" შევხვდი და, ვაიმე, აი ასე მცემა, კინაღამ მომკლა. თავი გამიტეხა; აი ეხლა ხომ ხედავთ? ხელა ხომ არის სიმართლე?.. ვაი დედავ... თავი გამიტეხა... ყოველთვის ხომ ვერ გაუძლებს ჩემი თავი?.. ვაი თავი... ვაი, ჩემო კაო თავო... ამ თავმა ააგო იგი სახლი... იგი ოხერი შოფერი მოშაცილეთ, თორემ მომკლავს... ვაი, ჩემო კაო თავო...

ამ დროს შემოვიდა ის მილიციელი, რომელიც „სასწრაფო დახმარება"-ს ახლდა.

—:—

ყველაფერი გამოირკვა: სახლის პატრონს, როცა „სასწრაფო დახმარების" ავტოს ხმაური მოესმა, უფიქრია, რომ — ეს არის შოფერი მოდისო. თავი კედელზე უხლია, თავის ცხვირ-პირში თავისივე მუშტები ჩაუშენია, სისხლი უდენია, რომ ამით დაემტკიცებია „ფაქიუტრი საბუთები", თითქოს მას შოფერმა სცემა.

გარაჟში ცნობა მოახდინეს. შოფერი ქალაქს გარედ აღმოჩნდა მივლინებაში.

ამ ცილისწამებისათვის ჩვენი სახლის პატრონი ეხლაც საკანში ზის და პრილობების მორჩენამდე გარედ არ უშვებენ.

ენუქი.

# ბრუნვა




— მართლაც ობოროტი—ბრუნვა ყოფილა ეს ღვინო... ეხლა ყველაფერი ბრუნავს.

# უკანონო „შტრაფი“

— ვაჰ, რა მაზალო ამბავი გადამხდა ჰაზირ?! ეს დარბაისელი ადამიანი ახში ხულიგანიცო რო გავხდი და! კაცი ვბერდები. ათადან-ბაბადან აქა ვცხოვრობ, ორ ადგილას დუქანი მქონია, სახლები რამე, ქუჩაშიც მივლია ცხოვრება და(პარიატკაც მინახია, ჰამა ამისთანა ზაჰრუმალი რამე თუ გამეგონოს, ბემურაზი ვიყო, თქვენში გამოვერჩიო და პირშავი გავხდე, თუ სწორე არ ვამბობდე.

ვა, ქრისტიანო, ასეთი ხათა გაგონილა? ჰუზურში საშტრაპკო და სანალოგო საქმე რომ გამოლევიათ, ამდგარან და ახალი შტუკა გამოუგონიათ: გამოფურთხებისთვის შტრაფი შამოუღიათ—ჩემა მზემ მართლა,— ახართანაც რა დიდი ტაქცია, დაუდვიათ და? ერთი გამოფურთხო, ათი შაური ჰამაც პაპიროზის აკურკა დააგდო—მანეთი, ტროტორზე ზაპისკა დააგდო კიდევ ათი შაური; სლოვომ—ათასი შარი და დოზანაა, ერთი ტერტერას ყავარჯენივით თუ მოგადგა ეს მილიციონი—მორჩა, პირდაპირ ამერიკანსკი აუქციონს გაგიმართავს:

— ეს აშის შტრაფი, ეს იმის ჯარიმა, ეს ჯანდაბა, ეს დოზანა, ეს ფლანი და ეს ფსტანი—ვინ მოსთვლის.

იმას გებნები, შაფათ დღეს მე ჩავარდი ასეთ ხათაში:—სალამოა, ჰავლაბრიდან მოვდივარ. ხაშალ გიგუასთან ვიყავი და კარგი პურმარილი ვჭამე, ჩემი ძველი ძმა კაცია და მაკლერობას მასწავლის, ოთახების დალალობაში პამოშნიკათ ამიყვანა, რომა იქიდან მაინც ცოტა რამე ავიღო, ეხლა ხომ ძველი დრო აღარ არის, რომ აქეთ-იქიდან შამამდიდეს მოგება,—ეხლა ჩვენისთანა ვაჭარი ხალხის ლილახანა გახუნდა.

ჰო, კარგათ ვიდალალეთ, ერთი ხლუპუზი ვინმე ჩავიგდეთ და ერთ სირისტიან ოთახში ოცი თუმანი ავაფცქვენით,—იქიდან სამი ჩერვონცი მე მერგო.

კარქ გუნებაზე მოვდიოდი, რომ იმ ჰაკარაკ მელიციონს არ ჩაეშხამებინა:

— დვარცოვთან კონკიდან რომ ჩამოველ, იმავ ნამუტში მელიციონი მაჰადგა და მებნება:

— ღრაჟდანინ, თქვენზე ათი შაურია.

— ჩემზე?—ვა, საიდან, როდის გისესხებია? უსტა მილიციონჯან,—შენ აშიპკაში ხარ!

— რის აშიპკა. რის ბოზმაში. ეს შტრაფია, იმიტომ, რომ შენ კონკაში უკნიდან შეხვედიო,—ამ მინუტში გადაიხადე, თორემ კამისარიატში გაგაფრენ.

მეტი რა ჩარაა? მთხოვს ვაძლევ, პირდაპირ მანეთიანი მიწოდე, და ათშაურს ხურდას ველი. ჰამაც გულში ბრაზი მომდის და ვამოფ:

— ფუი, ეს რა ფინთი აშიპკა მამივიდა! ხერესხურ რასტერიანი ვიყავი და პარიატკა დავარღვიე, თფუი ჩემისთანა გამოტვინებას—დაეაფურთხეფ ტროტვარზე. ამაზე მილიციონი მებნება:

— ღრაჟდანინ შენგან კიდევ ათი შაური მერგება?

— ვა, ბნელა? ათი შაური საიდან გერგება, როცა შტრაფი ათი შაური დამარტყი და მე კი მანეთი მამიცია?—ნააბაროტ შენგან მერგება ათი შაური!

— ის ათი შაური კონკაში უკუღმა შასვლისთვის იყო, ჰამა შენ ორჯერ ტროტროზე დააფურთხეო, თითო დაფურთხება ათი შაურია—ზნაჩიტ მანეთიც დაფურთხებაში!

რა ილაჯია? კიდევ ვაძლევ. კვიტანციას ვიღებ და გაჯავრებული მივდივარ. ჰამაც ამ კვიტანციასა ვხევ და დაბლა ვყრი. პუპუს, წინ დვორნიკი ბურნუთის კოლოფივით ამეტუზა და ყურში ჩამძახის:

— ეი, ხაზეინ, შენზე შტრაფია, ამ ნიმუტში გადაიხადე!

— ძმაო, შენ ხატის ღვინო ხომ არ დაგილევია? დაიხედე რაღა ტროტროზე ფურთხის ნასახიც არ არის, რაში მთხოვ; შარზე ხარ?

— შარზე შენა ხარ, რომ სიარულის პარიატკას არღვევ. ტროტროზე სიარული მარტო მარჯვნივ შეიძლება და შენ კი მარცხნით მიდიხარ! ჰამაც ქაღალდის ნახევები დაბლა რათ დაჰყარეო, პლევატელნიცები იმიტომ დავვიდგია, რომ ტროტრო გააფუჭოვო?

ჰელეთ-მელეთი მამივდა, ბრაზი მახრჩობს და ატკაზს ვარტყამ—ისიც საქოს ჯორივით გაჯიუტდა და არ მიშვებს, ბოლოს შუშტუკს უბერამს და მელიციონს ეძახის. მე ველარ მოვითმინე და ერთი რომ არ გაუშალე სიფათში ეს ნაკურთხი ხბოს თავი—მუშტი რაღა, სულ ზაგესი აუნთე თვალებში.

მამცვივდნენ, დამიჭირეს და უჩაშკაში წამიყვანეს; იქ ერთი სამი მეტრო პრატაკოლი შამიყენეს და სამ თვეს უსლოვნი ციხე მომცეს,—ჰამაც სამი თუმანი შტრაფი გამარტყეს—ხულიგნობისთვის და პარიატკის დარღვევისთვის....:.

მაშ მოდი შენ და მაგათ ღმერთი სთხოვე, ამისთანა ბალახათა აგიტეხონ, გული გატკინონ, გაწყენინონ და მაითმინო? მორჩომილი საქმეა. ამას იქით მეც აპაზიციონერი ვხდები—გინდ დაიჯერე, გინდა ნუ,—რას იცინი, მაშ ამ აპაზიციონერებს ჩემზე მეტი რამე სწყენიათ, რომ ერთი ყალმა-ყალსა შვრებიან?

ფარსადან.



ფოსტალიონი:—ამოდენა წერილები და ამანათები ვერ მითრევია, და ეს მგელის კერძი გამიხდა სათრეფი!

# ლევარსი როზროზაძე



როგორც კი ლევარსი თბილისიდან დაბრუნდა სოფელში, მთელი სოფელი ფეხზე დადგა და მის სანახავათ წავიდა.

— მართალი გითხრათ,—ამბობდა სოფლებში ლევარსი,—ისეთი ძლიერი ქარი ტფილისში რომ ვნახე, მე ჯერ არ მინახავს.

ის იყო მივაღწიე ვერის ხიდს, რომ გევიხედე და ქე არ მოფრინავს ჰაერში სურამის მთები თავისი ტუნელით! ისმის რაღაც საზარელი ხმაური. ფურმე ქარია. ტუნელში მატარებელი იდგა. როცა მემანქანემ ტფილისი დაინახა, მოინდომა ტუხელიდან მატარებლის გამოყვანა ტფილისის სადგურში. ის იყო, საყვირიც მისცა, რომ მე ავსძახე: არ გადირიო, მატარებელი არ გამოიყვანო თორემ გადმოვარდება და მიწაზე დაეხეთქება.

დამიჯერა და... სურამის მთამ თავზე გადაგვიქროლა და იქით წავიდა.

ამ დროს უკვე ვერის ხიდზე ვარ შუა ალაგას, რომ დაჰბერა ქარმა კიდევ უფრო მძლავრათ. ქალებს კაბა ზურგზე შემოახვია. კიდევ კარგი, რომ საცვლები ეცვათ, თორემ... ჰო-და სუყველას თავზე მოგვაშპო ქუდები.

უნდა გენახათ, როგორ კივოდენ და ჰაერში გაფრენილ ქუდებს ხელაპყრობით უცქერდენ.

მეც ქე არ გადამაძრო იმ უსინდისო და უზრდელმა ქარმა ყაბალახი.

მომივიდა ბრაზი. გავიქეცი და დავედევნე ახალი გზით ეხლა რომ მტკვრის პირათ გაჰყავენ. ვორონცოვის ხიდზე დავუსწარი თავი. ყველა ავარები და უქუდო ხულიგნები იქ იყვენ; უყურებდენ სეირს და იცინოდენ.

გევიხიდე და ქე არ მოფრინავს აგერ ჩემი ყაბალახი. მაშინვე თავი მიუშვირე და ზედ თავზე დამეხურა, ისევე, როგორც უწინ მეხურა.

— ვაშა, ვაშა, ლევარსი!—იგრიალა მთელმა ტფილისმა და ქუთაისმა.

ყველამ მე მიმბაძა.

უქუდო ხულიგნებმა და ავარებმა თავი შეუშვირეს ვერის ხიდიდან ქარის მიერ გამოტაცებულ ქუდებს, რომლებიც ზედ თავზე ეხურებოდენ ხულიგნებს; ესენი კი ცილინდრებში და ქალის ქუდებში გამოწყობილნი არხეინად მიდიოდენ სახლში და ნიავიც კი არ ეკარებოდა მათ ქუდებს, რომ იმათ თავებიდანაც ისევ გაფრენილიყვენ ქუდები და იქით მეტეხის ხიდზე სხვების თავზე დასკუპებულიყვენ.

—კი მარა, სურამის მთა და ტუნელი რომ ისევ თავის ალაგას არის?—შეეკითხა ერთი ახლგაზრდა, რომელიც მზად იყო გასაქცევათ თუ ლევარსი მას შეუტიებდა.

— რა სულელი ყოფილა აგი ბიჭი! ველარ მიხვდა, რომ მერე ისევ დაჰბერა ქარმა და სურამის მთა თავისი ტუნელით ისევ ძველ ალაგას ჩამოაგდო.

ზმუკი.

# ტარტაროზი

# პროვინციაში

დილის ექვსი საათი იქნებოდა, როცა კონდუქტორს ვკითხე:

— რომელ საათზე ვიქნებით ქუთაისში?

— ეს პოეზდი აპაზდანიით მოდის და თუ რაიმე პრეპიატსტვია და აპაზდანიე არ ექნება, ცხრა საათზე ვიქნებით.

მიეედით რიონის სადგურში—სწორედ 9 საათი იქნებოდა.

მოხსნეს ჩვენი რონოდა. ხან ერთ მხარეზე გადაგვიყვანებენ, ხან მეორეზე,—ასე რომ, თერთმეტ საათამდე გვაყურყუტეს.

კიდევ ვეკითხები:— კაცო, რა მიზეზია, რომ ჩვენ აქ ამდენხანს ვდგევართ? აკი 9 საათზე ქუთაისში უნდა ვყოფილიყავით.

— აკი მოგახსენეთ, რომ ეს პოვეზდი აპაზდანიით მოდის; ჯერ ატხოდი არ არის ქუთაისიდან; მერე პრიხოდია თბილისის პასაჟირსკის; მერე მოვა ბათომის პასაჟირსკი; ამგენა, რომ მიცემენ ატხოდს მერე ჩვენც წავალთ.

მართლაც ასე მოხდა: ჩაიარა თბილისის მატარებელმა, რომელიც ჩვენზე გვიან გამოვიდა თბილისიდან; შემდეგ ბათომიდანაც მოვიდა, ამანც გაიარა; დავრჩით ჩვენ. ბოლოს როგორც იქნა, გვეღირსა მეორე ზარიც, მაგრამ მატარებელი მაინც არ იძვრის. კონდუქტორის დაფშტვენას ელიან. გამობრძანდა ბაქანზე ობერი. ერთი მაგრათ დაამთქნარა და დაიძახა:

— ჩტო ტამ დილაიტე? რას შობით მანდ? გატოვა?..

— გატოვა, გატოვა.—მოესმა ხმა და ობერმა ინება დაფშტვენა, რის შემდეგაც გავსწიეთ ისეთი სისწრაფით, რომ ჯორიც კი გაუსწრებდა. იმდენი დრო მოვანდომეთ ქუთაისამდე, რომ თბილისის მატარებელი უკვე ხაშურში იქნებოდა.

ჩავედით ქუთაისში და გუნებაში ვთქვი:

— **აბა ჩემო ქუთაისო, სავარდო და სამაისო.**

იმ დღეს დავისვენე.

მეორე დღეს დილის 10 საათი იქნებოდა თეატრის წინ ვიყავი. მესმის გოჭების ჭყვირილი, ქათმების კრიახი.... ვსთქვი:— ქუთაისი სავარდო და სამაისო კი არა, საგოჭო და საქათმისოთ გადაქცეულა.

ამ დროს მხარზე ხელი დამკრა ვიღაცამ. მოვიხედე; ჩემი ძველი მეგობარი ლადო ბზავანელი. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. მე ჩემი ამბავი უთხარი; მან თავისი და ზედ დაატანა:

— ყველამ, რომ აქედან გაიქცეთ,—თბილისს თუ ზაჰესი აქვს, ჩვენც მალე გვექნება რიონჰესი. წყალსადენიც ძალიან მალე იქნება; აქეთ წყალტუბო გაამშვენებს და აუარებელი სხვა და სხვა ხალხი ჯერ ქუთაისში მოდის და მერე წყალტუბოში; ასე, რომ, ქუთაისი თანდათან გამოცოცხლების გზაზე ადგია და მალე ვნახავ, რომ ყველა ისევ აქეთ მოძუნძულობდეთ.

— ძალიან სასიამოვნოა, ჩემო ლადო; მე რვა წლის ვიყავი, რომ ნეტარხსენებული „უპრავა“ აპირებდა წყალსადენს; გორაზე აუზიც ააშენა ხალხის მოსატყუილებლად, მაგრამ ის აუზი ბაყაყების გასამრავლებლად გამოდგა მხოლოდ. მერე მენშევიკებმაც გაიფიქრეს,— მხოლოდ გაიფიქრეს. მაგრამ ამათმა უფრო დიდი საქმე „გააკეთეს“— რკინისგზა წყალტუბოში. გახსოვს, ლადო, ერთი რიჟა მეწვანილე რომ იყო, ის თურმე მენშევიკების პარტიაში ჩაიწერა, დიდი ნაგანი გვერდზე ჩამოიკიდა; ულვაშები აპიწკული, შედგა ოლასკურის სასაფლაოს ქვაზე და ესარგებლა იმით, რომ—მიცვალებული მიასვენეს, რომელსაც აუარებელი ხალხი დასწრებოდა.

გამართა მიტინგი, დაიწყო ყვირილი:

— ამხანაგებო, სმენა და გაგონება.. თქვენ, ამხანაგებო, ჯერ იქნება არ გაგიგიათ და ვერა ხართ მიხვედრილი იმ ზედმიწევნით ზე-აღმა გადმოელვენილობას, რომელიც ხან ისა და ხან ასე უკვანტილებდა საქმის მიღწევის მიმართულებას; იმ მიმართულებას, რომელიც გაერთიანებულ წარმომადგენლობას ეძგერება, დღინჯუბს შემოიდგამს და იტყვის:— გაუმარჯოს ახალ თაობის გამოკვარახჭინებას. აი, სწორედ ჩვენ— სოც.-დემოკრატებმა გამოვაკვარახჭინეთ ეს დიდათ მნიშვნელოვანი და კაცობრიობისათვის აღმშენებლობის წინ გათოხარიკება. ჩვენ დავიწყეთ რკინისგზის გაყვანა პრიამოთ ქუთაი-

# ჩვეულებრივი მოვლენა



— მოდი, გენაცვალე, რძე დალიე!

— რა დროს რძე არის,—კრებაზე მიმეჩქარება, მოხსნება უნდა გავაკეთო!

სიდან წყალტუბომდის. თქვენ, ამხანაგებო, იცით რა ეკონომიჩესკი, რა პოლიტიჩესკი მნიშვნელობა აქვს ამ გზას? ეს პირველი გამარჯვებაა სოციალ-დემოკრატების პოლოჟენიის და ამას უნდა დავადგათ გვირგვინი. გაუმარჯოს ჩვენს მიდგომილობას, გაუმარჯოს ჩვენს პრინციპიალობას, ჩვენს დაბივანიას, ჩვენც მოვაწიეთ აქ ამ სასაფლაომდის, ამ ლაგირამდის და აქ ცოტას დავისვენებთ.

— დაამთავრა სიტყვა, ერთი შეხტა, გამოხტა გადაისვა ულვაშებზე ხელი და გაუდგა გზას.

ისე მოგეცა სიხარული, ჩემო ლადო, როგორც იმის სიტყვები შესრულდა. მართლაც მიაწიეს სასაფლაომდე. ლაგირზე დაისვენეს... დაისვენეს და . დაისვენეს

ესამე დღეს გავემგზავრე ხონისაკენ დელეჟნით; მაგრამ ხონის გზაზე მგზავრობა, ისიც დელეჟნით, როგორც მე შემხვდა,— სჯობდა ან სულ არ წავსულიყავი, ან-და ფეხით მევლო

ერთი მოხუცი ქალი ძალათ შემოიჭრა დელეჟანში. ეუბნებიან:

— ბატონო ადგილი არ არის, ხომ ხედავთ სულ ვეღარ ვითქვამთ.

— არა, დია, მე ადრე მაქ ფარა მიცემული და უნდა წამოვიდე, აგეო, ჩემსავით მოხუცებულ ქალს ჩამოუჯდები მუხზე!—ანიშნა ჩემზე. თურმე, ნუ იტყვით, წვიმის გამო ჩაბალახი მქონდა თავზე, წვერ-ულვაში მაქვს გაპარსული. ქალი ვგონებივარ და,—არხეინად დამაჯდა მუხლებზე.

— ბატონო, რას შერებით. ხომ ხედავთ ადგილი არ არის? რაღაში ერევით?—გაიგონა ჩემი ხმა და იყვირა:—ეი, ჩემი სიკვდილი იქნა ბარემ! მე ქალი მეგონა... უკაცრავად!—და ჩემ ცოლს მოურიდებლად დაუჯდა მუხლებზე. დაუძახე მედელეჟნეს, მაგრამ აქეთ მისაყვედურა:

— თქვენ, ბატონო, აქანა 14 კაცი ქდიხართ და აქანე ხანდიხან იმდენი პასაჟირებია, რომ 20 კაცი მიგვყავს! —და შეუტია ცხენებს.

მივედით გუბის წყალზე, ერთი საათი ბორანზე გადასვლას მოვუნდით. თანამგზავრს ვკითხე:

— რისთვის არ არის ხიდი ამდენხანს გაკეთებული?

— ზაგრანიცაში ამზადებენ ამის ხიდს და რავაც მოვა, ჩადგამენ.

მეორემ სთქვა:— არა ბატონო, ეს ყველაფერი ხონელი მეფაიტონების და მედელეჟნეების ბრალია; ბევრი ფული დახარჯეს, რომ ხიდი არ გაკეთდეს.

— რათა? იმათთვის უკეთესი არ არი, რომ ხიდი იყოს!?

— არა, ბატონო, ხიდი რო გაკეთდეს, ანტონობილები დაიწყებენ სიარულს და მეფაიტონეები შიმშილით დაიხოცებიან.

# მოდა



## „რეჟიმეკონომია“

რამდენიმე დღეს შემდეგ გავსწიე ქობულეთისაკენ. ეს აგარაკი ხომ „მოდათ“ გადაიქცა. ბრუნდი და მართალი ქობულეთისაკენ მიეშურება. ზოგიერთი მხოლოდ იმისათვის მოდის (მეტარდე ქალები), რომ სთქვან: —ჩვენ წელს ქობულეთში ვიყავითო ქობულეთში დავრჩი მთელი ზაფხული, ესე იგი 3 თვე.

ვიფიქრე: ბიჭი არ ვიქნები თუ ერთი შევიოტის საშავრლე არ გავირტყი (აი, ის კონტრაბანდას რომ მოგახსენებენ). ჩემდა საუბედუროდ, თითქმის ერთმა თვემ გაიარა და ვერ მოვახერხე; ვის არ ვკითხე, მაგრამ ჩემთვის მოისპო; ისე კი ყველას შევიოტის და კოვერკოტის შარვალი და ბლუზა ეცვა.

ერთ დღეს მითხრეს, რომ საბაჟოში იყიდება „ტორგებით“ სხვადასხვა ჩამორთმეული კონტრაბანდაო.

გავსწიე 18 მანეთით.

ვნახე, მარა რა ვნახე, სად იყო ამდენი კოვერკოტი და შევიოტი, ამდენი პუდრი და ჩულქები. ჩემთან ერთად სხვა ჩემსავით „ფულიანი“ ამხანაგები იყვენ.

კუთხეში ზის ერთი ლიპიანი წვერულვაშ გაპარსული და ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს ელაპარაკება. მე დამინახა თუ არა, ლაპარაკს თავი გაანება და რამოდენიმეჯერ ამხედ-დამხედა. მერე ისევ განაგრძეს ლაპარაკი და ორივემ დამიწყეს ცქერა. მე აივანზე გამოვედი, ერთმა ჩემმა ამხანაგმა მითხრა: ის ლიპიანი მოსკოველი ვაჭარია და ყოველ ვაჭრობაზე მოდის; აუარებელ საქონელს ყიდულობს და ჩვენ ის არაფერს დაგვანებებს ისეთ ფასს ასწევს.

არ დაუთავებია სიტყვა ჩემს ამხანაგს, რომ ის ლიპიანი კაცი მოვიდა ჩემთან და ჰითხრა:—ნელზია ლი ნა პარუ სლოვ?

გამიხმო და მკითხა— თქვენ დღეს ივაჭრებთ აქ?

— დიახ.

— ბევრი რამე გინდათ იყიდოთ?

ამ შეკითხვამ გამაკვირვა; გუნებაში კი ვთქვი—მადლობა ღმერთს ფულიანი კაცის შეხედულება მქონია,—და უთხარი:—ბევრის არა, მაგრამ ვნახოთ რა ფასები ექნება.

— გთხოვთ, ნუ გამეჯიბრებით და ვაჭრობაში ნუ გამომყვებით, თქვენ კიევიდან ბრძანდებით; წარსულ თვეში ბათომის საბაჟოში სულ თქვენ იყიდეთ დარჩენილი საქონელი!

მე გამეცინა და ვიფიქრე, ამ კაცმა ვილაცას მიმამგზავსა. თუ უთხარი ვინცა ვარ, სასაცილოდ ამიღებს და ვუპასუხე:—დიახ, მართალია, მაგრამ ის საქონელი ვერ გამოდგა კარგი და ვიზარალე.

— დღეს რომ იყიდება აქ, ძალიან კარგის არის, ზოგი თქვენ და, ზოგსაც მე ვიყიდი!

— ძალიან კარგი. მე რაც ხელს მომცემს, თორემ ზევით არ წავალ!

მადლობა მითხრა და მომშორდა.

დაიწყო გაყიდვა.

ჯერ გამოიღეს ორი ნაჭერი შევიოტი №3003; თითო სამი მეტრო; დაფასებულია მეტრო 14 მან. დაიწყო ვაჭრობა. პირველი. მე მიუმატე— 50 კაპ. ლიპიანი გაჩერებულია, მე მიყურებს. ვილაცამ წამოიძახა: „მანეთი“. მივაძახე კიდევ 50 კაპ. ლიპიანი სდუმს, დამრჩა მე 15 მ. და 50 კ... შევიტანე ფული. დაიწყო დიდი ნაჭრების გაყიდვა, მე არ ვიღებ ხმას ერთმა ვილაცამ შეევაჭრა ლიპიანს და

მეტრო აიყვანა 30 მანეთზე. ამრიგათ, რაც საქონელი იყო თითქმის 7000 მანეთის იყიდა.

მოვიდა ჩემთან და მითხრა: თქვენ აგრე ცოტა რათ იყიდეთ? ნუ თუ მეტი არ გინდოდათ?

— არა ბატონო, თქვენ შეგცდათ, მე კიევიდან არა ვარ; მე მსახიობი ვარ ქართული თეატრის.

გაიცინა ლიპიანმა და მითხრა: — მართლაც არტისტი ყოფილხართ, რომ ეგრე მომექეცით და 6 მეტრო შევიოტი წამართვით; მე თქვენი მეშინოდა, თურმე საქმე რაში ყოფილა-

— მე მხოლოდ ის მწყინს, რომ ყველა საქონელი თქვენ იყიდეთ და ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს საშუალება არა აქვთ თქვენისთანების გადამკიდე შეიძინონ რამე. გთხოვთ —თუ შეხვდეთ კიეველ ვაჭარს, რომელიც მე მგავს—მადლობა გადაეცით ჩემგან!—ხელი მივეცი და გამოვემშვიდობე. აი, ასე მაქვს შეძენილი ის შევიოტის შარვალი, რომელშიაც თქვენ მხედავთ.

ვას-ბალ-ანჩი.

# სასამართლოში



გამომძიებელი:—თქვენ ამბობთ, რომ ამ მოქალაქემ მოგპარა ფეხსაცმელები, რამდენი ღირდა თქვენი ფეხსაცმელები?

დაზარალებული:—აი, გეტყვით და დათვალეთ: ახლობისას პირველათ ფეხსაცმელებში მივეცი 15 მანეთი. ორი წლის განმავლობაში სამჯერ ძირები გამოვაცვლევინე, ესეც თქვენი 12 მანეთი, სამჯერ დასაკერებელი — 3 მანეთი, ასე რომ ჩემი ფეხსაცმელები 30 მანეთი ღირდა.

# ლანძღ-ქვიტირი

პედაგოგათ გვყავს შეიდდწლედში,
კედლის გაზეთის გმირია;
ფუთი პამადა არ ჰყოფნის,—
გათხუპნული აქვს პირია.

—:

რა ერთხელ თინამ იხილა
რუხაძე ჩვენი ალია,—
ისე აინთო კოცნისთვის—
სული კინალამ დალია;

—:—

„ჩათლახი და დედალი ხარ!
რათ არა მკოცნი თვალებში?—
ასე უხმობდა „თინიკო“
ყმაწვილს კაცებში, ქალებში

—:—

ვაჟი იწოდა სირცხვილით,
ხან წითლდებოდა, დნებოდა,—
მაგრამ ფხაკაძე მის ცხვირწინ
სულ იმ სიტყვებით დგებოდა,

—:—

ხუთი დღის შემდეგ ნაბაკევს
კალამო როს ტარდებოდა, —
თინა ფხაკაძე ალიას
კვლავ ასე ეუბნებოდა:

—:—

— მართლა ჩათლახი ყოფილხარ,
რათ ვერ გაბედე კოცნაო?!
ალვის ხესავით გაზრდილხარ
და უშნოთ რამ აგსტყორცნაო?!—

—:—

ვერ მოითმინა რუხაძემ,
გადაეხვია აკოცა,
მთელი დარბაზი უმზერდა
სერგო, ნოე და კაკოცა.

—:—

და ჩურჩულობენ გლეხები;
„მასწავლებელი“ არის,—
და ამის შემდეგ არ სჯობს
სკოლა ჩავკეტოთ ერთი?!

—:—

...და რა დავბრუნდით ჩვენს თემში,
ყველა იცინის თინაზე,
თვითონ კი კიტრათ არ აგდებს;
იცინის ხალხის ჟინაზე.

შიხლინსკი ბოზბ.

# ლ ო ტ ო შ ი



**წაგებული** (მემუსიკე): დააჩუმე მაგი გასატიალებელი, რა დროს მუსიკაა, ფული წავაგე, გული ბრაზისაგან ლამის გამისკდეს.
**საქო**: გაუკა, დაუკა რაზნი ტანცოვნი პესნები... ფული მამიგია,—გული მასკოვის ტრანვაის მოტორივით ფართხალობს ჩრეზმენი სიხარულისაგან.

## ჭიჭიკო უქმაძე

გარეგნობიდან დავიწყოთ:

წვრილი, მოქნილი, საშუალოზე ცოტა მაღალი ტანის...

„სტამბოლსკი“ ფასონის ფეხსაცმელები, გეტრები; გალიფე შარვალი; ჩაჩნური ბლუზა...

აი მისი მუდმივი ტანსაცმელი!

დიდი თმა უკან გადავარცხნილი („ჟოკე“ ქუდს ხელით ატარებს). როცა ქუდს იხურავს თმა ან ძლიერ უკან აქვს გადაწეული, ანდა თვალებში ჩამოფხატული.

პირისახე გაპარსული (პარიკმახერთან ნისიათ დადის).

პაპაროსს რა თქმა უნდა ეწევა (როცა აქვს). თუ სადმე იშოვა მთელი პაპიროსი — შეაჩერებს ქუჩაში გამვლელს და მოუკიდებს („სპიჩკა“-ს რომ ჰქონდეს, მაინც ასე მოიქცევა); ხოლო თუ უპაპიროსოთ არის (ქუჩაში „ბიჩოკები“-ს ახეკვას არ კადრულობს), მაშინ მოსაუბრეს მოხერხებულათ ჩაურთობს ლაპარაკში: შენ „კოლმუხი“ დამიტოვე...

მკითხველისთვის აშკარაა ჭიჭიკო უქმაძის პროფესია, მაგრამ სჯობს ამ კითხვაზე მოვისმინოთ მისივე ლაკონიური პასუხი:

— „სტუდენტი“!

დაამთავრა ერთ-ერთი ცხრაწლედი ქუთაისში (ცხრაწლედი ვინ არ დაამთავრა?), შემდეგ „ემზადა“ საუნივერსიტეტო ჯგუფში, მაგრამ სწავლის ფული თითქმის რა გადუხდია.

ალბად ღარიბია?—გაიფიქრებს მკითხველი.

როგორ გეკადრებათ; მამა მისი ყოველთვის თავის დროზე ატანდა სწავლის ფულს, მაგრამ... ფული მიდიოდა.

ჯერ ჯიბეში, შემდეგ მუცელში.

თქვენ გგონიათ ცუდათ მოიქცა? აი მისი აზრი დახარჯულ ფულებზე. „მამაჩემი ხომ იმისათვის მატანდა ფულებს, რომ ჩემს სასარგებლოდ და მეხარჯა? ჰოდა ის უფრო სასარგებლოა ჩემთვის.

ვისაც რა უნდა ისა სთქვას, მაგრამ ჭიჭიკო ამის შემდეგ მაინც გაემგზავრა თბილისში სახელმწ. უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად.

მაგრამ არ მიიღეს!

დაბრუნდა. დროებას ატარებს „ხან ისე, ხან ასეთს“.

დილას ადგება ათ საათზე. გარეთ გამოვა თორმეტ საათზე. იხეტიალებს აქეთ- იქით, გადაეკიდება ვინმე ფულიანს (ალლო კარგი აქვს); მალე შემოაღამდება (ნოემბერია — ადრე ღამდება). შემდეგ ვინმეს დაეპატიჟება კინოში, იქიდგან კი გასწევენ: ან ალავიძესთან, ან ერემოსთან. ან იაკოფა-

ცთან. ან „ბორჯომ“-ში. ან კიდევ ვინ იცის, — ქუთაისის მიკიტნებს ვინ ჩამოთვლის?!!

ნაშუაღამევს როგორც იქნება დიდი ამბით გამოლაგდებიან, გზაში სახლამდის თუ ბევრი არაფერი გააფუჭეს, ხომ კარგი, — მობრძანდება ქიქიკო და იძინებს მეორე დილამდის (ხან მეორე შუადღემდის), — მაგრამ თუ იხულიგნეს — მაინც მეორე დილამდი იძინებს, ხოლო რბილ ლოგინში კი არა, — კუტუსკაში.

ასე მიდის დღენი მისი ცხოვრებისა...

და ასე წავა შემდეგშიაც, სანამ ქიქიკო არ იკადრებს და ქუთაისის (რა თქმა უნდა არა მარტო ქუთაისის) დღევანდელ გრანდიოზულ აღმშენებლობაში „შავ მუშაობას“ (არა უშავს თანდათან გათეთრდება) არ დაიწყებს.

ვერმიცანი



— ცუდი ყოფილა ვალის გადახდა! შენ რას იტყვი?
— არ ვიცი; არასოდეს არ გამომიცდია!
— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, რომ ვალი არასოდეს არ გქონებია!
— ვალი ბევრიც მქონებია და ბევრიც მაქვს, მაგრამ მისი გადახდა კი არასოდეს არ გამომიცდია!

# სამტრედია

ახლა, სადაც მე ვცხოვრობ,
წოდებულა ქალაქად!
ბევრი „თავი“ იცვალა
ვერვინ მისცა ბარაქა.
(მასზე წერა ვიცი, რომ
გამომილევს არაქათს).
ეს ქუჩები რასა ჰგავს,
ან ეს მწვანე ბაზარი?!
ყველაფერსა ამბობენ,
არაფერი არ არი.
როგორც კი ცა მიიღებს
ჩუმად სახეს ღრუბლიანს,
ფეხით მგზავრებს მაშინვე
ხარ-კამეჩი უბია.
(და ღვარად სდის ცრემლები,
ტუჩიანს და გუბიანს)
ეს ცხოვრება ვიცით, რომ
საშინელი უნდია!—
აწ გვიშველის მგონია,
ბესარიონ დუნდუა.
ეს სადგური ტროფიალის,
ძევს ქალაქის არეში,
და ქალაქის სიყვარულს
ფარავს სიმხურვალეში
ქარხანა ხომ დაიპყრო
სავსებით და მთლიანათ.
(ტარტაროზმა ჩამოსვლა
ძალზე დააგვიანა).
პრეზიდენტი“ ვინმეა
ვაჟების და ქალების!—
ვაშა, ვაშა სადგურო,
ლამაზი გავქს თვალები.
უნდა გადავიარო,
ტყე და ჭთების სერია!
და ვისმინოთ სიმღერა,
მუშები რომ მღერიან.
მაგრამ გზაზე თუ შემხვდა
ინჟინერი მუცელა,—
ფერი არ შემეცვლება
და შევხვდები უცვლელად:
გეინემან! — შევძახებ!
ეტყვის:—რაო ბიძია!
ვუპასუხებ: — შეჩერდი
თორემ რისხვამ გიწია.
ეს ჩვილი მუშების,
რას გავს, რა ამბავია?!—
გონზე მოდი, თორემა
დღე მოგელის შავია.
სულზე ტკბილო ტარტაროზ,
ძმაზე უფრო ძმია!
უდედმამო ბიჭი ვარ
და ვწუხდები ძალიან.
ხალხით სავსე სადგურში
ვზივარ განაწამები!
ამ დროს ჩნდება ჩრდილივით,
ორი ქალი ბრძანებით.
ასპარეზი საბრძოლო,
დარბაზია მგზავრებით!
და გაისმა ქალების,
ხმები შესაზარები.
წაიმკლავეს მკლავები,
სისხო ასე სვეტისა!
არაზიანი კისერი
კავდა „კისერს გედისას“.
და რომ მიხას, (სადგურის
რომელიც რომ მთვარეა)
არ ჰიეცა ნიშანი,
დაერეკათ ზარია —
ზარი მატარებლისთვის
წასვლის ზარი მეორე, —
აქ ნახავდენ საშინელ
სისხლის წვეთებს და მორევს
—თუ ვინ იყო ეს ორი
რად ქნეს საქმე ამგვარი?!
იმათ ორჯერ ვაჩვენე,
„ტარტაროზი“-ს ჩანგალი.
— სად არიან?. სახელი?..
დღეს ორივე აქ არი!
ერთსა ჰქვია გუგული,
მეორეს — კი თამარი.
(აწ შენ ძმაო ტარტაროზ,
სიტყვა გმართებს მაგარი).

ჰაგნელი ბზიკი.

# „ორი მეტოქე“




ჩვენ გვინდა მკითხველებსაც გავაცნოთ სარედაქციო მუშაობის ხასიათი.

ამ სურათზე წარწერამ დიდი შეხლა-შემოხდა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ბევრმა შინჯა წარწერის გამოგონება, მაგრამ ერთმანეთს უსწრებდენ.

მხატვარი ამბობდა:—შრომის ბირჟის უმუშევრები უცქერიან გაწყობილ სუფრას და ფიქრობენ:—ნეტავი შემეძლოს იმნაირი სუფრის გაწყობა; მაშინ ეს ბირჟა აღარ დამჭირდებოდა,—დავპატიჟებდი გამგეს და ხამხახურიც მზათ იქნებოდა!

ბოლოს ლევარსი როხროხაძე წამოდგა და განაცხადა:—რას დავობთ? მაგი ვერ მიხვდით? მაგას ვერ გამოუნახეთ წარწერა? თქვე გლახებო, ასეთმა გაწყობილმა სუფრამ ვერ მოგიყვანათ თქვენ წერის მადაზე და ვერ აამოძრავა თქვენი ტვინი? ეს რა დიდი საქმეა?—შრომის ბირჟის უმუშევრები უცქერენ გაწყობილ სუფრას და ფიქრობენ:—აქ დგომას, იქ ჯდომა სჯობია-ო.

## ცნობათა მიღება



**ხიბსს:** აბა რა კითხვა-პასუხია ეს: კითხვა: მსურს ვისწავლო გინება. როგორ მოვიქცე?

პასუხი: ეს ადვილი საქმეა—სახელმწიფო დარბაზში დაესწარით „ამერიკულ ძიას“ და სურვილი აგისრულდებათ.

**შერმანდის:** (ონი) ჩვენთვის არ არის საინტერესო თქვენსა და თქვენს ცოლს შორის ინტიმიურ მალაათის და მოქცევის გამომჟღავნება.

რა თქმა უნდა, თუ თქვენ კიდევ ასეთ წერილებს გამოგზავნით, ჩვენ არ დავბეჭდავთ. სინჯეთ ადგილობრივ სოფლის ჭირ-ვარამზე დასწეროთ რამე.

**მეტეორს** (სუფსა): მოგვაწოდეთ ამბები ადგილობრივ ცხოვრებიდან

**ჟაისარს:** ჩაიმ თუ პირიდაგწვათ, ჩვენ რა შუაში ვართ? ადუღებული ჩაი თუ ღვინო გეგონათ, ეს თქვენს თვალებს დააბრალეთ. სამოვრებიდან ღვინოს მენშევიკების დროს სვამდენ (და ისიც „დიდი კაცები“).

**ჰერიჰას:** ბოლოში ასე სწერთ:

**ჩემი ცოლი გამითხოვდა**
**რაღა მეშველება....**

ტყვილათ გაგტეხიათ გული! თუ რამე გეშველებათ, აწი უნდა გეშველოს. მწუხარება კი არა, სიხარული გმართებთ. მარტო ის რათ ღირს, რომ თქვენი გვერდები მოისვენებს. ასეთი დაბოლოება უნდა მოგეცათ წერილისათვის:

ჩემი ცოლი გამითხოვდა.
აწი კი მეშველება. —

# „მეორეთ მოსვლისას“




— თუ შეიძლება ცნობა მომეცით, როდის გაიყვანთ ჩვენს სახლში ელექტრონს.

— განცხადება როდის გაქვთ შემოტანილი?

— სწორეთ გითხრათ, მე არ მახსოვს,—მაშინ პატარა ვიყავი და ბაბუა ჩემს ჰქონებია განცხადება შემოტანილი!

— ჰოო, ალბად მაშინ ბებია ჩემი მიიღებდა იმ განცხადებსა დაიკარგებოდა... კიდევ შემოიტანეთ; თუ თქვენს შვილს არა, თქვენს შვილიშვილს მაინც მოესწრება!

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.